

1522
2008

საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

რიტეინატუნა და ხეროვნება

N10
10/2008

შსაფრთხილს

თენგიზ მირზაშვილი

არეზის

ტარიელ სარსელაური

ანდრეასი

“არტიშაქტი”

დინამიკურის

ოტია იოსელიანი

არაბის

ვანო ჩხიკვაძე

თაბუქანი

ბაჩანა ბრეგვაძე





თენგიზ მირტხალვილი (ჩუშჩიკა)



ლიტერატურა და ხელოვნება



N10(34)

10/2008

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

თენგიზ მირზაშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ვისთვისაც ძვირფასია
ჟურნალი

ლიცენზია და ხელოვნება,
ვთხოვთ, შეგვეწიოს!

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჩაიოს, ჭოჭოა

3. ტახიდ სახხელაუი - ლექსები
6. ვანო ჩხიკვაძე - მოთხრობები
10. ჯემალ ინჯია - ლექსები
12. თენგიზ ვეხუაძე - ეგზოპოეზია
21. ახმენ ახუთონოვი - ლექსები
23. ნინო სადღოხეაშვილი - მოთხრობები

გინაძე/სურგია

26. ოცია იოსელიანი - თქმა მახთისა...

თარგმანი

31. ბაჩანა ბეგვაძე - სევითები

წერილები

36. გიორგი მაჩხანშივილი - დავით სახაჯიშვილის სახლი
42. ლილინო ცახუჩი (ნუგზახ ბეჩაძე) - მისტეხია ბუდეშის სავანეში
44. ნინო უბიანაშვილი - ყვითელი ფეხის სიმბოლიკა
50. სოსო სიგუა - ტადანტი და სწავლა...
56. ნიკო ოთინაშვილი - ზემო ქახთის ცოპონიმიკიდან
59. ნატო მოისნაფიშვილი - დაფეხილი იტალია

არქივირებული

63. "ახტიფაქტი" - ქართული ახტი

ქორეოგრაფია

66. დახინა ჩხეიძე - საცეკვაო ხელოვნების ძიებები

თქაშაძე

76. დამა ჩხატიშვილი - ბათუმის თეატრი

მსაჯობა

80. ქეთევან კინწახაშვილი - "რუბრიკა"

„როგორც უფალო, სამშობლო, ერთი ქვეყანაზედა“

რადვიელ ერისთავი


საქონლუფაგით სწავლა:

ქაბუა ამირაჩიხი, ზაჩანა ზრუვაძე, ნანი ზრუვაძე,
პრანა ზრუხინიშვილი, შაყა ზრუხილაძე, შაყადაა ვინამშვილი,
ნათადაა ურუშაძე, ჭანუდა ჩანკვიანი, თეძურ ჩხეიძე,
თამაზ ჩხეჩხეიძე, ვაგი ერისთავი.

ქურონალში რეკლამის
განთავსებას მსურველებმა
ღარეკეთ 899 25 60 14



ქურონალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



26015

ქართული
ხარისხი

მენს დეპუტატი, ხანს...

მიხეილ ჭინჭარაულის ნათქვამი

მინია, ჭინჭარაულო,
ყვითლად დანვერვამ მზისამა,
ამოსვლამ ყოფნის ცაზედა
არყოფნის ყვავილისამა,
ქარქაშში ჩაბრუნებამა
სისხლ მონყურებულ ხმლისამა,
ჯავრის ხვრამ ლაგამივითა
ჩემის, შენის და სხვისამა,
საფიხვნოს დაგვიანებამ,
დროზე არასდროს მისვლამა,
სისხლისფრად ჩადედებამა
ძარღვებში ცრემლებისამა,
სულ უგზოუკვლოდ ნანწალმამა,
დევენებამ ქარებისამა,
ვერ ჩამქრალ-ჩანელებულმა
ჯავრემ ცოცხალის მტრისამა;

სულ მუდამ ბნელში ჯდომამა,
მარტოას გლოვამ მკედრისამა,
განდგომამ, ვანცალკეევებამ
ცხოვრებამ მონამისამა;
შვილის უბრალოდ სიკვდილმა,
ვერ მოყრამ ჩემის ხნისამამ.
სიყრუემ ვალმა მხარისამ,
სიბეცემ გამოდმისამა.
დამალა ნუთისოფელში
მიმოსვლამ მცირე ხნისამა,
ლოდინმა სავსე მთავრისამ,
ჩაქრობამ ნაკლულისამა,
საადრო ღრუბლის შეყრამა,
ჩამოზვაგებამ კლდისამა.
როცა ბუბუნნი მენადა
მაშინ გაბზარვამ ხმისამა,
მეტწილად დაუნძრახებამ
ნამძინარევის წყლისამა,
ჩემს თავზე ჩამონოლილმა
გრგვინვამ და რისხვამ ცისამა.
ვერც რა შენა ხატის კარს დგომამ,
ვერც ნთებამ სანთლებისამა.
სად სისხლი უნდა მულოკა
იქ ვერქმნამ საქნარისამა
სიკვდილმაც მაშინ მიყვლა
ჩემფერამ, ჩემის ხნისამა,
ჩემმა არ გაკეთებულმა
იმედად ყოფნამ ღვთისამა,
გაქრობამ სურვილისამა
ჩემის მომკვლელის კვლისამა
სულეთთან ბრუნვამ ნისლივით,
ვერ შეხსნამ კარებისამა,
ვერ ნურთვან თავის ჭკვაზედა,
გაერთფერებამ დღისამა,
გაქრობამ, თანდათანობით,
სურვილმა სინათლისამა,
სულ ტკივილებით ზიდვამა
სამოცდა სამი წლისამა.

* * *

დახურეთ ზეცა,
ვარსკვლავებთან საუბარს ვინყებ,
მოსწიეთ მთვარე,
მოსაყრელად დაშიდვით მუხლის
და თქვენ, ქარებო,
ჩამომბერტყეთ სიმძიმე მინის,
რომ ჩემმა გმინვამ გაამღვრიოს სამყაროს
მწუხრი.

სულწო შემლილწო,
ყველასკენლის კარნი განახვენეთ,
რომ ჩემი მოსვლა ყველა ნერვით
იგრძნოს სამყარომ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



გადამიტანეთ, მზის მხურვალე მტვერში
დამმარხეთ,
მინის ცხელ მკერდზე ვარსკვლავებად
გადმომაყაროს.

ჭექა,
ქუხილი,
პლანეტა შავი...
ცეცხლი უნთია სივრცეს გაკვეთილს,
ქარი ბუბუნებს,
ბუბუნი ქარის
მე მგავს შეშლილს და სასოწარკვეთილს!
მე მგავს ყოველი, რაც ასე ბორგავს,
რასაც სიკვდილის სურნელი ასდის
და დედამინას,
სამყაროს ბორბალს,
აბრუნებს ჩემი ფერმკრთალი ლანდი.

ჩამოყრილ მხრებზე მაფენია ზეცა
შეჭრილი.
მტვრიან ბეჭებზე მთელი ღამე ქარმა
იროკა —
გუშინ ამ ხელებს დედაკაცის ცური
ექირა,
დღეს კი შიმშილით გადამღრძვალნი
ძალი მილოკავს.
აი, ადგილი ბილიკებზე ნავალი
აფორის —
განსხეულება ჩემი სულის ახლა
მთვარეში...
დარჩა სამყარო უმწეო და
მიუსაფარი,
როგორც ნიშანი დასრულებულ ჩემი
თარეშის.

მასის მზის აბრწყინება ცვარზე
და ფოთლებზე დაფენილი მტვერი,
მოსჩანს როგორც ცისარტყელა ცაზე,
ღირიული პოეზიის ფერი.
მთათა ნვერებს ღრუბლის ფონი გასდევს,
თვალს ამ ფერთა ეხარბება ხილვა
და სიჩუმის მარადიულ ჰანგებს
მზეს უგზავნის გაზაფხულის დილა.

ჩაქრენ ვარსკვლავნი, ზეცა იცლება,
ცვარად ეღვრება მკერდზე იელებს,
ალარ მზის მოსვლით არ შეივსება
ეს შემზარავი სიცარიელე.
კლდეებს, ნაწყლულევით, ნისლით ვუხვევდი,
ცაო, როგორ მლლი შენი უფლობით,
ნუხელ სიკვდილი მენვა მუხლებზე
და მე და მთვარე ვჭირუსუფლობდით.

ალარც შენი მჯერა, ცრემლო,
რად მიყურებ გაკვირვებით,
როცა მთელი საქართველო
არის დედა ნატირები.
ამომივსეთ მინით პირი,
მზეს ვაცილებ უალერსოდ.
კარგი ვინ თქვა ქართლის ჭირი —
ან ამაზე უარესი.
შენ რომ სახნავს აღმა ჰხნავდე,
ის ეცდება დაღმა დახნას,
საქართველოს ბედი ვანდეთ
ნაბოზართ და ნაჩათლახართ.
საფიცარი ფერი მინის
შეირყვნა და შეიცრიცა,
ვიღაც ზურგში მყარის სიცილს,
ვიღაც ზურგში მყარის ისარს.
ვაი, სად გავექცე სირცხვილს,
დაკრულია ჩემი ძმისა!
მეტისა ვარ, ალბათ, ღირსი —
სწორედ მყარით მტვერს და ნავავს,
ვინაც ტახტის არის ღირსი
ის მივაბით ვირის ბავას.
ვაი, საფერებო სიტყვავ —
ჩაშლილო და ჩანათელო,
მართალს სჩადის, მე რომ მირტყამს,
შენც გიფერებს საქართველოვ.

როგორ დამყურებ, ცავ, უსახურო,
შუბლს რომ ეღვრება, შენი ცრემლია,
ცრემლით გინდა რომ ამგლიჯო სურო,
ტანს რომ გველივით შემომხვევია,
ვერა, ვერ კურნავს ცრემლი იარებს,
მასნეულებს და უფრო მანყლულებს,
ცაო, მაღალო, დაავიანე.
მე აჩრდილებმა დამანაკლულეს.

* * *


გარდავიცვალე ერთი კვირის წინ —
ან უფრო გვიან,
ან უფრო ადრე...
მე ვატარებდი დანიერ შუბლს,
ვინრო თვალთა ქრჩილს,
გრეგნობითაც კი სხვა ვიყავ, —
ვილაცას ვგავდი.
დღემდე არავინ შემხვედრია ასეთი ტვირთი
ეტარებინოთ — სხეულით მზე,
გონებით მთვარე.
დღევანდელი დღით თუ შევხედავთ —
ამგვარი ფიქრით
ზღვა უფრო ღელავს,
მოძრაობით
მოძრაობს ქარი.
გარდავიცვალე ალბათ შარშან,
ანდა შარშანწინ,
წელს გამოვდი
გვირილების გამხმარ ღეროდან
და ვიქეც ნისლად —
შენი სახლის რომ წევს გადასწვრივ.
წევს უბრალოდ და
ხშირად შენს სახლს ადგას ზემოდან.
ან ვარ ის სხივი —
შენს სარკმლის წინ კაკლის ფოთლებზე
რომ დაეშვა და ღამით დაყრილ
ცვარს ააბრწყინებს
და ვარ არწივი
გადმოვიღის ქედებს მოთოვლილთ.
არწივი? არა!
არაფრით არ ვგავარ არწივებს.
უფრო ყორანი!
ჰო, ყორანს ჰგავს ჩემი ყრანტალი,
ყორანსა ვგავარ,
ძლივს მოვირგე საფერი სახე
და სხვას ვერაფერს —
თუ ისურვებ, ყრანტალს გასწავლი
და როგორ უნდა ჩამოსკინტლო
ლოდებზე,
აქვე.
თუ მომაფურთხებთ,
შესაფერისს მომაგებთ პატივს,
ოდნაე შებრუნდი,
ჩამოდექი ზურგით მზის მხარეს,
რა ეშმაკი ვარ —
გამოსავალს მივაგნე მარტივს,
ჰო, ძალზე მარტივს
და მარტივად გარდავიცვალე...

* * *

აქამდის შენით ვიცოცხლე —
ახლა ვიცოცხლებ უშენოდ...
ყველას მე როგორ ვუნამლო,
ყველას მე როგორ ვუშეგლო.
ხან გვიმრა გადმომენელება
ბუერიანის ხევიდან,
ხან ნისლი დაფეთებული
გზას ჩასჭრის მოსახვევიდან.
ხან უკვე ხმასაც ვვლარ ვცნობ,
ვინმე რომ მიხმობს ზევიდან,
რა გიყოსთ, აღარაფერი
აღარ გამომდის ხელიდან.

* * *

და თუნდაც მთელი სამყარო
იად იქცეს და ვარდებად,
მზეო —
შენ იცი, ტკივილი
რო აღარ დამიამდება.
არადა,
ყურს ნუ დამიგდებ,
ჩემთვის შენითაც დამდება...



ვანო ხხოცაძე

მარიამის ამბოხი

წევს ნითელა ბატონებიანი სიციხით აფორი-
აქებული პატარა მარიამი, არ იცის, რომ გარეთ
ჩაგუბებული ცივი ბურუსი შეირხა. ამობრავდა
გაყინული ჰაერი — ვერცხლისფერი ფიფქები
რიბლად, უხამურად ეშვებოდა. თოვლს როგორ
ელოდებოდა და მაინცდამაინც ახლა მოვიდა,
— სიციხიანს გარეთ ვინ გაუშვებს. ბორგავს,
შფოთავს გოგონა, დაქანცულ დედა-ბებიას კი
ძილმა წაართვათ თავი, გვერდით სანოლში, გა-
უხდელებს, თავფეხშექცევიტ მოკუნტულებს
ჩასთვლიათ.

შუშაბანდის რაფაზე კანდელი ბფუტავს.
ღრიჭოში, წამდაუნუმ, ნიავნანანლა შემომძვრე-
ბა, ალს ნაეპოტინება, თითქოს უნდა მუჭში მო-
ექციოს და, "თითები" რომ დაეცემა, ისევ უკან
გაძვრება ნაშუაღამევის თოვლით გაცრეცილ
სიბნელეს შერევა.

დედამ და ბებია მ რა იციან ბავშვს რომ ისევ
აუნია ტემპერატურამ — ბალიშზე თავშემალ-
ღებული პატარა მარიამი მძიმედ სუნთქავს,
ქერა, სხვილა თმები მკერდზე ჩამოშლია და
ტუჩების გარემოში, ლოყებზე, მეხუთე დღეა,
ჰყვებიან ნითელი წერტილები.

ოთახში კაციც არის — ფხიზელი, ომანია-
ნი გამოიმეტყველებით იყურება გადიდებული
სურათიდან. კანდელის გადაქანებული შუქი

ზოგჯერ მასაც შეეცურებდა ხოლმე და სახეზე
მკრთალი ღიმილივით გადაუვლის.

კაცს იმიტომ ვეძახით, რომ მარიამის მამაა,
თორემ ისე ახალგაზრდაა, ბიჭად უფრო ჩაით-
ვლება.

მარიამის მამა სამუდამოდ სურათში გამო-
კეტილ ბიჭად დარჩა.

ახსოვს გოგონას, ჯერ ხელეში ააბურთა-
ვებდა, შეისვამდა კისერზე, დაარბენინებდა მა-
გიდის გარშემო და მერე, კისრიდან, მკლავებში
ჩამოიგორებდა, ჩაბლუჯავდა, თითქოს უნდა
შეისრუტოსო, ყნოსავდა, კოცნიდა თმებზე და
კისერში.

მამა საგუშაგოზე მორიგეობისას დაცხ-
რილეს ბანდიტებმა. მიეპარნენ და ზურგიდან,
ლაჩრულად დააცალეს ავტომატი — არ უფიქ-
რიათ, არც ვახსენებიათ პატარა მარიამი, მა-
მასთან ერთად მისი სიხარულიც რომ მოკლეს,
გადუარეს, დაასრისეს მინას და შემოდგომის
წვიმიან ღამეში კვალწმინდად აორთქლდნენ.

მამას დღემდე ნახულობს სიზმარში. მოწყე-
ნილი, გაბუტული ხმას არ ცეცხლს და გოგო ატი-
რებული იღვიძებს. როგორც სინამდვილეში
იყო, ისეთი მხოლოდ ამ სურათზეა. უყურებს
ხოლმე გულხელდაკრეფილი და საითაც არ უნ-
და წავიდეს, მარიამს თვალს არ აცილებს. ზოგ-
ჯერ მაგიდის ქვეშ ან სკამს უკან ემალება, მაგ-
რამ მამა მაინც ყოველთვის "შოულბოს", უცი-
ნის, ელაპარაკება, თუკი რაიმე იტკინა, თვი-
თონაც სახე შეეცვლება. აი, ხელში კი ველარ
აპყავს, ვერც კისერზე ისვამს და მკლავებშიც
ველარ აბურთავებს.

კვირას, დედამ, ეკლესიაში, წირვაზე წაყ-
ვანა. გზაში, ბორდოურთან გაჩერებული შავი
მანქანიდან, მძღოლმა, ბულდოგვით მიიმე,
უფორმო თავი საჭეზე დაწყობილ ხელეზე რომ
ჩამოედ, დედას თვალი არ მოაცილა, რალაც
ჩაილაპარაკა და ქონიანით ტრუნტი საზოზლ-
რად დაბრუნდა. დედა განითლდა, ნაბიჯს აუჩ-
ქარა. გოგონამ იგრძნო, როგორ გაუთფლიანდა
ჩაკიდებული ხელისგული.

მარიამს ისე აუძვერდა გული, ეგონა მკერ-
დიდან ამოუფრინდებოდა. მამინ, რატომაც
მამა შეეცოდა, თუმცა, ვერ გაიგო, რატომ და
დედას ნაწყენმა გამოშვლიჯა ხელი.

გაკვირვებულმა ქალმა საწარმო ღიმილით
შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს, არც არაფე-
რი უკითხავს.

ქრისტეს ჯვარცმასთან, დედამ, მამას სა-
ხელზე სანთელი დაანთო. სახეზე ჩამოშლილ
გამჭვირვალე თავსაფარში ჩანდა მისი თხელი,
ლამაზი, პროფილი, ოდნავ გვერდზე გადახრი-
ლი რომ დააწყურებდა ხელისგულით მოწყულ-
როვებულ სანთელს და თვალებზე ცრემლმომ-
დგარი თავისთვის წურჩულებდა.

მარიამს წყენამ გადაუარა, ეკლესიის სვეტ-
ზე, სანთლების შუქით გაბრწყინებულ ხატს
ახედა.

დედმა მარიამმა გაუღიმა და გოგონას მო-
ეჩვენა, რომ კალთაში ჩამჯდარ ბიჭს მხარზე
ხელით გადმოსახტომად უბიძგა.

მარიამმა შეტყუებული თითები შუბლთან მიიტანა...

*

ნიათაც ჩადგა, ჩამყუდროვდა. გაიფანტა ჯანო და შობაღამე თანდათან გაფერმკრთალდა.

ტყის სიღრმეში, სადღაც, შორიახლო, ცუელი კაკუნებს. მარიამს იცის, რომ იქ მამაა, მისი მკერდიდან ამონაქმენი ხმაც კი ესმის და გარბის, მიკვალავს ფეხდაუფდგმელ თოვლს.

"საით, მარიამ, საით!" — მთელი მისი თოჯინები, ცალყურა დათვი და უკუდო მელიაც და-ცოცხლებულან და მოსდევნენ, ეძახიან, მაგრამ არ ჩერდებიან, მიახრახუნებს პირნაყინულ თოვლს — იქ ხომ მამაა, — აიტაცებს, აბურთავებს, ჩაიხუტებს, კისერზე შეისვამს და, ორივე, დაგუბებულ სიწუმეს მხიარულად გასძახებენ — შე, შე, შეე!.. —

მირბის გოგონა, მირბის, მაგრამ ცულის ხმა თანდათან უფრო შორს ინაცვლებს, ძლივს და ესმის... უცებ გადაქანდნენ ხეები, ჩატყვილი მინა ქვემოთ მოქანებს.

"მარიამ, მიშველე, მარიამ! — ამოხდა უნებურად.

ვიღაცამ ილიებიში სტაცა ხელი, უძირო უფსკრულიდან ფოთლოვით გამსუბუქებული ამოიტაცა.

გოგონამ თვალი გაახილა, სანოლთან სწორედ ის ქალი უზის, ეკლესიაში ხატზე გამოსახული რომ ნახა. ოთახში, ქალის გარდა, თეთრტანსაცმლიანი ბავშვებიც არიან, ყველგან სხედან — სკამებზე, დივანზე, კარადის თავზეც კი შემოსკუპებულან და მტრედებივით ღულღუნებენ.

ქალს ციციანთალებით აციმციმებული თავსაბურავი მხრებზე ჩამოშლია, თხელი, ნატიფთიებიანი ხელი გოგონას მკერდზე უდევს და აძვრებულ გულს უშმეივლებს.

— მარიამ, მარიამ, ბიჭი სად არის? — გოგონამ ბავშვები მოათვალიერა.

— ბიჭი?

— ჰო, კალთაში რომ გიჯდა!

— სად არის და მამასთან! — თვალი ააყოლა კადელს და სადღაც, უსასრულობაში აიხედა.

— მამასთან მეც მინდოდა, მაგრამ ვერ მივაგენი, ლამის დავიკარგე... დედაჩემი ხომ გაგიუფლებოდა... იესო რომ დაგეკარგა, შენ კი არ იდარდებდი?

ქალს გაეღიმა და იმ ხელით, გოგონას მკერდზე რომ ედო, ახლა თმა გადაუსწორა:

— ერთხელ, მე და ოსები ნაზარეთიდან, პასეტის დღესასწაულზე, იერუსალიმში წავედით, იესოც თან წავეყვანეთ. მლოცველი ღვთის სახლს არასოდეს აკლდა, მაგრამ იმ წელიწადს, მანც დიდძალი ხალხი მიანყდა, როგორც იქნა შევედით ტაძარში, ვილოცეთ, გავათენეთ ის ღამე და მფორე დღეს, სხვებთან ერთად, ნაზარეთისკენ გამოვბრუნდით. ჩვენებურებიც მრავლად იყვნენ, იესოს რომ სცნობდნენ. ბიჭი რომ ვერ შევნიშნეთ, ვიფიქრეთ, ალბათ, მათ-

თან ერთად მოდისო, მაგრამ მოვიკითხეთ და, იერუსალიმიდან წამოსვლის შემდეგ, მისი თვალისდამკვერი ვერავინ ვნახეთ.

მეგონა რაღაც ჩამწყდა, გულიდან დანყებული ტკიველი ჩაიწურა და მუცელში ჩაგუბდა... უკან გავბრუნდით, ვეძებთ, მოვიჩვენებთ იერუსალიმი და, ბოლოს, წყლის დამტარებელმა, იისფერთვალემა გოგამ გვაპოვნინა — იესო, ტაძარში, შემოხვეულ ხალხში იჯდა, საურთობდა და ისინიც დიდი გულისყურით უსმენდნენ...

ცოცხალი რომ ვნახე, სიხარულისგან ავტირდი. ვუსაყვედურე, რატომ არ გამოგვეყვითეთი.

გაკვირებულმა მოგვხედა, რა მოხდა, არ შეიძლება, შვილი მამის სახლში რომ დარჩესო.

გაოცდნენ შეკრებილები, რას ლაპარაკობს ეს ბავშვიო.

იესოს აღარაფერი უთქვამს, ჩაგვიკია ხელი, მორჩილად გამოგვეყვა, მე და ოსებმა კი ღრმად ჩავიბეჭდეთ მისი სიტყვები...

— მე რანიირი თვალეები მაქვს, მარიამ? — ძლივს შეირხნენ სიცხიანი ტურები.

მარიამი დაიხარა, სახე მიუახლოვა და ნაზად ჩააცქერდა:

— იმ პატარა გოგონას მსგავსი, იესო რომ გვაპოვნინა.

— იისფერი?

— ჰო, იისფერი!

— კიდევ მამაზე, იესოზე.

— სულ რამდენიმე წლის იყო — ავად გამიხდა. ოფლი ვერ მოვადინე, სიტყვს რომ დავეკლო. წეწს, კენწის და მამა ახსენა... ოსები სახლის სახურავზე მშუაობდა. გამოვედი და ავძახე, იოსებ, ცაცო, არ გეცმის, ჩამოდი, ბავშვი გკითხულობს-მეთქი.

ოსებმა წინასწარი ჩაიფრთხა და იესოსთან შემოვიდა.

ვრილი ხელისგული შუბლზე დაადო. იესომ რაღაც დაიწურწურა, ეტყობა სიგრილე ესია-მოვნა, თვალი გაახილა.

მითხრო, რა გინდაო, დაიხარა ოსები.

იესოს შუბლი მსხვილი წვეთებით დაენამა.

"მამა, მამა!" — უკვე ხმამაღლა გაიძეორა და გაეღიმა, მაგრამ ეს ღიმილი ოსებს არ ეუთვნებოდა, იესოს მზერამ თითქოს ოსების სხეულში გაიარა და ვიღაც უხილავს მიაჩნდა.

მე მივხედი, ვისაც უხილობდა, ოსებიც მიხვდა — ხელი ბავშვის შუბლიდან ნელა ჩამოაცურა და სინაზულით თუ გულდამყვეტიტ გადმოხედა.

ორივემ ეს შემთხვევაც ღრმად ჩაევიმარხეთ გულში.

ოსები ავიდა სახურავზე, მაგრამ სადურგალო იარაღისთვის ხელი აღარ უხლია, საღამომდე იჯდა ჩაფიქრებული, მკლავეებში თავჩარგული...

მარიამი გაჩუმდა.

გოგონას მოეჩვენა, რომ ღუმილი დიდხანს, ძალიან დიდხანს გაკრძოლდა.

— მარიამ, ვინ დამიჯერებს, რომ ნამდვი-

ლად გნახე?

- შენ ხომ გჯერა?
- რა თქმა უნდა, მჯერა!
- მაშინ სხვებიც დაგიჯერებენ!.. ახლა კი მეც მიგდობარ და შენი "ბატონებიც" მიბრძანდებიან, — მარიაში დაიხარა, ნიკაპსკვემოთ, ყელთან თბილი, მართოლავი ტუჩები შეახო და, თითქოს აწუმებსო, აღუღუნებულ ბავშვებთან ერთად, ტუჩზე საჩვენებელთიმთიმებული ფეხბურთი გავიდა ოთახიდან...

გოგონამ თვალი გააყოლა, მაგრამ ვერ დაინახა, როგორ გაუჩინარდა ღვთისმშობელი...

ფანჯარას დილის სინათლე მოსდგომოდა. ისცხე აღარ ჰქონდა. ნითელი ნერტილებიც თითქმის გამქრალიყვნენ. დედას და ბებიას, ისევე ეძინათ.

სანოლიდან ყოჩაღად გადმოხტა, გრძელი, ყვავილიანი ლამის პერანგით ფანჯარასთან მიიბრინა — ეზოში არავინ ჩანდა, თოვლს არც ღვთისმშობლის ნაფხურები ეტყობოდა.

"მარიაში" — ცრემლი მოერია და ტირილი მოუწდა, რომ რაფაზე დადგმულ სარკის პრილაზე ზედაპირზე, იებივით ანთებული თვალებით და, ლავინაზემოთ, ვარდის ნითელი აფორცვლივით, მარიამის ტუჩების ანაბეჭდი დაინახა.

ხომ არ მეჩვენებო, განცვიფრებულმა გადანიხა ყელთან ჩამოშლილი თმა, ჩააცქერდა, ჩააცქერდა, შეშინებულმა, არ ნაიშალოსო, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გადაუსვა თითები მარიამის ნაამბოვარს და ნამწამებს შვების ცრემლი მოსწყდა.

შობა თენდებოდა...

*

ორიათასი წლის წინ, სწორედ ამ დღეს, აღმოსავლეთში, ვასაოცარი სიკაშკაისი ახალი ვარსკვლავის ხილვით გაოცებული მოკვები ბეთლემისკენ მიმსურებოდნენ, სადაც უცხო შუქით განათებულ ბაგაში, ჩვილი ღუღუნებდა.

ახლა კი, პატარა მარიაში, თვალცრემლიანი შესცქერა დიდი მარიაში სახსოვარს და თოვდა, თოვდა და, ეს ამბავი თუ დასრულდა, სამაგიეროდ თოვა იყო ზღაპრული, სპეტაკი, უსასრულო.

უჩიობა...

თოვლმა გადაღება მთა და მინდორი, მოასფალტებული და სატრაქტორო გზა, მთვარე მავსიტრალის ფინიასავით რომ ასდევნებია, ხან ბუჩქნარებში, ხანაც ხევ-ხუევებში ჩაკარგული მაინც რომ ძალადობს, ენაგადმოვადებული, ქარის ზოხუნით აყვებულ-ანკმუტუნებული, მაინც მოგვეძვინა, მოგვეღვს...

რაღა უნდა თქვა თოვლზე ახალი, გარდა იმისა, რომ თავად თვითონ არის ახალი — ნელს პირველად გვესტუმრა ზეციდან, ეფინება ირგვლივ, საფეცილე ამბარ-კოდეზებით მოუდგამს

პირი, მოუსწორებია ორმოები და ნახნავ-უხნავი.

ზეცა, შეიძლება, დაფადაც წარმოიდგინოთ, ზედ თოვლზე სიმღერებს რომ წერენ და, ფიქვას თითებში ჩაფშენილი ცარცი...

ხელმარჯვნივ, შუალამის ბნელდაცემული ტირიფონის ველი, კავასიონის სამხრეთის ფერდაზე გადაყოლებულ, თოვლში ჩამყვდროვებულ სოფლებს ფრთხითი უწევს.

შოდა, აი, ამ ტირიფონის ველზე, გაჩხილ-გამქნხრებული ქარსაცავი ზოლები აქა-იქლა რომ აჩონჩხილან, ერთხელ, სწორედ ასეთ ყინვა-ყაბათში, შემადადებულ მარხილში შებმულ, ღონიერ ხარს, კაცი მოუძლოდა, მოჰკვალავდა მუხლებამდე თოვლს და, რაკი ირგვლივ ძებროციელის ჭაჭანება არ იყო, თავისთავსაც და პირუტყვსაც, შეძახილით ამხნვევდა.

ჩქარობდა, გული ცუდს თუ უგრძნობდა, მალე-მალე დაუტყვედა ხარებს, მაგრამ იმთავც მეტი რა ექნათ, ტყე-ტყე ნაწონიალები, მოქანცულლები, მაინც ერთვულად მოსდევდნენ, მოათრევდნენ, მოაცურებდნენ, ნალოჩაბმულ მარხილს.

ის იყო ნაკალოვარს გამოსცდნენ, კვერნაქის გაფრხულ-გასუდრული ჯაგნარებიდან მძიერი, გაალმანებული მგლები რომ დაეშენენ. გამაფრთხილებელი, სასონარმკვეთი, საზარელი ყმულითი ნიავის მოტანილ საქონელს სუნს თოყივით გამოჰყვენენ, თითქოს ამ უხილავი თოყის ბოლო ღრენით დაკრეცილ კბილებით ეჭირათ. შორეობდნენ და მათ ფეხქვეშ თოვილი კაკანათში გაბმული ფრინელით ფრთხილავდა.

ვიდრე თვალი დაინახავდა, კაცის სმენას ვერ დამშეულთა მოთქმა, კბილების კანკანი და მუქარა მისწვდა, მოვდივარ და დავეციდიკო... შედგნენ ხარები, თითქოს კედელს შეასკდნენ, დახრილი თავები მაღლა შეჰყარეს, ზეულით მიწა-მოსინეს ტაბაკები, დაჭიმეს ყელთან გონასკული აბურები, აქანავებული უღლიდან, დახვეული ჯაჭვი ჩხრილით ჩაიშალა, შავი ნანავივით დაიკლავნა თოვლზე და კაცი გამოერკვა.

მარტო ცულით რას გაგზდები, ცეცხლით დავაფრთხობო, შემებზე შემოდებული სათონი ფიჩხის კონა გადმოაგდო, მორებქვეშ მოყული ზზე ბლუჯა-ბლუჯა შეუჭრული, ამოილო ასანთი და გულმა შემოჰქვენესა — კოლოფში ორი ღერილა იდო. დრო არ ითმუნდა, აფორიაქებულმა ნაქარევედ ვაჰკრა, მაგრამ ჩაუჭრა, ყუნწზე დაეკიდა გააჩრჩინის იმედო.

სიფათი უფრო მძაფრად იგრძნეს ხარებმა, ხმაბალა აზმუვდნენ, მიღრიჯ-მიღრიჯეს უღელი. მგლებმაც იყნოსეს მათი სასონარკვეთა, აჩქარდნენ, დაწინაურებულმა ბრძენმა ტოტამ გაშალა ფალანგა, ნამგალივით მორკალული ნაშოვიდნენ, რათა ორი ბოლო მარხილითან შეერთებულყო, იქ შეკრულიყო ყულუფი, მოყენრილი, მოეკლავდა ხარებიც და ხარის პატრონიც.

კაცი ხედავდა მოახლოებულ, თვალეზში დათებულ მუგუზლებს. თანდათან ეინროვდე-

ბოდა რკალი, ბებერ, მაგრამ გამოცდილ წინამძღოლს, ოდნავ გვერდზე წაწოლილს, მკერდით ნახანავივით გაჰქონდა თოვლი და ჩხრიალედნენ დაკონტლებულ ბენჭზე აკრული ყინულის ხაჩხაკუნოები.

მოდოდნენ მგლები და გუნებაში უკვე ანგარიშობდნენ, ვის რა ერგებოდა, ვინ ათახთახეულ ფერდს დაეძგერებოდა, ვინ — ბარძაყს, ვინ ყანყარტოს გამოლადრავდა — ლაშქებში ჩამდგარი თბილი სისხლით წინასწარ ტკბებოდნენ, მხოლოდ ბრძენმა წინამძღოლმა იცოდა, რომ ვიდრე კბილებით ხორცს არ ჩააყვებოდა, გამარჯვების სიხარული ნაადრევი იყო.

ხარებს მოერევათ მუხლები, დაფრთხლები შეჰყურებენ ერთი ღერის იმედად დარჩენილ, ოფით შუბლდაცვარულ პატრონს.

კაცმა გადაინერა პირველი, უფალს შეელა სთხოვა და, როგორც იქნა გაბედა, ჩამუხლულმა წივიის მხრიდან მოუმეფედროვა, გაკრულ ღერს მაცხცახებული მუჭი მოაფარა. საიდანაც აქვანც დაუბერა, თითებშორის გამოძერა წივი, სულმებერილი გადაქანდა ალი, მაგრამ მოასწრო, ზაფხულის მზით გამოშრალმა ბზის ღერებმა მოიტაცეს ცეცხლის ნამცეცი, ნაბით აკვამლდნენ, მერე ერთბაშად მოედით, აბრიალდნენ... მარხილიდან ისევ გამოვლიოვა ბზის ბლუჯა, მიუმარჯვა, გაძლიერდა ცეცხლი და ატყაცუნდა სათონე ფიჩხი.

მგლებმა დაინახეს, ჩამუხლული კაცის ხელებიდან როგორ იფეთქა, ამოიფრქვა თვალისმომჭრელი სინათლე, ამოგინგინდა და გააფერქვალა კუნაპეტ ღამეზე დაკერებული მათი თვალების ნითელი ღილები — შედრქენ მგლები, თითქმის ხარის ფეხებთან მივარდნილმა ტოტამ, დაიქცა შენი სამართალი, რა იქნებოდა ცოტაც გვედროებიწია, ჯაგრიანად დაჰკრა ორივე თათი, გაცურდა ნაყინულზე და ნალვერდაღვივით გახურებული ენაზე თოვლი ამიძინდა...

მგლებმა უკან დაიხიეს, მაგრამ კაცმა, ვიდრე არ იწათა, გზის გაგრძელება ვედარ გაბედა, რომ არ გაყინულიყო ანდა კიდევ არ მიხტომოდნენ მგლები, ჩამოილი ფიჩხის დარჩენილი კონები, ცეცხლს რიგრიგობით მიუმარჯვა და იმხელა ჭიაკოკონა დაანთო, შორეული სოფლებიდანაც კი ხედავდნენ და უკვირდით, ამ ტრიალ მინდორზე ნეტავ რა ხდებაო...

ყველაფერი ზუსტად ასე იყო თუ არა, ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში, ამ ამბავს დახლოებით ასე გვიყვება ერთი საყმანვილო მოთხრობა, ბავშვობაში გულისფანცქელით რომ ვკითხულობდით ხოლმე.

გ კია, მგლები უკვე მეორედ გაბრუნდნენ — აქ თუ ცეცხლმა შეამწიათ, სხვა მოთხრობაში მთვარემ დააფრთხო.

მოკლედ, მშვირები, გაავებულები უკან, გამოქარული ტყისპირებისაკენ აიხვეწნენ.

ვერც იმას გეტყვით, გაბოროტებულმა მოძმეებმარა დღე დაანიეს აქაურ ტოტიას, გაჰკრეს თუ არა კბილი, ლუკმა-ლუკმად აქციეს თუ არა უიღბლო, ხელმოცარული წინამძღოლი.

სამაგიეროდ, ერთი სხვა ამბავიც ვიცო, ტრიონის ველზე რომ მოხდა:

ამბავი იმდენად მარტივ სიუჟეტინაია, რომ ეგებ მოსაყოლადაც არ ღირდეს, მაგრამ, მამლისა არ იყოს, მე ვიყივლებ და...

ერთხელაც, ამ მიდამოებში, ასეთივე დიდ თოვლობით ნაშლოლ გადასახვევთან, მანქანიდან, ბავშვიანი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ჩამოვიდა და სოფლისაკენ მიმავალ გზას ფეხით დაადგა.

საბანში გამოხვეული, მკერდზე მიკრული ჩვილი მორიგეობით მიჰყავდათ.

ციოდა. ბავშვს გადაკეცილი საბნის ყურადან პატარა ცხერი-პირი და აცმაცუნებულ ტუჩებში მოქცეული სანოვარაც კი არ უჩანდა.

თოვლიან მინდორს სადსე მთვარე დანათაოდა და ყოჩაღად მიდიოდნენ, რომ, შუა გზაში, საბანში გამოკრული ბავშვი აგნიახდა, აბორგადა, აუტირდათ... ისეთი ხმა ამოუშვა, ჯაგებში განახული ტურა-მგლებიც კი დაფრთხნენ, უფრო მაღალი მთებისკენ გაილაღენ.


ენახით, ერთი, რა გაჭირვება ადგასო, დაუყვევ კაცმა. ვერევე მიაგორა თეთრ, სპეტაკ თოვლზე. გახსნა გაყოჩილი ჩვილი ქალმა, აქეთ-იქით გადაშალა კომპოსტის ფურცლებივით საბანი, სახევეები. ბავშვმა ააქანავა განთავისუფლებული ფეხები, გაიხარა, გაურკვეველ ენაზე შემლულუნა ვარსკვლავიან ცას. ხოლო როცა ნამცეცხას ასევე ნამცეცხა ნიფხავ-პერანგი გამოუცვალეს, დამშვიდებული ისევ შეახვიეს, ჩაათბუნეს საბნის ბომბორა ბუნებში, მიიხუტეს მკერდზე და გზა გააგრძელეს...

მეტი არაფერი, ეს იყო და ეს, იმასაც თუ არ დავამატებ, რომ თოვლზე მიგორებული ის პატარა... მე ვიყავი...

გადავხედე ნანერს — მოსაყოლი მართლაც ბევრი არაფერი მქონდა — ამ გზაზე, ვინ მოთვლის, რამდენ ბავშვიან მგზავრს გაუვლიდა, ჩვილი მწვანე მოლზეც მიუგორებიათ და დათოვლილ მინდორზეც... არა, მაინც არის რაღაც, რომ არ მასვენებს — იქნებ დედაჩემის ყურში ჩარჩენილი ხმა, როცა ამ ამბავს მიყვებოდა ხოლმე?

მაშინ კი, სადღაც, შორიახლოს, უმტერო თოვლზე შეიძლება ჩემი კბილა მგლის ლეკვიც იწავდა ირგვლივ შემომსხდარი ხვადი და ძუ მისი ჭყლობინით ტკბებოდნენ...

ვინ იცის!



საქართველოს მისი პარპალი,
როცა მოინეგს
გასათელად ჩვენზე ჩექმები...
ლაშარის ჯვარო,
უსანეთო, სარკე, ბარბაღე,
არ ვაატაროთ
ნინამურზე, შემნედ ექმენით.

შენობა

ჯერ არ არის ნაპარტახალ-ნავერნალი,
დგას შენობა და არც დგომა მოსწყინდა,
იცვლებოდნენ მთავრობები და ვერავენი
შედლო მისი პოეტების მოსყიდვა.
ვილატები მღერიე წყალში მომჯობინდნენ,
ვინ შიძისგან ბუდეშივე მოსკინტლა
და ვერცურთმა მოახერხა ოქოპინტრემ
იმ შენობის პოეტების მოსყიდვა.
და დგას სახლი საოცარი მნიშვნელობის,
ის იქნება ნააქციოს ბოდკინტმატ,
მაგრამ ხელი მოეცრება, იმ შენობის
ვინც ეცდება პოეტების მოსყიდვას.

გუშინდელი დღით გულნაკლულმა
ფიქრი გავანდე რაზნითის მთებს:
„ტარო“ დარს ნიშნავს, „კურნა“ —
მკურნალს,
ეს ყველაფერი რას მითითებს?!
ქართულ-შემერულ-აქადურის
ვარ თეორიის მოზიარე.
ჩემკენ ანკარა ნაკადული
ანკარასავით მოსრიადებს.

ქეპს ინტის

ილია მართლის მეორედ მოსვლა

ის დაიბადა
1837-ში.
მე ზუსტად ერთი
საუკუნის შემდეგ მოვედი
და არავინ იცის
იქნებ ფუჭად მომცდარს რითმებში
მქვია თუ არა
მამულისთვის ღირსი პოეტი.
თუმცა სამშობლოს
ოლიმპოდან დასცქეროდა, მაინც
ფესვები ედგა მის მინაში
მუხას ვითარცა.
მისი თვალები იხატავდნენ
არაგვის დაისს
და საგურამოს
უცნაური სევდიი მდიდარ ცას.
ახლა, როდესაც
სიო ქარად ქცევას აპირებს,
პეტერბურგიდან
მოდის, ხომ არ დარჩება სულ იქ.
ფრთხილად მოჰყვება
აქაფებულ თერგის ნაპირებს,
რომ არ ჩაუქრეს
ანთებული სანთელი — სული.
დღესა სჭირდება

ცხრო

ერთიმეორეს შემოვრჩით,
თავს ვთვლიდით დაუცხრომლებად.
უშენო საქართველოში
გამიჭირდება ცხოვრება.
თვალს და ხელს შუა მიქრები,
საცაა გამოგიგლოვება,
ამ ქვეყნად მწარე ფიქრების
გარდა სხვა რა მოგიგროვებ.
მეც შემასხენა თავი ცხრომ,
დამედო ხელბორკლივით,
რომ ჩემს ტკივილში დავიცხრო
შენი სალმობის ტკივილი.
ზღაპრებით გესაუბრები,
გვირილის კაბით ირთვები,
ქარმა დაშალა ღრუბლების
ქლექშეპარული ფილტვები.
თავს რანაირად ვუშველო,
გამიძლიერა ცხრომ ვენება,
გამიჭირდება უშენო
საქართველოში ცხოვრება.

სამოთხეს როდესაც მივადექ,
მენადა, რომ პატრულს შევემვი,

მაგრამ კარს ყური რომ მივადე,
შესვლაზე ფიქრსაც კი შევეშვი.

ვინც კუბრში გვეგონა ჩამხრჩველი,
თავს კარტით ირთობდა დოსტოვთან,
მოსდევდა ისეთი ქაჭყანი,
ვილაცას ცხვირში რომ მოსდებდა.

ეს ხალხი ნუთუ მანდ ჰპოვებდა
საგანეს, მითხარი, პატრულო.
გაყიდულ სამოთხეს ვტოვებ და
უქრთამო ჯოჯოხეთს ვნატრულობ.

საუკუნის სადღეგრძელო

ანზორ ბინიაშვილს
ილია მურადელს

ლელვის ქვეშ სუფრას ისე ვთამაძობ,
თითოვს ჩემამდე არეის ებრძენოს.
უფალმა ხელი მხარზე დამადო
და მიკარნახა ეს სადღეგრძელო.

ისეთი უნდა დავაბოლო, რომ
ჩემგან შემორჩეს მამულს სახსოვრად:
შენ გაგიმარჯოს, ლელვის ფოთოლო,
რომ გვატანინებ ამ უსახსრობას!

ეს სადღეგრძელო, იყავით მოწმედ,
რომ სისხლის ფასად გაიყიდება,
კაცობრიობის სირცხვილის მომწმენდ
ბიბლიურ ლელვის ფოთოლს დიდება!

რა კარგი იყო ბავშვობა, ნანსი,
თუმცაღა შორს ვერ წავედით ციგით.
ჩვენ გვექონდა ერთად ცხოვრების შანსი,
მაგრამ გაფუშვით ხელიდან იგი.
ერთხელ ორივეს, გაზრდილს ლიახვთან,
მაინც მოგვიხდა ვასვლა ქვეყნიდან.
ზღვას მიაპობდა თეთრი იახტა,
სიმავრით რომ ვერ დაიკვეხნიდა.
ჩქარა გაფუჭდა იახტა ზღვაში,
რა ვუთხრა იმის გამომრიყველებს.
ჩვენ გვექონდა ერთად დახრჩობის შანსი,
ვაი, რომ ვერც ის გამოვიყენეთ.

მზის სხივით ცისკარს
უბინობის გაუსკდა აპკი,
ქარი შორიდან
სეტყვის ღრუბლებს აქ მოახოხებს.
მთლად უსახსროს რომ
ახლა მწირი მომადგეს აბგიით,
ჩაუყური ჩემი
დარდის მხოლოდ გამხმარ ნახორხლებს.

მალაღვაკელი


სექტემბრის აღხით ნაფერ ყურძენს
ლოყების აღმურს ესესებდა,
გაიფიფს და მის ნაფეხურზე
უცებ — იები მზეზე სხედან.

სულ მის თვალეში დაერჩე, მინდა,
მამყოფე მასთან! უფალს ვუხმობ,
მაგრამ შორს არის გამჩენი და
ჩემს თხოვნას ტოვებს უპასუხოდ.

ჩემი დაისი დაისისხლა,
სიცოცხლეც, ნულარ დაღამდები!..
ვაგლახ, ჩემი ხმა გაისმის ხმად
უდაბნოს შინა მალაღვაკლის.

მიმკითხავებს ყელყარყარა
მშვენიერი გოგო,
ნეტავ კვლავაც გეხარხარა,
ხარხარებდი როგორც.
თქვი, დაძალავ მცირე ბითურთ,
ნუ მიძალავ იმ ფაქტს —
ბრძოლას შევენიერები თუ
მიოკარდის ინფარქტს.
ხომ ხედავ, რომ არ ვჯვილობ,
შეგვეუე დაისს.
მიპასუხე, მარჩიელო,
თუ გავალნევე გაისს
შემოდგომის ნეიმბითურთ.
ო, მითხარი, ნიშავე,
ბრძოლას შევენიერები თუ
მიოკარდის ინფარქტს.

ვულაღატე ნადირმა
ლომის მეფურ ბუნებას,
თავზე ფაფრის მაგივრად
ცეცხლი მეზურბურება.
ტენის თვალსანიერი
ნუთუ გამომალაყებს,
გადავიღვარ ძლიერი
ძუს ძებნაში მალაყებს.
მომძახიან ჩიტები:
ტყის მეუფეც, ახვარო,
ჩვენ არ შეგიძინდებით,
ოღონდაც ხუ ნახვალო,
დაგელოცოს — უხვადო
ვინც ვანოვა ძუძულო...
ტყემ რომ გასძლოს უხვადოდ,
მე ვარ გავძლებ უძუოდ.
გავეცლები ამ არეს,
ხევებს გადამწყრილებს
და გაეითხარი სამარეს,
თუ ვერ ვნახავ მეწყვილეს.



თენკო
ვერუკას

ქაბარ პე

სხეულის ტყვი სული

სამყაროს მრუმე სიმორიდან შემოეხეტა სული უპირქუბო მინაზე. მრგვალი ხმელეთის თვალთმაქცი სიღურჯით მოიხიბლა და აქვე ინება დავანება.

დედამინა — პტოლემეს კოსმოლოგიური ცენტრი. იგია მეუფე სამყაროსი, მის ირგვლივ უსასრულოდ ბრუნავს შვიდი სფერო. სულიყლაპია პლანეტები მიტყუებით იტაცებენ მოფარფატე სულეებს, მსხვერპლად მიაქვთ უფალ კერპთან, დედამინასთან.

დედამინა — სულთამშუსვრელი ინკვიზიტორი, თიხით ატკებნილი ციხე, სისხლიანი, მჭლე სუნით მონამლული საყასბო, მანდალის ენიგმატური სიმრგვალე, აპერსკლინი ნერტილი.

მოფარფატებს დედამინით გათვალული სული, გზააბნეულს მინის მტვერი ეტმასნე-

ბა. ჭვარტლით შეიმურა სული, დამძიმდა. გარსმოხვეული მტვერი მკვრივი გახდა, ჩონჩხად იქცა და ყალიბში მოამწყვდია სული.

ჯავშინან ძვლებს მალე შემოველო მჭლე ხორცი და სადღა არის მონანავე ნებიერა სული, მატერიის უნებლიე ტყვეა, დროისა და სივრცის ყურმოჭრილი პატიმარი. სამყარო კი — დახშული, შემოკედლილი სატუსალო, შავი კვადრატი, ოთხკუთხა, მოსაზღვრული ჩარჩო.

დამწყვედული სული ებლაუჭება ჩონჩხის კედლებს, იხუთება. არსებობის სივინროვეს არსადა აქვს გასასვლელი. მოტმასნილა ირგვლივ ზღუდე, ჩაკეტილა ოთხგნივ კარი.

აინევა სული ზევით, სურს გაექცეს, და აღნიოს შემოჭერილ სამყარობილეს, მაგრამ დრო და სივრცე სისხლმონყურებული ვამპირივით ნთქავს, ნანლაგებით მოინელებს და უფორმოდ განფენილს სახიერ ფორმად აქცევს.

დრო თავად სატურნია, მზის სიმორით ცივი და ბნელი, ჯოჯოხეთური მელანქოლიის მრუმე სფერო, ყოველთა უბედურების სანყისი და სულთა მესაფლავე.

მოვა, უცილოდ მოაკითხავს სიკვდილის ლანდი, მჭლე ხორცს შემოაცლის და სული გაეყრება ჩონჩხის გალიას, მინიერი სამყაროს წარმავალ სადგომს.

ყრია მინაზე ათასწლოვანი მუშის ძელე-ბი, მატლების ულუფა. სხვა რაღა დარჩა? საუკუნო სიწუმე მხოლოდ.

სული?! დედამინას თავდახსნილი სული ისევე დაფარფატებს უბოლოო სივრცის თვალშეუდგამ შორიზონტზე. მხოლოდ იგია მარადიული, Theos Agnostos.

მბრძნობიარე სასახლე

შემოდგომის უსახური, ნაცრისფერი დღე იდგა. მყრალი, დამყაყებული ტბა გადაშლილიყო ხრიოვ მინაზე. მქრქალი ნინამური ეხვია მის უძრავ ზედაპირს. გამოფუტურობულ, ბეჩრეკ ხეებს ორიოდე შტოლა შერჩენოდათ.

უკაცურ მიდამოზე გამოყრუებული მეუდაბნოესავით ნამომართულიყო ჩამავეებულკედლებიანი სახლი, რომლიდანაც უთვლო უპეებივით იმზირებოდნენ გამოცარიელებული სარკმლები.

სახლი — წარმავალი სხეული, სულის ჩონჩხი, ფსიქიური ტვინის ვიზიონერული ქალასარქველი, ადამიანის შემზარავი სევედით მოცული თავი.

სახლი — სულის ადგილზე და დროზე მიმჯაჭველი ხაჯალური, ადგილი და დრო, სადაც იგი ჩერდება მხოლოდ წუთი, წუთი-სოფელი.

უდაბური სასახლე, როგორც ეშმათა საბატონე, სადაც ჩამუქებული ხავსი გამეჩხერებული წვერებით მოსდებია ვაცრეცილ კედელს და რკინის უანგმოკიდებული, მძიმე კარები სიმწრით მოკუმული პირივით შკი-ღია.

პორიზონტზე განფენილი სამყარო — ამაოების უამიანი სადგომი მოკვდავთა, უგვანოთა დროებითი საცხოვრისი.

სული — წუთისოფლის გარდამავალ საცხოვრისთან დედამიწის მიზიდვის ძალით მიჯაჭვული. თითქოს რაღაც ზებუნებრივი გაელენა აქვს მასზე სახლს, სადაც წლობით ცხოვრობს და საიდანაც ერთხელაც არ გამოუდგამს ფეხი.

შეუცნობელი საიდუმლო.

მელოზინა ოფელია

მშობიარობამდე ათი დღით ადრე ელიზი მცირე თეატრის გაყინულ სცენაზე იდგა და ოფელიას თამაშობდა.

ლილილოებითა და მარიამსაკმელათი დაებნა გრძელი თმა. პერანგისამარა ღიღინებდა შეშლილის მონოლოგს. თავბრუ დაეხვა მუცელქმინის, ისევ იგრძნო ნაყოფის მოძრაობა და შეეშინდა, აქვე, ამ ნახევრად-ჩამოხრელებულ სცენაზე, მაყურებლების თვალწინ არ ემშობიარა.

შიმშილისაგან სული რომ არ გასძვრო-მოდა, ერთხელ კიდევ სცადა ხიფათიან ბედ-თან თამაში, დღესაც გამოვიდა სცენაზე. მთელს თავის განამებულ ყოფაში არაფერი ეგულებოდა მუცლადმონებივრე პირმშობე უფრო სანუგეშო.

დალილიობისაგან ცივ იატაკზე დაეშვა, მუხლი მოიყარა და დარბაზის წინ გადაშლილ წყვდიადს მიაშტერდა. ოღონდაც მოქმედების ბოლომდე გაეძლო, ისე, მუცელი არ მოსწყვეტოდა და მერე თუნდაც მომკვდა-რიყო.

“კუბოს-მდებარე მიჰქონდათ, პირბადე გადახდილი... ქვეით, ქვეით, სამარეში ჩაიხმეთ. თავის დღეში აღარ მოვა! სცენაზე ის შორსა, გზას ძნელს, არასწორსა”. — თითქოს ჩურჩულებდა იგი ჭკუაგადამცდარის იდუმალ სიტყვებს.

მამა

უცხო სიმორიდან დაბერავს ქარი. დაბერტყავს ხეებიდან გაყვითლებულ, მჭლე ფოთლებს და მიახეტებს სადღაც.

იგიც ხომ შემთხვევით შემოხეტა ამ აბლანდულ სამყაროში. თეატრიც ვერაფერს შველის, საკმარისი ნიჭი არ გააჩნია. გარდა-ისახოს? რად? თუნდაც ქარით ჩამოყრილ ფოთლად. დაიჭმუჭნება და მტვრად გადაეგება ახორკლილ მიწას.

ნაიედეს? გადაიკარგოს თუნდაც მოუსავეთში? საიდანაც უკან არასოდეს მოებედება.

ელიზი? სიცოცხლე მოუშხამა ავადმყოფური ექვიანობით. ელიზი ჯერ ახალგაზრდაა და თავყანისმცემლებს რა გამოლევს. ელიზი რა შუაშია. ყველაფერი თავის გაბოროტებულ ყოფას დააბრალოს.

რა უყოს პატარა ედგარს და ჰენრის? გაუჭირდებათ უმამობა. თორემ ახლა რამეთი შველის? რამდენი ხანია არც მოფერებია, თითქოს არც ყოფილიყოს თავისი სისხლი და ხორცი.

დაბრუნდეს?

რაღა აზრი აქვს შინ დაბრუნებას. ირგვლივ ყველაფერი ყრუა და ზიზლით გადმოხურული. გაძალღებული სიძულვილის გარდა არაფერი ასულდგამულებს.

ბახუსით უზომოდ გამობრუებული ძლივს მიბარბაცდა ქუჩის ბოლომდე, საიდანაც უკაცრიელი ტრამალი იწყებოდა. რწვეით გაუყვა წვიმით ატალახებულ გზას და წინ გადაშლილ უცხო სივრცეს შეერია. ნერტილად ჩაიკარგა გაბუნდოვნებულ სიცარიელეში.

მას შემდეგ, ცამ ჩაყლაპაო თუ მიწამ, არავის უნახავს მამა.

მოხატიალენი

მრუმე შეეპარა დღის ნათელს, ჩამობნელდა. დეკემბრის უმთვარო ღამეს ძლივს მიიკვლევდნენ თოვლჭყაპიან გზაზე. უკაცრიელ ტყე-ღრეებში სულის მოსასვენებელს ვერაფერს დალანდავდი თვალსანიერზე.

მალე უდაბნოსავით მოტიტვლებული ველები გამოიკვეთა. სუსხიანი ქარი მონიოდა სიმორყებიდან.

მახლობელ ქალაქამდე უნდა მიედნიათ, სადაც ერთ, ძველისძველ, ფიცრულ საბლში წარმოდგენა იყო დაგეგმილი.

ელიზი უკანა ეტლში იჯდა, ძუძუმწოვარა

როზალი მკერდზე მიეხუტებინა და ატირებულს ძუძუს აწოვებდა. ჰენრის გვერდით მოესვა პატარა ედგარი და სიცვიისაგან გათოშოლ ხელებს უორთქლავდა.

აუტანელი გახდა უშორეს გზებზე გაუთავებელი ხეტიალი. უკვე ზიზღს ჰგვრდა ღუკმა-პურისათვის ერთი ქალაქიდან მეორეში განამებული წონიალი. სინესტემ და ყინვებმა ლამის მთლად გაანადგურა.

შეპყურებდა ობლად დარჩენილ შვილებს და აეინყვებოდა თავისი უბედობაც და მძიმე სენიც, რომელიც აგერ,უკვე მერამდენე თვეა, სიცოცხლეს უსწრაფებდა.

აღარ თავებოდა თოვლჭყაბი. ცივი სითეთრე ტალახად ედებოდა დედამინის უპატრონოდ მთენილ, ჭუჭყიან ზედაპირს.

ურჩხული

ქალაქის ღარიბულ უბანში ქირით აეღოთ ბინა.

ღამის წყვიდას წარღვნასავით არყევდა მესხა ტეხა. ვადულებლიე წვიმდა.

ედგარს ხმაურზე გამოეღვიძა. საბნის ქვეშიდან წამოჰყო თავი. თავდაპირველად შიში იგრძნო მისთვის გაუგებარი ქმედების შემყურემ.

ვილაც უცნობი, გრძელი, ბალნიანი ხელეებით შემოხვეოდა მძინარე ელიზს და ძუძუებშიდან შეუსვენებლივ წოვდა თბილ რძეს.

ზიზღით აღივსო უცხოს მიმართ. სიძულვილისაგან მთელი სხეულით თრთოდა. თავზარდაცემულმა ვერაფრით მოიშორა მიუხვედრელი სანახაობით გამოწვეული ფანტაზიები. ატირებას არაფერი აკლდა.

უცნობი წამოდგა საწოლიდან. ხეშემა ბალანს დაეფარა მთელი ტანი.

სავონებელში ჩავარდა, ასეთი რამ არასოდეს ენახა. სპილოსებრი ხორთუმით ეკიდა უშველებელი რალაც, რომლის შესახებ ჯერაც ბევრი არაფერი იცოდა. გაიხსენა, როგორ დასცინოდა უფროსი ძმა ჰენრი მისი ზომის სიმცირეს.

ხორთუმი მრგვალი და წითელი პირით თავებოდა ბოლოს, ხოლო მის ძირში ბიზონით ბანჯგვლები ჩანდა. ამ ბანჯგვლებიდან ველური ტახის დარად ცერად ჩამოშვეროდა ზღაპრული სიდიდის ორი მოზიმზიმი ეშვი.

ახლა ზემოდან გადაიანვა უცხო კაცი ელიზს. აღმართა ხორთუმი და შეავლო ქალის ვეებად დაღებულ მღვიმეს. ფართედ გადაიხსნა შენგრეული ხახა და ისეთი ძლიერი და სასოების წამრომევი ხმა გაისმა, რომ შიშისა-

გან საბანი ბოლომდე გადაიფარა. მაინც ვერ გაექცა გლეჯვისა და მტვრევის აღტყინებულ ხმებს. თავდასალწვეად ყურები დაიცო.

ისევე სძლია მალეით ჭვრეტის წადილმა. თავი გამოყო ჩაფუთონული საბნიდან და განაგრძო ცქერა.

ურცხვი სატი

ედგარმა გასაღები გამოაძრო კარის საკეტს, ცალი თვალი მოხუჭა და საძინებელ ოთახში შეიჭვრიტა.

უჩვეული ხმაური მოისმოდა შიგნიდან. ისევე წარმოუდგა თვალწინ საბნის ქვეშიდან დანახული შემზარავი სურათი. მალეით იჭვრიტებოდა ჩაფუთონული საბნიდან და მისთვის გაუგებარ ქმედებას მთლად დაეტყვევებინა.

ვილაცის უხეშმა სახებამ უმოწყალოდ წაართვა დედის ტკბილი ძუძუ. მას კი მხოლოდ მისი ეგონა.

უთავბოლოდ გაინელა გაუგებარი რიტუალი საბთლის შუქზე. აღტყინებული სანახაობის ტყვედ იქცა. იძულებული გახდა მოშორებოდა კარის ღრიჭოში ჭვრეტას.

ასეთია შიშს დაფუძნებული ყოველგვარი გრძნობის პარადოქსული კანონი.

ტბის ცქერა

უკანა კარებით გამოვიდა სახლიდან. ერთიანად დათრგუნვილი ჩანდა. თრიაქნასვამივით მიზარტაცებდა შავი ხის იატაკზე და ყოველი ფეხის გადადგამაზე ფანტასმაგორული ნაალაფევი საჭურვილის წკარუნი ჩაესმოდა.

ჩაშაებულ-ჩაფლტამებულ, წყნარად მოლივლიე ტბის პიტალო ნაპირს მიადგა და, რომ გადაიხედა, უფრო აემღერა გული.

ჩუმი ტბის ნიალიდან ამოდიოდა მავნე, შეუცნობელი, ბუნდი, ნებოვანი, თითქმის თვალთუჩინარი ტყვიისფერი ოხშივარით.

ნუ, ამას ნუ უყურებ.

სარკმელი გამოაღო და ქარიშხალი შემოიჭრა დარბაზში. სუსხი ქარის კვეთებამ კინალამ წააქცია. გაფოთებული ღრუბლები ირეოდენ წყვიდად ცაზე.

ანაზღად სისხლისფერი ელვა გაკრთა და შურდულივით ეძგერა ძალწულივით შეურყენელ ცას. შუაზე გაიხლიჩა ჩამობნელებული სფერო. თითქოს გაიპო სამყაროს ჭიშკარი. ოხშივარი ავარდა გარღვეულ სივრცის

იქით. სასიამო სუნი დადგა დახშულ ჰაერში. ნაგრძელებული ღრუბლები მოინევენდნენ ელვით ნაკვეთი ცის ღრმულისაკენ.

ქაქის სუნი

სიზმარი

ელიზმა დანნულ კალათაში ჩასვა მძინარე ედგარი და სცენის მიღმა, კულისებში დატოვა. ელიზი შეშლილ ოფელიას თამაშობდა ვინრო სცენაზე.

“დედაჩემს სახე როგორ უცინის. მამაჩემი კი ამ ორი საათის წინათ მოკვდა”, ედგარს თითქოს სულ ახლოს ჩაესმოდა ჰამლეტის სიტყვები ოფელიასადმი და ძილში ისევ ამოუტივტივდა სადა კედლებიანი, სწორკუთხა მღვიმე. გონდაკარგულივით დაბორილობს მინისქვეშა გვირაბის გაუვალ სიღრმეებში. არსადაა გასასვლელი.

გამომტვრული შავი ზიცრაკი

დიდი, მხრჩოლავი სანთლები ანათებდნენ მაყურებლებით გადაჭედულ, ვინრო დარბაზს. ედგარი სცენის მიღმა, კულისებიდან უჭვრეტდა, ვიდაც დაძინძილი მესაფლავები როგორ ჭედავდნენ კუბოს და იატაკზე გამოჭრილ ღრუში, ქვევით ჩაჰქონდათ დედამისის ცვილისფერი სხეული.

“ნეტა ვის მარხვენ? მერე ესეთის მოკლე წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ მიცვალებულს თვით მოუკლავს თავისი თავი.”

უცრად, შავი კუბოდან გამომავალი ნაცნობი ხელების ხმა ჩაესმა. შეცბუნებული მესაფლავენი გაოგნებით შესცქეროდნენ დაბნეულ მაყურებელთ, რომელთაც ვერ გაერკვიათ, თუ რისთვის ხდებოდა ასე.

ხელის ხმამ თანდათან იმატა.

კუბოს უჰაერო სივრცეში ელიზს ისევ დახსყებოდა სულის ხუთვა. თავს ძალას ატანდა, მაგრამ ვერაფრით შეეკავებინა სენით გამოწვეული, მახრჩობელა ხველა.

ჰენრიმ იცოდა სცენის იატაკს ქვევით მისასვლელი გზა. შეშინებულ ედგარს ხელი ჩასჭიდა და კედლებს იქეთა მხრიდან მოღწეულ ხმას მიჰყვა.

ელიზს უკვე გამოემტვრია კუბოს ფიცრები. ქვიან მიწურზე განოლილიყო და განწირულივით სულს ლაფავდა.

“მინას ნუ ჩაჰყრით, დამაცადეთ კიდევ ცოტა ხანს...”

არაფერი ისე არ განუცდია, როგორც გვამის უჩვეულო სუნი. უწინ ასეთი რამ არასოდეს უგრძენია, თუმცა, მხოლოდ ორი წლისა იყო და ბევრი რამის არ გაეგებოდა. დედის ცხედართან მდგარმა პირველად იყნოსა სიკვდილის სუნი. უფრო და უფრო მძლავრობდა ყნოსვის მგრძობლობა და მატებასთან ერთად იბუდებდა გაუსაძლისი შოში.

ზმანებებში გაეხვია. სურდა, სამარეადან ისევ წამომდგარიყო დედა, როგორც ეს არაერთხელ უნახავს სცენაზე გამოსვლისას. მაგრამ, თითქოს ასე ისურვავო სამუდამო ძილად არც აპირებლი გამოლევითებას, უტყყვად გაშუშებული ნეშტი ერთხელაც არ შეტოვებულა.

მიხველი მიცვალებული

ხმაურზე გამოეღვიძა. ღამის წყვდიადი მოსწოლოდა დაგმანულ დარბაზებს. თავი აიწო საბანიდან და ოთახში, დედის ცხედართან მორიალენ ნაცნობთ თუ უცნობთ მიაშტერდა. ყველანი თავიანთი საქმით იყვნენ გართულნი და მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მთლად გაეშიშვლებინათ მიცვალებული, სამარისათვის რთავდნენ. პირალმა იწვა და მბუფტავი სანთლის შუქზე კარვად გაარჩია ესოდენ ახლობელი კანის ფერი, რომელსაც ასე სუნთქვაშეკრული მიელტვოდა. სიფერმკრთალე შეჰპარვოდა ცვილისფერ სხეულს. მთვარით გაცისკროვნებულს მიაგავდა დელეული სახე.

მიცვალებული ჯერ განბანეს, გააპატიოსნეს, შემდეგ სუდარაში გაახვიეს.

საბანში ნიკაპამდე ჩაიფოთნა. ეს პირველი დღე იყო, როცა დედა ცალკე იწვა, მოპირდაპირე კედელთან მდგარ სარეცელზე.

მძინარე დას, როზალის გადახედდა, თავქვეშ შეუფოთრა პანია ხელი, ახლოს მიიკრა, მკერდზე მიიხუტა. ისევ იგრძნო დედის მიმზიდველი სითბო.

უკანასკნელად იწვნენ ასე ერთად, რადგან უკვე მეორე დღესვე იშვილეს უდემამოდ დარჩენილი ობლები.

უფროსი ძმა, ჰენრი, ბაბუასთან, დევიდ პოსთან დარჩა. როზალი, ულიამ მაკენზის თვახმა დაიტოვა რჩმონდეს. თავად ედგარი თამბაქოს მდიდარმა მენარმემ, ჯონ ალანმა აიყვანა. უშვილო ცოლ-ქმარი მალე მოიხიბლა ედგარის სილამაზით და ასაკისთვის შეუფერებელი გონიერებით.

აშერთა გენეალოგია

უძველეს გვარს წარმოადგენდნენ აშერები. საუკუნეების მანძილზე ხელოვნების არაერთი შედეგრი ჰქონდათ შექმნილი. განსხვავებით სხვათაგან, მათი ნაწერები არ იყო ყველასათვის გასაგები და მოკვდავთათვის ხელმისაწვდომი, უფრო რთული ვარიაციებით იყვნენ გატაცებულინი.

საგვარეულოს ძირითად შტოს არასოდეს ჰქონია განტოტება; სწორხაზოვნად მიემართებოდა ეს ჩამომავლობა მუდამ.

1581-1656 წლებში იყო ვინმე ირლანდიელი ემისკოპოსი ჯეიმს ასშერი. სიცოცხლის მიწურულს გამოსცა წიგნი "Annales Veteris u Novi Testamenti", რომელიც ცნობილი იყო როგორც "ასშერთა ქრონოლოგია". ჯეიმს ასშერი შეეცადა სამყაროს შექმნის დღის ზუსტი თარიღი დაედგინა და ამით უკეთ დაეღაგებინა ძველ აღთქმაში აღწერილ ამბავთა ქრონოლოგია, ბიბლიურ გმირთა ოჯახის, "სახლის" გენეალოგია.

სიკვდილის აჩრდილი სდევდა როდერიკ ასშერის სახლს. უხვად აყრიდა მინას ცოცხალსაც, მკვდარსაც. საეჭვო იყო ამ გვარის კაცთა სიკვდილი. ფრიად ბუნდოვან ვითარებაში მიიცვალა ერთადერთი და, გვარის გაგრძელების უკანასკნელი იმედი.

ნერტილი დაესვა ასშერთა ძველისძველ საგვარეულოს.

და-ძმა

სანთლები ჩააქრო. მრუმე ჩამონვა დარბაზში. ასე ენადა სანუკველ დასთან ლოდინი. სუნთქვაშეკრული იდგა დროთა უამისაგან გაბზარულ კედელთან და მოუთმენლად მისჩერებოდა კარებს.

მონოტონურად ქანაობდა საათის ქანქარა. ძალუენებურად აიტანა მოუთოკავმა ცახცახმა. ასე ემართებოდა ყოველი შეხვედრის წინ. დარწმუნებული იყო, აუცილებლად შემოვივლიდა, მაგრამ მაინც სძლევდა მოუცილებელი შიში.

თუნდაც უჩვეულო და უკულმერთი იყოს გამოუთქმელი ვნება. ასე ინება თავად ბუნებამ. ტყუპები იყვნენ და ნახად უყვარდა მისი ნუგეშისმცემელი ერთადერთი დაი.

ბუნებრივი და ნათელი?! თუ არაბუნებრივი და უწმინდური?! საათის ნევრნამახულ ქანქარაზე ქანაობს მერყევი გზნება.

ბავშვობიდან გამოყოლილ დანაშაულის შეგრძნებას სულიერად დაეჯავდმყოფე-

ბინა. უსრული ჩანდა მწვალბებელ შიშთან ორთაბრძოლა. შიშმა, რომელიც ჩადენილი ცოდვის სიტკობზე ძლიერი აღმოჩნდა, სამუდამოდ დაატუსაღა და უკუნისამდე აკლდა დაუშმაღავი სასჯელი.

ბნელი ოთახის კარები გაიღო უჩუმრად. თეთრ პერანგში გახვეულმა დამ დარბაზი ფეხაკრებით გადაჭრა.

ძრწოლამ აიტანა. ველარ გაუძლო სი-ახლოვის გზნებას. მისი ნახვით გამოწვეული ალტყინებისთვის თავი რომ დაეღწია, სახე ხელებში ჩაიმალა. ასე ემართებოდა ყოველთვის. თითქოს მისი ხილვის დაუოკებელი ნადილით იყო შეტყურობილი და ამავე დროს, გამოეცხადებოდა თუ არა, მძიმე ჯავშანს შემოიცვამდა გარს და მტანჯველი სირცხვილის გრძნობისაგან თავს იფარავდა.

თავად ბუნებაა ყოველივე უკულმართის შეუვალი ზღუდე. გადაულახვია შერწყმა. ამ უკიდევანო დედამიწის მაგნიტური ველების ძალაც რომ მომშველიოს მაინც ვერ შეაერთებენ.

გამათნავი ვნების ცრემლები წასკდა თვალთაგან და თითქოს გააბრუოთ სასესებით, მინებდა მიმზიდველ ქვედა ცნობიერს.

გარეთ ქარიშხალი მძვინვარებდა და მძიმე ფარდაგები დაქანაობდნენ კედლებზე.

შესვლა ნიღ

ქალი მტკიცედ უმკლავდებოდა და ბოლომდე უარობდა ლოგინში დანოლას. კაცი ამაოდ ცდილობდა მის სამყოფელში მშვიდობიანად შესვლა. მეერ ასე ვადანყვიტა, ძალით შევალო და ქალი მთლად უღონოქმნილი დამორჩილდა. ახლა მეტადრე მომატებოდა ძალი შესმული ღვინის. აღმართა არგანი, დასცხო ძელებს კარისას, შეამტვინა და რკინისთათმანშეჭურვილი ხელი შეჭყო. გადაიხსნა ვინრო, სწორკუთხა მღვიმე. შემუსრული ბჭენი და რკინის მძიმე კარი გაიღო. დიდი წონის მქონე ეს ბჭე გაღება-დახურვისას გასაოცარ, მჭახე ხმას გამოსცემდა. მერე მიჰყვა და მიჰყვა, გლეჯითა და მსხვერვით მილენ-მოლენა იქაურობა, და დადგა ხმაურით.

ქალს სისხლის შხვებით მოსვროდა ქათქათა სამოსელი და აშკარად ეტყობოდა, ნაბრძოლი იყო მისი ქანცმიხდილი სხე-

ული. თრთოდა და ირწეოდა, შემდეგ კენესით ჩაუფარდა ძმას.

ცოცხალი სამარე

სინდისი ქენჯნის. სად წაილოს სანუკველის შემუსრული წიაღით ნაგემი ტყვილი. როგორ გადამალოს გამოთუქმელი დანაშაული. დამთრგუნველი შიმისაგან შემზარავი ფერი დასდებოდა სახეზე. ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპთან მებრძოლი რაინდოვით უმკლავდებოდა თავის შექჩირვებულ იდუმალებას.

სარეცელზე იწვა ვნებადამცხრალი, საშოშენგრეული დაი. მიცვალებული გრძნობა, რამეთუ ორგაზში სიკვდილია თავად. ენებათა ქარტყილი ჩაცხრა და უჩუმრად გაიბარა სულთა საუფლოში. არც აღარავინ დარჩება ძირძველი საგვარეულოს გამგრძელბელი. უშვილოდ გადაეგება ნუთისოფელს.

გაიგებენ, უსათუოდ გამულანდებთ აკრძალული თამაში. სად წავიდეს, სად გადაიარგოს, რომ გარეშეთა ყველგანმხედ თვალებს დაემალოს.

სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა ნუგეშისმცემელი, რადგან გარეთ, სასაფლაოს ყომრალ მიწაზე დამარხვა არ ეწადა. თითქოს ეშინოდა, საფლავიდან არ ამოეთხარათ მანწანალა ქურდებს.

საკუთარი სახლის ღრმად დატანებულ ნესტიან სარდაფში წაასვენა მძინარე და. სწორედ იმ ალაგს, ადრეფეოდალური ხანიდან დამანაშავეთა სანამებელ ადგილად რომ იყო მიჩნეული.

ცოცხლად ჩაასვენა სამარეში.

ცოცხალი სამარის ზემოთ თავისი საძინებელი ოთახი იყო გადაშლილი. თითქოს ამით შესაძლებლობაც ეძლეოდა, ხანგამოშვებით, დაუოკებელი ვნების მოძალევისას ისევ ეწახა მისი ცვილისფერი სხეული. იდუმალი, გაუცხადებელი იყო შლევის არაბუნებრივი და აუხსნელი ლტოლვა.

მოჯაღოვაბული წრე

სისხლის აღრევის ტაბუ. შიში და სტატიკური წონასწორობა.

ქვეცნობიერის ცთუნებისაგან თავდასალწვეად თავიდან მოიშორა ბნელთმეტყველი ანიმა - და. ქვედა სართულზე, საკუთარი სახლის ბნელ სარდაფში ცოცხლად დამარხა ლვიძლი და. ხიფათია საკუთარ

ქვეცნობიერთან სიახლოვე.

იგი დარჩა როგორც ქვენა ვნებათაგან თავისუფალი ზეცნობიერი, ცივი გონება. ახლა იგი, წმინდა და სუფთა, სრულიად მარტოა ღმერთთან. მიაღწია გნოზისს, გაიარა ალქიმიკოსთა გზა, აიარა შვიდი სფერო, ავიდა პლანეტარული ლითონების კიბის მეშვიდე საფეხურზე.

ძმამ გადაყლაპა საყვარელი და, ისევე როგორც გველი საკუთარ კუდს ყლაპავს.

"ზე-მემ" შთანთქა ქვეცნობიერი და იწყო მუფუბა გონებისა და თვალთვალის ყოველთა ზედა.

მოჩვენებითი სინყნარე. დროებითი სტატიკა სფეროთა.

ველარ შეძლო გადამაღვა. გამოანგრია საპრობილე დამწყვედეულმა ანიმამ და გაფოთებით ამოვარდა ზევით. ისევ გამოეცხადა სანატრელი. ახლა დამ გადაყლაპა ძმა.

მზის დაბნელება — მთვარემ დაიჭირა მზე.

გათენდა — მზემ შთანთქა მთვარე. შემოიღამა — მთვარემ შთანთქა მზე...

ფსიქიური ცენტრის გარშემო წრიული ბრუნვა. მოძრაობს ცნობიერი „მე“.

პაპიარი

დამ, ცოცხლად დამარხულმა ქვეცნობიერმა, მიწიერებისაგან გასათავისუფლებლად ააგლიჯა კუბოს ფიცრები, გამოამტკვრია. იატაკქვეშეთიდან ამოვარდა დორბლმორეული ცოფიანივით.

ბრინჯაოთი მოჭედული გვირაბის თაღებქვეშ ნელა იხსნებოდა ვეებერთელა ძველებური დარაბები, მეყსეულად მძიმედ დააღო შავი ხახა.


დაბრუნდა მიცვალებული ანიმა. პატივანდილი, შეურაცხყოფილი სხეული მკვდრეთით აღდგა ძმის სულსწრაფობის შურის საძიებლად.

უძირო, მყრალი ტბა — უჩარჩოო ანიმა, შემოუსაზღვრავი ქვეცნობიერი.

კედლებშემოსაზღვრული სახლი — შეზღუდული გონება, ყალბი ცნობიერი.

უძირო ტბის წყალმა ავად და უზმაუროდ ჩანთქა ნამუსრევი აშერების სახლისა.

მოიშალა მატერიალური გარსი, დაინგრა სახლი და გადაიგდო დროისა და ადგილის ბორკილები. დასრულდა მუფუბა გონებისა.



პრემს ტრისმეგისტუს

პესპერიდების ბალი

**ჰერმეს, სამყაროს მეუფე,
მთვარის დისკო ხარ,
მრგვალი წრე და ოთხკუთხა
კვადრატი, მზის თვალი!**

ჰომერი ჰერმესისადმი

**ვინც შემოვა აქ, უშიშოა ვეფვის
დარი; ვინც მოალორებს გველეშაპს,
დარჩება ფარი.**

"შლეფური მწუხარება"
სერ ლანსელოტ კენინგი

ინება თუ არა ადამიანი, ეცოტავა მატერიის მოსაზღვრული სამოსი. ნახა გვამი და გაიტანჯა აღსარულზე ფიქრით. თვითონ მოიგონა ლეშიდან სხვად ქცევის ილუზია, მიწის მატერიისგან დაღწევის იდუმალი გზა, მასალათა ოქროთ ნრთობა, ფილოსოფიური ქვა.

ჰერმეს ტრისმეგისტუსმა, ამ ალქიმიურმა დემიურგმა, ქალღმერთი ასტროლოგია და სპარსულ-ეგვიპტური მაგია მოიშველია და დაწერა "კორპუს ჰერმეტიკუსი", "ღვთაებრივი ჰიმანდერი" და 15 ეზოთერული ტრაქტატი.

თითქოს აიხსნა სამყაროს ყველა საიდუმლო.

ალქიმიური ექსპერიმენტი

რისკზე შეაგდო სიცოცხლე. იცის, რომ დაიღუპება, სიცოცხლეს მოსწრაფებს საკუთარ თავზე გამოსაცდელი ალქიმიური სიმლეგე. იცის, რაც მოჰყვება სახეცვლილების იდუმალ ექსპერიმენტს.

"სწორედ ასე, ასე დავიღუბები და არა სხვაგვარად" — ქადაგივით ნინასწარმეტყველებს მგრძნობიარე ქვეცნობიერი.

გრძნობს, რომ დღეს-ხვალ გამოეთხოვება ძველ ცხოვრებას. მოხუცდა და სიბერისაგან ლეშაქცეული, დაჭიავებული ხორცი თავად ხდება სიკვდილის მსხვერპლი.

გარდაცვალება, არსებობის სახეცვლილება, გარდასახვა, სხვაგნეცვლები.

მოიტოვა ხორცი, მოიშორა ჩონჩხი, თავისუფალ სულს სიკვდილის სამოსი გადააცვა ეგვიპტელი ფარაონივით და ჩაეიდა ჰადესს, მიწისქვეშა ჯოჯოხეთში, სიკვდილის მეუფის, ოსირისის მოსახილველად.

ასე სრულდება საიდუმლო ნესი, ფარული რიტუალი სიმბოლური სიკვდილისა.

ფარვით შეფრინდა მიწისქვეშა გასასვლელში. უსაშველოდ გრძელი, თეთრი, დაბალი და სადა კედლებიანი სწორკუთხა მღვიმე გადაიშალა წინ. მთელ ამ სივრცეზე არაფერი იყო ჰერის მოსახლელი. არც კვარი ჩანდა, არც სხვა რამე ამდაგვარი, შემზარავად და შეუსაბამოდ ბრკილებდა რალაც მოელეარე სხივები.

თვალმიუწვდენ სიშორეს, წყნარი ოკეანის სილურჯეში ინება ჰესპერიდების სამოთხის ბალები. ამოანათებდა მენამული მზე ცისკრის უამს და გამოეფინებოდნენ ხმატკიბილი ნიმფები გასუსულ მინდვრებზე. ცისა და მზის საგალობელს მღეროდნენ ჰესტია, აიგლა, არეთუსა, ერთეა და ჰესპერია.

ოქროს ვაშლები ყვაოდნენ სამოთხის კუნძულზე.

ჯერეთუნახავი ქიცოვანი გველეშაპი დაყურსული დარაჯობდა ოქროს სასახლეს.

ალქიმიკოსის ციხესიმაგრე, რომელშიც ფილოსოფიური ქვა ინახება.

ჰერაკლე ჯერ ამოიდ ცდილობდა სათონების ქალწულთა სამყოფელში მშვიდობიანად შესესლას. მერე ასე გადაწყვიტა, ძალით შეეპლო.

წამოვიდა სისხლიანი თქეში და დადგა დროება უწყალო ქარიშხლისა. აწყვეტილმა ქარებმა წალენკეს უმანკო ქვეყნიერება.

ალმართა მუჭის სისმსხო, გრძელი კვერთხი ჰერაკლემ, ნითელი თავი გადაუხსნა და დასცხო მოჯადოებულ კარიბჭეს სანუკველი, იდუმალვით მოცული ციხესიმაგრისას. გახეთქა შეუვალი კარები, შეამტვრია და უკვე აღარ იყო ქალწულბერივი ციხე. გასკდა აპკი, მიმედ დაილო მრუმე ხახა და გადმოსკდა მენამული სისხლის შეუჩერებელი ნაკადი.

დიოდა სისხლი თავანკარა და თავდანმენდილი, ვითარცა სახება მენახული სინმინდისა და სათონებისა. გადავიდა ჰესპერიდების სამოთხის კუნძულს და ჩაიღვარა უსარსულო ოკეანის სიღრმეში. ნითლად შეიღება ცოფიანივით დუფმორეული ოკეანე.

მსხვერვით მილენ-მოლენა წინა შესასვლელი ჰერაკლემ. რისხვით თვალეტი წამოენთო, რაკილა იქ შესულს კვავიც ალარ დახვედრია ტკიბლხმოვანი ქალწულისა. ვერცხლისფერ იატაკზე ურჩხული ლადონი ინება.

დაჰკრა ნითელთავიანი კვერთხი ჰერაკლემ და გადაიჭრა გველეშაპის ცეცხლისმფრქვეველი თავი. საშინელი ზმუილი აღმოხდა უწმინდურის სისხლით გასვრილ, ლელებულ ძირს.

ნელა, ძალიან ნელა გადაიხსნა უწმინდურის უშველებელი დარაბები, შემზარავი

ქრისტიანი გაიღო კარმა. უკან იდგა თეთრ სუ-
დარაში გახვეული ჰესპერია, სისხლის შხეფე-
ბით მოსვროდა ხორბლისფერი სხეული.

თრთოდა ქალწულობადაკარგული ნი-
ფა.

შენგრეულ ზღურბლთან იდგა ჰერაკლე,
ხელში ისევ ეჭირა სისხლიანი, მძიმე არგანი.

ოსირისი, ისიდა

მინის ღმერთი გების და ცის ქალღმერთ
ნუტის შერწყმით ჩაისახა ტყუპი და-ძმა,
ისიდა და ოსირისი.

ბუკსა სცეს და მთელ სამყაროს ეცნო
მათი დაბადება. ზღვის ამიერ და იმიერს
მოეყარა თავი სატახტო ქალაქში. მთელი
წელი გაგრძელდა დედის მუცელში შეუღ-
ლებულ და-ძმის ზეიმი.

ნებიერად იზრდებოდა და-ძმა. მეფედ
და დედოფლად აკურთხეს მადლიერმა ერ-
მა, თვალწუნდენი ეგვიპტე გახდა მათი საბ-
რძანისი.

ტაბუ დაედო უკულმართ ჩვეევს. ვე-
რაინ ბედავდა ადამიანის ხორცის ჭამას.
მათზე ნადირობა აღეკვეთათ კაციჭამიებს.

ველური ქერისა და ხორბლის მოშენება
ასწავლა ისიდამ, ყურძნიდან წვენის გამო-
წურვა და ხიდან ნაყოფის შეგროვება. ესი-
ამოვნათ ისიდას მონეული მარცვლეული
ეგვიპტელთ.

მიცვალებულთა სულების სალხენად
ლოცვები უქადაგა ოსირისმა, მინის დამუ-
შავებაში დაახლოვნა, ციხე-ქალაქი განა-
შენა სამეფოსი კიდით-კიდევ.

კეთილად ვიდოდა ნილოსისპირა ცხოვ-
რება.

ცუდად ენიშნა ოსირისის აღმატება მი-
სივე ძმას, უდაბნოთა მეუფეს — სეთს. შუ-
რით უჭვრეტდა სვიან მბრძანებელს. მო-
ძულა საესებით და გზიდან ჩამოცილება
განიზრახა.

წვეულება გაემართათ სამეფოს კარზე.
ნარჩინებულნი შეიყარნენ ნუმიდიური მარ-
მარის სასახლეში. აფლერდა ქნარი და ზან-
გი მონები აცეკვდნენ ტალანის შუაგულს.

მთელი საღამო უთვალთვალედა სეთი
ბახუსმოკიდებულ ძმას. თავმოდრეკით იდ-
გა და ხვანჯრებს აწყობდა უცნაურ ფიქრებ-
ში ნასული.

მოლხენა ეწადა მეუფეს და როცა ნაიდი-

მი მოთავდა, ჩვეულებსამებრ, სანაძლეო-
ები გაიმართა.

სეთის ბრძანებით, ოქროთი ნაჭედი
ზანდუკი შემოიტანეს დარბაზში.

სანაძლეოს დაპირდა მუნ მყოფთ; აჩუ-
ქებდა მას, ვისი შესაფერიც აღმოჩნდებო-
და.

წვეულებაზე მონვეულთაგან ვერავინ
მოირგო ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ზან-
დუკი. მოტყუვდა ოსირისი, მზაკვრულად
დააკებულ მახეში გაება. სეთს წინასწარ,
ფარვით დაემზადებინა ოსირისის ზომის
ზანდუკი. ჩავიდა თუ არა, სახურავი დაახუ-
რეს შეთქმულებმა, მაგრად დაჭედეს ოთხ-
გნივ, გამძნარი ტყვია გადაასხეს ზემოდან
და ნილოსში გადაუშვეს.

ეს მოხდა ატირის თვის მეჩვიდმეტე
დღეს, როცა მზე მორიელის თანავარ-
სკვლავედში შევიდა.

მეუღლის გადააკარგვის შესახებ ცნობა
მოუვიდა დას. წელამდე ცემული თმები შე-
იჭრა, ფლასი ჩაიცვა და იწყო გლოვა.

„მე საყვარელი დაი და ცოლი ვარ შენი,
საუკუნოდ განუყოფელი შენგან. გეძახი და
ვტირი ისე, რომ ტირილი ჩემი ცამდე სწვდე-
ბა, შენ კი არაფერი გესმის. მე დაი ვარ შენი,
ერთი დედისაგან შობილი, ვერაფერი დაგ-
ვაშორებს. დამიბრუნდი ძმავო, შენ ხომ მხო-
ლოდ მე გიყვარდი, დამიბრუნდი შინ“.

ნილოსის დინებამ ზღვაზე გამოატარა
ზანდუკი. კარგა ხანს იცურა, სანამ სირისის
ნაპირზე, ბიბლოსთან, ბურქებში არ გარიყა
მოქცევის ტალღამ.

ბურქებმა სწრაფად იყარეს ყლორტები.
ურვეულოდ მზარდმა ხემ სქელი ქერქი შე-
მოაკრა კიდობანს და სავსებით დაფარა.

გაოცებას ვერ მალავდა ბიბლოსის გა-
გებელი მალკანდრი. ხის მოჭრა და სასახ-
ლის სვეტად შეყენება ბრძანა. რას იფიქ-
რებდა, თუ ხეში კიდობანი ინახებოდა გარ-
დაცვლილი ოსირისის გვამით.

ბევრი იხეტიალა ისიდამ. მოიარა ნახე-
ვარი სამყარო სანატრელი ძმის საქებნე-
ლად. ბოლოს მასაც მისწვდა ხმა, ხეში ჩა-
მარხული ოსირისის შესახებ და გაემართა
ბიბლოსს, ბავშვის ძიხად დაუდგა მბრძა-
ნებელს, მაგრამ ძუძუს მაგივრად საკუთარ
თითს აწოვებდა ახალშობილს. ფრთებგა-
მოსხმული მერცხალივით შემოუფრენდა
ხის სვეტს და სვედიანად აჭიკჭიკებოდა.

ბიბლოსს ჩამოსვლის მიზეზი გაუმხილად ისიდამ მეფეს და სახურავს შებჯენილი სვეტი სთხოვა. უარი ვერ უთხრა მბრძანებელმა. ისიდამ ერთი შეხებით გამოიღო კიდობანი სვეტიდან.

მეუღლის გვამთან ერთად, ნავით უკან გამოცურა ჭირისუფალმა. კიდობანი საიმედო აღაგას გადამალა.

ერთხელ, მთვარიან ღამეს, ტახზე ნადირობისას, სეთმა კიდობანი იპოვა. საკუთარი ძმის, ოსირისის სხეული ამოცნო, 14 ნაწილად დაჭრა იგი და მთელს ეგვიპტეში მიმოაბნია.

ძმისა და მეუღლის სხეულის ნაწილების საპოვნელად ისიდამ ჭაობიანი ნილოსი შემოიარა პაპირუსის ნავით.

მიცვალებულთა ღვთაებამ ანუბისმა შეაგროვა ოსირისის სხეულის ნაწილები და მუშიად აქცია. შევარდნად ქცეული ისიდა მოფრინდა, ოსირისის გვამზე დაეშვა.

გახლებული ჰკოცნიდა დაი სანატრელ ძმას. ხურგება შეყრილივით ელაცოცებოდა მუშიადქცეულ სხეულს. საკუთარი ძმისგან სასწაულებრივ იღო მუცლად ჰორო და შვა იგი.

მზე — ძმა, მთავარი — და

„მზე ჩაინთქმება სიბნელეში,
მთვარე — სისხლში“.

იოილ წინასწარმეტყველი

ირიურაჟა. აღმოსავლეთით, კოლხურ აიადან ამოანათა სისხლისფერმა მზემ, დატოვა ღამენაფერები ლაქებიანი დაი — მთვარე.

სიტყვათა უცნაური მსგავსება: მთვარე, მთოვარე, ქალღეური — თაოთა, ეგვიპტური — თოთი, მეგრული — თუთა, შუმერთა — ნანა.

მზემ ოქროს ეტლით გვარღვია ცისკრის ჭიშკრები და გაუყვა გზას დასავლეთ, აიი-ასაკენ, ჰესპერიაში.

მიდის, მთავრევეს ცის უბოლოო კიდეს. ნებიერა დაი უნებიანი ლაციციით მოხიზლა და თან გაიტაცა ოქროს სანმისი.

თვალეზი დაეხუჭა მოქანცულ მთვარეს. მზის ცბიერ ზრახვაზე არაფერი გაეგო კოლხთა მეფეს.

თვანყვეტილი მიჰქროდა მზე და მიჰქონდა გატაცებული ოქროს სანმისი ჰესპერიდების ბაღებისკენ, სამყაროს დასალიერზე.

ნათელი მოფინა სამყაროს. დაიწინდა გონება ქვეცნობიერი მთვარის ტყვეობისაგან. დანაის ოქროს წვიმასავით უშურველად იფრქვეოდა მზის ლიცლიცა სხივები.

თვალეზი ჭყიტა განთიადმა, ვარდისფერი კაბით შეიმოსა და გაჰვინა ბამბისფერი ღრუბლები ცარგვალზე.

ჩიტები აჭიკჭიკდნენ ცისკარზე. ტკბილი გალობით დაარღვიეს ღამის მყუდროება.

მენამული, ლაპისისფერი მზე მბრძანებლობდა ცის ოქროსფერ ტახტზე. თანამეცხედრე დედოფალი არ ესვა მეფეს.

ისეტიალა მთელი დღე ეულად მზემ. გულნაღვლიანობა შეეყარა. ისევ მოჰნატრებოდა საყვარელი დაი, მთვარე.

მიიპარებოდა დღე და თანდათან ეშვებოდა ბინდი. ღამეულ ცაზე ამოდიოდა მთვარე.

მზისა და მთვარის მისტიური ქორწილი. შეუღლება მზისა და მთვარის, ჰერმესის და აფროდიტეს, ოსირისისა და ისიდას, წითლისა და თეთრის, ოქროსა და ვერცხლის, რკინისა და სპილენძის — ალქიმიური რუბედო.



არძენ არყთინოვი

ბოლოს და ბოლოს, როდის შეწყვეტს ჩხელეტას ცხოვრება, როდის მოიშლის ცოფიანი ძალივით ღრენას, ერთხელ რაც იყო, აღარასდროს განმეორდება, ღმერთი მეორედ არ დამითმობს ასი წლით სცენას.

რაკი სიცოცხლე შემოსილა შავი სუდარით და ზღარბის ტყავში გახვეული თავს მახვევს ნესებს, ნუ ეგონება, ქათამივით რომ საბუდარში ავკრუხდები და ბოლოს იქვე გაეჭიმავე ფეხებს.

ჩემს ბედისწერას უნაგირი უნდა დაფადგა, შავი ფლოტეები დაეუჭედო რკინის ნალეებით, უნდა ვასწავლო ამ ქუჩყიან, ბინძურ დანადგარს, მობოდიშება დამნაშავე კაცის თვალებით.

მე ვარ პექტორი, უფლისწული დიადი ტროის, ჩემი სისხლისფრად შეიღება არესის ველი,

მე ვარ ლალადი მეომრისა გარდასულ დროის და უსინათლო ჰომეროსის ვენებები მწველი. მე ვარ ოდესღაც ვაჟკაცურად დაღვრილი სისხლი და ბედისწერის უკუნეთში გამონათება, ჩემი სუნთქვაა ნახგრევების რძისფერი ნისლი შენ სულშიც მიყვარს გაელვება ათინათებად.

მე ვარ პოეტიც, უნებლიედ ომში ჩაბმული და აკვნესებაც ჩაფერული ჩემი ლექსების, პრიაზოსიც ვარ, აქილევსის ფერხითი ვართხმული, ქარიშხალიც ვარ და მტრის ჯარებს მარტო ვესხლები.

მე ხომ ვიყავი მოდარაჯე შენი ოცნების და არაერთხელ დაგირნიე მძინარს აკვანი, ამაოების ლალადებით კი ნუ მოცდები, შენც შენ წილ ტროას მონინებით ეცი თაყვანი.

გაუსადლისი მარტოობის შავი ხლართები და ამ ხლართებში დაკარგული ჩემი ოცნება, ალბათ, ოდესმე ისევ წელში გავიმართები, დღევანდელი დღე კოშმარივით მომაგონდება.

ცუდი სიზმარი დროს ქარივით აედევნება, კმარა, ზამთარმა რაც აქამდე ამაკანკალა, გამოვენებით მეოცნებე ღრუბლებს მდევრებად მიუსაფარი პოეტების მთელი ამაღა.

თოთო ბავშვივით ღულუნებენ წვიმის წვეთები, პეპლებს და ჩიტებს გაუმართავთ მინდვრად მარულა, გამიღიმებენ მომაკვალში ჩემი ღმერთები, თუკი აქამდე ოლიმპოდან არ დაპარულან.

სადღაც დაეკარგე, ან ჯიბიდან ამომაცალეს, როგორც დღეს ჩვენთან, სამწუხაროდ, იციან ხოლმე, სინდის-ნამუსი. როგორც ყოველთვის, ახლაც სულ სხვას გადავაბარალე, რომ ბოროტების ცხრაკლიტურში გამომამწყვდია. ოხ, ეს ბახუსი!

სადღაც დაეკარგე, ან ჯიბიდან ამომაცალეს, ხომ არ გინახავთ, მაპოვინინეთ, გემუღარებთ, ცხოვრების აზრი. თუ თქვენც დაკარგეთ, დამენვეით, არ მოგერიდოთ, მე ვარ მმართველი ჯოჯოხეთის მონარქიაში ერთ- ერთი მაზრის.

ჩემი ცხოვრება დანაღმული ბრძოლის ველია, იგი გახუნდა პერანგვით ცრემლებში

რეცხვით,
უკვე ძალა და სიმამაცე გამომელია,
ისევ ვარსებობ ქვეყანაზე და ისევ შევრცხები.

ვერც დღეს შეეძელი შემეცვალა ყოფის
რუტინა,
ვერც დღეს ვიშოვე ჯოჯოხეთის ერთი
ბილეთი
(ისე გულთბილი გამხდარაო ჩენი სატანა,
მას სწვევიანო პოეტები მთელი მილეთის).

დაბნეული ვარ ისე ძლიერ, რომ ჭორ-მართალი
ერთმანეთისგან მე ვერაფრით გამირჩევია,
ჩემი სული კი, კუბოს ფიცრის გამონათალი,
კოცონზე იწვის, ბედისწერას ასე სჩვევია.

ჩემი ცხოვრება უკუნეთი, ბნელი ღამეა,
იქ კი ისეთი საოცარი სიკამკამეა...

მარტო რომ რჩები, მაშინ მოდის ნაღდი
სიკვდილი,
მაშინ მთავრდება ყველაფერი, ბოლო ედება,
იმ წამებაში ხარ შენ ნამდვილად
ლონემიხილდი,
შენს ნათელ ტილოს სხვა სისხლისფრად როცა
შეღებავს.

აკანკალდება შენი სულის გამოძახლი,
უნიჭო კაცი შენს ნახელავს თათს რომ
შეახებს,
ალიმართება როს ბრუტუსის ბასრი მახვილი,
ეს მერამდენედ შენი სულის სიმებს შეარხევს.

ისე უკვალოდ ჩამოუტდება თბილი ფერები
და საღებავის სიმრავლისგან იტირებს ტილო,
შენ ძველებურად აღარაიცი მოგეფერება,
ძველი სურათის გადარჩენას როდესაც
ცდილობ.

ვგრძნობ მაჯისცემას უსუსურს და
სასწრაწკვეთილს,
ვგრძნობ, როგორ ჩუმად მიფრინავენ ბოლო
დღეები,
აბა, სხვა რაღა მელოდება შენგან მოკვეთილს,
მხოლოდ და მხოლოდ ჯოჯოხეთის
სამოთხეები.

არ გვეგონოს, რომ გამოვცალე შხამის
სამსალა,
ჩემივე სისხლით ან გამომყავს ბოლო ტაეპი,
არა, მე ჩემმა მარტოობამ ისე დამცალა
და ამ სიცოცხლის მარნუხებში ისე გავები..

ვგრძნობ, რომ ვიგრძენი ყველაფერი, რაც უნდა
მეგრძნო
და საკმარისად გამოგტაცე სიტკობო-სიავე,
ამიერიდან ქარიშხალი მე უნდა შექმოს,

სულს ვერ დამიცხრობს ველარც შენი თმების
ნიავი.

ვგრძნობ, მე სიკვდილი ვით მიტაცებს
ლაჟვარდისფერი
და ცისარტყელის ფატიონით ცხრა მთა
გავლიე,
მავანთა აზრით, დამიცურდა იქნებ „შიფერი“,
რა იციან, რომ დაავადნიე თავი გალიებს.

ვგრძნობ, რომ ვიგრძენი ყველაფერი
სიკვდილის გარდა,
გაციულ თვალებს დამიხუჭავ თბილი
ხელებით
და, როგორც იქნა, დღეს გადავწვე ბნელეთის
ფარდას,
რომ მოვიხილო ჯოჯოხეთის სამოთხეები.

მე ვერაფერი გამოვტყუე ამ ჩემს ცხოვრებას,
დამლღელ აღმართში ვერ მოვძებნე ჩემი
ბილიკი,
ყოველ წამს ენატრობ ამ ცხოვრების მალე
მორჩენას,
რადგან ძალიან დამლღელია ჩუმი ქილიკი,

სისხლივით ჩქევა დასიებულ ყოფის
ძარღვებში,
ირგვლიე ხმაური, ფრიაშული ხალხის მასისა,
მარტო ვიყავი, კვლავ მარტო ვარ, მარტო
დავჩრები,
კაცი კაცისგან გასრესილი ბედმაც გასრისა.

და ეს ასეა, ნადველს მხოლოდ კედომა
უშველის,
მხოლოდ სიკვდილი გააყურებს უღრმეს
იარებს,
ეტყობა, ქვეყნად არ არსებობს მართლა
ნუგეში,
რადგან ცხოვრება შავი ღერძის ირგვლიე
ტრიალებს.

გადავილაღე, ვერ მიშველის ველარაფერი,
არც მოლიმარი, ნდობიანი მზერა ქალისა,
ეტყობა, უნდა დავამთავრო აქ ყველაფერი,
უკუნს მიეტეს ბედუინი სავსე მთვარისა.

გაფრინდი, ლურჯა ცაში აიჭრა,
ღრუბლებში ვპოვე მე საზღაური,
არც ჯოჯოხეთი და არც სამოთხე,
უბრალოდ ფრენის დღესანაუღი.



წიგნი

სეფობერაშვილი

მოსიხაძე

“რალა მე მომინია, ამის ლმერთი არ იყოს!.. ბედია?” — ბურღულუნით თქვა და ოთახში შევიდა. კარადიდან შავი კაბა გამოიღო, “უნიფორმა” — როგორც ეძახდა, ნელა გადაიხცვა, ერთი ჩაპკრა კალთას ხელი და უცებ ჩაისწორა ნაკეციები, თმა კეფასთან მიიხვია და თავშალში შეყუჟა.

“მოიცა შო, მოვდივარ...” — უგუნებოდ დაიყვირა და საგარეო ქოშებზე შედგა.

ორღობეში ჩუმად მისდევდა ახალგაზრდა კაცს, თავი არც აუნევიდა. არც კაცს მოუხედავს მაინცდამაინც. შინდაგვიანებული ცხვრებივით მიდიოდნენ, სწრაფ-სწრაფად და ფერდების ცახცახით.

მერე კაცმა ქვაზე წაიბორძიკა და ძალიან მსუბუქად მიენარცხა ქალს.

“ნელა, შე შეჩვენებულო...” — მკვახედ მოიშორა ქალმა. კაცს გაეღიმა, მთვარისხეულა სახე გაუხდა ღმილისაგან. ქალმა თვალი აარიდა. ვერცხლის სკრიალივით ისმოდა ფეხქვეშ ჩალენილი ფიჩხის ხმა. კაცმა ქალის შენახები მხარი ისე აიკრა მეორე ხელით, გეგონება ჩამოითალაო.

“გეძინა?..” — ისევ შესცინა. “გაიარე ერთი!..” — ახლა ქალმა ჰკრა ხელი და უცებ შენიშნა, კაცს ბლუჯა ჭალარა ედო მთვარედაშუქებულ თავზე. გულის სიღრმეში ემწარა. ახალგაზრდა კაცი წინ მიდიოდა და ბოლოს უკვე ქმენას უმატა. მალმალე იჭერდა მკერდთან ხელს.

სახლამდე მიადგინეს. კაცმა ეზოშივე გაიხადა ფეხზე და ჭიშკარი ფართოდ გააღო. დამაალი ვაშლის სუნი ეცა ეზოში შესულ ქალს.

“სად არი!” — შეუღრინა. “აგე!” — ხელი გაიშვირა კაცმა და ძალიან მშვიდად შეუძღვა ოთახში.

“თოფი შევიხაზე. ქათმები, ცხვრები ნაჭმები არიან. თოფი შევიხაზე. ფანჯრები დავაღე და სარკეს ჩამოვფარე. თოფი შევიხაზე...”

— შესცინოდა პირში და ქალი ველარ უძღებდა მისი გულუბრყვილო თვალების წრიალს.

შევიდა. ჯერ კიდევ საწოლზე ინვა მიცვალებული, ისევ ისე, როგორც სიცოცხლის უკანასკნელ წამს ინვებოდა, რალაცნაირად მშვიდი, ჩაძინებული. შორიახლოს სანთელი ენთო და ქალმა შეამჩნია — უკვე გალურჯებოდა ტუჩები. თავთან წნევის აპარატი ედო, ერთი-ორი წამლის ყუთი და მაჯის საათი. ტყავის გაქუცული სამაჯურით.

იყო ასე ცოტახანს. დასცქეროდა თავზე. თითქოს აკვირდებოდა.

“აჰ, დეიწყე ანი!..” — ახალგაზრდა კაცმა სკამი მიუწოჩა და ისევ თვალეში შესცქეროდა.

ქალი ჩუმად იყო. ნაკეთი არ უტოკავდა სახეზე. სახლში ნესტის და ხის ჭიის სუნი იდგა ერთდროულად. მიცვალებული საწოლის რიკულები აბლაბუდით ებმოდნენ ერთმანეთს.

კაცი უფრო ახლოს მიინია, ელოდებოდა. ქალმა თავი გააქნია.

დილამდე მოიცადე და ნატალიას დაუძახე. იმან შეიცხადოს. მე არ შემძლია”.

“ელოდებოდა სოფელი!” — ბავშვივით გაიოცა კაცმა.

“არ შემძლია!” — ბავშვივით შეუყვირა ქალმა. ხელებში იგრძნო, ოფლი სდიოდა ნურსურით.

— “მაშინ მე დევიწყებ და ამყვიცი...”

ქალმა ახლავდა შეხედა სახთლის მუქზე და ისევ დაეშხამა გულის ძირში რალაც.

“მადგენი თუ იცოდი, რას მომადექი!” — კაცმა თავი ჩალუნა. თითებს დაუნყო ნვალებმა.

“მა... მაა...” — უცებ ამოიწურა, მერე ამ თავის ხმას ყური მიუგდო და ისევ გაიძვირა. ქალმა გაკვირვებით შეხედა. კაცმა ანიშნა — ამყვიცი.

“დამტოვე ხო მარტო, მა... მააა...”

ქალი წელში გაიმართა, კაბა გაისწორა. “ნახვედი ხო საცხა უკუნეთში მა... მააა...”

ქალი მთლად მოიმშვილდა. კაცს მეტოქე-სავით გადახედა, თითქოს საქმეში ეცოდებოდა. საწოლს ოდნავ მიუახლოვდა და ჯერ ხმადაბლა დაიწყო:

საბზანი

"ვაი... დაიქცა ალექსანდრე კაი ოჯახი... ჩამოაჭრა ეზოს ფოთლები... ვაი... სად ნახვედი ალექსანდრე... გაიგონე სოფელო, აღარ არის ალექსანდრე, დაგვტოვა მთლათ... ვაი, შე საცოდავო ალექსანდრე, ქერი-ობლებს ჭირი-სულალო, მშიერ-მწყურვალის დამპურებელო... გაიგონე სოფელო, ვაი!... თვითონ სხვების დამპტირებელო... კაი ბიჭის გამზრდელო... ყველასთან კაი სახელის დამტოვებელო, სოფელო, ხომ გესმის!... მოდიო იტირეთ ალექსანდრე, ეს ჩემი ცოდვიო სადესე... მოდიო, თქვენ იტირეთ ალექსანდრე, ვისაც გეტირებათ... მოდიო... დღეს არ ვმუშაობ... დღეს არ შემიძლია... ვაი..."

ჯერ თითქმის ჩურჩულებდა, მერ ხმას აუმაღლა და აუმაღლა, ბოლოს უცებ ჩაუნყდა და თვითონ ძლივს დაესმია.

კაცი შორიანხლოს იდგა. ფშულკუნებდა თავისთვის.

ქალმა სწრაფად აიკრიფა კალთა და ოთახიდან გავიდა.

კაცი ქიშკართან დაეწია.
"მოიცა..."

ხერხემალი ჩაუთბა თითქოს... მოხედა კაცს.

"ნუ ნახვალ, გათენდეს ცოტა უფრო და გაგაცილებ..."

მხრებზე მოხვია ხელი, არ მოერიდა ქალის სიცივეს. ისიც უძალოდ დაჰყვა.

იქვე ჩამოსხდნენ, ეზოში.

"ყვავილებს გაგატან, რამდენი გეჰაგეს თუ იცი! ასტრები ხო გიყვარს!"... ქოფლის თავზე დაკიდებულ შუალამის ჩრდილებს შესცქეროდნენ. ძირს ჩამოცვენილი ვარსკვლავებივით ნაშრონით აქა-იქ სახლებში შუქი, ტირილის ხმაზე თუ გაიყურსნენ, ცნობისმოყვარეობისაგან გამოფხიზლებულნი...

"არტო დავიძახე თუ იცი!" — კაცი ჭყლოპინებდა, უცნაურად გახალისებული.

ქალმა მოკუმულ მუჭებზე დახედა.
"მერე რო არ გენანა... ხო ვიცი შენი გული, ბოლოს მაინც გეტკინებოდა და!"

ქალს ფეხის ფრჩხილებიდან დაუარა ცვრი-ანმა ყრვოლამ და ძლივს შეიკავა თავი, არ ატირებულყო.

"რა იცი შენ, მე რანაირი გული მაქვს!" — შეუბღვირა ისევ.

"ძმა ვარ შენი და!"

ოთახის შუაგულიდან ისევ გამაყრუებლად მოისმოდა საათის ხმა, როგორც ფულუროზე — კოდალას კაკუნნი.

"დედაჩემი ისე ლამაზი იყო, ვინ არ შეცდებოდა მისი გულისთვის!" — არტომლაც ნაბუნჯი თვალებით შეპლიმა კაცმა.

ქარი იყო ოდნავ. გადაღმა ეზოებიდან მოჰქონდა თივის სურნელი და ორივეს, თხლად ჩაცმულებს, შუა ეზოში ისევ ასრუტუნებდათ, კაციშვილი ვერ მიხედვებოდა, შესცივდათ თუ ნამოატირათ რამემ.

იყო დაარაიყორა ჩანთაში არ ჩაეტიდა და დედიკომაც გულგრილად მოისროლა საწოლზე, "რამი გაახსენდება...", გაიფიქრა...

მერე ის იყო, თვითმფრინავის ილუმინატორზე ცხვირშიმჭყლეტილ კინის დეიდა სტიუარდისნაბც ოდნავ მოქაჩა მხრებზე. კინიმ ფართო თვალებით ილუმინატორს მოაცილა და იმ ნისლებიან-ღრუბლებიანად შეაპტურა ქალს, რომლებსაც მინის მიღმა შესცქეროდა.

"გოგონა, ფრთხილად..."

დეიდა სტიუარდესა კაი რამე იყო, როგორც კინის მამა იტყოდა ხოლმე სალამოობით, ფერად-ფერად ტყვეშოუებს რომ მიუხედებოდნენ და ჩუმად ფხუკუნებდნენ, გვერდზე ოთახში ინტერნეტში შემგვრალ დეიდას რომ არ გაეგო მაინც... ისე...

კაი რამე სტიუარდესა აფრო-ამერიკული ჯიშის ავაზასავით დაირბა გასასველისკენ. აბა, ქართულ ტყეებში მომინადრეებს ხომ არ შეადარებდა კინი, არც კი გაეგონა...

ისევ ილუმინატორს მიაწედა პანანინა ცხვირი და დაინყო გამომგონებლობა: ისე, როგორები არიან ნეტა ქართული ტყეების ბინადარი ცხოველები?.. მშივრები დამრნიან და ჩხუბის თავიც აღარ აქვთ?.. ნეტა საოცრებები თუ ღვარად და იქაც იბადება — საშთავიანი დათვი, ხუთფეხა მგელი... როგორც... როგორც ყველგან... მთელ დედამიწაზე! თუ, არ შეიძლება?.. ნეტა ზოოპარკი თუა თბილისში?.. და, მწვანე ზაზონებზე ლოკოკინები სხედან?.. და, რა ფერის თვალები აქვთ ირმებს საქართველოში?..

"გეკინება, კინ?" — თამრომ თმა გადაუნია და ნახად მიეფერა.

"თვალები ხომ ღია მაქვს და!" — ეწყინა კინის, მებრუნება მოუნდა ფიქრში.

"ესლა ნახე, რამდენი ვინმე დაგხვდება-აა!" — ისე დაარბოდა თამრომ სიტყვები, კინის გული შეეკუმმა.

"დიდი ვარ, დიდი!" — თავჩაღუნულმა თქვა და ფეხი ღრუბელივით გაკრა მსხვილ მუხლისფრზე თამროს.

"ოო რა აუტყნელი ბავშვი ხარ, ჩავიდეთ ერთი, ჩაგაბარო შენებს და მერე რაც გინდა ქენი!"

განა დიდებიც ხანდახან პატარები არ არიან?..

კინის გულში ისევ ელიმებოდა და ვეღარ აერჩია რა ჯობდა — ჩუმად ფიქრი თუ თამროს ნვალებბა...

და ჰო, ირმებს საქართველოში უნდა ჰქონდეთ!.. უნდა ჰქონდეთ დაბინდული ქლიავისფერი თვალები! მამა ამბობს ხოლმე აშენებს ძალიან ხშირად... ეს დაბინდული ქლიავები ნეტა რაღაა...

მერე, ატყდა ერთი აურზაური აეროპორტში. მთელი დარბაზი ბუმტებით და ყვავილებით იყო მორთული. ყველგან ეწერა: გვი-

ვარხარკინი!"

კინი წინ მიხტოდა. ბებო შორიდანვე შე-
ნიშნა და აცადა, პირველი თვითონ მოფრე-
ნილიყო კინიმდე. ეგეთი დიდგულა და დედო-
ფალა გოგო იყო, მამა!.. მერე ვიოს ჩამოეკიდა
კისერზე, მერე მირანდას და ასე კისერ-კისერ
მოიარა იქურობა. ალაგ-ალაგ კითხვებსაც
პასუხობდა. მაგალითად:

„დედიკო და მამიკო როგორ არიან, გე-
ნაცვალე?“

„მამადლობთ, ცხოვრობენ...“

„შენ როდემდე რჩები, პატარავ?“

„ორი კვირა და სამი დღე... თუ რა თქმა
უნდა ჭკუაში არ დამიფუდა, სამუდამოდ დარ-
ჩენა!“

„კინ, ვინ გასწავლა ეგეთები?“

„ქეთევანი! აქ-ქეთევანი!“

ჩანთას გომო დაავლო ხელი და, ბიჭოს, რა
მძიმეა — იყვია.

„აბა რა! აბა რა! იყო და არაიყო რაა შიგ!..“

— კინიმ... უპ, ქეთევანმა უპასუხა.

სალამის ბებოს კალთისთან ახლოს იჯდა,
მთლად მის ფეხებთან, ბლის მურაბას ქიშმი-
შებივით ილაგებდა თუფშუე და პანია კოვზით
დედიკულურად შეეძებოდა. ოდნავ დაღლილ
შუბლზე პანანინა ფიქრები ესხდა. ბებო ლა-
მის მტლად დასდებოდა მის შუბლსაც და
ფიქრებსაც. ათასჯერ დაირეკა ტელეფონი.
აქედან — 999-ჯერ ბავშვის მშობლები იყ-
ვებნ. ლლაღენენ, ამხელა გზაზე პირველად
გამოუშვეს მარტო. არა, თამრო კი იყო, მაგ-
რამ... თამრო ხომ დიდი პატარაა!..

მერე ქეთევანს საიდანაც თბილი, შრია-
ლა თეთრფულის სუნი ეცა და ძილი მოუნდა.
წარმოადგინა, როგორ გაიხდიდა კაბას უცხო
ოთახში, ზედ მთვარის წინ, როგორ შეეყოფ-
და ჯერ ერთ ფეხს შეუწვეველ საბანქემ, მე-
რე მეორეს... როგორ ჩარგავდა ცხვირ-პირს
ახალ გვირისტიბიან ბალიშში და როგორ გა-
ემზადებოდა ძილისთვის...

„მამიკოს ლოგინში შენვები, ბები?“ —
თითქოს მიუხვდა ბებო.

კი. მამიკოს ბავშვობის ლოგინში ქეთე-
ვანი უნდა შეწოლილიყო, რასაკვირველია!..
ყველა ცუდი ფიქრი წამშივე გაქრა. გაქრა
თითქოს დროც, რომელმაც მამას და ქეთევა-
ნის ბავშვობა დააშორა ერთმანეთს...

და, ყველაფერი მშვედობით ჩაივლიდა,
რომ არა ჩანთა, რომელიც ქეთევანმა ჩამო-
ვიყლა. ჩხრიკეს, ჩხრიკეს და გადმოაპირქვე-
ვა. მაგრამ იყო და არაიყო ვერსად იმოვეს,
არ იყო.

ატრდა გოგო. დაუსველდა თაფლისფე-
რი თვლები, ვერ გაჩერდა ვერც ლოგინში,
ვერც ვერავის კალთაში.

იყო და არაიყო იცით თქვენ რა იყო მის-
თვის? ყველაზე დიდი რამე! ყველაზე!..

ნიგნია ბები?... იქნებ აქ აქვს ვინმეს, ახ-
ლავე გავიკითხავდი, რა ფერისაა. შეილო?..

არა, არ იყო ნიგნი.

აბა, თოჯინას ქვია?... კია მანდ უცნაური
თოჯინები და ვაძე, რა ვქნა, საიდან მოვიყ-
ვანო!..

არც თოჯინა...

იყო და არა იყო რა იმხელა რამეა! დიდი,
უსასველოდ... ან ჩანთაში როგორ უნდა ჩა-
ტეულიყო!..

სად არის მერე!.. არის?..

იყო და! იქ იყო, დედასთან და მამასთან...
ტიროდა კინი.

რა ვქნა, ბები, რა გიმველო?... ატყდა მშობ-
ლებთან რეკვა.

ჯერ ბევრი იცინა კინის დედიკომ, იყო და
არაიყო რა მოიკითხაო შენმა შვილმა, რომ
უთხრეს. მერე უცებ გაჩუმდა. ცოტახანს ჩუ-
მად იყო. უბერა და უბერა ყურმილს სული ზე-
ბომ, ეგონა — გათიშაო... მერე სლუკუნით მო-
ესმა და თითქოს ყურიც კი დაეხამა — რძლის
ცრემლებით... რა გჭირს გოგოო... შენ მაინც
რა გჭირსო, კითხა.

მართლა ეგრე ძალიან მოიკითხაო?..

ძლივს დაიწურწულა დედიკომ.

მართლა, აბაო! გადამერია ბავშვიო!.. ბე-
ბო შინ იყო. ბებოს იყო და არაიყო რაში სჭირ-
დებოდა.

მართლაო?... კიდევ უფრო მოენურა გული
დედიკოს.

მართლაო შო... უცებ ბებომაც რალაც იგ-
რძნო და წამოუვიდა იმასაც ცრემლები. მერე
დედიკო ხმა ამრიალდა, აი სწორედ ისე, რო-
გორც ქეთევანის ყურისძირში შრიალებდა
ხილმე. ძილის წინ:

...იყო და არაიყო რა არის... ბიჭი!.. აცვია
რალაც ძალიან ლამაზი, ჩოხისმაგვარი რამე,
ფეხები არხოტის ბალახისგან აქვს გამწვანე-
ბული, ჯიბეებში წენიანი ვაშლები უწყვია და
ვინც შეეკითხება, საით ნავიდეო, ხელს გულ-
ზე იტყაპუნებდა... ისე გემრეოლად, ისე, რომ
კოცნა მოგიხდებოდა... გოგოები სულ მასზე
არიან შეყვარებულები... ვაძი-ვაძობის ასე,
თვალსაწიერში... იყო და არაიყო რა...

სულ ზუთი ნუთი ილაპარაკა დედიკომ.

ბებო კაბას ინვლებდა მუხლთან და ხან
რას ლულულებდა, ხან რას.

„მენატრებიითო...“ — ბოლოს თქვა.

არა, სულ ბოლოს ის იკითხა: რა ვქნა კი
მაგრამ ახლაო!..

„რამე მოიფიქრეო... ახალი იყო და არაიყო
რა მოიგონეო... ახლა ჩვენზეო...“ — დედი-
კომ.

„ასე მოარულიაო?... ყველგან ჩილა
აქვსო?“ — ბებომ.

„იყო და არაიყო რას გააჩნიაო... როცა ძა-
ლიან გენატრება გამოგდისო!..“ — დედიკომ.

„შტერებო თქვენაო... შტერებო და მატყ-
უარებო!..“ — მინ იყო ბებო და შინაურუ-
ლად იოხებდა გულს.

გვიან ღამით, წვალეხით მაგრამ მაინც ჩა-
იძინა ქეთევანმა. ჯერ ახალი ზღაპარი გამო-
აცხობინა ოჯახის წევრებს და მერე.

ეგრეა. დავდივარო, დავტყავს... ისედაც
იყო და არაიყო რააა ჩვენი საგზალი?..

ს



ნაწილი პირველი

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ისეუ ბენიამინის კაბინეტი. ოთახში არა-
ვინაა. მუშაობაგადაკრულ კარს შემოადებს
ატირებული ცეცო.

ცეცო - /სელეკუნიო/ მოდით, მობრძან-
დით... აქ დამელოდონო... /გარედან ხმა: შე-
დი, შედი, წინ გამიძეხი! შემოდის უტუ თა-
ვაწუული, გამომძიებელი არ იმწნევეს თორემ
შემკრთალი შემოძეუება, მაწინეუ მაგიდას
მიუჯდება და საქალაღდეს გახსნის. აქვი-
თინებული ცეცო კედელს მიემხოზა/.

უტუ - /სევედიანი დიმილიო/ ხომ იცი,
გოგო... ხომ გითხარი... რა გატირებს... /მი-
უახლოედება/

ცეცო - რა მითხარი?

უტუ - ყველაფერი გითხარი...

გამომძ. - ბრალდებულო ჭიოკაძე, მე გა-
გაფრთხილე თუ არა... შენ აქ პაემანი და-
ნიშნე და მე მოწმედ წამომიყვანე თუ, მე
წამოიყვანე დაკითხვაზე?

უტუ - თქვენ უფროსო,

გამომძ. - მერე?

უტუ - მერე, მე ვეუბნები იმას, რაც უა-
ჰე იცის.

გამომძ. - რა იცის?

უტუ. - იცის, რომ დამნაშავე არა ვარ.

გამომძ. - არა, მე ვარ დამნაშავე...

უტუ. - როგორ გეკადრებათ, უფროსო!

გამომძ. - წესიურად ილაპარაკე!

უტუ. - თქვენ ვინ გაკადრათ-მეთქი.
სხვა ხომ არაფერი მითქვამს.

გამომძ. - გითხარი მე შენ, ბრალდებუ-
ლო ჭიოკაძე, მე არა ვარ ის კაცი, შენ რომ
გგონია. ღმობიერება ჩემი იარაღია. მითხ-
არი, ჩემ უფროსთან დამკითხე და იქ გპა-
ვით, ხომ მითხარი?

უტუ - კი.

გამომძ. - ჩემს მეტი ვინ მოგისმენდა?
გაგიკეთე თუ არა? გაგიკეთე. აი, აგერ ეს
გოგო დგას. ხომ ვიცი, რომ არ შეიძლება.
ვიცი და რას ვშვრები? ხმას არ ცეცე. რა-
ტომ ვშვრები ასე? იმიტომ, რომ გულისხმი-
ერება მიყვარს და რას ვთხოულობ მე ამის
საპასუხოდ, ბრალდებულო ჭიოკაძე /უტუ
მსრებს იხეჩავს. ცეცომ ტირილს უკლო/
დიდს არაფერს, იმავე გულისხმიერებას.

უტუ - კი, უფროსო.

გამომძ. - კიდევ უკეთესს გატყუე, მსახ-
ვით მოგექცევი, დედამამი შეიდიოვით, მაგრამ
შენც ნუ ჩამთვლი მტრად /ცეცომ კედელს
თავი მოაცილა, მოიხედა/.

უტუ - არა, უფროსო, ჩვენი მტრობა ვინ

ოქრის
ოსეოისნი

თქვა მახილნა...

/პიესა ორ ნაწილად/

მოქმედნი:

1. დედა.
2. ბენიამინ /ბენო/ — თანამდებობის პირი.
3. ლალა — ცოლი მისი.
4. ცეცო — მდივანი გოგო.
5. უტუ — მძღოლი.
6. მოხუცი ქალი — მოხონელი.
7. გამომძიებელი.

დაწავსი იხ. №9-2008

გაიგონა.

გამომძ. - არ მინდა მე „უფროსო“, ძალიან უფროსო და გადაკრულ-გადმოკრული. იმაზე უკეთესს გეტყვი, წყლან რომ გითხარი. ეს კანონში არ წერია, გარეშე პირი გვესწრებოდეს, მაგრამ კანონს რა უნდა? სიმართლე. სიმართლე არაფერმა კაცმა არ იცის შენს გარდა.

უბტუ - იქნებ სხვამაც იცის.
გამომძ. - ვთქვათ, მე ხომ არ ვამბობ არა-მეთქი, მარა ახლა ასე მოვიქცეთ. შენ მოდი, დაჯექი ამ სკამზე, მე რომ ვსივარ!

უბტუ - ბრძანდებოდეთ...
გამომძ. - არა, მე ვიქნები აქ დამჯდარი, როგორც ვარ, მაგრამ წარმოიდგინე, რომ აქ ზიხარ შენ და მე ვიჯდვარ მანდ, სადაც შენ დგახარ. გასაკუბია?

უბტუ - არ ვიცი, უფროსო, ეერაფერი გავიგე.
გამომძ. - კი მაგრამ, რა ვთქვი მე ისეთი გაუგებარი, ან რაა ისეთი რთული, რომ კაცი შეიღმა ვერ გაიგოს?

ცეცო - აუტუ, სიმართლე თქვი. ყველაფერი სიმართლე თქვი. რატომ ჯიუტობ!

უბტუ - არ ვჯიუტობ, ცეცო... შენ მაინც უნდა გჯეროდეს, რომ მართალი ვარ...

გამომძ. - კიდევ და კიდევ... მე რა გითხარი შენ, გოცკაძე!

უბტუ - /ბრაზი ერევს/ მართალი ვარ, ეს უპატრონო, და ტყუილი ვთქვა?!
ცეცო - აუტუ... /წამოიწია მისკენ და თავი შეიკავა/.

გამომძ. - მიდი, მიდი, ახლოს მიდი! მე ის არა ვარ თქვენ რომ გგონიათ.

ცეცო - აუტუ, ნუ ჯიუტობ! /მივარდება, მკერდზე თავს მიადებს/ აუტუ, მე... მე არ გებრალდები?

გამომძ. - ასე ჯობია. ამ დროს ყველაზე მეტ სიმართლეს ამბობენ.

უბტუ - დემერი და რჯული, არ ვჯიუტობ. რა ექნა რომ არ ვიცი...

გამომძ. - მაგრამ, ვთქვათ, შენ ჩემ ადგილზე ხარ.

უბტუ - /ცეცოს ხელს მხარზე ადებს/ ახლა არა, ახლა მე ჩემს ადგილზე ვარ...

უბტუ - დემერი და რჯული, არ ვჯიუტობ. რა ექნა რომ არ ვიცი...

გამომძ. - არა, კაცო... ასე კი არ მოთქვამს... /ქალის მხრიდან ხელი აადებინა/ ახლა, შენ, ჩემს ადგილზე ხარ.

უბტუ - შენს ადგილზე ვარ?..

გამომძ. - ჩემს ადგილზე ხარ და ... ჩემს ადგილზე რომ ხარ რას შერები, რას აპირებ.

უბტუ - სიმართლე.

ცეცო - სიმართლე, აუტუ.

გამომძ. - კარგია სიმართლე. მხოლოდ სიმართლე... და როგორ მოიქცევი?

უბტუ - რაც შემიძლია... ყოველნაირად...

გამომძ. - რა შეგიძლია?

უბტუ - მე რა შემიძლია...

გამომძ. - შენ ჩემ ადგილზე ხარ.

უბტუ - დაეკითხე... დაეკითხავე და...

გამომძ. - მე. მე დამკითხავე. შენს ადგილზე ვარ, მკითხე.

უბტუ - როგორ მოხდა, რა მოხდა... თავიდან ბოლომდე სიმართლე...

გამომძ. - გასაკუბია. მე გეუბნები, არაფერი ვიცი.

უბტუ - თუ მართლა არ იცი!

გამომძ. - არ ვიცი, მე შენს ადგილზე ვარ და გეუბნები, არ ვიცი.

უბტუ - იქნება მართლად არ იცი.

ცეცო - აუტუ, როგორ არ იცი. აბა ვინ იცის?!

გამომძ. - /მოსწონს ცეცოს პასუხი/ მე ხომ არ მითქვამს, ამას გეუბნება... ყველა ამას გეტყვის.

უბტუ - არ ვიცი.

გამომძ. - აბა რა იცი?

უბტუ - მე ვიცი, რომ ცამდე მართალი ვარ!

გამომძ. - შენ ჩემს ადგილზე ხარ, მე შენს ადგილზე და გეუბნები, რომ ცამდე მართალი ვარ.

უბტუ - შენს ადგილზე კი არა, ნეტა ჩემს ადგილზე არ ვიყო... ნეტავი სულ არ ვიყო... ნეტავი სულ არ გაეჩენილიყოვე ქვეყანაზე... /გამომიძებელი ფანჯრისკენ მიბრუნდება/.

ცეცო - /მივარდები/ რატომ არ ამბობ, აუტუ, რატომ იღუპავ თავს. მეც მღუპავ... თუ მოხდა... ხომ ვიცი, რომ ეს უცაბედად... შენ ხომ არავითარი განხრახება, მარტო იმ უბედური მოხუცისა კი არა, არავის მიმართ... მე ხომ გიცნობ და მჯერა, მაგრამ თუ უბედურება მოხდა... რატომ, რატომ გგონია... რატომ შერები /ტირილი უსწრებს/ დანაშაულზე დანაშაულს რატომ ამატებ...
გამომძ. - ეს მე არ მოთქვამს...

უბტუ - ვიცი, ვიცი, რომ ყველა ასე იტყვის... მეც ასე ვიცოდი.

გამომძ. - შენ ჩემ ადგილზე ხარ.

უბტუ - არა, ჩემს ადგილზე ვარ და მაინც ვამბობ, მაგრამ...

/ კარს შემოადებს ბენიამინი/.

გამომძ. - /თვალს უკრავს/ გამარჯობათ, ბენიამინ ანაპოლისტოვიჩ! გამარჯობათ. ბენიამინ, ასე მოხდა... მე, ჩემდა თავად არა, მაგრამ თქვენი თანხმობაც... როგორც მეტყვიოთ... ჩვენ ახლახან, ეს-ესა... ეს გოგო... დაგვტოვე შენ, ამხანაგო... /ცეცო ფეხს არ იცვლის, ბენო მაგიდისკენ მიდის. აუტუ თვალღუმში მისჩერებია. სავარძელში თავდახრილი ჯდება, პაპიროსს ეძებს, უკიდებს.

ცეცოს უკერს. გამოძიებული „საქმეს“ შლის და კალამს იმარჯუებს.

ბენო - რაო... /ერთხანს ხმას არავინ იღებს/

გამომძ. - ფეხზე დგება/ ბენიამინ ანაპოლიტოვი!

ბენო - დაჯექი, დაჯექი! შენც... თქვენც დაჯექით...

გამომძ. - /ჯდება/ თქვენთან... აი, ასე... დადგა საკითხი... თქვენთან...

ბენო - რა საკითხი დადგა ჩვენთან?!

გამომძ. - ესე იგი, ბრალდებული ჭიოკაძე...

ბენო - დაჯექი, აწუტუ. /აწუტუ საკითხან მიდის, მაგრამ არ ჯდება/ თქვენ გინდათ იცოდეთ... /გამომძიებელს/

გამომძ. - მე ვალდებული ვარ...

ბენო - დიახ, ვალდებული ხართ იცოდეთ, სად იყო მანქანა... სახელმწიფო მანქანა ნაშუალამებად?

აწუტუ - მე არ ვიცი. გამოძიებული იწერს/

ბენო - /ვითომ არ გაგიგონია/ ვინც ამ ადგილებზე ხის... და, საერთოდ, ვერტე წოდებული „ხელმძღვანელი ამხანაგები“ გეძიან... ჩვენი მოვალეობა მარტო ის კი არაა, მშრომლებს მხოლოდ შრომაში ვუდგეთ გვერდით, მხოლოდ გვემების შესრულებას ვადვენთ თვალყური, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ვინ რა ცხოვრებით ცხოვრობს და მათი ჭირიცა და ღვინიც გაგიზიაროთ.

გამომძ. - /თავი აიღო/ რომ არ მოწოდებთ მასებს...

ბენო - თუ გნებავთ ასე ვთქვათ... ეს იგივე სამსახურებრივი მოვალეობაა... თუმცა, ჩვენ, მე მგონია, არ გვეკრძალება, პირადი, ადამიანური... ცხოვრებაც და საამოვნებაც...

გამომძ. - რა თქმა უნდა, ბენიამინ ანაპოლიტოვი! ჩვენც ხომ ჩვენ ვართ...

ბენო - მანქანა იყო... იცნობთ თქვენ... იგი ყველამ იცის, თავმჯდომარეა, ორღვინოსანი

გამომძ. - სვინტრაძე... ბესარიონ ვარლამის-მე სვინტრაძე.

ბენო - დიახ.

ცეცო - მოსაწვევი ბარათი /მივარდება ბენოს/ მაგერ დევს, თქვენს უჯრამში!

ბენო - იციან, ამას გვიჯერებენ.

გამომძ. - ვიცით, ვიცით. შენდის ქორწილი ქონდა სვინტრაძეს. კარგი ითხოვა, კანალიზაციის უფროსის - კირილე მოდუბაძის...

ბენო - ჩვენ ვალდებულნი ვართ, ასეთი თავმჯდომარეები თუ მშრომლები... ის კანალიზაციაც ხალხს ემსახურება.

გამომძ. - კანალიზაცია რომ არა, ბენიამინ ანაპოლიტოვი, ავეროლდებით... მაგი ვიცი მე.

ბენო - ვინც შრომის, ვერტე წოდებულ,

„ავანგარდში“ დგანან, მხარი უნდა დავუჭიროთ, პატივი ვცეთ, წავახალისოთ, ვეწვიოთ, რომ ხალხმა იცოდეს - ჩვენ მისგან მხოლოდ გვემას არ ვითხოვთ, ადამიანებს მანქანებად კი არ ვუყურებთ, არამედ ტოლად და სწორად. ვმეგობრობთ მათთან, ერთად ვცირებთ, თუ ჭირია და, ვიღებენ - თუ ღვინია. ჩემთვის ეს პირველი შემთხვევა არაა და... თუ მანქანა ამ დროს... სახელმწიფო მანქანა... ესეც სახელმწიფოებრივი საქმეა...

გამომძ. - დიახ, დიახ... საღამ-საღამობას ქეიფი და დროსტარება. ფაცხა გაიხსნა, ბენიამინ ანაპოლიტოვი, წყალგაღმა კეცის მჭადები და კეცებშივე შემწვარი წიწილა...

ბენო - მე ხალხის მოთხოვნებს... ხალხის ინტერესებს ვემორჩილები...

გამომძ. - ამიტომაც, ბატონო ბენიამინ ანაპოლიტოვი, თამადა ბრძანდებოდით.

ბენო - ასე სურდა დამსწრე საზოგადოებას... მე, ღვინის თავგამოდებული მსმელი არ ვახლავართ.

გამომძ. - დიახ, ეგ ვინ არ იცის... არც ჩუქნი მილიციის უფროსი - ოთხ ბოთლში წასულია ხელიდან.

აწუტუ - რაც მართალია, მართალია...

გამომძ. - ბრალდებულო, ჭიოკაძე...

აწუტუ - მე რაც ვიცი ვამბობ...

გამომძ. - ეგ ჩვენც ვიცით, ვინ რამდენს სვამს, რას ჭამს და რამდენს, შენ მასწავლი!

აწუტუ - აბა, რაც არავინ იცის, ის არც მე ვიცი.

ცეცო - აწუტუ!

გამომძ. - უფრო მეტს გეძევი, ბრალდებულო ჭიოკაძე, ბენიამინ ანაპოლიტოვის დეიძლი აწუხებს და წელმოწადში ერთ თვეს მინერალურ წყლებზე ატარებს.

აწუტუ - ეს რა მილიციის საქმეა, შვევულებას სად ატარებს ადამიანი.

ცეცო - აწუტუ! რატო ვრევი, რაც შენი საქმე არაა?...

გამომძ. - ბრალდებულო ჭიოკაძე, ეს საქმეს ეხება... კაცს როცა დეიძლი და წყლული აწუხებს, ის არ სვამს და თუ სვამს, აუცილებელ, გამოუვად შემთხვევაში... ესე იგი, სიამოვნებისთვის კი არა... საქმისთვის... ბრალდებულო ჭიოკაძე.

ცეცო - აწუტუ, განუმიდი, ნუ ამწვავებ...

აწუტუ - მე, რაც ვიცი, ვამბობ, რაც არა...

ბენო - აწუტუ, მოიცა...

გამომძ. - დიახ, ბენიამინ ანაპოლიტოვი... /აწუტუს/ შენ კი, რაც უნდა იცოდე...

ბენო - „ბრალდებულმა ჭიოკაძემ“ არ იცის რა მოხდა სუფრახე.

გამომძ. - იგი ქორწილს არ დასწრებია. უბედურად უსვამთ ღურმიშხან უკლებას და დაადე ტაკიძეს!

ბენო - თქვენთვის ესეც ნათელი ყოფი

ლა. არ იცის, ესე იგი, იგი, ჭიოკაძე, სუფრასთან არ მჯდარა. მე არ მახსოვს იგი საჭკესთან ნახავენი მჯდარიყოს.

ცეცო - /წამოცდა/ არც მე...

გამომძ. - იმ დამეს ჭიოკაძე მიიწვიეს მარანში, სადაც სახელდახელო სუფრაზე სხვა მოფრებიც იყვნენ. მან დაღლია ოთხი ჭიქა: ოჯახისა და ჭურ-მარანის, ნეფე-დედოფლის, შოფრების, ესე იგი, მისი კოლეგების და მეოთხე - ბესო სვინტრაძეს ბიძაშვილის ილიკო სურაფონის-ძე სვინტრაძის, რომელიც იმ დამეს მთავარი მერიტიყე იყო. ესე იგი, ჭურვიდან ღვინოს იღებდა კოკებით და დოქებით აგზავნიდა საქორწილო სუფრაზე. ისე, ილიკო სვინტრაძეც კაი მსმეღლია!

ჟუტუ - მეოთხე ჭიქა ნახევარიც არ და მიღვევია.

გამომძ. - მეოთხე ჭიქა არ დაუცვლია.

ბენო - ჟუტუს შეეძლო მეოთხე ჭიქაც გამოეცვალა და მეზუთეც, რაკი მან იცოდა, რომ მე ვთამაშობდი. ვინ არ იცის, რომ ქართული სუფრის და ისიც საქორწინო სუფრის თამადა სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს... მანამდე მას შეეძლო მანქანაში ორი-სამი პირი გამოეყინა.

გამომძ. - /მოულოდნელად/ ჭიოკაძეს სახელში ეყინა...

ცეცო - ჟუტუ... /ჟუტუმ ბენოს გადახედვდა/

ბენო - /ერთხანს შეწერდა/ მართლა?

ცეცო - ამოიღე, ჟუტუ, ხმა!

ბენო - შეიძლება...

გამომძ. - ბრალდებული ჭიოკაძე გააღვიძეს და წაიყვანეს ნაშუალამეუს.

ბენო - ვინ გააღვიძა?

გამომძ. - ეს არავინ იცის, ბენიამინ ანაპოლიტოვის, არც ჭიოკაძე.

ცეცო - ჟუტუ, ვინ მოვიდა შენთან, ვინ გაგაღვიძა, ამოიღე ხმა!

ბენო - შეიძლება... სანამ სუფრა დამთავრდებოდა, ჟუტუს შეეძლო სახელში წასულყო და გამოეყინებია. ამას ვერავინ დაუშვლიდა.

გამომძ. - მანქანა სვინტრაძის ეზოში იდგა, ჭიშკართან მარჯვნივ, ნიგვზების ჩრდილში.

ბენო - შუადამისას ჩრდილი აუცილებული არ იყო.

გამომძ. - ნიგვზის ძირში, მაგრამ ცოტა უფრო ღობისკენ, ბეოლეებისა და მაისის ბლის ხის მახლობლად.

ბენო - /ღიმილით/ ის ბალი, თურმე, ეყინის შუა რიცხვებზე ადრე არ მწიფდება...

გამომძ. - დიახ, ბენიამინ ანაპოლიტოვის, ბლის მურაბაც კარგია... მაგრამ ღვინოზე არ მიდის...

ბენო - ასე რომ, მანქანას არაფერო

უჭირდა.

გამომძ. - საერთოდ, ბენიამინ ანაპოლიტოვის, ყველა მანქანას... ბაეშვები, მთრალი და ფხიველი... კარგი მასპინძელი უმეტუდალუროდ არაფერს დატოვებს... მიზარებულად მტკლმა შეინახაო.

ბენო - მართალია.

გამომძ. - /წამოსცდა/ ისე, მაგარი სმა იყო?..

ბენო - გვარიანი. ამიტომ არ შემეძლო... მანქანისთვის შედარაჯა.

გამომძ. - დიახ... არა, ბენიამინ ანაპოლიტოვის, თქვენ რატომ? არა, არა!

ბენო - და, მე ხომ არ ვიცი, მანქანა იქ მთელი დამე იდგა, თუ იმწუთებში მოვიდა, როცა სუფრა დაიშალა და მერე გვარიანი აქაღმაყალიც ატყდა.

გამომძ. - ჭინჭულია, ბატონო, იპოლიტე ვაშალოშიმე, არ ვიცი? და თქვენ. ბენიამინ ანაპოლიტოვის, ისე წამობრძანდით, მასპინძელი ვერ გამოგეშვებოდბათ... თქვენთვისაც კი არავის ეცვალა. არ დაუღვევებია იპოლიტეს ღვინო.

ბენო - ქორწილში ხდება ასეთი რამ, აქ გასაკვირი არაფერია.

გამომძ. - ის დალოცვილი რომ თავში გაბატონდება, თქვენ კი არა, ღმერთიც ავიწყდებათ. მაგრამ მანქანა იქ იდგა... მანქანა... შუადამეზე იქ იდგა.

ცეცო - ჟუტუ, თქვი, მანქანა შენ ხომ არ წამოგიყვანია.

ჟუტუ - არა.

ცეცო - იქ იდგა.

გამომძ. - ეზოში იდგა, ნიგვზის ჩრდილში... ძირში. ბეოლეების...

ბენო - და მაისის ბლის...

გამომძ. - დიახ, ბენიამინ ანაპოლიტოვის... ღვინო მაინც თუ იყო შუმი? წყალ და შაქარ გაურვევლი?

ბენო - თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჭიოკაძე ბორბოტად არ იყენებს სახელმწიფო მანქანას.

ცეცო - არა, არასოდეს!

გამომძ. - ამაში ბრალი არავინ დებს... ახლა ეს არ გვინტერესებს...

ბენო - მაგრამ, ეს ახასიათებს, ესეც უნდა ვიცოდეთ... რაკი ცნობილია ვისგან რა წარმოდგება.

ცეცო - რატომ არ გვინტერესებს?

გამომძ. - ვიცით და ისიც ვიცით, რომ დაუსწრებლად სწავლობს ავტომექანიკურ ფაკულტეტზე და ექვის თვე არაა, რაც გამზრდელი ბიძა გარდაეცვალა, ვის ნაშვილებადაც ითვლებოდა.

ბენო - ამიტომ ჭიოკაძეს შეეძლო მანქანა დაეგროვებინა და იქ მარტო ჩვენ მანქანა არ იყო.

გამომძ. - იქ იყო...

ბენო - ვიცი, შენ ათიოდე მანქანას ჩამოთვლი. ნომრებიც გეცოდინება.

გამომძ. - /შეიფერა/ მიწაში რაა, ის ვიცოი...

ბენო - ეს ძიების საქმეა... და შეეძლო ის სხვა მანქანით წასულიყო სახლში, დაესვენა ან ემეცადინა, ან, რასაც მოისურვებდა. ეს ჩვენი საქმე არაა და... / ბენოს ენა შეუბორძიკდა/ და, როცა დრო... ან, როცა გამოუარეს, წამოვიდა...

ცეცო - აუტუ, ვინ გამოგიარა.

გამომძ. - ბრადღებულყო ჭიოკაძე...

ბენო - მოითმინეთ, მე ვლაპარაკობ!

გამომძ. - გაჩუქდით, ბენიამინ ანაპოლისტოვიჩი ლაპარაკობს, რავე გადაითვროლი მაყრებიერთ...

ბენო - როცა მე შენ დამტოვა...

გამომძ. - სანამ თქვენ...

ბენო - /ყურადღებას არ აქცევს/ როცა მე დამტოვა... მე დამნაშავე ვარ...

აუტუ - მე არაფერი...

ცეცო - აუტუ!

ბენო - დამნაშავე ვარ რომ გადადღილი... ისე გვიან მძღოლი ვაღდეგული არაა... მას თავისი სამუშაო დრო აქვს...

გამომძ. - სახელმწიფო კანონის...

ბენო - კანონის თანახმად, მაგრამ გითხარით, მეც ჩემი ქვივისა და დროსტარების ხუშტურის გამო არ მიტეხია ღამე და - ამაზე ჩვენ ვილაპარაკეთ...

გამომძ. - დიახ... მერე... მანამდე რომ...

ბენო - მერე... როგორც მე შევიტყუე, იქ სხვა მანქანის თვლების კვადრიცაა, რომელიც წინ შემოიფეთა და შეიძლება ის გახლდეთ მიზეზი, ვინც... მძღოლს წინ გასახუდი არც გადაუღობა...

გამომძ. - ბრადღებულყო ჭიოკაძე...

ცეცო - აუტუ... თქვი, ვინ შემოგფეთა, გზა რამ გადაგიღობა, რა ფერის მანქანა იყო...

აუტუ - არ ვიცი.

გამომძ. - ბრადღებულყო ჭიოკაძე, შენ ჩემ ადგილზე ხარ.

ბენო - შენ ადგილზე რატომ?!

გამომძ. - ესე იგი, მე მის ადგილზე... ჩემ ადგილზე რომ იყოს...

აუტუ - არ ვიცი, არც ერთის ადგილზე არ მინდა ყოფნა... არც ჩემ ადგილზე, არ ვიცი... არ მახსოვს...

ცეცო - აუტუ რა დაგემართა, როგორ არ გახსოვს!?

ბენო - ხდება. ადამიანის ფსიქიკა რთული, ჯერ ამოუცნობი ლაბირინთია, და ხდება. არის შემთხვევები, როცა ერთი მომენტი კი არა, მთელი წარსული აეიწყდებათ...

გამომძ. - მაგრამ მე ვაღდეგული ვარ, ის მანქანაც ვიცოდე, შემოფეთებული...

ცეცო - აუტუ, რა დაგემართა?!

ბენო - ჩვენ ყველა ვაღდეგული ვართ ყველაფერი გავითვალისწინოთ, მაგრამ მე მაქვს ერთი, სრულიად შემთხვევითი ცნობა, ერთი მთხოვნელისა. ის მოხუცი თქვენთანაც იციან /ცეცოს/ აქ რომ ფულებით მაგიდა ააგოს. რომ, დია მწვანე მანქანა,, მოსკვიჩი" ისინი უფრო მდარე მანქანას ირჩევენ, რომ გარეგნულად არ მიიტკიონ ყურადღება, სიმღერით ორი ქალი და ორი მამაკაცი წამოვიდნენ შუადამეზე სოფელ გორმადალიდან და ადვილი შესაძლებელია იმ დროს ის მანქანა აქ ყოფილიყო.

გამომძ. - შემოფეთებული მანქანა „მოსკვიჩის“ ტიპისაა.

ბენო - ასე რომ, მხოლოდ ის, რომ ჩვენი მანქანა ნიგუზის ჩრდილში იდგა თუ მაინის ბღის გრილოში, კიდევ სხვა მიზეზებიცაა საძებარი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანი ჯერ კიდევ ამოუცნობი, რთული მომძიებელია. შიში, ტრაგედია, ტრაგემა და სხვა ფსიქოლოგიური მოვლენები ყოველთვის და ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს...


/კარზე გაისმის ნჯღრევა და ბაგაბუგი. ყველა დაბნეული მისჩერებია შემოსასვლელს. ევრაეინ მოიფიქრა, რომ გაუღოს და ნჯღრევა და ხმაური გრძელდება. გამომძიებელს ეყო ძალი, ამდგარეთი და გაუღო. შემოვბის ღლაღა. ეტყობა სხვა სურათი დახვდა, ვინემ მოვლოდა. სახტად დარჩა!

ბენო - რა ამბავია, რამ გადაგრიო!

გამომძ. - რა ამბავია?... რა ვიცი რა ამბავია /შოათვალთვითა ყველა/ თქვენსას ვინ რას გაიგებს... თქვენთვის... /გამომძიებელს შეხვდა, მერე ქმარს მიუბრუნდა/ შენთვის არც ღამეა მოსვენება და არც დღე. არც სამუშაო საათები იცი და არც უქმი... რას გაეს ეს... დაეწყდით შიმშილით. ერეკავი, ვერკავ ტელეფონი გამორთულია... ჩვენ ხალხი ვართ თუ ვინა ვართ? შენ გყავს ცოლი და შვილი თუ! /ისტერიკა აუფარდა/ თუ არ გყავს თქვი, თუ არ გყავს გააგებინე ქმუყანას. თუ არ გყავს, არსებობს კანონი და სამართალი... მართლაცა, ჩალით ხომ არაა ქმეყანა დახურული! /ბენოს მხარში ავღებს ხელს და გაკაცეს. გამომძიებელი ქაღალდებს კრებს, საქაღალდეში აწყობს

ფ ა რ დ ა

ვაკრძელება იქნება



ბაჩხან ბრეგვაძე

სახვითები

„Да, скифы мы!...“
Александр Блок

ერატოსტენესა და აპოლოდორეს მტიციებით, პომპროსი არ იცნობდა და ამიტომაც არ იხსენიებს სკვითებს და მათ სისასტიკეს უცხოტომელთა მიმართ (რომლებსაც ისინი მსხვერპლად სწირავდნენ, მათ ხორცს კი ჭამდნენ, ხოლო თავის ქალებს ფიადლებად იყენებდნენ), თუმცა სწორედ მათ გამო იყო, „ვექსენოს პონტოს“ („სტუმართმოყვარე ზღვა“, იგულისხმება „შავი ზღვა“, - ბ. ბ.) „აქსენოს პონტოს“ („არასტუმართმოყვარე ზღვა“, - ბ. ბ.) რომ შეერქვა... როგორ უნდა ეწოდებინათ პონტოსათვის „აქსენოს“, თუკი არ იცნობდნენ იქაურ მკვიდრთა - ამ ყველაზე ველური ხალხის მხეცურ ზნეს?..

სტრაბონი - ბერძენი გეოგრაფი
(დაახლ. 64 ძვ.წ.ა.-დაახლ. 24 ახ.წ.ა.)

-. -.

ჩვენი მიწა-წყალი ვრცელია და უხვი, მაგრამ წესრიგი არ არის მასში.

სლავების ელჩები-მარიამბებს; 862 წ.

რუსეთში გზები არ არის, არის მხოლოდ მიმართულება.

ნავროუმ I - საფრანგეთის იმპერატორი
(1769-1821; იმპ. 1804-1814).

-. -.

მკვლელობა - მბრძანებლის ტახტიდან ჩამოგდების რუსული საშუალება.

შარლ შორის დე ტალმირანი
(1754-1838) - ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

-. -.

საფრანგეთში რისთვისაა საჭირო აზრი? - გამოსათქმელად. ინგლისში? - აღსახსრულებლად. გერმანიაში? - მოსაფიქრებლად. რუსეთში? - არაფრისათვის.

*

ჩვენ - რუსები - მოგზაურებსა ვგავართ. არავის გაანინა არსებობის გარკვეული სფერო, არაფრისთვის არა გვაქვს წესი და რიგი; თვით ოჯახური კერაც კი; არაფერი, რაც მიგვიზიდავდა, სიმპათიას თუ სიყვარულს აღძრავდა. არაფერია მყარი და მუდმივი; ყველაფერი მედინია, მსწრაფლწარმავალი, ისე, რომ არაუთარ კვალს არ ტოვებს არც ჩვენს გარეთ და არც ჩვენში.

*

რუსულ მშენაში არის რაღაც უცნაური გაურკვეველობა... უცხო ქვეყნებში, მეტადრე სამხრეთში, სადაც ფიზიონომიები ასე მეტყვევლია და ცოცხალი, ჩემი თანამემამულეების სახეებს იქაურებისას რომ ვადარებდი, გაოგნებული ვრჩებოდი ჩვენი სიფათების სიმუნჯით.

ამტრე ჩააღაწი

(1794-1856) - რუსი მოაზროვნე და პუბლიცისტი.

-. -.

ამ უცნაურ ხალხში წრესგადასული ბაქიობა თავდაჯერებულობის უკიდურეს სიმწირეს ერწყმის. გარეგნული თვითკმყოფილება და მშფოთვარე თვითდამცირება სულის სიდრმეში, - აი, რა შემინიშნავს რუსების უმრავლესობისათვის. მათი პატივ-

მოყვარეობისათვის უცხოა დადღილობაც და კმაყოფილებაც. ამიტომ რუსების სულში ამაოდ დაუწევებთ ძებნას სისადავეს.

*

რუსები, თვით ისინიც კი, ვისაც მიკერებული აქვს "დიდის" მეტსახელი, ყოველთვის მარჯვედ მისდევენ მოდას. ამ ზერედედ და ზედაპირულად განათლებული ხალხის ხასიათში ყველაფერი წინააღმდეგობრივია. ყველაზე მეტად კი მისთვის ნიშნულია გამომგონებლობის უნარის უქონლობა. მის ყველაზე პატივმოყვარულ მისწრაფებებშიც კი მკაფიოდ საგრძნობია ერთგვარი მაიმუნობა: მას სურს თავის მხრეზეც გამოვიდეს მსოფლიო პოლიტიკის არენაზე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გასქანის მისცეს თავის სხვადასხვა უნარს, უმოქმედობით რომ აწამებენ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ხელახლა გაითამაშოს სხვა სახელოვანი სახელმწიფოების ისტორია.¹ მისი დამპყრობლური სულისკვეთება ძლიერების ნიშანი კი არ არის, არამედ მხოლოდ პრეტენზიისა. მისთვის უცხოა შემოქმედებითი ძალმოსილება. მთელი მისი ნიჭი სხვებთან გატოლების სურვილია; მთელი მისი გენია — მბრძანებლობისი ჟინი. ხოლო თუ მასში თვითმოყოფობის ნიშანწყალი მაინც შეიმჩნევა, მხოლოდ იმის წყალობით, რომ დედამიწის ზურგზე არცერთი ხალხისთვის ჯერ კიდევ ეგზომ აუცილებელი არ ყოფილა მისაბაძი ნიმუშები. ბუნებით გულმოდგინე დამკვირვებელი თავისთავადობას მხოლოდ სხვისი ქმნილებების გადმოღებით იძენს. მთელი მისი თვითმოყოფობა ყალბისქმნელობის ნიჭია, რასაც ის უფრო სრულად ფლობს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ხალხი. რუსების მოწოდება — ესაა ევროპული ცივილიზაციის თარგმნა აზიელები-სათვის.

*

რუსი ხალხის სულში ბორჯავს მძაფრი და დაუოკებელი ვნება — სხვისი მიწა-წყლის მიტაცებისა და დაპყრობის ჟინი; ერთი იმ ვნებათაგანი, რომელნიც იბადები-

ან მხოლოდ ჩაგრულთა სულში და მხოლოდ საყოველთაო-სახალხო უბედურებით საზრდობენ. ეს ხალხი, თავისი ბუნებით სხვისი მიწა-წყლის მიმტაცებელი და მით უფრო ხარბი, რაც უფრო დიდ უბედურებას განიცდის შინ, თავისი დამთრგუნველი და დამამცირებელი უბედურებით აღძრული თითქოს წინასწარ ცდილობს გამოისყიდოს სხვა ხალხებზე ტირანული მბრძანებლობის ოცნება. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ დიდებისა და კეთილდღეობის მოლოდინი გარკვეულწილად ავიწყებინებს მის მიერ დათმენილ შურაცხყოფას. მუხლმოღრეკილი მონა მსოფლიო პატრონობაზე ოცნებობს და სასოებით მოელის, როდის ჩამორევებავს საზოგადო თუ პიროვნული თავისუფლების უარყოფის სამარცხვინო დაღს... რუსებმა არაფერში არ იციან ზღვარი, ტანჯვა იქნება ეს, "წინ-მენდლების" ტრფიალი, მსხვერპლშეწირვითა თუ ნეტარებით თრობა. მათ შეიძლება მიადწიონ უზარმაზარ ძალაუფლებას, მაგრამ მხოლოდ იმ ფასად, რითაც აზიელი ხალხები ყიდულობენ თავიანთი სახელმწიფოების უცვლელობას, — ბედნიერების ფასად.

მარკოზი ასტოლფ დე კიუსტინი (1790—1857), ავტორი მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული და მრავალ ენაზე (მათ შორის, ქართულადაც) თარგმნილი თხზულებისა — "რუსეთი 1839 წელს" ("ნიკოლოზ I-ის დროინდელი რუსეთი").

— . —

რუსეთის ისტორია პეტრე დიდამდე უწყვეტი პანაშვილია, პეტრეს შემდეგ კი — უსასრულო სისხლის სამართლის საქმე.

თეოდორ ტიუტჩევი

(1803—1870) — რუსი პოეტი.

— . —

განთავისუფლებული რუსი ხალხი პარლამენტს კი არ მიაშურებდა, არამედ — სამიკიტნოებს, რათა ესვა, მინები ემტვრია და სახრჩობელებზე ჩამოეკონწიალებინა მემამულენი.

ბაზაროვნი ბაშინსკი (1811—1848),

რუსი კრიტიკოსი და პუბლიცისტი.

1 შდრ. რუსეთის პატივმოყვარული დევიზი: „ორი რომი დაეცა, მესამე დგას, მეოთხე კი აღარ იქნებაო“. — მთარგმნ.

— . —

რუსეთის მთავრობა, როგორც პირუკუ განგება, მომავალს კი არ აუშვებდნენ, არამედ — წარსულს.

*

რუსული ცხოვრების სულისშემხუთველი სიცარიელე და სიმუხვე, უცნაურად შერწყმული ხასიათის სიცხოველეა და თვით სიმშაგესთან, განსაკუთრებული ძალით ავითარებს ჩვენში ყოველნაირ საღოსობას (счастье).

ალექსანდრე გერცენი —

(1812–1870) — რუსი მწერალი და ბუბლიცისტი.

— . —

განსხვავება სასულიერო და სხვა რუსულ წოდებებს შორის: აქ — ბევრი ღმთი, იქ — ცოტა ფხიზელი.

*

შეიძლება აღმერთებდე ყველას, ვისაც სწამს რუსეთი, მაგრამ არა მათი რწმენის საგანს.

პასილი კლიუნეჰსკი —

(1841–1911) — რუსი ისტორიკოსი.

— . —

“რუსები უცნაური ცთუნებით ამტკიცებენ — “როგორც აღმოსავლელი, ისე დასავლელი ხალხიცა ვართ”, “ევროპისა და აზიის შემაერთებულნი”, და, საერთოდ, ვერ ამჩნევენ, რომ არც დასავლელი არიან და არც აღმოსავლელი, რადგან, კაცმა რომ თქვას, რა მიიტანეს აზიაში, ან რა როლი ითამაშეს ევროპაში? აზიაში მათ გაატყავეს და გააღოთეს ბურიატები, ჩერემისები და ყირგიზ-კაისაკები; გაატყავეს სომხები და ქართველები; ისიც კი აუკრძალეს (მე თვითონ ვისმენდი) ქართულად მოესმინათ თავიანთი მართლმადიდებლური წირვა... ო, ო, თვითონ ვისმენდი, თვითონ ვისმენდი წირვას “ტიფლისში” (в Тифлисе). ევროპას ისინი მოვედინენ გერცენისა და ბაკუნინის სახით და იქ “შეიტანეს სოციალიზმი”, რადგანაც, აი, სწორედ ეს აკლდა ევროპას. ევროპასა და აზიას ჩვენ მოვედინეთ ნამდვილ “შევეუმკებად” (межумками), ე.ი. ნიმილისტებად, ისე, რომ არც ევროპისა

გვესმოდა რამე და არც აზიისა. მხოლოდ ღმთობა, ლექი და ლაფი შევიტანეთ. ეს კი მართლაც შევიტანეთ. სტრახოვი მწუხარედ და, ცოტა არ იყოს, აღტაცებითაც მიუხედავად: “ამდენი რუსი ტურისტის შემყურე, ევროპელები განცვიფრებულნი არიან რუსების ნიჭიერებით და მათი დახვეწილი გარყვნილებითო”. აი, ასე. მაგრამ შევიტანეთ ოჯახი? ზნეობის კეთილი საწყისი? შრომისუნარიანობა? არა და არა; უფალო, რა საზარელია სათქმელად”.

პასილი როზანოვი

(1856–1919) — რუსი მწერალი.

— . —

ბევრი რამაა ენიგმური რუსეთის ისტორიაში, რუსი ხალხისა და რუსული სახელმწიფოს ბედში. დამოკიდებულება რუს ხალხს, რომელსაც სლავიანოფილები ადიდებდნენ როგორც უსახელმწიფო ხალხს, და უზარმაზარ რუსულ სახელმწიფოს შორის, დღემდე ჩვენი ისტორიის ფილოსოფიის გამოცანად რჩება, თუმცა არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ რუსეთის ბედში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გეოგრაფიულ ფაქტორებს, მის მდებარეობას დედამიწის ზურგზე, მის უკიდვანო სივრცეს. რუსეთის გეოგრაფიული მდებარეობა ისეთი იყო, რომ რუს ხალხს ძალაუბნებურად უნდა შეექმნა უზარმაზარი სახელმწიფო. რუსეთის თვალუწვდენ ტრამალებზე უნდა ჩამოყალიბებულყო დიადი აღმოსავლეთ-დასავლეთი, გაერთიანებული და ორგანიზებული მთელი. უსაზღვრო სივრცეები ადიდად ეძლეოდა რუს ხალხს, მაგრამ მისთვის ასევე ადიდი როლი იყო ამ სივრცეების ორგანიზება მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოდ, მასში წესრიგის დამყარება და დაცვა. რუსმა ხალხმა ამას შეაღია თავისი ძალის დიდი ნაწილი. რუსული სახელმწიფოს გრანდიოზულობა რუსი ხალხის წინაშე აყენებდა უძნელეს ამოცანებს, რაც მისგან მოითხოვდა ძალების ზედურულ დაძაბვას. ასე რომ, თავისი სახელმწიფოს შექმნისა და დაცვის ურთულეს საქმეში იწირებოდა რუსი ხალხის ძალა. სახელმწიფოს მოთხოვნები ძალიან ცოტას თუ ტოვებდა თავისუფალი ძალის ნაშთებს. რუსი ადამიანის მთელი

გარეგნული საქმიანობა სახელმწიფოს სამსახურს ხმარდებოდა, რამაც თავისი უსიხარულო დადი დაასვა მის ცხოვრებას. რუსებს თითქმის არ შეუძლიათ სიხარულით ტკობა. მათ არ გააჩნიათ შემოქმედებითი თამაშის ძალა. რუსული სული დათრგუნვილია უსასრულო რუსული ველდებით და უნაპირო რუსული თოვლით; ის ინთქმება და ითქვიფება ამ უსასრულობაში. რუს ადამიანს უჭირდა ფორმის ყალიბში მოქცევა თავისი სული და თავისი შემოქმედება. ფორმის გენია რუსული გენია არ არის; მას გაკორვებით თუ შეუთავსებ სივრცის გაელენას სულზე და რუსებისთვის თითქმის სრულიად უცნობია ფორმის სიხარული.

*

რუს ხალხს არა სურს იყოს ვაჟაკცურად მხნე მშენებელი, მისი ბუნება განისაზღვრება როგორც ქალური, პასიური და სახელმწიფო საქმეებში მონა-მორჩილი. პასიური, რეცეპციული ქალურობა სახელმწიფო ძალაუფლებასთან მიმართებით ისე დამახასიათებელია რუსი ხალხისა და რუსული ისტორიისთვის (ამას მთლიანად აღასტურებს რუსული რევილუცია, რომელშიაც ხალხი სულიერად პასიური და ახალი რევილუციური ტირანიის მორჩილი ხდება, თუმცაღა ბოროტებით აბორგებულნი). მრავალტანჯული რუსი ხალხის მოთმინებას არა აქვს ზღვარი. სახელმწიფო ხელისუფლება არასახელმწიფოებრივი რუსი ხალხისთვის ყოველთვის გარეგნული პრინციპი იყო და არა შინაგანი; ის მის მიერ კი არ იქმნებოდა, არამედ თითქოს გარედან მიდიოდა მასთან, როგორც სასიძო მდიის სასქლოსთან.

*

ძალზე ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ისტორიაში არ ყოფილა რაინდობა, ეს ვაჟაკცური საწყისი. ამასთანაა დაკავშირებული პიროვნული საწყისის არასაკმარისი განვითარება რუსულ ცხოვრებაში. რუს ხალხს ყოველთვის მოსწონდა ცხოვრება კოლექტივის სიბოლოში, ერთგვარი გათქვე-

ფილობა მიწის სტიქიაში, დედის წიადში. რაინდობით იჭედება პიროვნული ღირსების გრძნობა და იწრთობა პიროვნება. ამ პიროვნულ წრთობას ვერ განაპირობებდა რუსეთის ისტორია. რუსი ადამიანისათვის ნიშნეულია უნიათობა და მოშვეულობა, რუსული ხასიათისთვის უცხოა მკვეთრად გამოკვეთილი და ნაქანდაკარი პროფილი.

*

რუსეთი ყველაზე ნაციონალისტური ქვეყანაა მსოფლიოში, არნახული ნაციონალისტური ექსცესების ქვეყანა, რუსიფიკაციით რომ თრგუნავს მის ძალაუფლებას დაქვემდებარებულ ერებს; ნაციონალური ბაქიობის ქვეყანა, სადაც ყველაფერი ნაციონალიზებულია თვით ქრისტეს მსოფლიო ეკლესიამდე; ქვეყანა, ერთადერთ ხმობილად რომ მოაქვს თავი და ზიზღით უყურებს, მისი აზრით, დასაღუპად განწირულ მთელ ეროპას, როგორც ხრწნილებას და ეშმაკის ნახსლეტს.

*

რუსეთი არნახული სერვილიზმისა და ამაზრზეინ მორჩილების ქვეყანაა, რომლისთვისაც უცხოა პიროვნების უფლებათა შეგნება და მისი ღირსების დაცვა; ინერტული კონსერვატიზმის, სახელმწიფოს მიერ დამონებული რელიგიური ცხოვრების, გახუვებული ყოფისა და მძიმე ხორცის ქვეყანა; კონსერვატული, წლუნგი მომხევეულებისა და ხორცის სიმძიმეში ჩაფლული ვაჭრების ქვეყანა, რომლის ჩინოენიკებიც არასოდეს არ გადადიან ჩაქეტლი და ჩამკვდარი ბიუროკრატიული სამეფოს საზღვრებს, ხოლო გლენებს, პირწმინდად გარეგნულად, ანგარების კარნახით რომ იღებენ ქრისტიანობას, არაფერი არა სურთ, გარდა მიწისა; მატერიალურ ყოფაში ჩაბირული სამღვდლოების, უსულგულო რიტუალების, თავისი აზრით ინერტული და კონსერვატული, ყველაზე ზედაპირული მატერიალისტური იდეებით დასნეულებული ინტელიგენციის ქვეყანა.

ნიკოლოზ ბარდიანვი (1974-1948) - რუსი ფილოსოფოსი (ემიგრანტი).

- . -

ყოველივე სხვა რამის უქონლობის გამო უცხოელები, ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ ჩვენში ყველაზე მეტად მოეწონათ ხალხი.

ნიკიტა ბოგოროვსკი (დაბ. 1913 წ.) –
რუსი კომპოზიტორი.

- . -

რუსეთს არ შეუძლია სხვისი გზით სიარული. მას თავისი საკუთარი გზით სიარულიც არ შეუძლია.

კონსტანტინე მელისანი –
თანამედროვე რუსი სატირიკოსი.

- . -

ჩვენი ხალხი მშვიდობისმოყვარეა და უბოროტო. რეალის წელი ომებსა და ლაშქრობებში აქვს გატარებული...

გენადი ფიშანოვი –
(დაბ. 1944 წ.), რუსი კომუნისტი პოლიტიკოსი.

- . -

რუსი ხალხი, რომლის სახელმწიფოც აურაცხელ ბუნებრივ სიმდიდრეს და უზარმაზარ დაპყრობილ ტერიტორიებს ფლობს, თავის თავს დიდი ხალხების რიცხვს აკეთვნებს და კაცობრიობისა და მთელი მსოფლიოს ისტორიულ განვითარებაში სრულიად განსაკუთრებულ როლზე აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ მუდამ სიდატაკეში, უმეცრებასა და უუფლებობაში მყავდება; ხალხი, რომელსაც სხვა ხალხები დაფეთებული გაურბიან და ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შორს დაიჭირონ მისგან თავი, – საშინელი ხალხია, ზნეობრივი კეთრით სნეული, ქურდულ მიდრეკილებებში და ციხის ზედამხედველის ამაზრზენ აგრესიულობასა თუ ველურ ქვამადლობაში რომ იხენს თავს.

ზ. შატკუღინოვი –
თანამედროვე რუსულენოვანი მწერალი.

- . -


გასული საუკუნის რუსეთის ლიტერატურული დებიუტი ერთგვარი აპოგეა, ბრწყინვალე მიღწევა იყო, თვითონვე რომ გააოგნა იგი: ბუნებრივია, რომ მას თვითონ უკვირდა და გადაჭარბებულ მნიშვნელო-

ბას ანიჭებდა ამას. დოსტოვესკის გმირებს ღმერთის სიმადლეზე აყავდათ რუსეთი. რადგანაც კითხვებს, რომლებშიაც, ჩვეულებრივ, ღმერთს გულისხმობენ, ისინი რუსეთს უსადაგებდნენ: უნდა გვწამდეს თუ უარყოფდეთ? მართლა არსებობს თუ მხოლოდ საბაბია? ამნაირი კითხვები სხვა არა არის რა, თუ არა თეოლოგიური ტერმინების გადატანა ლოკალურ პრობლემაზე. მაგრამ დოსტოვესკისთვის რუსეთი ლოკალური კი არა, უნივერსალური პრობლემაა, იმავე რანგისა, რაც ღმერთის არსებობა. ამ უთავბოლო და არაბუნებრივ დემარშს, რაც მხოლოდ არანორმალური განვითარების ქვეყანაში იყო შესაძლებელი, დიახაც შეუძლო თავგზა აებნია ხალხისთვის. ინგლისელს უტაქტობაში ჩამოერთმევა კითხვა: აქვს თუ არა ინგლისს აზრი? ან, რიტორიკული ძალით, მისთვის მესიანიზმის მიწერა: მან იცის, რომ ინგლისელია და ამას სჯერდება. მისი ქვეყნის განვითარება არ საჭიროებს არსებით კითხვებს.

რუსული მესიანიზმი დასაბამს იღებს შინაგანი გაურკვევლობის, საკუთარი მანიკურების დამკვიდრების, სხვებისთვის მისი თავზე მოხვევის და თავისი ამაზრზენი იქნეულობით მათი დაგვეკლისაგან. მსოფლიოს „სისის“ ავადმყოფური სურვილი ახალგაზრდა ერის საქმავილო სენია.

მ. მ. სიორანი –
XX ს. რუმინელი (ფრანგულენოვანი) ფილოსოფოსი (ემიგრანტი).

თარგმნა
ბაჩანა ბრეგვაძე



კოორკი

მარტინიშვილი

ლავით

სახაჯიშვილის სახლი

თბილისის ერთ ძველ უბანში, სოლოლაკში, ი. მაჩაბლის ქ, №13-ში (ყოფ. სერგის ქუჩა) დგას XX საუკუნის დასაწყისში აგებული საცხოვრებელი სახლი. იგი აშენებულია 1890-1900-იანი წლების ევროპაში მეტად პოპულარული მიმდინარეობის — მოდერნის რიგზე. მაგრამ ევროპული და რუსული ხუროთმოძღვრების მკვლევარი ამ შენობის მიმოხილვისას ნახავს მოდერნის თვალსაზრისით მრავალ მეტად უცნაურ ელემენტს. შენობა ქუჩაზე გამოდის მოდერნისათვის ტიპიური ფასადით, რომლის აღნაგობაც, ერთი შეხედვით სიმეტრიულია. ცენტრი ხაზგასმულია დიდი ქედური შესასვლელი კარით. მის თავზე მოთავსებული დაბალი, მაგრამ განიერი სამმა-

გი ფანჯრით, "ფრანგული" აივნით დასრულებული თავისებური ლოჯიითა და მაღალი "გერმანული" სახურავის არეში გამართული მრუდთარგოვანი პლასტიკური მოხაზულობის არქიტექტურული ელემენტით. ამ მძლავრ ცენტრალურ ღერძს ამხეილებს სართულეზის მიხედვით ცვალებად სახეებად დამუშავებული ერთგვარი ჩარჩო, რომელიც ხაზგასმულად დეკორატიული პლასტირებისაგან არის შედგენილი. ცენტრალური ღერძის ზედა ნაწილში, კარტუშიში, ჩანერილია სახლის აშენების თარიღი 1905 წ. ცენტრალური ღერძის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული მსგავსი მოყვანილობის თაღოვანი ფანჯრები სართულების მიხედვით დიფერენცირებული საპირეებით. ასევე სიმეტრიულადაა განლაგებული სახურავზე გამომავალი ოთხი მანსარდა. ფასადის აღწერილ „მკაცრ“ სიმეტრიას არღვევს ცენტრალური ღერძის მარჯვნივ, შენობის კიდეში არსებული გამავალი დიდი თაღოვანი კარიბჭე, რომლის გასაწინასწორებლად შენობის მარცხენა ნაწილი ჭარბი დეკორითაა დატვირთული. მოდერნისათვის დამახასიათებელი ღიობთა მოძრავი ფორმები, სხვადასხვა ხასიათის გამოსახულებათა — ორნამენტული და სახვითი ფორმების თავისებური შერწყმა; კარ-სარკმელთა თაღები და საპირეები აგებულია სხვადასხვა რადიუსისა და ზომის მრუდების მეშვეობით. სხვადასხვაგვარი ფაქტურის მქონე ელემენტთა დაპირისპირება, მოძრავი ნახატიის შემქმნელი მსუბუქი ნაჭედი დეტალების სიჭარბე დიდად აცხოველებს შენობის სახეს.

მოდერნისათვის დამახასიათებელი ქუჩის ფასადთან შედარებით სრულიად სხვა სახეს ქმნის შენობის ეზოს მხარე. იგი მკაცრ სარკისებრ სიმეტრიაზეა აგებული. სახლის ძირითად კორპუსზე მიდგმულია აივანი, რომლის მეზონიონი დასრულებული უდიდესი ცენტრალური ნაწილი დიდი მანძილით გამოწეულია წინ და მთელი კომპოზიციის დო-

* გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია დ. სარაჯიშვილის სახლის სრულად ამსახველი ალბომი, შედგენილი დ. ნ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოებით. როგორც ჩანს, ალბომის შექმნა გამოწვეული იყო იმ მნიშვნელობით, რასაც თვით დ. სარაჯიშვილი ანიჭებდა ამ შენობას. ამდენად სახლის სტილისტურ-მხატვრული ანალიზი ჩვენის აზრით, იძლევა იმდროინდელ ქართული საზოგადოების ცნობიერების გასაღებს.

მინანტს წარმოადგენს. ცენტრალური ნაწილი ფაქტიურად არის ძირითადი კორპუსის მიმართ კუთხით დაყენებული ორსართულიანი მოცულობა, რომლის მთავარ მხატვრულ ელემენტად (ისევე როგორც მთელი ფასადისა), კედლის გლუვი, სადა სიბრტყეებისადმი დაპირისპირებული, მდიდრულად მორთული აივანი გვევლინება. ყურადღებას იპყრობს აივნის ელემენტთა სახეებიც; განსხვავებით ძველი თბილისური აივნების ტოსკანური ორდერისაგან აქ ახლებური მოყვანილობის საყრდენება გამოყენებული. სვეტი ოთხკუთხა და მასზე "ასხმულია" ასევე სწორკუთხა ფორმები. ერთი "ასხმულ" ფორმათაგანი აივნის ზღუდის თავზე უბრალო შესქელებას, ხოლო უფრო მცირე ზომის ფორმათა კომბინაცია სვეტების კაპიტელებს ჰქმნის. კაპიტელები მთავრდება მცირე ვოლუტებით. ყველა გეომეტრიული ფორმა ერთმანეთს მრუდით უკავშირდება. აივნის ზღუდისა და თაღების ნახატიც თავისებური სახეებითაა აგებული. ყოველი რიკული თხელი და მაღალი ფორმაა თავის მხრივ შედგენილი სფერული და წაგრძელებული მრუდთარგოვანი ელემენტებისაგან. ყოველი ინტერკოლუმნიუმის შუაგულში, ზღუდის სათანადო მონაკვეთის ცენტრალურ არეში ქნარისებრი გამოსახულება არის მოთავსებული, ხოლო თაღნარის ზედა არეები ვერტიკალური ზოლებით და მათ მაღლა მდებარე რიტმულად განმეორებადი მარტივი დეკორატიული ელემენტებითაა შემკული. აივნის საერთო გამომსახველობას აძლიერებს ქიშერების სახით გაფორმებული კონსტრუქციების ბოლოები. ე.ი. ეზოს მხრიდან შენობა ფაქტიურად XX ს-ის ევროპის გემოვნებით ნაგებ თბილისურ სახლს წარმოადგენს.

მთავარი გასასვლელი შენობიდან ეზოში წარმოადგენს ეზოს დონიდან რამდენადმე აწეულ მცირე ტერასას, რომელიც ქვის ბალუსტრადით არის გამოყოფილი. ეზოს შემოფარგლველი კედლის მხარეს, ტერასაზე აგებულია ქვის, მდიდრულად გაფორმებული წყარო.

თვით ეზოც საინტერესო იყო. იგი რეკულარული ბალის თავისებურ მინიატურულ ნიმუშს წარმოადგენდა მოლსა და ხეებს შორის საგანგებოდ დაკვალული ბილიკებითა და მოუსვენარი, პლასტიური ფორმის აუზით, რომლის ცენტრშიც "პუტის" მცირე ქანდაკება იყო აღმართული.

როგორც დავინახეთ, შენობის მთლიანი სახე, მისი მხატვრობა დაფუძნებულია "ევროპული" და "თბილისური" ფასადების კონტრასტზე. ასეთი ორბუნებოვნება კიდევ

უფრო თავისებური სახით გამოვლინდა სახლის შიდა სივრცეებში.

ოთახები ძირითადად აგებულია მოდერნისათვის დამახასიათებელი ხასიათის ყველა წესის დაცვით. ხუროთმოძღარი კედლის სიბრტყეებს „შლის“ მაქსიმალური დეკორატივიზმამდე მიყვანილი ისეთი ელემენტების მეშვეობით, როგორიცაა პილასტრები და კედლის თაღები (ვესტიბიული). ამ ელემენტებისათვის ყოველგვარი ტექტონიკური შინაარსის გამოსატყვევად ხუროთმოძღვარმა გაათამაშა თვით პილასტრთა სიბრტყეები — დაადებლა მათი ცენტრალური არე, შეავსო იგი ორნამენტით (ვესტიბიული, ფასადი). კედლის თაღებს დაუპირისპირა კედელთა თაღოვანი, ნახევარწრიული და ელიფსური ნაეშით შევსებული სიბრტყეები, აქცია რა ამით კედლის თაღები ერთიანი დეკორატიული სისტემის ნაწილად. კედლებს ხუროთმოძღვარი ილუზორულად შლის სხვადასხვა ფაქტურის მქონე მასალების და მათი შეპირისპირების მეშვეობით. ხმარობს ისეთ მომქმედ საშუალებებსაც, როგორც არის სარკე, რომელიც ირეკლავს რა სხვისებს "ასხვრევს" კედლის ზედაპირს. ოთახებში ვერ შევხვდებით მშვიდ, მთლიანი სიბრტყეებს. ვესტიბიულის შემდეგ არსებული, ტერასზე გამავალი ოთახის კედლები და ჭერი ვინა რელიეფური კამარის მეშვეობით ნანევრდე-



ბა თავისუფლად, ნერვიულად შემოხაზულ არეებად, ხუროთმოძღვარს არ უყვარს სწორი ხაზი. ერთგვარი გეომეტრიულობა ოთახში მხოლოდ პარკეტის ან ზოგჯერ შპალერის მარტივ ნახატს შემოაქვს. კარ-სარკმელთა კონსტრუქციებიც კი ნებიერად იზნიქებიან და ქმნიან მხოლოდდამხოლოდ ხუროთმოძღვრისა და დეკორატორის ფანტაზიის შესაბამის სურათებს. ყოველი დეტალი შექმნილია იმ ანგარიშით, რომ ოთახში მყოფი მოაქციოს მოუსვენარ, მოძრავ, მდიდრულად გაფორმებულ გარემოში და ოთახთა გადაწყვეტის მრავალფეროვანებით გაუღვიძოს ინტერესი მთელი სახლის მოსახილველად. არქიტექტორი არ ჯერდება კედლის სიბრტყეთა "გათამაშებას" და რამდენიმე ოთახში ქმნის მძლავრ დეკორატიულ აქცენტებს საგანგებოდ გაფორმებული ბუხრების სახით. ბუხარი ან მოქცეულია კედელში სპეციალურად მისთვის ამოჭრილი დახრილზედაპირიანი ნახევარწრიული თაღით დასრულებული ნიშაში (კაბინეტი), ან წარმოადგენს დამოუკიდებელ, კედლის სიბრტყეზე მიდგმულ მოცულობას და ქცეულია სხვადასხვანაირად დატვირთული, სხვადასხვა ფაქტურისა და ფერის ელემენტების თამაში — შეპირისპირების ერთ-ერთ აქტიურ ნაწილად. საკუთრივ ბუხრებიც „ყრუ“ არეა დეკორატიული დამუშავების წყალობით გამოყენებითი ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენენ. ყოველივე ეს ეხება შენობის "ვერობიულ" ნაწილს. საყურადღებოა მისი მეორე — აღმოსავლური მხარეც, რომლის სახის განმსაზღვრელი ელემენტებიც სრულიად სხვა კულტურული რეგიონის — მაჰმადიანური აღმოსავლეთის კუთვნილების შეადგენს. საუბარია ერთ-ერთი ოთახის ჭერზე, რომლის კედლებთან გადაბმის ადგილიც სტალაქტიტური ფრინოთ არის აღნიშნული. ფრინო ზევიდან და ქვევიდან გაუყვება ნაირნაირი ორნამენტით დაფარული ზოლები. ორნამენტის აგებისას გამოყენებულია მსგავსი სახეების მრავალგზის განმეორების ზერხი ანუ ე.წ. "დაუსრულებელი რაპორტი". საკუთრივ ჭერიც სრულიად სხვაგვარია. თუ "ვერობიულ" ოთახებში ჭერი არის ფონი სხვადასხვა სახის ორნამენტთათვის, აქ ფონი პრაქტიკულად აღარაა, იმდენად მჭიდროდ არის იგი დაფარული ნაყშით. ორნამენტიც ხალჩისებრია. რთულ ხლართში თანაბრად არის გაბნეული რამდენიმე აქცენტი. განსხვავებულია იატაკის ნახატიც. "ვერობიულ" ოთახთა იატაკების მკაფიო გეომეტრიული დეკორი აქ იცვლება ნერვიული, ტეხილი და ერთის შეხედვით ნაკლებად ორგანიზებული სახეებით. ასევე აღ-

მოსავლურ ასოციაციებს იწვევს ერთ-ერთი ოთახის ბუხრის თავზე მოთავსებული სარკის შეისრული ფორმა და სააბაზანოში გამოყენებული დეკორატიული მოტივი. აქ სარკის გარშემო გამოყოფილია ელიფსური მოხაზულობის მრუდით შემოფარებული არე, რომელიც შეესებულება "სტალაქტიტების" მსგავსი ფორმებით.

როგორც ვხედავთ, შენობის მხატვრული სახის განმსაზღვრელი ნიშანი არის მისი ხაზგასმული "ორბუნებოვანება" და ორფასადიანობა, რაც არაა შემთხვევითი. სწორედ ამაში გამოიხატება მცდელობა ადგილობრივი ტრადიციული თუ საუკუნეების მანძილზე გათავისებული ყოფის ცალკეული მხარეების, მოთხოვნილებების, გემოვნების შესაბამისა რუსეთიდან შემოსულ "მოდასა" თუ თავზე მოხვეული ფორმებთან. ორბუნებოვანება ერთის მხრივ გამოვლინდა "თბილისურ-ვერობიული" ფასადების, ხოლო მეორეს მხრივ "ვერობიულ" მაორიენტალიზებული შიდა სივრცეების დაპირისპირებაში. ეზოს მხატვრული გააზრება და აქედან გამომდინარე შენობის ორფასადიანობა არ ყოფილა გამოწვევის თბილისის ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული შენობათა ტიპოლოგიურად მსგავსი გადაწყვეტა, რომელიც ჩამოყალიბდა და განვითარებული სახის ნიმუშები მოგვცა XIX — XX სს-თა მიჯნაზე. ასეთი მიდგომის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია კახტავას ქ. №12-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომლის ქუჩაზე გამომავალი ფასადი ეკლექტიკის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს, ხოლო ეზოს მხარე არის ნაწილი ოდესღაც მაღალმხატვრული ანსამბლისა. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა ლ. ქიანელის №7 ა-ში მდებარე, არშაკუნისა და ქობულაძეების სახლში (დღევანდელი სამხატვრო აკადემიის შენობა) და სხვა. შენობათა ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელია აღნიშნული ხანის საქართველოს სხვადასხვა მხარისათვისაც. მაგალითისათვის გავისხენოთ დღევანდელი უკვე გავრეცხილი "გარიყულა" თარხნიშვილების სახლი კასპის ახალქალაქში (XIX ს-ის 50-იანი წწ. ბარიატინსკის მეფისნაცვლობის ხანა) ფასადები აქაც ვეროპიული მოტივების უხვი გამოყენებით არის აგებული. კლასიციკლური ორმაგი ორდერი, დიდი თაღოვანი კარ-სარკმლები და სამი აივანი, რომელთაგანაც უდიდესი, სასახლემშენ შესასვლელ კართან ერთად აღნიშნავს ფასადის ცენტრალურ ღერძს, "მავროპიუზებული" არქიტექტურის რიგში აყენებს ამ შე-

ნობას. მსგავსებას სარაჯიშვილის სახლთან აქლიერებს ისიც, რომ ორდერს აქაც გამოცლილი აქვს ტექტონურობა. პილასტრების შუა არე დადაბლებულია, რის მეშვეობითაც ნაწვერდება ფუსტი და იქნის ხაზგასმულად დეკორაციულ ელფერს. მეორე, გრძივი ფასადი უფრო "აქტიურია". მასში დიდი ადგილი უჭირავს შემინულ ლოჯიას და პირველი სართულიც თითქმის მთელ სიგრძეზე თაღნართაა გახსნილი. საკმარისი იყო შევსულიყავით შენობაში, რომ ნარმოკვიდგებოდა ერთის შეხედვით სრულიად სხვაგვარი სამყარო, დიდი, ერთმანეთში უზარმაზარი თაღით გახსნილი ან მცირე, მოზღუდული ოთახები, რომელთა ჭერი ან თაღოვანია ან სტალაქტიტური, ხოლო კედელთა სიბრტყეები დანაწევრებულია სტალაქტიტური თუ სადა ნიშებით. თითქმის ყველა ოთახის კედელი ხალიჩისებრი ორნამენტითაა დაფარული. ოთახთა მოხატულობა იმდენად დამახასიათებელია სპარსული კულტურისათვის, რომ მის ერთ-ერთ უახლოეს პარალელად შეიძლება დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნი არსებული ხანთა სასახლის მხატვრობა მივიჩნიოთ XVIII ს. მაგრამ მიუხედავად უეჭველი მსგავსებისა, დიდი განსხვავებაც არსებობს საცხოვრებლის მოხატულობის ამ ორ ნიმუშს შორს. შექმნი ხანთა სასახლის ოთახთა დეკორი თანაბრად ავსებს მისთვის გამოყოფილ არეებს მაშინ, როდესაც "გარიყულას" მომხატველები არჩევდნენ სარკისებრი სიმეტრიის წესით აგებულ კომპოზიციებს სათლად გამოყოფილი ცენტრითა და მის ორივე მხარეს გაშლილი, ცენტრალური აქცენტისადმი დამორჩილებული ორნამენტით. კიდევ მეტიც. ერთფეროთი ოთახის "აღმოსავლურობა" გამოხატულია მხოლოდ ჭერ-კედელთა გადახმის ადგილას მოთავსებული სტალაქტიტური ფრჩხით და ჭალის გარშემო არსებული ნაყმით. სადა კედლები კი დეკორატიულია რიტმულად განმეორებადი მსხვილი ორნამენტით, რომლის ანალოგიასაც როკოკოს ხანის ევროპულ ხელოვნებაში თუ შეხვდებით და მასში პლასტიკური, ამავე ხანისათვის დამახასიათებელი "რელისტიური" ხერხებით გამოსახული ქალის ფიგურაა მოთავსებული.

ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა ერთიანი, კულტურული პროცესის ევროპა-აღმოსავლეთის კულტურული ექსპანსიის პირობებში არქიტექტურის ადგილობრივი სახის შემუშავების სხვადასხვა საფეხურის მაგალითია. ძიებისა, რომელიც მსჭვალავს XIX საუკუნის მეორე ნახევარს და XX ს-ის დასაწყისს. აღწერილი მიდგომა, რომ ქართული კულტურის განვითარების შედეგი იყო, ცხადი გახდება

ორი მოწმობის გახსენების შემდეგ. 1860-იანი წლების დამლევს პეტერბურგში სასწავლებლად ჩასულმა იაკობ მანსვეტაშვილმა დიქირავა ბინა სახლში, რომლის აღწავლაშიც იგი გააოცა. მიგმართოთ მას: "საღამოს უამი იყო, ნავედი ბინის მოსაწახად, წევისა და ლიტინის პროსპექტების კუთხეში ვიშოვე ოთახი, მეზუღე სართულში იყო და ეზოში ჰქონდა გადასახედი. გავიხედე და არ ვნახე: ეზო კი არ იყო, როგორც ჩვენში, არამედ ღრმა ქა, ოთხივე კუთხივე მაღალი კედლებით შემოზღუდული". იგივეს იმეორებს XIX-XX სს-თა რუსული ხუროთმოძღვრების მკვლევარი ვ.გ. ლისოვსკიც. ეხება არ ეკლექტიკის რიგის ხუროთმოძღვრებას, იგი წერს შემდეგს: "კერძო მფლობელობაში მყოფი ნაკვეთების განაშენიანება მაქსიმალურად მჭიდროვდებოდა. შიდა კვარტალური სივრცე ფაქტიურად არ ექცეოდა არქიტექტორის მხედველობის არეში; მთელი მისი ყურადღება გადატანილი იყო შენობათა მთავარ ფასადებზე, რომლებიც მათი მემპატრონისათვის რეკლამის როლს ასრულებდნენ. ხუროთმოძღვრებამ მნიშვნელოვანწილად დაკარგა სივრცობრივი ხელოვნების თვისებები". რუსულ ხუროთმოძღვრებაში ეზოს ყურადღება მიექცა მხოლოდ მოდერნის დამკვიდრებისას და ისიც გამოიხატა კურდონერის ტიპის ეზოს შექმნაში. იქმნებოდა ქუჩაში გახსნილი ეზოს (კურდონერის) გარშემო დაჯგუფებული შენობათა საცხოვრებელი კომპლექსები. მაშინ, როდესაც თბილისში უპირატესობა მიენიჭა შიდა ეზოს, რომელიც ქუჩისაგან შენობის "ევროპული" ფასადით იყო გამოიწველი. როგორც ვხედავთ, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, ქართული ხუროთმოძღვრება თავისი საკუთარი გზით ვითარდებოდა და საცხოვრებელი არქიტექტურის გამორჩეული ნიმუშები პატივად ინდივიდუალურ იერს ატარებდნენ. ეს თავისებულება თბილისური ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვანი განვითარების ახალი საფეხური იყო მასლოდ, რუსეთის გზით ევროპაში უშუალო გასვლის შედეგი. ამაში გვარწმუნებს XVII — XVIII სს-თა მასალებზე და ჩერნეცოვის ჩანახატებზე ასახული ქალაქის შედარება XIX-XX სს. ტფილისთან. XVII-XIX სს. თბილისის ხუროთმოძღვრული წესებით ცოტად თუ ბევრად გაფორმებული შენობა არ წარმოადგენდა აღმოსავლეთისათვის ესოდენ დამახასიათებელ ყრუ კედლებით შემოსავლურულ სამყაროს, რომელშიაც შეღწევა არის საჭირო. არამედ ყოველი ნაგებობა გახსნილია თაღებით, კარაპანითა თუ ბანით და ჩართულია გარემომცველ ლანდშაფტში. იგი არ ემიჯნე-

ბა ბუნებას, არ ქმნის ხელოვნურად იზოლირებულ სამყაროს, არამედ ხშირად საცხოვრებელიდან გარდამავალი არქიტექტურული ფორმის მემკვიდრით (ბანი, კარაპანი, აივანი) ერთდება გარემოცვაში. იქცევა მის ნაწილად. განსაკუთრებით თავისებურ და მხატვრულად დასრულებულ სახეს ეს მიდგომა იძენს XIX ს-ის შუა ხანებში. იგი ქმნის ქალაქს, რომელიც წარმოადგენს მთლიანად სახლებით, მათი საცხოვრებელი, სავაჭრო თუ სხვა სათავსებით, ქუჩაბანდებით, შუკებით, მოედნებით ერთიან, მხატვრულად განცდილი და ადამიანის მამსტაბზე დაფუძნებულ საცხოვრებელ გარემოს. აქ ზღვარი "კერძოსა" და "საზოგადო" საარსებო სივრცეებს შორის ნაშლილია.

დაახლოებით XIX ს. — 70-იანი წლებიდან თბილისმა სრულებით განსხვავებული სახე მიიღო. ქალაქის ცენტრმა გადაინაცვლა იმ უბანში, რომელთა სახეს უკმინდა პეტერბურგში "უზენაესად აპრობირებული" სანიმუშო და სავალდებულო პროექტების მიხედვით აგებული შენობები. გაქრა დარბაზი, იშვიათობად იქცა თბილისური სახლი, ქუჩა გაგანიერდა, გაიმიჯნა შენობა, როგორც საცხოვრებელი და ქუჩა, რომელსაც მხოლოდ კომუნიკაციის ფუნქცია დარჩა. მოქალაქე "შეიკეტა" ევროპული ფასადის მიღმა შექმნილ სამყაროში. შენობის ფასადი იქცა ერთგვარ ზღუდედ შენობასა და მის გარემოს შორის. მაგრამ საქალაქო გარემოს "მონინაურების", "გაადამიანურების" "გაყოფითობის" ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან გააფორმა ქალაქის "მეორე" სახე-ეზო თუ ეზოების სტრუქტურა, რომელიც ქალაქის საპარადაო "ევროპული" ფასადი — შიროსის მიღმა ქმნის ძველებურ, ტრადიციულ გარემოს. სწორედ ეზოში აისახა არქიტექტურულად გაფორმებული გარემოს შექმნის ის სურვილი, რომელიც ამოძრავებდათ თბილისელთ XVII-XVIII საუკუნეებშიც. ეზო, მოზღუდული შენობათა კორპუსებით, იგებოდა ტრადიციული ნესებით და ხშირად გადაბმუ-

ლი ან გახსნილი მომიჯნავე ეზოში იქცეოდა მეტად თავისებური სისტემის ნაწილად. ეზო, ისევე, როგორც წინათ, შემოსაღებული იყო აივნებით. აივნების ცალკეული ელემენტების დამუშავებაც ტრადიციულ სახს ევრძელებდა. სწორედ ამ ტრადიციულ კალაპოტში მდებარეობს დ. სარაჯიშვილის სახლის (დღ. მწერალთა კავშირის შენობის) ხუროთმოძღვრებაც.

ეს ორადობა, ორბუნებოვნება სახლისა თუ ქალაქისა, მთლიანად გამოვლინდა დ. სარაჯიშვილის სახლის მეორე მხარეშიც — ოთახთა გადაწყვეტის ხასიათში, "ორიენტალური" და "ევროპული" სივრცეების დაპირისპირებაში. ეს მოტივი, როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ XIX ს-ის შუა ხანებიდან მომდინარეობს და გაცილებით უფრო დიდი წარსულიც გააჩნია, მაგრამ სწორედ XX საუკუნის დასაწყისში იქცა იგი "არტიტული საზოგადოების" ერთი ნაწილის მიერ ეროვნული ფორმის ძიების შეგნებულად შერჩეულ გზად. ამ გზას მიმართავენ ისეთი მოაზროვნე და ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მხატვრები, როგორებიც იყვნენ დ. კაკაბაძე (მას იზიდავდა აღმოსავლური სიმბოლიკა), ლ. გუდიაშვილი (მისი შემოქმედების ერთ-ერთი წყარო იყო გვიანი შუასაუკუნეების ქართული მართლმადიდებელი მინიატურა), ვ. სიღაძინ-ერისთავი (მოსკოვში სწავლისას და რამდენიმე ხანი მის შემდეგ განიცდიდა ნ. რერიხის, ე.ი. სახეთი ხელოვნების ენაზე ამტყველებული ინდური მისტიკის ზეგავლენას) და ა.შ. ამ მიდგომამ იარსება დიდხანს და 1916 წელს ერთგვარი პოეტური დეკლარაციის სახეც მიიღო.

"გაფიზის ვარდი მე არუდონის ჩავრგე ვაზში.
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს
და რაც შემხვდება შემაჩერებს შორეულ ვაზში
ჩემს ღერია ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს".
განაცხადა ტიცზან ტაბიძემ ლექსში „L'art poetique“.

მწერალთა კავშირის დღევანდელი შენობა აიშენა საკუთრად ახალი დროის საქართველოს ერთ-ერთმა უდიდესმა კომერსანტმა, მენარმემ, მეცენატმა და საზოგადო მოღვაწემ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა. ადამიანმა, ურომლისოდაც მოკიდებული გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან 1911 წლამდე, მისი გარდაცვალების წლამდე არც ერთი ეროვნული საქმე არ დაწყებულა და არ დასრულებულა. ადამიანმა, რომელიც აფრ-



ფოტო: პეტროვი, ხაბიბი, აბდოლი, ტყეშელაშვილი, 175. კარაპანი, კახეთის მხარე, თბილისი (1904-1906).



დენა მენკელია, პოლო იაშვილი, (?) მენკელია სახალისი აივანზე

ნანსებდა უნივერსიტეტის მშენებლობას, ეთაყიბვილი იქნა სპეციფიკის ტაო-კლარჯეთში, იქნება ხელნაწერებსა თუ მნიშვნელოვან ნაშთებს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის, რომლის სტიპენდიებზეც აღიზარდა ქართველი ინტელიგენციის მთელი თაობა. ადამიანმა, რომლის ანდერძიც გულუხვობითა და ზუსტი მიზანდასახულობით, ეროვნული საჭიროებათა გააზრების სიღრმით შესძრა საზოგადოება. ადამიანმა, რომლის სიკვდილსაც გამოეგზავრა ქართული, სომხური, რუსული, გერმანული, პოლონური, ჩეხური პრესა. ადამიანმა, რომელიც იქცა ქველმოქმედების სომბოლოდ. ადამიანმა, რომელმაც თავისი სახლიც, ჩვენი კვლევების ობიექტიც უანდერძა საქართველოს დედაქალაქს მასში სამხატვრო გალერეისა თუ მუზეუმის გასამართავად. ამ მასშტაბის მოღვაწეს ჰქონდა საშუალება სანიმუშო სახლის აშენებისა და ააშენა კიდევ. მან გერმანიიდან მოიწვია ხუროთმოძღვარი კარლ ცაარი, თანაშემწეებად დაუყენა ოზეროვი, ტატიშჩევი და ი. მამაცაშვილი და სწორედ ამ, თუ შეიძლება ითქვას, "ინტერნაციონალური" ჯგუფის რუღუნებით შეიქმნა შენობა, რომელშიც ახლებური დროის შესაფერი ფორმით განსხეულდა საერო ხუროთმოძღვრებაში გამოვლენილი და ახალი დროის ქართული კულტურისათვის მთლიანად ესოდენ დამახასიათებელი ტენდენცია. აქ უნებურად გვახსენდება ო. თუმანიანის სიტყვა:


"ძველი თბილისი რაღაც განსაკუთრებული, თავისებური სამყარო იყო, სადაც კავკასიის ხალხები გაერთიანებული იყვნენ თავიანთი ყოფის დამახასიათებელი ყველა ნიშნითა და მანერით. აქ მათ შეჰქმნეს სხვადასხვა ხალხთა უაღრესად კოლორიტული და საინტერესო ნარევი.

რადგან ქართული სული იყო ამ ხალხთა ცხოვრების ტონის მიმცემი, ამიტომ ძველი თბილისი ერთმანეთისათვის უცხო ელემენ-

ტა ეთნოგრაფიულ კრებულს კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი ჰგავდა მხიარულ საქონილო სუფრას, სადაც კავკასიის ხალხები და ტომები ნადიმზე იყვნენ მონვევულნი".

ეს ფაქტი გვარწმუნებს იმაში, თუ რამდენად მართალი იყო გ. ასათიანი, როდესაც ნერდა, რომ "საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მისი საზღვრების სიმტკიცეს ემყარებოდა, ქართული კულტურის სიძლიერე და შეუვალობა მის ღია კარიბჭეებში იყო ყოველთვის... სწორედ საკუთარი ნიადაგისა და ფესვთა სიმპარის ორგანული შეგრძნება იყო ის უტყუარი საბუთი, რომელიც უფლებას გვაძლევდა ესოდენ ფართოდ გავველო ჩვენი სულიერი გაღავნის ყველა კარი ისე, რომ სხვაში გათქვეფის ან საკუთარ სიმდიდრეთა განიავების შიში არ გვექონოდა". დიახ, ქართული კულტურის სიძლიერის ჟამს ყველა კარი ღია იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ემიგრაციას, ვინაიდან ქართული ყოფა, სულიერი კულტურა, საზოგადოებრივი თუ კერძო საჭიროებები იმდენად გარდაქმნიდნენ შემოსულ, ქარით, გარემოებებით მოტანილ თუ თავზე მოხვეულ ფორმებს, რომ მათგან მხოლოდ ცალკეული ნიშნები რჩებოდა. ხდებოდა მეტამორფოზა, იგი გარდაიქმნებოდა ახლებურ, მისი წარმომშობი ნიადაგისათვის უცხო ქმნილებად.

დ. სარაჯიშვილის სახლი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია. ამ შენობით შეიძლება გაიხსნას რიგი იმ თბილისურ და არა მხოლოდ თბილისურ ნაგებობათა, რომლებშიც გაცხადდა ამ ხანის ქართული კულტურის თავისებურებანი, საზოგადოების სულისკვეთება, ხოლო თეთი შენობები გარემო ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად სამშენებლო ხელოვნების მეტად საინტერესო და მხატვრულად ლირებულ ძეგლებს წარმოადგენენ.



გიორგი გვახარია
(სუბზარ ბერაძე)

მისხაჩი ბათქაის
საკანაში

ილია ჭავჭავაძის "განდევნი" ტროპული აზროვნების უმშვენიერესი ნიმუშია. იგი თავიდან ბოლომდე მეტაფორად ჩამოყალიბებული, ლექსად გამართული ნოველაა და მიუხედავად იმისა, რომ ავტორისგან და ამ ინერციით ლიტერატურათმცოდნეებისგანაც პოემად არის მიჩნეული, კლასიკური პოემა მაინც არ ეთქმის. იგი ბალადის საზღვრებს სცილდება ექსპოზიციით და პოემამდე ვერ მალღდება სიუჟეტის ქსოვილისა და ფაბულის შეზღუდული, ვინრო სივრცითი პერსპექტივისა გამო. იგი, როგორც გმირების მოქმედების ადგილის მიხედვით, ასევე ამ მოქმედების გამამართლებელი რეალობის აუცილებლობიდან გამომდინარე შემოზღუდულ ინტერიერშია ჩაჭვდილი და თუ აქედან პერსონაჟთა გაღწევა მოხდა ყველაფერი დაიშლება, დაინგრევა და ხელთ იქნებ მართლაც პოემა, მაგრამ ამ მონოლითის მოხუმენტურო-

ბას მოკლებული, სიმბოლურობა გაფერმკრთა-
ლებული ნაწარმოები შეგვრჩება. ის რომ იგი პოემად არ აღიქმება სრულიადაც არ აყენებს ჩრდილს და ამდენად მიგვაჩინია, არც ჩვენ ვინცნთ თავხედობას ამის აღიარებით.

ნაწარმოებში იმდენი სიმბოლოა, რამდენის აუცილებლობის საჭიროებაც იდგა მისი გამამაზრებელის წინაშე. მაგრამ უპირველესი და უთვალსაწიროესი ისაა, რომ ადგილს სადაც დრამა უნდა შესდგეს — ბეთლემი პქვია.

ბეთლემი, — სადაც იშვა იესო, არაროგორც კონკრეტული ადგილი, არამედ როგორც სწორედაც რომ პლანეტარული მნიშვნელობით, — ე. ი. დედამიწა, სადაც ღმერთის განკაცება მოხდა, ღმერთისა, რომელიც იყო ნათელი; ნათელი იქცა ხორცად, მოვიდა ნუთისოფელში, მისგანვე შექმნილ სიცოცხლის კერაზე. მისიანებთან და მისიანებმა ვერ იცვენეს იგი. ვერ იცვენეს და, თუ არა მისივე კეთილი ნება კაცობრიობის ცოდვათა გამოსყიდვისა, წარწყმდილ ვიყავით უკუნიით უკუნისამდე.

აი რა ხდება ბეთლემში. ღვთის სამსახურად დამდგარ ბერს ენვევა ის, რომელიც ვერ იცვენს, ამჯერად ქალის სახით. უმხელს კიდევ "მწყემსი" ვარო. იმასაც ეუბნება, "მამამ" მითხრა, რომ აქ ბერი დაყუდებულაო.

მწყემსი აკი მაცხოვარია. მამა, — მამაღმერთი. ბერად შემდგარი კაცი კი შობითცოდვილი და მარადიული ჭეშმარიტების მძიებელი კაცობრიობა. ბერმა, რომელსაც ქვესცნელთან, ჯოჯოხეთთან, ე. ი. მისგან უფრო დაბლა სოფელთან მძივე ჯაჭვი აკავშირებს, ხოლო ზეცასთან უმსუბუქესი სხივი აერთიანებს, ვერ იცნო ის, ვის სამსახურად, ვის ძიებაშიც და ვის იმედადაც ცხოვრობდა. ვერ იცნო? — ვერ იცნო კი არა, ერთი პირობა ეშმაც ეგონა, რადგან ქვევიდან მოველინა, ჯაჭვს ამოპყვდა, დააინყვდა, რომ ღმერთი შეუზღუდვია თავის ნებაში, რომ მას ერთს ძალუძს ჯოჯოხეთის გავეა და აღდგომამაღლებდა. ხედავთ რა ხდება? ვისკენაც მიიღტვოდა იგი თვითონ მოაღვდა, თვითონვე განუცხადა ვინც იყო, მაგრამ კაცურმა ბუნებამ და თიღმა შიშმა ახალ ცოდვაში ჩადგომისამ ხელი შეუშალა თაყვანი ეცა და ამბორი ეყო ესოდენ სანუკვარი მისი ღმერთისთვის. ქალს, ე. ი. უფლას მიქძინა იმ ცეცხლის პირად, რომელიც მინავლებულიყო და თვითონ გააღვივა ამ ნკვარამში, რათა მოესპო სიბნელე და სულიერი სიბრმავე.

აკი იოანეს სახარება გვასწავლის, იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაუნათებს ნუთისოფლად მომსველ ყველა ადამიანსო.

და ილიაც გვიმონმებს, არა თუ ცეცხლი, არამედ ქალწულის სახე ანათება სიბნელეს სენაკისასო.

ხედავთ რა მისტერია აღსრულდა იმ ღამეს? განწეორდა ბიბლიური იაკობის და ღმერთის შეხვედრა. იაკობმა ვერ იცნო ღმერთი სიბნე-

ლისა გამო, ხოლო როცა იცნო, — გვიანი იყო. ესაა მხოლოდ, იაკობისა და ღმერთის შეხვედრა შერკინებაში გადაიზარდა. იაკობის ღმერთი იუდეველთა მრისხანე ღმერთია, უმკაცრესი მამაა და დასაჯა კიდევ ქედმაღალი და სულიერებასმოკლებული, ურწმუნოების სიბნელეში სადაღაც უშორეს სივრცეში დაგულებული უფლის მესავე თავებედი შვილი.

განდეგილთან მოსული, თუმცა კი ქალწულის სახით, მაგრამ მაინც მწყემსი, მამისგან მოვლენილი მაცხოვარია, სათნო და კეთილი, უმშვენიერესი და უმნიკელო. მისდაპირ ამბორის სურველი ბუნებრივია, რადგან ამბორად და თავყრისცემად იწვევს ადამიანს. აქ ტოლსტოის "მამა სერგის" ხორციელ ენებებთან დარუსის, შეძავი არისტოკრატი ქალის ავანტიურასთან არ შეიძლება პარალელის გაკლება. აქ სხვაა უფრო. უფრო მეტი სიბრძნეა, უფრო მეტი განჭვრეტა. ბერში ინტიმიკურად იღვიძებს მცნება ძველი აღთქმიდან, — არა თავყრისცემა სხვათა, თვინიერ უფლისა შენისა!

უფალი კი ვერ იცნო, ან თუ იცნო კიდევ, შიში ამბორისა, კაცობრიობის უდიდესი შიშია იუდას კოცნის შემდეგ. ისევ გაუცნობიერებლად არსებობს მასში. ამაღ დადემხოზა ღვთისმშობლის ხატთან, რომლის სახესაც, ამ სტიქიონის მძინერავებისას სენაკში თავშეფარებული, მძინარე ქალწულის სახე შესისხლბორცვითა. თანაც ეს მიძინება? — აკი მარიაშეც მთინია, ესეც სიმბოლურია.

რაო ილიამ, რა ქარაგმა, რა ტროპეი მოგვანოდა?

რაო და მარადუხრწნელი მარიაშის სახით გამოსცხადებია ბერს უფალი. მართლაც და ხსენის ენის სახე უნდა მიეღო, თუ არა, ჯერ ერთი ხორციელი დედისა და მეორეც ყველაზე წმინდა არსებისა ცის ქვაშეთში?..

და ებრძვის ბერი საკუთარ თავს.

და იცის იესომ რა ხდება ბერის სულში. იცის და შპატობს, რადგან ისევ უფლისადმი მორჩილებას ხედავს ამ ართაყვანისციხეში. აკი თვითვე გვასწავლიდა — მრავალნი მოვლენ ჩემის სახელითო.

უფლის გამოცხადებით ნეტარ განდეგილს ეშპაქურლისგან ხიზლში ჩაუარნის შიში აქვს. იქნებ არც სცდებოდა, იქნებ მართლაც სატანა გახლდათ ღვთისმშობლის სახე აღბეჭდილი, რაოა უფლად მიეღო ამ ყველაფრის განმცდელ-გადამტან წმინდად თავმოზღუდულ ბერს, თავყანტვა მოხიბლულს მისთვის, თუ ასე გახლდათ, ამასაც ხომ ხედავდა ღმერთი? ხედავდა? ხედავდა და თან მერე როგორ.

და აი დრამის აპოთეოზი.

ბერი თავის უხრწნელობის შესაშონებლად ცდილობს ძველებურად დადაოს "ლოცვანი" სარკმლიდან შემოცისმარებულ მზის სხივზე. წიგნი ძირს ვარდება და ბერიც ამ მზის სხივითა ბრეში აღესრულება. ქალწული კი, მშვიდი, ნყნარი ძი-

ლით რომ სთვლემდა, — აღარსად ჩანს. ვინ იყო იგი, ღმერთი თუ ეშპაქურ? ყოველშემთხვევაში მწერალი მის შესახებ არაფერს ამბობს. ეს კია უფლად სწავლად თვლენა სტიქიონის მძინერებისას, სატანამაც იცოდა მისი ეს ჩვევა. გავიხსენით უფალი თავის მონათლებულთან ერთად ნაეში ზღვის დიდი ღელვისას.

უფალი თუ ბრძანდებოდა განდეგილის სენაკში, ხომ კარგი, მაგრამ თუ ეშპაქურელი იყო, ღვთისმშობლის პირისახის ჩენითა, ბერმა გაუძლო და ღვთისმცნებადაურღვეველ-გაუტყუებლად ათია ღამე. მაინც ყველაფრის მიღწეული თვალის არეში შედგა მისტერია.

ბერმა კი გაუძლო, ესაა მთავარი.

რა მოხდა და ჯაჭვს ამოყოლილი უჩვეულო სტუმარი განერა, თავის გზით ნაივად. ლოცვანი, ე.ი. მატერიალური ნივთი, წიგნი, როგორც ბერის ხორციელი სხეულიცა, უკვე ზედმეტია. მისი სული, ღვთაებრიობამდე აღზრდილი სულიც აღარ საჭიროებს არაფერს ამ სოფლისურს და უფლისკენ მიემართება, ხოლო ბერჩოხაში ჩარჩენილი, ნამარხულვეი ძვლები, ჭურჭელყოფილი ამ სულისა, და ამ სულისავე აღმზრდელი "დავითნი" იქვე რჩება განათებულ მღვიმეში, რომელსაც ბეთლემი ჰქვია.

განდეგილი არ მომკვდარა, იგი უსასრულობაში გარდაისახა, ამ სოფლიდან განვიდა ოდენ უფლის ნებით, მისი ღვანლის დასაოფლებლად.

გული მიგრძნობს, მავანი მართებულად იკითხავს, როგორ მიატოვა გაფანტული ცხვირი მწყემსმა, თუ მართლაც მწყემსი იგი, მწყემსი კეთილი გახლდათ და თავშესაფარს მიაშურა?


მათ განუშარტავ, ნანარბოებში ნათლად ჩანს, თუ საიდან შემოდის ბეთლემში "ქალწული". იგი ჯაჭვს ამოყვავა ქვედაფილიდან. ე.ი. ერესიდან. დელგმა, იგივეა რაც დიდი კატაკლიზმი სამყაროს დასევისა, მისი ურწმუნო შეილების, მკვიდრების გამო. თუ ეშპა იყო, სიმულიაცია მართლაც ვირტუოზულია და თუ უფალი, — გაეფანტა მწყემსს ცხოვარი, ე.ი. მიატოვა უფლის გზა ურწმუნოთა და შთაცვივდენ გენეში.

რაა აქ დაუჯერებელი?

ესეც უნდა მომხდარიყო. უნდა გადარჩეს ვისაც სწამს. გადარჩა კიდევ განდეგილის სული და მიწიერი ბეთლემიდან ზეციურ იერუსალიმში ამაღლდა. იგი იმდენად იყო განწმენდილი, რომ თუნდ უფალი მდგარიყო მის წინ, ვერ და არც გამოცდიდა მას, რადგან დანერგულ არს — არ გამოსცდო მამაი შენი.

კომპრომისი არ შეიძლება, კომპრომისია ნარმწყემდი კაცისა.

ბოლოს და ბოლოს მთელი სახარების ფაბულაც ხომ გზა ბეთლემიდან იერუსალიმამდე. ეს გზა მეტაფორაა სულიერი ხსნის გზისა და ილიაც, ჩვენი დიდი და საეტყაო მამაც ამ გზაზე გვაყენებს, ამ ერთადერთ და სწორ გზაზე, რომელიც წინამურზე გავლით ცად მიემართება.



ნინო

კობიაშვილი

ყვითელი ფახის
სიმბოლია

ფერთასიმბოლიზმს სხვადასხვა ეპოქაში მრავალგვარი მნიშვნელობა ეძლევა. ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ყვითელი ფერი. მითოსურ ხანაში ადამიანი ექვს ან შვიდ ფერს არჩევდა. მათ შორის დომინირებდა თეთრი და შავი ფერი. მათ გარდა სხვა ფერებსაც ჰქონდათ რელიგიური დატვირთვა. ძველ ინდოეთში კრიშნა იყო ლურჯი ტანითა და ყვითელი სამოსით.

ბუდიზმის ერთ-ერთ რიტუალში ყვითელი ფერი გამოსახავს ბედნიერებას.

ბაბილონურ-ქალდეურ კულტურაში თითოეულ ღმერთ მნათობს საკუთარი ფერი ჰქონდა. ესენია: შავი, თეთრი, წითელი, ქრე-

ლი, მწვანე, ოქროსფერი, ვერცხლისფერი. სწორედ ამ ფერებით იღებებოდა მათი სახელობის ტაძრები.

სპარსულ, არაბულ და ეგვიპტურ მითოსში იგივე ფერები დომინირებდა. თითოეულ მნათობს თავისი ლითონი ჰქონდა - მზეს-ოქრო, მთვარეს-ვერცხლი...

მითოსური წარმოდგენით ფერებს დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო ადამიანთა ბედ-იღბალზე.

დაპყრობილთ დამპყრობლები აიძულებდნენ გარკვეული ფერის ტანისამოსის ტარებას. ხალიფა ომარმა შემოიღო ყვითელი ნიშნის სავალდებულო ტარება ებრაელთათვის. მუტა-ვაკილმა არა მაჰმადიანთათვის სამოსიდან ყვითელი ფერი დააწესა. (ვ. ნოზაძე. ეფუზისტყაოსნის განკითხვანი — ფერთმეტყველება; თბ; 2001. გვ.31.)

1215 წ. რომში ლატერანული საბჭოს დადგენილებით ყვითელი ფერის სამოსს ატარებდნენ ებრაელები და მაჰმადიანები, ხოლო ჯვაროსნული ომების დროს ყვითელი ფერის სამოსს ქრისტიანი ქალები. მეცამეტე საუკუნიდან ყვითელი ფერის თავსახურავს როსკიპი ქალებიც ხმარობდნენ. (ვ. ნოზაძე დას. ნიგნი. გვ 32).

მითოსურ სამყაროში ერთმანეთს უპირისპირდება ნათელი და ბნელი. ნათელს გამოსახავს თეთრი, ბრწყინვალე, ყვითელი-მზისფერი, ხოლო ბნელს — შავი. ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში სინათლის — მზის სიმბოლოს ყვითელი წარმოადგენდა. ტიბეტურ მითოსში დომინირებდა ორი ფერი: თეთრი და ყვითელი. ძველი ბერძნული სამყარო მზიური ფერის გამოხატულებაა.

ქართულ მითოპოეტურ სამყაროში ერთმანეთს უპირისპირდება მზისფერი და ყვითელი. ცეცხლისფერი, ოქროსფერი, მზისფერი არის ღვთაება მზის სიმბოლო. ყვითელი ფერი განასახიერებს ემმას. განძს, რომელიც ინახება გამოქვაბულში (ხთონურ სამყაროში), იცავენ ქაჯები ან დევები. ეს განძი (სიბრძნე) მათი გონებისათვის მიუწვდომელი და გამოუყენებელია. ხშირად ოქროს (ღვთიურ სიბრძნეს) იცავს ყვითელი ხბო, რომელიც მანვე სულს განასახიერებს. ყვითელი ხბო ცდილობს "ნანილიანი" გმირების ცდუნებას.

მზისფერია ღვთაება დალის თმები, რომლის მოკვეცის შემთხვევაში იგი კარგავს ღვთაებრიობას. მზისფერია: ირემი, ლომი, ჯიხვი — რომელნიც ღვთაება მზის ზოომორფული არსებანია.

ქრისტიანულ სახისმეტყველებაში

ვხვდებით ოქროსფერს, როგორც ღვთაებრიობის გამომხატველს. უფალი არის ნათელი დაუსაბამო, "საფანე ნათლისა" (იოანე დამასკელი). წმინდანები სულიერი ნათლის მატარებელნი არიან. ხატწერაში ფერები მკაცრად განსაზღვრული წესით გამოიყენება. წმინდანებს მზისფერი-ღვთიური შარავანდედი მოსაეთ. ხატი ღვთისა არის მზე. დავით აღმაშენებელი ასე მიმართავს უფალს:

"მარტო, სრულო, სამხეო, ერთცის-კროვნებაო,

განმინათლე მხედველობით სულისაი, რაითა გიხილო ნათელი.

ნათლითა უფლისაითა, სულისა ღმრთისაითა.

ძე გამოგვიბრწყინეო, დაუსრულებელთა სასუქუნისა."

(ქართული მწერლობა ტ.2 1987 გვ.205)
იმპრესიონისტა შემოქმედებაში არამინიერ, საკრალურ იდუმალებას ყვითელი ფერი აძლევს. მათი აზრით, ყვითელი ფერით ხდება მატერიის გასუფლებულება. მზეს ისინი "იდუმალ მხატვარს" უწოდებენ. მზეს აღიქვამენ წმინდა ყვითელი ფერით. ვან გოგი ღამესაც კი ყვითელი, მზიურ ფერით გადმოგვცემს. იგი ყვითელს აიგივებს მზისფერთან. ძმისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: ისეთი მზეა და ისეთ შუქს ჰფენს გარშემო, რაკი უფრო შესატყვისი ვერაფერი გამოიმინახავს ყვითელს, ჩახჩახა ღია ყვითელს, ლიმონისფერს - ოქროსფერსა თუ ვეროდებო. თორა მშვენიერია ყვითელი ფერი. ერთ-ერთ ნახატში ღამის კაფე არილში ფერთა მონაცვლეობით გვიხატავს ჯოჯოხეთის ატმოსფეროს. მხატვრის აზრით, ძირითადი ფერი მხოლოდ სამია: ლურჯი, ნითელი, ყვითელი, ხოლო დანარჩენი შედგენილი ფერებია. (ვან გოგი, წერილები, თარგმნა ი. კიკილაშვილმა 210გვ). იგი სულის გზნებას გადმოსცემს ჩამავალი მზის ბრწყინვალეობით. ნახატში "მწუხარე ბერიკაცი", ავტორი ორ ფერს სჯერდება-ნაცრისფერს და ყვითელს. სკამი, რომელზედაც ნაცრისფერით მოსილი ბერიკაცი ზის, ყვითელია, ყვითელია ფონიც. ფერთა ეს შეხამებაც ხაზს უსვამს ბერიკაცის მწუხარებას.

ე. დელაკრუა ითვლება შუქ-ჩრდილთა დიომეტრატად, მის შემოქმედებაში ნამყვანი ადგილი უჭირავს მზის სხივს, ოქროსფერს, მზისფერს. (მორის ტურნე. ე. დელაკრუა თარგმნა ნინო ბუდიშვილმა 1940წ.)

ნიკო ფიროსმანის შემოქმედებაში არც თუ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ყვითელ

ფერს. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სამმა ნახატმა: "პარაკლისი სოფლად", "საპაერო ბუმტებიანი გოგონა", "ყვითელი ლომი". ნახატში, "პარაკლისი სოფლად", მღვდელი ლოცვის კითხულობს. ხალხს ცად აღუპყრია ხელი, ბავშვი დაჩოქილია, ისინი უფალს მადლობას სწირავენ. მნათე უკრავს ზარებს. ზარები ყვითელი, უფრო მზისფერია. ნახატის ფონი არის მუქი. ყვითელი ამ შემთხვევაში უფალთან კავშირის ფერია. "საპაერო ბუმტებიანი გოგონა",—აცვია ლურჯი კაბა, ხელთ ასევე ლურჯი ბადე და ნითელი ბუმტი უპყრია, ახურავს ყვითელი ქუდი. ფერთა ეს უჩვეულო კონტრასტი ქმნის პარონიას. "ყვითელი ლომი" ზის მუქ ფონზე. ამ შემთხვევაშიც ყვითელის და მუქი ფერის კომბინაცია ქმნის პარამონიულობას.

ყვითელ ფერს ვხვდებით დანტე ალიგიერის შემოქმედებაშიც, კერძოდ, "ღვთაებრივ კომედიაში". იგი ლუციფერს გვიხატავს სამი სახით: ნითელი, ყვითელი და შავი. ლუციფერი, რომელიც იყო ერთდროს ანგელოზი, ახლა ჯოჯოხეთშია უფლის ღალატისთვის. იგი იმყოფება ჯოჯოხეთის მეცხრე გარსში. ეს გარსი წარმოადგენს ყინულის ტბას. იქ იტანჯებიან: ქრისტეს, სამშობლოს და ახლობელთა მოღალატენი. ლუციფერი მკერდამდე ყინულში ჩაძირული. სამი ფერის კომბინაცია კვეთს მის სახეს. მას აქვს ექვსი ხახა, რომლითაც ღრღნის და აწამებს მოღალატეებს. რიცხვი ექვსი ეშმაკის სიმბოლოა. სამი ფერი გამოხატავს ბოროტებას და უბედურებას.

უოლიან შექსპირი ტრაგედიაში "ტიმონ ათენელი" კიცხავს ოქროს ძალაუფლებას. მას უწოდებს ყვითელს, მოელვარეს და ყვითელ მონას, რომელსაც შეუძლია ადამიანთა მართვა:

"ოქრო! ყვითელი, მოელვარე, ძვირფასი ოქრო!..

ამდენი ოქრო, თავმოყრილი, შავს გაათეთრებს, გონჯს დაამშვენებს, მდაბალს აქცევს კეთილშობილად, ბებერს — ჭაბუკად, ქალაჩუნას, მხნედ და მამაცად".

...
ყვითელი მონა შეაკავშირებს და დაარღვევს სხვადასხვა რწმენას; წყულს აკურთხებს; ძველ კეთრს გახდის სათაყვანებელს; ქურდებს შემოსავს დიდებით და მალალ წოდებით და დასხამს სკამზე სენატორთა გვერდით...".

იბუნე უპირატესობას ანიჭებს ყვითელს, როგორც მზიურს, ბედნიერების გამომხატველს.

შტაინერის აზრით, ყვითელი, ელვარე აურა აქვს ძლიერ პიროვნებებს.

გოეთე ყვითელ ფერს სინათლესთან უახლოეს მყოფ ფერად მიიჩნევს. ყვითელი ფერი არის საამო. ძლიერ ყვითელს აქვს მშვენიერი და კეთილშობილი გავლენა, ხოლო გახუნებული ან შემცირებული ყვითელი ფერი, მეტად მგრძობიარე და არასასიამოვნო გავლენის მომხდენია. ამ შემთხვევაში ის არის სიბილნის გამომხატველი. (ვ. ნოზაძე დასახ. ნაშრომი. გვ.78-79).

ელიოტის შემოქმედებაში დამახასიათებელია სინამდვილის კონტრასტულ-ირონიული აღქმა. "ყვითელი ფერი" უპატრონო კატის ნიშან-თვისებას ატარებს:

"ყვითელი ნისლი ფანჯრებს ზურგიით
 ეხახუნება,
 ყვითელი კვამლი ფანჯრებს დრუნჩით
 ეხახუნება,
 და ლოკავს ენით მწუხრის ყოველ
 კუთხეს და კუნჭულს
 სანვიმარ ღარის გუბებთან წამით
 ჩერდება.
 ბუხრების ჭვარტლი მოაქვს ზურგიით და
 ტერასიდან.
 მოსხლტება, უცებ გადახტება და ძირს
 ეცემა,
 და როცა ხედავს, რომ ოქტომბრის
 ღამეა წყნარი
 შემოეხვევა ირგვლივ სახლს და ძილს
 მიეცემა."

(პოეტური ხატის მემკვიდრეობა. ესეები. 1980 გვ.113)
 ანა ახმატოვას პოეზიაში ყვითელი-ქარვისფერი მარტოსულობის განცდას ტოვებს.

"ქარვისფერ ნესვის ნაჭერს თუ
 მივამსავსებ მთარეს,
 თუ დახშულია არე და ჩაკეტილია კარი,
 თუ მოინუსხა სახლი გლიცინებით
 ცისფრით,
 ჰაეროვანი ტოტის თვალის წამლები
 ზილფით,
 ვარ მარტოობის ქსელში გამოხვეული
 ნივით.
 და საუკუნის ხატად, მიყურებს შავი
 კატა.
 ...ძილს მივეცემი მშვიდად, ღამე
 მშვიდობის, ღამეუ".

(ანა ახმატოვა „მე მზიარული დავმარხე ჩიტი“ 1999)
 მე-19 საუკუნის ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი "მისტერიებში" გვიხატავს ერთი ქალაქის ცხოვრებას. ქალაქი არის ნუ-

თისოფლის სიმბოლო, რომელიც არის ნაც-რისფერი, სადაც სუფევს: გულგრილობა, უსიყვარულობა, ურწმუნოება, სისასტიკე. ის ჩაკეტილი სივრცეა. მასში გარესამყაროდან შემოდის უცნაური (ქალაქისთვის უცნაური) კაცი. იგი ზღვით უკავშირდება ქალაქს. ის იქცევა ყველას ყურადღებას, რადგან აცხად ყვითელი კოსტუმი, რომელიც მას არამინიერი, საკრალურ იდუმალებას აძლევს. მისი არაგის ესმის. ის სიკეთისკენ უბიძგებს საზოგადოებას, მაგრამ ამაოა მისი ცდა. უანგარო სიკეთე ყველასთვის უცხო და გაუგებარია. ნანარმოების მთავარი ძარღვი არის მისტიკა სიყვარულისა, რომელიც უსასრულოდ მეორდება. ზღვიდან მოსული კაცი ზღვაშივე ხტება. ზღვაში უყვალოდ შთანთქმა კვლავ აღორძინებას გულისხმობს. იგი მეორედ უნდა მოვიდეს, საბოლოოდ რომ გაბატონდეს. გარდა ამისა, ქალაქის მცხოვრებთა სხეულში ღვთაებრივმა შუქმა უნდა დაივანოს, ის მიზანი რომ განხორციელდეს, რასაც ნაგელი განასახიერებდა.

ჩინგიზ აითმათოვი რომანში „და დღე იყო ნუთისოფელზე უფრო გრძელი“, აღწერს თავისი ქვეყნისა და ხალხის მოსიყვარულე ადამიანთა ცხოვრებას. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს სამი გმირი: ედილეი, ქუთუბაევი და სონდულისთვალემა კაცი. უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელია, რომელიც დევნის და ავიწროვებს ქუთუბაევს. მის ბოროტებას, სასტიკ ბუნებას ხაზს უსვამს ყვითელი ფერის თვალები.

სონდულისთვალემა აზრით, ყველამ რომ ჯღაბნა დაიწყოს, ეს სახელმწიფოს დააზარალებს. ნარსული ისე უნდა დახატო, როგორც ახლა ჩვეთვის საჭიროა. რაც ჩვენ ხელს არ გვაძლევს, არც უნდა მოიგონო, ამას თუ არ მისდიე, მაშასადამე მტერი ხარ ჩვენი. მან დააბატონრა ქუთუბაევი, რომელიც ძველ სიმღერებს, ლეგენდებს და თქმულებებს იწერდა, რადგან მისი შვილები ამ ყველაფერს მერე ვეღარც მოძებნიდნენ. სიმღერა ხომ ნარსულადან მოსული ცნობაა. მისმა შვილებმა არ უნდა იფიქროს, ცარიელ-ტარიელ ადგილზე ვცხოვროდითო. ომის ამბებსაც ხომ მათთვის წერდა. ის დასაჯეს, როგორც მტერი. "მტერი როგორ უნდა დაესაჯოთ, ჩვენ თვითონ ვიცით" — აცხადებს სონდულისთვალემა.

შოთა რუსთაველი ფერთა სიმბოლიკით ახასიათებს ადამიანთა ბუნებას, სულიერ მდგომარეობას და მათ მიერ განვლილ ცხოვრების გზას.

ფრიდონი მიმართავს ტარიელს:

"არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო? ანუ ვგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გამსგავსო? რამან შეგქმნა მოყვითანედ, ვარდ-გიშერი რომე პრგავსო? ღმერთმან მისი ანთებული სანთელიმცა რად დაგავსო?"

ტარიელი ჩამქრალი სანთელია. ფრიდონი ტარიელის მიერ განვლილი ცხოვრების გზას ხედავს: ნარსულში იგი იყო ანთებული სანთელი, გავესებული, ვარდ-გიშერი, ხოლო ახლა მის წინაშე დგას ღვთის მიერ დავსებული სანთელი, რომელიც არის დალუული და მოყვითანე. "მოყვითანე" ღვთის მიერ დასჯილი ადამიანის მეტაფორაა. აკი კითხულობს ფრიდონი, თუ რის გამო დასაჯა უფალმა ტარიელი: "ღმერთმან მისი ანთებული სანთელიმცა რად დაგავსო?"

ავთანდილიც ასევე ხატავს ტარიელის მიმდე სულიერ მდგომარეობას:

"უპოვე ვარდი მოყვითანო, შუქ-მკრთალი და ფერმიხდილი

...
ზე ნამოჯდა ფერმიხდილი, აყოლებდა თელსა რეტად, ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად".

ნესტან-დარეჯანის მდგომარეობას წვდება ასევე ფატმანიც, რომელიც განსხვავდება ვაჭართა კლასისაგან. ის მისწრაფის მზიური სიბრძნისაკენ. იგი ეკითხება ნესტანს: „რას შეუქმნიხარ ზაფრანად, შენ, ფერად მსგავსი ლალისა?"

პოემის გმირებმა უწყიან, რომ უფალი ადამიანს მოუფლენს ჭირს: "პირველ ლახვარს გულსა უხებს", ხოლო მოწინაინების, განწმენდის შემდგომ რისხვას წყალობით შეუცვალეებს: "იგი მოგცემს წყალობასა, მისსა, ზეცით მოგვიქუხებს, ჭირსა ლხინად შეგციცვალეებს, არაოდეს შეგვანუხებს". ამისთვის კი გმირებმა უნდა გაიარონ მძიმე — ტანჯვით აღსავსე გზა, დამკვიდრდნენ გამოქვაბულში, სისხლის ცრემლები ღვარონ, მოინანიონ, ჩასწვდნენ ღვთაებრივ სიბრძნეს, რათა ძველი კაცისგან (რომელიც არის მოყვითანე, ზაფრანისფერი, შუქ-მკრთალი) იშვას ახალი კაცი, რათა უფლისმიერ ჩამქრალი სანთელი კვლავ აინთოს.

ცისფერყანწლეები ორ ფერს ანიჭებენ უპირატესობას—ცისფერს და მზისფერს: "ღამური გზებით მოვდიოდით ჩვენ, რომ

დაგვენთო მზე-კოცონი, მდუმარებით დამშვიდებულ ქვეყნისთვის" (ცისფერი ყანწლები" 1990წ. გვ.63) შიშის სამყარო სიბნელეა. ჩვენ ნათელში ვცხოვრობთ" (10გვ.) ისინი მტერს გამოხატავდნენ ყვითელი ფერის სიმბოლოთი, „ჩვენ არ გვიხარია თქვენთან დიდხანს საუბარი. გაგიჟდით კიდევ ერთხელ, კიდევ დაინახავთ ჩვენს ცივ ღიმულს, რომლისაც თქვენ ისე გეშინიათ, თქვენ, ჩვენო ყვითელო მტრებო, ფერდაკარგულნი სიბრაზითა და აღშფოთებით, თქვენ, რომელთა სახელი ჩვენ არ ვიცით, და რომელთა ხმაღს ჩვენ ვერ დავინახავთ (42გვ.) "წმირად იყო ჟამიანობა და თავზე გვაზგავდებოდნენ ყვითელი ურდოები. ხოლო ქართული ხელოვნების ნადიმი არასდროს არ ყოფილა ნადიმი ჟამიანობის დროს, სადაც თამამად არის სასონარკვეთა" (გვ.63) ისინი უარყოფდნენ წარსულს, "როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შენუხებულს. (10გვ.) დანტეს პ. იაშვილი უწოდებს ყვითელს — როგორც მოსაწყენს: „მე მომეწყენა ყვითელი დანტე...“ ყვითელ ფერს უპირისპირებდნენ ცისფერს და მზისფერს:

"გრძელი შორი გზა... და ოცნება უსაზღვრო გ-ზეზე, მზის სიცოცხლე, მზით მოთენთა, სიმღერა მ-ზეზე. ჩემში სტირიან წინაპარნი – ბრძენი მოგ-ვები. დანგრეულ კიბეს მე ვაშენებ, უკან მივყ-ვები. ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ დიდებულ წარ-სულს. გრძელი შორი გზა... და ოცნება უსაზღვრო გ-ზეზე ჩემი საფლავი ძველ ქალღვას იქნება გ-ზეზე".

ტ. ტაბიძე (გვ.20)

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ყვითელი ფერი უიმედობის, კვდომის, სასონარკვეთის გამოხარულებაა:

"ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს. გადართევს ნოემბრის ბაღები. მხურვალე ვნებები გამივილის, სასახლის ჩაქრება ჭაღები. დარჩება აუზთან სანდალი. და ძველი ფოთლები ყვითელი... რომანზე ისვენებს შანდალი, რომანში — შეშლილი ყვითელი.

...
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი არ არის, არ არის, არ არის!"



(შემოდგომა "უმანკო ჩასახების" მამათა სავანეში)
ანდა

"ჭკნება, ყვითლდება საბრალო ბაღი, ქარი უბერავს, ფოთლები ცვივა, გამოურკვეველ მწუსხარებაში მზეს გული უწუნხს და გული სტიკივა. ნოემბრის ქარმა ყვითელ ფოთლებით კვალ-ბილიკები გადაიარა, ფოთლები წყდება იმ გატაცებას და შემოდგომის მეფობს იარა"
(ფოთლები)

ყვითელი სიმბოლოა: "სევდის, მწუსხარების, მარტოსულობის, სასონარკვეთის:

"მავრამ მზეც იყო რბილი და მკრთალი, სიყვითლე ნება ხეთა კვდომისა, მე პოეზიით ვიყავი მთვრალი დღე იყო ისევ შემოდგომისა"
(*"შემოდგომა"*)

ტარიელ ხარხელაურის პოეზიაში ყვითელი ფერი ხშირად დაუნდობელი ნუთისოფლის სიმბოლოა:

"დღენი ყვითლობენ, დამოკლდენენ, ვერ შესძლეს არე მორჩდილონ, არ მოსტყფე მუხავ არ მოსტყფე, ქარებს არ დაემორჩილო!"
(*"დღენი ყვითლობენ"*)

ანდა

"იქნება სიყვითლე...
დღე იქნება მშვიდი,
მონყენილი

...
სახლიდან გადმოსდგამენ კუბოს
ლანდლაკარგული სხეულისას.

...
და უჩვეულო პროცესიას
სახლის გვერდით
მუხლებზე ჩამჯდარი ძალი
გაადვენებს უტრემლო ყმუილს"
(*"იქნება სიყვითლე"*)

ყვითელი ფერი სევდის, სასონარკვეთის მეტაფორაა:

"ამ ყვითელ ფერებს ვერ ჩაუვლი გარეშე სევდის.

ამაოდ ვდევდი
ყოველივეს,
ამაოდ ვდევდი.

...
ვინ გამოკვეთა ან რაა იღბალი,
როცა სამყაროც თავს გაბეზრებს
თავის სიმმრგვალით."

ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებაში ერთმანეთს უპირისპირდება მზე - როგორც ღვთიური და ყვითელი, როგორც ცოდვილი სამყაროს სახე:

"მზეო,
შენს გამო გვმართებს სიფრთხილე,
მზეო,
შენს ირგვლივ ყვითელს ვხედავ ცას...
ვაი მას, ვინაც ბოლომ გიხილოს,
ვინც მოგიხილა პირველი,
ნეტარ მას!"

(*"მზეო, შენს გამო გვმართებს სიფრთხილე"*).

ყვითელ ფერს ქართულ პოეზიაში ხშირად უპირისპირდება ხორბლისფერი, მზისფერი, როგორც ღვთაებრიობის გამოხატულება:

"თაბორის მთა გადმოჰყურებს თბილისს
და ბეთლემთან ღვთისმშობელი კრთობა...
ჯვრის მონასტრის ქვემოთ ნიში თლილი,
ჩამოძვრნეს წმინდა ნინოს თმებმა...
სვეტიცხოვლის მაცხოვარის კვართი
ანათებდა, ვით სიცოცხლის წყარო...
სამთავისთან ხორბლისფერით გაფთხო,
ო, უფალო, მადლობა რომ გვწყალობ..."
(*ვ. ოთარაშვილი "სიტყვა იყო ღმერთთანა"*)

გულო კობიაშვილი თავის ნოველებში ხატავს თანამედროვე ადამიანთა ცხოვრებას. აღწერს მათ ყოველდღიურობას, გაუსაძლის მძიმე ყოფას. ნოველები დატვირთულია სიმბოლურ-ალეგორიული ხედვით.

ნოველაში "ყვითელი ლეგიონერები" აღწერილია თანამედროვეობის პრიზმაში გადატეხილი საქართველოს თითქმის მთელი ისტორია. მთავარი გმირის, ანას ხილვა სიმბოლურ ხასიათს იძენს. მტრისგან დევნილი ანა, რამდენიმე გადარჩენილ ქართველთან ერთად გამოქვაბულს აფარებს თავს. გამოქვაბული სულ შვიდია, და შვიდივე საფსება ბავშვებით, ქალებით, ახალგაზრდებით, მოუხუცებით, დაჭრილი თუ დასახიჩრებული კაცებით. შვიდი სიმბოლური რიცხვია ბიბლიურ სახისმეტყველებაში: იგი საიდუმლოს გაცხადების მაუნყებელია. ქვაბი მოსიბრძნების, ღვთიური ჭეშმარიტების წვდომის ადგილია. ეს გამოქვაბულები "არსთაგამრიგეს ამ ქარაფებში გეგონება შავი დღის-

თვის გამოეთხარა". გამოქვაბულის ხიზანთ დასაღუბად თავიდან ფეხებამდე ქერცლით დაფარული ქართველთა მტერი ათასსაცეცა ურჩხული ემუქრება და ყვითელ კალათებში სვამს ყვითლად შემოსილ შვიარალებზე მეომრებს. ვინ არიან ისინი? — "კალათში ცალთვალმოჭუტული, ცეცხლოვანი ისრებით შვიარალებული ქართველები ისხდნენ და გამალებით უმიზნებდნენ მხოლოდღა ღვთის იმედად მყოფთ". გარემე მტერი ქართველთა სულიერი თუ ფიზიკური განადგურებისათვის ქართველებსვე იყენებს — შეგნებულად თუ შეუგნებლად მოღალატეებს! "გამოქვაბულის საღმა კედლებმა ბუმერანგით დაუბრუნეს ისრები მოსართ, საცეცხებით დაშვებულმა ყვითელმა კალათებმა ველარ გაუძლეს ხორცის სიმძიმეს და ერთი მეორის მიყოლებით გადაეშენენ უძირო უფსკრულში ყვაე-ყორანთა გულის გასახარად".

ნოველაში ყვითელი ფერი სიბილნის, მოღალატე ქართველთა სახე-სიმბოლოა, რომელსაც უპირისპირდება ფირუზისფერი და ზურმუხტისფერი. ყვითელი ე.წ. ახალი, გადაგვარებული ქართველობის მეტაფორაცაა. "გმირთა სისხლით მორწყულ ველზე ახალი ქართველობა როკავდა ველური მანჭვა-გრებით. ყვითლად აციალებულ თუ აკამკამებულ ველზე ერთმანეთის თვალნი ეძლეოდნენ ხორციელ განცხრომას.

ნოველა რწმენით არის ნასულდგმულარი. რწმენის, იმედის სიმბოლო ცისარტყელაა: "შვიდფეროვანი სარტყელი ცისა გადასახა მზემ შვიდივე ქვაბულს, ფრთებღონიერმა ლურჯმა ფრინველმა ამაზრუნნი ათასსაცეცა ურჩხული აიტაცა, ნაგლეჯებად, ნაფლეთებად აქცია და ბოლოს ყვითელ ლეგიონერთა კვალს გაუყენა უფსკრულისაკენ".

ფირუზისფერი და ზურმუხტისფერი ბიბლოფი ალუზიას უკავშირდება. ფირუზისფერი იმედს გამოხატავს. გამოქვაბულში მყოფთ უფლის იმედი ასულდგმულებთ: „ხომ ბრძანა უფალმა, „თუ ათი მართალი მანც არისო“... მწვანე, ზურმუხტისფერი, გაზაფხულის, ალგოუმის, ფრმენის, უკვდავების სიმბოლოა; ლურჯმა ფრინველმა ხომ ნანილებად აქცია ათასსაცეცა. "ხოლო ცა იყო ფირუზი და ხმელეთი ზურმუხტი". გაცხადდა ღვთის საიდუმლო — "ქანცგანყვეტილნი, მისავათებულნი, ნანამენნი, მაგრამ სახენათელნი... და რაც მთავარია, არც თუ მცირერიცხოვანნი... მიაბიჯებდნენ საამოდ აბიბინებულ ველზე გადარჩენილი ქართველები". ნოველა მთავრდება რწმენით:

"უფალმა კი... უფალმა ბრძანა, — ათი მართალიც რომ იყოსო!"


გულო კობიაშვილი ერთ-ერთ ნოველაში, "ოცდამეთექვსმეტი", ქალის, იას, ხასიათს ხატავს ყვითელი და მწვანე ფერების შეხამებით. მას აცვია ყვითელი კაბა მწვანე ქაშით, ყვითელი ფეხსაცმელი. ხელში უჭირავს ასევე მწვანე ჩანთა, ხოლო თმა აქვს ქერა კი არა მთლად ცეცხლისფერი... იელის ბუჩქს შვავს, იას ბი არა. მწვანე და ყვითელი ფერების კომბინაციით იხატება ქალის მძაფრი ვნებები. მთავარ გმირს მის დანახვაზე შემთხვევით არ ახსენდება იელის ბუჩქი. "სახალა, ფარნაოზის ხარი, იელის მსხვერპლი გახდა. იელი ერთი შეხედვით ყვითელი ბუჩქია, ვითომ უვნებელი, არადა რას უშვრება ეს იელი საცოდავ, სულელ საქონელს".

შოიმ თავისი სისულელით და გულუბრყვილობით არა მარტო დის ნივან დაკარგა, არამედ თავის მშვიდ ცხოვრებასაც ბოლო მოუღო — იას მსხვერპლი გახდა. შიოს კარზე გაისმა ზარის ხმა. ის კარს აღებს, იას ხედავს და კვლავ ახსენდება ფარნაოზის ხარი, ასე უღვთოდ რომ იმსხვერპლა იელის ყვითლად თუ ცეცხლისფრად აგიაზგინებულმა საზიზღარმა ბუჩქმა: ასე დამთავრდა შიოს მცდელობა, გაზეთის საშუალებით შეექმნა მყუდრო ოჯახი.

ამრიგად, ყვითელი დასაყვარ და აღმოსაყვარ მითო-პოეტურ აზროვნებასა და ხელოვნებაში უმეტესად იგივეება სინათლის, მზისფერთან, რომელსაც საკრალური დატვირთვა აქვს.

1. ქართულ შერალდეკაში ძირითადად ფიგურირებს მზისფერი და ვერცხლისფერი ფონი. მზე სიმბოლოა სიბრძნის, ნაყოფიერების და სიმართლის. დროშის ფერი შეიძლება იყოს ჩალისფერი, მზისფერი და არა ყვითელი.

2. ქართულ მითო-პოეტურ აზროვნებასა და ხელოვნებაში კი მზისფერი და ყვითელი განირჩევა ერთმანეთისგან. მზისფერი, ხორბლისფერი, თავთუხისფერი, ჩალისფერი — ღვთაებრიობის მატარებელი ფერებია, ხოლო ყვითელი მავნე სულს განასახიერებს.



ოსო სიკუა

ბაიანბი და
თავისუფლებიხაჯან
სხიფვა

თავისუფლება და განღმრთობა

სინამდვილის შეცნობა, აუცილებლობის გააზრება, ცხოვრების წესი გვაძილებს, რომ შევიზღუდოთ და წესრიგს დავემორჩილოთ. სხვახაირად საზოგადოება ვერ იარსებებს.

წესრიგი არის ნორმებით განსაზღვრული აუცილებელი ბორკილი, რომლის დამსხვრევის სურვილი მუდამ არსებობს სულის სიღრმეში. ამიტომ არის აღზრდა, ანუ ამ ბორკილების დადების პროცესი, ძნელი და ხანგრძლივი, რასაც ეურჩება ბიოლოგიური ლტოლევები და ინსტინქტები.

შემოქმედს დამთრგუნველი ნორმებისაგან შემსუბუქება რეალობაში უმძიმს. იგი ოცნებაში ადგენს სასურველ მსოფლიოს ან ებრძვის სინამდვილეს, რომელშიც სიცოცხლე გაუმწარა.

თავისუფლებისაკენ სწრაფვა, თავისუფლების მიღწევა თუნდაც ოცნების სფერო-

ში, მოითხოვს ენერჯის, ვნებების, გრძობების, იდეების მაქსიმალურ კონცენტრირებასა და გამოვლენას.

ეს არის სრულყოფილების განცდა, ანუ ღვთაებრიობის შეგრძნობა.

განღმრთობას ველური აღწევა ბელადის თუ შენირულის მოკვლითა და სისხლის ზიარებით, ქრისტიანი მორწმუნე — ლოცვითა და მისტიკური ექსტაზით, დიქტატორი — დაპყრობითი ომებითა და მტერთა დათრგუნვით, ხელოვანი — შემოქმედებაში ხორცშესხმული შინაგანი იმპულსებით, რომელთაგან მთავარია ძალაუფლების ნებისა და სექსუალობის სულიერი ტრანსფორმაცია.

მაგრამ როცა უძველესი არქეტიპი ისე ამოდის ფსიქიკის უფსკრულიდან, რომ მასზე კონტროლი არ არსებობს, როცა ადამიანი თავისთავს მიიჩნევს ღმერთად, ქრისტედ თუ ნაპოლეონად, მაშინ სწრაფვას ცვლის გაიგივება, რაც უკვე ფსიქიკური რღვევის სიმპტომია.

კაცობრიობის არაცნობიერი მიზანია კოლექტიურ ღმერთად ქცევა, რომელიც შეიცვინობს და დაიმორჩილებს სამყაროს. გონების ტრიუმფი, ცოდნის ერთეულებიდან მასებში გადასვლა, შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს (მაგ: გულის გადანერგვა, მთვარეზე ასვლა, კლონირება, დნკ-ს უჯრედებით გადაძენებული სახეობის აღდგენა, ტელე და მობილური კავშირები).

აღბათ, როდესმე ყველა ფანტასტიკა ახდება, მაგრამ საეჭვოა, რომ ჰომეროსზე ან შექსპირზე დიდი ხელოვანი მოეველინოს ქვეყანას.

თავისუფლებისაკენ სწრაფვის იმპულსებს განსაზღვრავენ ტემპერამენტი და ბიოლოგიური ინსტინქტები — სისხლისა და სექსის წყურვილი, არაცნობიერ ფსიქიკაში არქეტიპებად არეკლილი, მინის — საარსებო სივრცის განცდა, შიშის ანუ მტრის ძლევა, სიცოცხლის უნარი.

შემოქმედება თავისუფლების ერთ-ერთი ფორმაა, ისევე როგორც სიზმარი, ადრეული ბავშვობა, სექსი, თრობა, ძალაუფლება, სიგიჟე და მასობრივი ფსიქოზი.

თხზვა, როგორც ძალაუფლების
ნების რეალიზება

თავისუფლების მოთხოვნილების ნიაღში ყალიბდება ძალაუფლების ნება.

ადამიანი ღმერთის ნინამე არის მტვერი და ნაცარი. მაგრამ ძალაუფლების ნებით შეპყრობილს ეს ავიწყდება, როცა თავს ხარმოდგენს უფლის მეტოქედ (მდრ. კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟები), ან მისი კარნახის აღმსრულებლად, როგორც მოსე, ქრისტე თუ მუჰამედი, ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონი, ლენინი, სტალინი თუ შიტლერი.

ცნობიერად — ეს არის განდიდების მანია,

რაც მმართველს ტირანად და დიქტატორად აქცევს, როცა აკვირებულ უმაღლეს იდეას ადამიანთა სიცოცხლეს ისე იოლად სწირავს, როგორც პაიკებს ჭაღარაკის დაფანჯრს.

არაცნობიერად — უძველესი ფაშის არქეტები — დამორჩილებისა და დაპყრობის ატავისტური ფინი, აგრესია და მოპოვება, რაც ფარულად ყველას გააჩნია და მასის მიერ ხორციელდება სექსითა და პირადი ცხოვრების მოვლარებით.

დამკვიდრებული გმირული იდეალები, ყოველდღიურ წერილობებზე მალე მდგომი, ე.ი. აღზრდად, ეთიკად, კულტურად, პოლიტიკად გადმოცემული ტრადიცია სულს იდგამს ფსიქოლოგიურ წარმოდგენად და ძლიერი ნებელობის, განსაკუთრებული თვისების პიროვნებას ძალაუფლებისა და კარიერისაკენ უბიძგებს, აქცევს მრისხანე ძალად, რომელსაც თავყანს სცემენ, თუნდაც უსამართლოდ მოქმედებდეს. თავისუფლებისაკენ სწრაფვა მთავრდება სხვისი დათრგუნვით.

ბუნებაში ყოველი სიცოცხლე არსებობს სხვა სიცოცხლეთა მოსპობის ხარჯზე. ამიტომ ბიოლოგიური უნარი ადამიანში ფორმირდება როგორც ძალაუფლების ნება, რაც ნაირგვარი ნიღბით ვლინდება.

ძალაუფლების ნების შინაგანი საფუძველი არის ტემპერამენტი, რასაც აყალიბებს სხეულის აგებულება (კონსტიტუცია), ნერვული სისტემა, ბიოლოგიურ მთხოვნილებათა დინამიკა. მას ერთვის ჩასთათი, მთავარი იდეისაკენ სწრაფვის ნებისყოფა, იდეის პათოსი.

დაიდა იდეის აკვირება და უმძაფრესი განცდა გადადის ხევროზსა და ფსიქოზში, თავგანწირვის, თვითგამიცების სულისკვეთებაში, დაპყრობასა და დათრგუნვაში, რაც გადაცემა მასას და მასშიც ასეთსავე იმპულსებს აღძრავს.

ლიდერი და მასა ერთიანი ხდება. ყველა დროში ძალაუფლების ნება მჭლავდება ტერიტორიასთან — საკუთარ ეზოსთან, კუთხესთან, სამშობლო მიწასთან მიმართებით, რაც არის უძველესი საარსებო სივრცის განცდა. ეს არის ყოველი ბიოლოგიური არსების სასიცოცხლო თვისება.

ყველა ლიდერი, სარდალი თუ ბელადი იბრძობა ახალი მიწების დასაპყრობად, თავისი ტომისა და ერის განსაზღვრებად.

კაცობრიობის ისტორიას მხოლოდ მათი სახელი შემორჩა.

დღეს იარაღით დაპყრობა და დათრგუნვა შეცვალა ეკონომიკურმა და კულტურულმა ექსპანსიამ, უსისხლო ანექსიამ, მაგრამ არის იგივეა.

ხელოვანი კი არის ის, ვისაც ასეთი მიზნის პრაქტიკული რეალიზება არ შეუძლია ან ეს მიზანი აქვს არაცნობიერად, მოქცეული ფსიქიკის სიღრმეში და გადატანილი უნაღურად არსებულ თუ გამოგონილ იდეად და ძლიერ პიროვნებებზე, რაც ლტოლვათა სიმბოლოებია.

იგი არშემდგარი ან დამარცხებული ლი-

დერია, უდროობის გმირი ან ქურუმი, რომელიც თხზავს ოცნების ქვეყანას და აქ ავლენს ძალაუფლების ნებასაც (ძმარ. — კონსტანტინ ბალმონტი: «О, да, я Избранный, я Мудрый, Сын солнца, я – Поэт, я – Царь»; ვალერი ბროსლო: «Вождем буду Я! Да, Я!» გალაკტიონ ტაბიძე: «რომ მეფე ვარ და მკობასი»)

ძალაუფლების ნება და მეფე

ქურუმის არქეტები

ძალაუფლების ნების სიტყვიერ შემოქმედებად და ეროვნულ მრწამსად გარდსახვის თვალსაჩინო მაგალითს გვაძლევენ ილია ქაჭავაძე, გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია.

ილია ქაჭავაძემ საზოგადოებრივ ასპარეზზე პპოვა თვითგამოხატვა, რაც მხედრული ტრადიციების უარყოფა იყო.

საზოგადოებრივი ასპარეზი არც პოლიტიკაა და არც ხელოვნება, მაგრამ პატრიოტიკა, დამარცხებული სამშობლოს ბედი, მისთვის თავგანწირვა იწვევს სულიერ ძალთა მობილენებასა და აზვირთებას, როგორც სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიასთვის უმთავრესი იყო ესთეტიზმი და დამარცხებული სამშობლოს ბედისწერა.

ა) მეფე-ქურუმის მკვლელობა

ილია ქაჭავაძე პოლიტიკოსი არ ყოფილა, თუნდა საამისო მონაცემები უნდა ჰქონდა — გვაროვნული და მხედრული წარმომავლობა, დიდი განათლება, ფხიზელი გონი, მას-მასტური ხედავ, ძლიერი ნებისყოფა, მტკიცე ხასიათი, მაგრამ ხელისშემშლელი ფაქტორი იყო რუსეთის იმპერია.

იგი ეროვნული სულის პიროვნება იყო, სამოქალაქო პირი, რომელიც თავისი ქვეყნის დამპყრობელთა სამსახურში ვერ ჩადგებოდა, თანამოძმეთა დათრგუნვის ხარჯზე კარიერას ვერ გაიკეთებდა, როგორც ციციანოვი ან ლორის-მელიქოვი.

არაერთი მისი წინამორბედი ქართველი მწერალი რუსეთის არმიის გენერალი იყო (ალექსანდრე ქაჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი).

ისინი ახალ ასპარეზზე აგრძელებდნენ ძველქართულ მხედრულ ტრადიციებს, როგორც რუსეთში პეტრე ბაგრატიონი, განამტკიცებდნენ იმპერიის ძლიერებას.

მაგრამ ილია იმ თაობის წევრი იყო, რომელმაც მახვილი უარყო და კალამი აიღო, გენერლის ეპოლეტებს სტუდენტის სერთუკი აჩნია.

იმპერიას გენერალი სჭირდებოდა, მაგრამ კოლონიური ქვეყნის შვილი პოლიტიკოსი — არა.

ლიტერატურაში დიდ განახლებას წარმოშობს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძვრები. 60-იან წლებში ასეთი მოვლენა იყო ბატონყმობის ოფიციალური გაუქმება, რაც თავისუფლების თეორეტიკულ სახავდა მოაზროვნე ახალი თაობის წინამძღუ.

პეტერბურგიდან დაბრუნებულ ჭაბუკ ილიას კონსერვატიული, მიძინებული, უმოქმედო საზოგადოება დახვდა. მან იცოდა, რომ მისი დაბრუნებულმა, ჩვენი თავი ჩვენივე გვეყუდნეს, ბატონი ჩაგრავს ყმას, ქვეყანას გასაფხული ენატრება, რომ იანიჩრობა დამღუპველია, მაგრამ როგორ შეცვალა არსებული ვითარება? შეფასება ერთია, შეცვლა — მეორე.

ილიას იდეალი იყო **ჯუზეპე გარიბალდი** — იტალიის განმათავისუფლებელი გმირი, შემდეგ — **ფრანგი კომუნარები**, ე.ი. მეომარი, თუმცა რევოლუციონერობა არ უცდია.

პოლიტიკოსისა და რევოლუციონერის ტემპერამენტი პირველსავე წანერგებში გამოავლინა, როგორც მწერალმა, ლიტერატორმა და პუბლიცისტმა.

მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ სიტყვა ვითარებას ვერ შეცვლიდა, რომ იმპერიას რღვევის ნიშანწყალი ჯერ მინც არ ეტყობოდა, მოულოდნელად ჩამოსცილდა პრესას, ლიტერატურას, საზოგადოებრივ ასპარეზს, გახდა რიგითი ჩინოვნიკი.

ათწლიანი დუმილის შემდეგ ისევ დაუბრუნდა თბილისს და საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ არა როგორც მწერალი, არამედ — როგორც პრაქტიკული მოღვაწი, რომელმაც კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების მთელი ქსელი შექმნა (სათავდაზნაურო ბანკი, პრესა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრალური საზოგადოება...)

ამ სფეროში გამოავლინა პოლიტიკური ნება, ძლიერი, დიქტატორული ბუნება, თვითმოქმედების პრინციპით საფუძველი ჩაუყარა მომავლის საქართველოს, რისთვისაც არც კონფლიქტებს მოერიდა, პოლემიკასა და დაპირისპირებას, რაც საბოლოოდ საბედისწერო აღმოჩნდა (პოლემიკა სოციალ-დემოკრატი წევრებისათვის).

ილიას სწამდა, რომ ვერც პოლიტიკური კარიერა, ვერც მწერლობა, ვერც აჯანყება ქვეყანას თავისუფლებას ვერ მოუტანდა. ამიტომაც თვალსაზრისი შეიცვალა და აქცენტები გადაიტანა განმანათლებლო მოღვაწეობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაზე, კლასთა ძერიგებაზე, როგორც რეალურად მოაზროვნემ.

ეს იდეები რომ გაეტარებინა, ლოიალურად განეხყო მეფის ხელისუფლების მიმართ, რადგან იდეების რეალიზება მოითხოვს პრაგმატულ ხედვას, პრაგმატიზმი — კონფორმიზმს.

ეს იყო პროგრამა-მინიმუმი, ხოლო მაქსიმუმს მომავალი თაობები ვააკეთებდნენ. მაგრამ მოხდა პარადოქსი და როცა რეალურად გაჩნდა სამშობლოს თავისუფლების ძანის,

არ დადგა აჯანყებულთა გვერდით. მიზეზი მხოლოდ ასაკი ან კონსერვატიზმი როდი იყო.

ილია პოლიტიკოსი არ იყო, რომ თავის პრინციპებს პრაგმატული მოსაზრებით შეელოდა, უარეყო ერის ინტერესების პირველადობა.

იგი ძალაუფლების ნების ტრანსფორმირება აქცია დიდ ეროვნულ მოღვაწედ. მაგრამ იმავე ძალაუფლების მოთხოვნილებამ ბოლოს მანც პოლიტიკაში მიიყვანა. ეს მაშინ, როცა ჩამოცილებული იყო პრესას, ბანკს, თეატრს, ლიტერატურას, პუბლიცისტკას...

თავისუფალ საქართველოში შეიძლება პრეზიდენტიც ყოფილიყო, არა ბანკირი ან რედაქტორი. მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს პოლიტიკოსად დაბადებული კაცი სწორედ პოლიტიკის მსხვერპლი გახდა, როცა ჩართო იმპერიის სისტემაში, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ილია ჭაჭვავაძემ პოლიტიკასა და ლიტერატურას შორის გამოიჭინა შუალედური სფერო — საზოგადოებრივი არენა და პუბლიცისტკა.

მეტის გაცემაზე შეუძლებელი იყო. მაგრამ მასაც იგივე ელოდა, რაც მის უძველეს არქიტექტოს: **პატრიარქალური მამა რიტუალურად მოკლეს გამგებებულმა შვილებმა, რომლებმაც მალე დაიკავეს მისი ადგილი.**

ბ) მეფე-ქურუმის განდევნა

იგივე ითქმის გრიგოლ რობაქიძეზე. მას უფრო რთულ და სასტიკ დროში მოუხდა მოღვაწეობა. ეს იყო რევოლუციების, მსოფლიო ომების, ბოლშევიზმსა და ფაშიზმის სატანური ეპოქა.

სწორედ შენიშნავდა, პოლიტიკას ადევნებული მწერალი ნაგებობი რჩება და ისევბა კიდევს.

გრიგოლ რობაქიძე ესთეტიზმისა და იდეების მსახური იყო, აღზრდილი გოეთესა და ნიცშეს ტრადიციებზე, რომლებიც არა მხოლოდ მის მრწამსზე, არამედ ცხოვრების წესზეც ახდენდნენ გავლენას.

იგი ლიტერატურაში მოჰყვა დიდ კულტურულ მოძრაობას — მოდერნიზტულ განახლებას, რომლის ციკლონი ილიასა და სხვათა მიერ გამოღვივებულ საქართველოს უახლოვდებოდა.

თუ ილია რუსულ იდეებზე აღიზარდა, გრიგოლმა რუსულს დაურთო გერმანული ნაციონალიზმი.

თავიდან არც პოლიტიკა იზიდავდა, არც საზოგადოებრივი არენა. მაგრამ თანდათან მის შეგნებაში ყალიბდებოდა, ერთი მხრივ — ნიცშეანული ძლიერი პიროვნების კულტი, მეორე მხრივ — თავის თავსაც წაიშობიდაგენდა უჩვეული პიროვნებად.

მას, მართლაც, ჰქონდა მტკიცე ნერვები, დიდი ნებისყოფა, დიდი ერუდიცია, გამორჩეული გარეგნობა, ორატორული ნიჭი,

აზროვნების ძალა, რომლის საფუძვლად პეროიკას, მითოსს, ქართულ სიტყვას და სისხლის მისტერიას იგულებდა.

როგორც ესთეტი, ერუდიტი და ორატორი, აუდიტორიას იოლად ხიბლავდა და იმორჩილებდა. თეატრალურმა სპექტაკლებმა კიდევ უფრო გახუმტკიცა ავტორიტეტი. ამიტომაც, განებივრებული საზოგადოებისა და ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან, ლიტერატურაში ამკვიდრებდა აზრისა და ძლიერი პიროვნების დიქტატურას, მითოსსა და ესთეტიზმს.

თითქოს ეროვნული პრობლემები არც აინტერესებდა. მაგრამ ბოლშევიკების სისასტიკემ მასში ქართველი ნაციონალისტის გააღვიძა და ეს ლენინის აპოლოგეტი სამშობლოდან შიტლერულ გერმანიამ გასტყორცნა, აქცია სტალინის მოძულედ, შიტლერისა და მუსოლინის პანეგერიკოსად.

ძმებისა და შვილების მიერ განდევნილმა და შერისხულმა ზეკაცმა ბოლშევიზმიდან ფაშისმისაკენ გადაინაცვლა. მსოფლიო კი ორივე მათგანს გმობდა.

გრიგოლ რობაქიძე, ილიას დარად, შესაძლოა პრეზიდენტად გახდარიყო (მდრ. ემიგრანტ გერმანელებს შიტლერის დამარცხების შემდეგ. პრეზიდენტად თომას მანი უნდოდათ). მაგრამ პოლიტიკოსი არც ის ყოფილა, ჩაბმული რევოლუციურ და პარტიულ ბატალიებში. როგორც მოაზროვნესა და ერისკაცს, ეგონა, რომ ფაშისმი სძლევა ბოლშევიზმს და საქართველოს თავისუფლება ელირსებოდა.

ეს ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა, რაც ცხადყოფს, რომ არ უჭონდა პოლიტიკური რეალიების განჭვრეტის ალღო, სასურველი ხშირად რეალობად მიაჩნდა.

ამიტომ ლიდერად დაბადებული კაცი ყველა მხარემ მოიკეთა და ანათემას გადასცა. იდეურმა და პოლიტიკურმა კატასტროფამ კი ხერხები შეურყვია და ლიტერატურას ჩამოაცილა.

მაინც სწამდა, რომ "ლამარათი" მსოფლიო იამაყებდა!

ძალაუფლების ნება, მეფე-ქურუმის არქეტიპი, რაც მას ენერჯიას და სიცოცხლის აზრს ანიჭებდა, არასწორად იქნა რეალიზებული, ამიტომ ქართულ ცნობიერებაში ვერ დაიკავა ის ადგილი, რომელიც შეეძლო სჭეროდა.

მიზეზი მხოლოდ ეპოქის კატაკლიზმები არ ყოფილა!

გრიგოლ რობაქიძეს სურდა, ესეში ესესისტზე მეტი ყოფილიყო, რომანში — რომანისტზე მეტი, ლექსში — პოეტზე მეტი, ხოლო პოლიტიკასთან თამაში ყოველთვის საბედისწეროა: ამაღლებას მოსდევს დაცემა, მწერგვალს — უფსკურული, გახდიდება — შექვენება. გული მაინც პოლიტიკური ლიდერობისაკენ მიუწევდა, როგორც მოაზროვნეს, მოსულს ნიცშესა და მითების სამყაროდა.

თუ ილია ჭავჭავაძე ველურა წესისამერ მოკლავს, გრიგოლ რობაქიძე სამშობლოდან მოიკვეთეს, მოლაღატედ გამოაცხ-

ადეს და მისი სახელის ხსენება აკრძალეს.

გ) მეფე-ქურუმის წამება

განსხვავებულად არის ძალაუფლების ნების — მეფე-ქურუმის არქეტიპი რეალიზებული კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

ისიც, გრიგოლის დარად, გერმანიიდან, გაეთესა და ნიცშეს სამყაროდან მოდოდა, დიდხანს სველობდა გერმანიის უნივერსიტეტებში.

ბავშვობაში ხან კათალიკოსობა უნდოდა, ხან — გენერლობა, ე.ი. თავიდანვე უჭონდა ლიდერის იდეალი. ხოლო სიბერეში გულდასუფრთხილი მძინებდა:

„შე არ ვინაბტრებდი არც აკადემიკოსობას, არც მსოფლიო რეზონანსის მწერლის სახელს, ვნატრობ და ვნაობ მხოლოდ იმას, რომ მე არ ვამაჩინა არსთაგამრიგემ თამარისა და ლაშა გიორგის რომელიმე ლაშქრის მთავარსარდალად.“

მთელი ათწლეული ემთხვეოდა განსწავლასა და საკუთარი თავის პოვნას. ძიებასა და დრეიდის ნერტილი დაუსვა 1921 წლის კატასტროფამ. თავისუფლების წყურვილმა, ძლიერმა ნაციონალიზმმა და ბოლშევიზმისადმი სიძულვილმა მასში შემოქმედი მოაზნიფა, შემოქმედა, რადგანაც პოლიტიკის გზა დახშული იყო.

ყოფილი დიპლომატი და ფედერალისტი ახალ სიტუაციას უნდა შეგუებოდა ან 1924 წლის აჯანყების დროს დაღუპულიყო.

შეგუება არ შეეძლო. ძალაუფლების და ხელისუფლებისათვის ვერ იბრძოლებდა, რადგან აინტერესებდა არა პოლიტიკა, არამედ ერის ბედი.

ამიტომ თავისი ერუდიცია, ნაციონალიზმი, მწრამსი და ტემპერამენტი შემოქმედებად გარდასახა, რათა ასე შეექმნა ოცნების ქვეყანა, გამაყვანა როგორც დამარცხებული, ისე გამაყვანებული ეროვნული სულის მედროშე გმირები.

ქვეყნის ტრეგედიის სიმწვავემ აღმოძრადა ფარული ძალბი, არაცნობიერი ფსიქიკა, ინსტინქტური ლტოლვები, ხედავ და გრძობა. ამიტომ ადარებდა თავის თავს უფლის ანგელოზთან მეზრძოლ ბიბლიურ იაკობს.

ძალაუფლების ნების სიმბოლოები არიან კონსტანტინე გამსახურდიას ღმერთის მაძიებელი ან ღმერთის მკვლელი პერსონაჟები, მეფეები და სარდლები, განსაკუთრებული ბედისა და ინტელექტუალობის ტრაგიკული გმირები, რომლებიც იტყვენ მთელი ერის სევდასა და იმედს. ისინი პრაქტიკულად თუ პოტენციურად მეომრები არიან, ცხენოსნები და მონადირენი. ამიტომაც ხატავს დიდი ვნებითა და ექსტაზით ბატალურ სცენებს, სისხლიან მეტაკებებს, გმირის აღსასრულს.

როგორც პიროვნებას, ბოლშევიკური წნეხი მოსპობით ეშუქებოდა;

როგორც შემოქმედს — ძალას შმატებდა, ფანტაზიის უნარს უღვიძებდა, სიმბოლურ-ალეგორიულ აზროვნებას აჩვენებდა, რათა რეალობას გამიჯვნოდა, ეთქვა, როგორც გულისმომკველელი აღსარება, ისე ეჩვენებინა ხორცშესხმული იდეალები.

გარკონი ზღვრამდე რეპრესირება სასარგებლო იყო!

სინამდვილესთან კონფლიქტი და დისკუსია, რეალობაში — შეგუება, ოცნებაში — დაპირისპირება ზრდიდა სულის აქტიუობას, რასაც ახლად დაპატიმრება, გადასახლება, მუდმივი თვალთვალი და კრიტიკა, შიში და სიკვდილის ლანდი.

არც კონსტანტინე გამსახურდია ყოფილა პოლიტიკოსი. ისიც ერისკაც იყო, ვისაც **“ერის წყლული აინდა წყლულად”**. ამიტომ შემოქმედება იყო სულის ხსნა. ხოლო ლოიალობა ბოლშევიკებისადმი აუცილებელი ჩანდა სიცოცხლისა და მრწამსის გადასარჩენად, რაც ვაშალა ესეებად, ნოველებად, რომანებად, აქცია სიუჟეტებად, სახეთა სისტემად, პერსონაჟებად, ენობრივ მოდელად.

“მთავრის მოტაცების” ავტორმა სწორედ ესთეტიზმი და ემოციების სამყარო წამოსწია, გრძობით შემოსა და შეზურა აზრი და იდეა. ამიტომ ცოცხლობენ ასე მძაფრად მწერლის გამოჩენები, სიუჟეტები და სტრიქონები ჩვენს შემეცნებაში.

იგი დარჩა ოცნების სფეროში და ამიტომ აკმარეს **ტანჯვა-წვალება ძმებმა** და შვილებმა, არ განუშადეს ის განაჩენი, რაც ნილად ხვდათ ილია ჭავჭავაძესა და გრიგოლ რობაქიძეს.

დ) ქურუმიდან განღმრთობამდე

ილია ჭავჭავაძე პოეტს ბიბლიური მოსეს მსგავს ლიდერ-წინასწარმეტყველად მიიჩნევდა:

“ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა”.

მონესრავებულ სახელმწიფოში ერის ლიდერი არ შეიძლება იყოს პოეტი ან პროზაიკოსი. ეს ტრაგედიაა, რადგან ასეთ ქვეყანას არ ჰყავს მეფე ან სარდალი, პრეზიდენტი ან პოლიტიკური მოღვაწე.

ასეთი იყო გუბერნიებად დაშლილი, რუსეთის კოლონია, XIX საუკუნის საქართველო.

ბუნება ვერ იტანს სიცარიელეს და შექმნილ ვაკუუმს ავსებს შემოქმედი, რომელიმაც შეიძლება დამუზტოს ხალხის სულისკვეთება, როგორც მანდორ პეტეფუმა, ჩაუნერგოს ბრძოლისა და თავისუფლების სურვილი. მაგრამ ლიდერი პოლიტიკოსი ან რევოლუციონერი უნდა იყოს (შდრ. — **გოეთე: “რა უნდათ გერმანელებს? მათ ხომ მე ვყავარ!”**)

საქართველო არა მხოლოდ კოლონია, სულიერადაც გატეხილი ქვეყანა იყო, რომელსაც, მწერლის გარდა, მზრუნველი და მოიმედე არავინ ჰყავდა.

ერის თუნდაც სიტყვით წინამძღოლობის

იდეა ნიშნავდა ძალაუფლების ნების გამოვლენას (შდრ — **გოეთე, ლეგ ტოლსტოი, თომას მანი**), სულიერი განღმრთობის.

ილია იმასაც ამბობდა, რომ ფრინველივით არ მღეროდა და უფალმა მხოლოდ ტყვეთ ხმათათვის როდი გამოგზავნა (სხვათა შორის, თურმე, ბულბული როცა ვალობს, ეს არის სხვების გაფრთხილება, რომ ეს ტერიტორია მისია!)

უფლის მიერ შემოქმედის დანიშვნა (**“მეცა მნიშნავს და ვრი მზრდის, მიწიერი ზეციერსა”**) — ეს განსაკუთრებულობის სიმბოლოა, რაც შეჰფერის მეფე-ქურუმს. მაგრამ ილია იმასაც მენიშნავს, რომ **“სიმღერა”** და **“ტყბილი ხმა”** აუცილებელია, რათა ყური უგდონ.

დიდი ხელოვანი განცების რჩეულია (შდრ — **თომას მანის გოეთე: “გერმანია მე ვარ. ის რომც მთლიანად დაიღუპოს, ჩემში ვაგარძელებდა არსებობას”**). მაგრამ ჩვეულებრივ პირობებში ეს სულაც არ არის **“წინამძღოლობა”**. **“წინამძღოლს”** სხვაგვარი ნიჭი სჭირდება, რაც მართებს, პრაქტიკული მოქმედების უნარით ვლინდება.

აქილეუსს ვერ შეეცვლის შოპეროსი, თუმცა **“არა დიდი იყო აქილეუსი, არამედ დიდსა მიემთხვია მაქედელსა”**.

ე). თავისუფლებისაკენ სწრაფვა და ძლიერი პიროვნება

ძალაუფლების ნებას ამოძრავებს თავისუფლების წყურვილი, თავისუფლების მოპოებისკენ სწრაფვა, სხვათაგან გამოყოფა, ინდივიდის თვითდადგენა:

სულერთია — ეს იქნება პიროვნული, ეროვნული თუ სოციალური, უძველესი არქეტიპული მოდელები — გმირი (ემოზარი), მეფე (ბელადი), ქურუმი და მინა (ტერიტორია). მათ მიღმა კი საარსებო ბიოლოგიური ინსტინქტები და ტექნიკური იგულისხმება. ამ თვისებას ყველაზე ძლიერად ავლენენ ტომის ბელადები, რომლებიც ერთნაირად სასტიკი და ლომივით მრისხანე უნდა ყოფილიყვნენ.

მათი ძალა და ეგოიზმი, ინსტინქტურ მოთხოვნილებათა დაცვა და აღსრულება იმორჩილებდა და თრგუნავდა ტომის ინტერესებს, ანესრიგებად მათ ლტოლევებს.

ჩარლზ დარვინს მოაქვს ასეთი მაგალითი:

გორილების კლანის სათავეში დგას ერთი ძლიერი მამრი, რომელსაც ემორჩილებიან მდედრები. მაგრამ შვილები იზრდებიან და იწყება ბრძოლა ძალაუფლებისა და მდედრობისათვის.

ექვანი უფროს მამრს, კლანის მამას, კლავს ან ავადმყოფობს.

ზიგმუნდ ფროიდის აზრით, ის, რაც ხდებოდა აფრიკულ, ავსტრალიურ და ამერიკულ ტომებში, ხდებოდა ჩვენი ველური წინაპრების ჯგუფშიც, რაც ბელადებს აიძულებდათ,

წევრთა სიცოცხლის ფასად აეკრძალათ სექსუალური კავშირები ჯოჯისა თუ ტომის წევრებს შორის, როგორც კონფლიქტისა და სისხლიანი შეტაკებების მიზეზი.

სასჯელი, სიკვდილი და სიკვდილის შიში თანდათანობით აყალიბებდა ეგზოგამიას, ინცესტის აკრძალვას, ეს კი — სხვა ტომებთან ბრძოლის აუცილებლობას.

თუ ნადირობა, თამაში, ჯოჯის მტერთაგან დაცვა მამრებს აერთიანებდა, სექსუალური მოთხოვნები სათმავდა.

ძალაუფლების შენარჩუნებისა და ჯოჯის თუ ტომის, ანუ სიცოცხლის, გადარჩენის ინსტიტუტი ნელ-ნელა იქცეოდა ტოტემისა და ტაბუ რეინის კოდებად, პირველ სასტიკ წინორბე კანონად. ტომს ასევე კრავდა და აერთიანებდა, აწვრილებდა კაცთშენიერების რიტუალები — ბელადის ან შერიადის ცერემონიალური მკვლელობა. განსაზღვრული დროით ბელადის მოკვლა ტაბუირებული იყო. იგი ხელყოფისაგან ამ პერიოდში დაცული იყო, რაც სტიქიურად კანიბალიზმის შეზღუდვასაც ნიშნავდა.

ზოგ ტომში, რომელიც სტოვებდა კანიბალიზმს, უკავდათ გამოყოფილი კაციქამიები, რომელთაც დროდადრო უნდა ჩაედინათ ეს აქტი. სამაგიეროდ, შემდეგ კაციქამია უწმინდურად მიიჩნეოდა, მთელი წელი ქალს ვერ გაეკარებოდა, დიდხანს ცალკე უნდა ეცხოვრა, ე.ი. ისჯებოდა, ოღონდ მსუბუქად.

ჯოჯი თუ ტომი თავის დაცვას და სარჩოს მოპოვებას ერთიანობით, საერთო ძალით თუ შესძლებდა. ცალკეული წევრი, მისგან მოწყვეტილი, უწმიო და უსუსური, დასალუპავად იყო განიერიული (შდრ — გაუა-ფშაველას ზოგი პერსონაჟის თემისაგან მოკვდა).

დღევანდელი მარტოობისა და "სულით ობოლნი" არქეტიპია ჯოჯური ინსტიტუტი, მომეტაგან დაცილებით გამოწვეული არასრულფასოვნების განცდა.

დავაკვირდეთ ფრინველთა გუნდის ან თევზების ლაშქრის სიმეტრიულ, ზუსტ ქროლვას, როცა ათასობით ინდივიდი მოძრაობს როგორც ერთი მთლიანი, ე.ი. წინამძღოლი იძირება მასაში, მისი ნება ზუსტად გადაეცემა მასას.

ძლიერ პიროვნებას — ბელადს, მეფეს თუ სარდალს, აქვს დამორგუნველი, პიპინოზური ხედა. მის შერაფარ კონცენტრირებულია არქეტიპულად გამოცემული შინაგანი ენერჯია, რასაც ვერ უძლებს მასის წევრი და ემორჩილება.

ასეთი მაკიური უნარი ჰქონდათ ქურუმებსაც, რომლებიც სხვადასხვა ხერხით იწვევდნენ ბოდვასა და მიზანმიმართულ პალეოციანიციებს, რაც ღმერთების ნების გაცხადებად ეჩვენებოდათ.

შემოქმედეს ეს ძალა გადააქვს სიტყვებში და მხატვრულ სახეთა სისტემით იპარობს მკითხველს, როგორც ჯადოქარი, შამანი და ქურუმი.

ძლიერი პიროვნება სტიქიურად იწვევს კრძალვას, ნესრიგისა და დისციპლინის მოთხოვნილებას.

პოლიტიკურ ლიდერს, ცნობილ მსახიობს თუ ხელისუფალს მრავალი ქალი ეთაყვანებდა (გაეხსენეთ ადოლფ ჰიტლერი ან ზვიად გამსახურდია), ბევრსაც უყვარს. მაგრამ მათ შორის კონფლიქტსა და ეჭვიანობას არ იწვევს — აკავშირებს კიდევ იმიტომ, რომ ეს არ არის ექსპლუატიური ლტოლვა, ობიექტის დაუფლების სურვილი.

პრეისტორიულ და ისტორიულ არეალში ტოტემი, დიქტატორი მამა (ბელადი), ღმერთი ზეუნენი და აყალიბებდნენ ადამიანურ ცნობიერებას, ცხოვრების წესს.

ძალაუფლების ნება იყო განვითარებისა და ნესრიგის მძლავრი ფაქტორი, რაც ქმნიდა სასტიკ იერარქიულ დისციპლინას.

ეს კი ნიშნავდა თავისუფლების შეზღუდვას, ველური ინსტინქტების შეკავებას, მათ კალაპოტში მოქცევას. მაგრამ მოდიოდა ახალი ძლიერი ძალა, რომელიც ეურჩებოდა არსებულ ნესრიგს, ამსხვრევდა მას, როგორც ბორჯილს, და ისევ ცდილობდა ქვეყნის აყირავებას.

ძალაუფლების ნებით შეპყრობილს მოჰქონდა ახალი ნესრიგი, თავისუფლების წყურვილით აღვზნებულს, მეტოქეთა დათრგუნვით გახლებულს, თავი ახალ ღმერთად წარმოედგინა.

ეს იყო პროგრესის სპირალურად აღმავალი გზა, რაც ლიდერის სწრაფისა და მოქმედების შედეგია (მაკიაველი, ნიცშე, ადლერი).

როცა ომში სარდალს კლავენ, პანიკური შიში ვრცელდება და ჯარი გარბის. მეომრებს ერთმანეთთან აკავშირებთ სარდალი, რადგან იგი რეპრესისა და უძლეველობის სიმბოლოა, რაც გადაეცემა მეომრებს. მაგრამ როგორც კი სარდალი იღუპება, ეს იმედი მყისვე ქრება და დამარცხება გარდაუვალია.

სხელი თავის გარემო ვერ იცოცხლებს.

დიმიტრი უზნაძის დაკვირვებით, ათი წლის ასაკიანი ბავშვების 97%-ს ყველაზე მეტად ბრძოლისა და შეჯიბრების თამაში აინტერესებს ანუ სხვათა ძლევას, პირველობას უსწრავის.

შემდეგ დრო, გარემოება, შინაგანი უნარი ფილტრავს ლიდერობისათვის მებრძოლთა რიცხვს და საბოლოოდ რჩება 5% ინიციატორი და 95% იმიტატორი, ანუ მიმბაძველი, ლიდერის ნების მორჩილი და მიმყოფი.

ამ ზუთ პროცენტს შორის კი კონფლიქტი გარდაუვალია.

ძალაუფლების ნება სრულად პოლიტიკაში ვლინდება, ომსა და საქვეყნო მოქმედების ასპარეზზე, მაგრამ პოლიტიკური ცნების სახეცვლილება, როგორც სიმბოლოური სწრაფვა თავისუფლებისაკენ, რეპრესირება და უარყოფა, შემოქმედებს თხზვის განსაკუთრებულ ძალას აძლევს.

გაგრძელება იქნება



ნუკ
ოთინაშვილი

ზემო ქაჩიძის სოპრონიშილიან

ზოგადი მიმოხილვა

ეთნოკრიზისმა, რომელიც ქართლის რა-
ონებში რუსეთის რეაქციული ძალების მი-
ერაა ინსპირირებული, უამრავი მსხვერპლი
მოიტანა. ეს ძალები ცდილობენ ამ დაპირის-
პირებით მაქსიმალური სარგებლობა თუ მო-
გება მიიღონ. ამ ნაცნობი სცენარით გათა-
მაშდა ტრაგედია, რომელიც შიდა ქართლში
თავს დაატება რუსეთმა საქართველოს ძირ-
ძველ მინა-წყალს.

ჩვენში ხიზნებად დასახლებულმა ოსებმა,
ჩრდილოეთ ოსეთიდან მოვლენილმა ე.წ. სამ-
შვიდობობებმა, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი
გამოუცხადეს მთელ საქართველოს, ქარ-

თველ ხალხს. უაზრო სისხლის ღვრას ბოლო
არ უჩანს. შემზარავია ოსების მზაკერობა და
მუხანათობა, სისასტიკე და ვანდალიზმი. საკ-
ვირველია, როგორ ახერხებდნენ ოსები ჩვენს
გვერდით ცხოვრებას, როცა გულში ამდენი
ბოლმა და ღვარძლი ჰქონიათ ჩაგუბებული.
ტყულად ფიქრობენ ექსტრემისტები, რომ სა-
ნადელს ძალის გამოყენებით მიაღწევენ, მა-
თი საქმე სრულიად უპერსპექტივოა.

დავინწყით იქიდან, რომ გასული საუკუ-
ნის ოციან წლებში, საბჭოთა სტრუქტურების
ჩამოყალიბების პროცესში, ეროვნულ-ტე-
რიტორიული ერთეულები იქმნებოდა ხელა-
ლებით, ეთნიკური ჯგუფების წარმომავლო-
ბის, ისტორიის, გეოგრაფიის, ტერიტორიის,
სხვა ობიექტურ კანონზომიერებათა გაუთ-
ვალისწინებლად. ეს დიდი საკითხი წყდებო-
და პირთა ვინრო ჯგუფის მიერ და ანგარიშს
არ უწევდნენ ამ ტერიტორიის მკვიდრი მო-
სახლეობის აზრსა და პროტესტს. ყოველივე
ეს კი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკის
გამარჯვება და კანონზომიერება იყო. ასე
მოლაღატურად შეიქმნა ე.წ. ტოპონიმიკური
წყვილი "სამხრეთ ოსეთი" საქართველოში,
რომლის წარმოქმნასაც ქართველმა ბოლშე-
ვიკებმა შეუნწყვეს ხელი.

ისტორიულად ე.წ. ჩრდილო და ე.წ. სამ-
ხრეთ ოსეთი არასოდეს ყოფილა ერთიანი
ქვეყანა, ერთიანი ოსეთი. ისინი არც ცალ-
ცალკე ყოფილან სახელმწიფოებრიობის
მსგავსი რაიმე პოლიტიკურ-ტოპონიმიკური
ერთეულები. არასოდეს არ არსებობდა ე.წ.
სამხრეთ ოსეთი, არ არსებობდა ე.წ. ჩრდი-
ლოეთ ოსეთიც ამჟამინდელ ფარგლებში.

შოკინისტი ოსები ერის ისტორიულ საცხ-
ოვრის ანაქრონიზმად მიიჩნევენ სწორედ
იმ მიზნით, რომ განეხორციელებინათ ეთ-
ნონმენდა. დიდი და პატარა ლიახვის, ფრო-
ნეს ხეობებიდან, მძლავრი საარტილერიო
დარტყმებით, გამოდევნეს ქართველები; გა-
ძარცვეს ათასამდე სახლი და დანვეს. აქვე
დავსძენთ, რომ ასეთი უმწეობა, რაც ჩვენმა
ხელისუფლებამ გამოიჩინა, არსად ანალოგს
არ პოულობს, მათ შორის ისრაელ-პალესტინე-
ლის დაპირისპირებაში, როცა პალესტინელები
ისრაელის უმძლავრეს არმიას უმკლავდუ-
ბიან.

ისტორიული წყაროებით, ისე დღევან-
დელი ვითარებითაც ნათლად დასტურდება,
რომ შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე,

ასევე დგალეთში, მალრან-დვალეთში მხოლოდ ქართული ტოპონიმებია გავრცელებული. დღეისათვის შიდა ქართლის ტერიტორიაზე ძველი ქართული ტოპონიმები ნაკლებად არის შეცვლილი. ამისი მიზეზი კი ის არის, რომ შიდა ქართლის მოსახლეობა თითქმის ერთფეროვანი იყო. მხარეში უცხო ხალხის ჩასახლება ხდებოდა თანდათანობით. პიდრონიმება და ტოპონიმებში დიდი ცვლილება არ შეიმჩნევა. ეს ცვლილებები ძირითადად მიკროტოპონიმებში გამოიხატება. მაკრო და საკუთრივ ტოპონიმების მდგრადობა გამოწვეული იმ გარემოებით, რომ ქართულ მოსახლეობას უცხო ხალხი თანდათანობით შეერია.

მაგალითად, ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ტოპონიმიკური ლექსიკა ღარიბია და ისინი ძირითადად სამეურნეო ხასიათისაა. ქართული გეოგრაფიული სახელები შეთვისებული აქვთ ოსებს, რომლებიც ქართულ ტოპონიმებს თავისებურად წარმოთქვამენ. მაგ. ბალიათი — ბაგიათა, ჯავა — ჟავა, როკა — რუკ, ვანელი — უანელი, ბრიტათა — ბრიტატ, ზეკარი — ზიკარა, ქვაისი — კვაისა, ლიახვი — ლეუახი, მსხლები — სხლებ და სხვა.

ენ. სამხრეთ ოსეთის შექმნის შემდეგ ოსმა სეპარატისტებმა ზოგიერთი ქართული ტოპონიმი შეერყვნეს ან გადააკეთეს ოსური ენის შესაბამისად. ვასილი სალკუნის ოციან წლებში ჩრდილო კავკასიიდან მოვლენილი ვინმე ზნაურ აიდაროვი ფრონეს ხეობაში აყალიბებს ყაჩაღთა რაზმს და ქართველ თავად-აზნაურებს არბევს, ხოცავს. მას პატივი მიაგეს და ხეობის ცენტრს, ტყისუბანს, უწოდეს ზნაური, ასევე ქუჩებს ცხინვალსა და თბილისში.

იმავე ფრონეს ხეობაში სოფელ გიორგნმინდას დაერქვა ისაკ ხარებოვის სახელი — "ისაკყაუ" რომელიც ქართველებს ანიოკებდა. ცხინვალის რაიონის სოფელ წუნარს უწოდეს კოსტა ხეთაგუროვის სახელი — ხეთაგუროვი; ჩვენს დროში ექსტრემისტებმა განიზრახეს, რომ სახელის დარქმევა არ კმაროდა და წამოიწყეს კოსტას სახლ-მუზეუმის მშენებლობა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

ოსი სეპარატისტების მიერ ქართული გეოგრაფიული სახელების იგნორირება არახაზია, ძველია, ამ მხრივ დამახასიათებელია

ასეთი ფაქტი: 1934 წელს ცხინვალში ენ. ოლქის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გრიფით დაიბეჭდა ბროშურა სათაურით "სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების, მდინარეებისა და მთების ახალი სახელწოდებები". ბროშურა ითვალისწინებდა ზემო ქართლის 686 ტოპონიმიდან 411-სათვის სახელის შეცვლასა და გადაკეთებას. სეპარატისტებს ერთი ხელის მოსმით სურდათ ქართული ისტორიული ფურცლების წაშლა. მათი აზრით ქემერტი უნდა შეცვლილიყო ჩემერტად, კეხვი — ჩეხად, აჩაბეთი — დალლაგ აჩაბეთად, მონასტერი — ფერსაგად, სვერი-სერად და სხვა.

სეპარატისტებს მაშინ ეს არ გამოუვიდათ, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ამ ნაცოდვილარს ოსები უწოდებენ მნიშვნელოვან "წყაროს".

მხარის ტოპონიმები სტრუქტურის თვალსაზრისით არ განსხვავდება საერთო ქართულ ტოპონიმიისათვის დამახასიათებელი ყალიბისაგან. გამოიყოფა ტოპონიმების წარმოების ჯგუფები. ეს მწარმოებლები ქმნიან ქართველურ სისტემას, რომლებიც გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად არის გამოყენებული.

— ეთ მწარმოებელი მხარეში ერთობ გავრცელებული სართია, რომელითაც ტოპონიმებია წარმოქმნილი; არკინარ-ეთი, გორეთი, სკვირ-ეთი, ანდორ-ეთი, ჯვარ-ეთი, გორ-ეთი, ივრ-ეთი, აჩაბ-ეთი, ტბ-ეთი, კერ-ეთი, მარალ-ეთი, მიფარ-ეთი, დამპალ-ეთი, მარმაზ-ეთი, ბაბილ-ეთი, შამბი-ეთი, ქაშუ-ეთი, ზვარ-ეთი, პარს-ეთი და სხვა.

— ეთ მწარმოებელი თავისი ვარიანტებით (-ათ, -ით, -ოთ, -უთ, ქმნის ქართველურ ტოპონიმთა სისტემას: კობ-ათი, ვან-ათი, გელულ-ათი, კულბ-ითი (ისტორიული კურბითი), ბე-ოთი, (ცხოვრობდნენ ზაიფანულიები), ბელ-ოთი, დოფ-ოთი (დუფ ზანურად თავი, ამის გამოისობით რუსთავიც ეწოდებდა) მაკ-უთი, მაყულ-თი;

გვხვდება — ის სუფიქსით ნაწარმოებნი; ედ-ისი (ისტორიული ვეძისი). ეს სახელი გვხვდება მრავალჯერ მთავე წყლის აღსანიშნავად. სახელი გავრცელებულია ჯავის, ცხინვალის, ახალგორის რაიონებში. ქსუ-ისი, დმენ-ისი, მახ-ისი, არდ-ისი, გუდ-ისი, ანძ-ისი, ბორგნ-ისი, ყორნ-ისი, ლვიდ-ისი და სხვა.

მხარეში ასეულობით ტოპონიმი სხვადასხვაგვარად არის ნაწარმოები, როგორც პრეფიქს—სუფიქსებით, ისე კომპოზიტურად.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ცნობილ თხზულებაში “აღწერა სამეფოსა საქართველოსი” აღნიშნავს, რომ „აქ უნინ (დვალეთში) სახელბულან ქართველნი გლეხნი, რომელნიც გაჭირვების ჟამს ბართა შინა ჩამოსულან და მათ ადგილას დასახლებულან ოსნი“. ეჭვგარეშეა, რომ ქართლის მთიანეთში, ცენტრალურ კავკასიონზე და პირიქით მხოლოდ ქართველი დაარქმევდა სახელს ნებისმიერ ობიექტს. ასეთი სახელწოდებები დღესაც მხოლოდ ქართული და ქართველური ენების მოშველიებით აიხსნება. მაგალითად დვალთა გორა, ბრუტსაბძელი, ზეკარი, კასრის კარი, ვეძისი, პრიტაული, დვალეთი, ხოხის მთა (ხოხვის), დვალთან კარი, ბილუნეთი ან ბილუნთის მთა ჯავის რაიონში. ასეთი სახელწოდების მთა მდებარეობს მდინარე ქსნის სათავეშიც.

ბორჯნისი, ნასოფლარია მდინარე ფანას ხეობაში. სახელი ეწოდა ცხერის გადასარეკი ბოგირის გამო.

ბუზალა, მდინარე ლიახვის მარცხენა მხარეს. სახელი ეწოდა აქ ადრე მცხოვრები ბუზალაძეების გვარის გამო.

გერმუხი — მთა, გუდისის ქედის დასავლეთის განშტოება.

გუდისი, ქედი და ნასოფლარი ჯავის რაიონში;

ორწყალი, — ჰიდრონიმი და ნასოფლარი მდინარე ფანას ხეობაში.

ედისი, ვახუშტის მიხედვით ვეძისი, მდინარე დიდი ლიახვის ერთ-ერთი სათავე ადგილი. ამჟამად ნასოფლარი.

ერმანი XIII-XIV საუკუნეების “ძველი ერისთავთა” მიხედვით ერემა, მცირე დასახლება დიდი ლიახვის სათავეში.

ზეკარი, მთა დიდი ლიახვის სათავეებში.

ყორსევი, ნასოფლარი ჯავის რაიონში. ჩანს ეს ადგილი უნდა იყოს “ძველი ერისთავთა” “ყორ-ყარა”, რომელიც წყაროში არაერთხელ არის დასახლებული.

ხნვე, სოფელი ჯავის რ-ნში. სახელი დარქმეულია სიტყვა „წვადან“, აქ არსებული კირის საბადოების არსებობის გამო. საკირე,

ჯავის რ-ნში, სახელი უკავშირდება კირის მინერალის მოპოვებას.

ზღუბირი, იგივე ზღუბერი, ზღუდერი, პატარა სოფელი.

თხელა, ნასოფლარი მდინარე ფანას ხეობაში, ცხოვრობდნენ სიმონიძეები.

კობეთი, პატარა სოფელი — ადრე ცხოვრობდნენ კობაურები.

მძივი, იგივე მზივი (ოსურად) ნასოფლარი ფანას ხეობაში.

სამებ-მთა, ქვემელთის ხეობაში.

სბა, სოფელი ჯავის რ-ნში, უწოდებენ ჭბას (მზე ზანურად).

ჩელიათი, ნასოფლარი, XVIII საუკუნეში გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტის მიხედვით ჯერ კიდევ ქართული იყო.

ნთი, მყინვარი ცენტრალურ კავკასიონზე.

ნრუ, ნასოფლარი მდინარე სვერისწყლის ხეობაში. აქ არსებული მდიდარი ასომთავრული წარწერიანი ქვები ეკლესიის დანგრევისას დაიკარგა.

გუდისი, ნასოფლარი საეპიტანგოში.

დიდხევი, ნასოფლარი პატარა ლიახვის ხეობაში.

ედემქალაქი, ნასოფლარი პატარა ლიახვის ხეობაში.

ნანიაური — სახელი სოფელს დაერქვა ნანიაშვილების გვარის მიხედვით.

სიღამონის ჯვარი, ნასოფლარი პატარა ლიახვის ხეობაში და მრავალი სხვა, რომელთა გამოვლენა, აღრიცხვა და კვლევა მნიშვნელოვან მონაცემებს მოგვცემს ჩვენი პოლიტიკური, კულტურული ისტორიისა და ენის ნორმების, დიალექტის მონაცემების დადგენაში.

ქართული ტოპონიმია ისევე ძველია, როგორც ქართული სალიტერატურო ენა. ტოპონიმები ერის საუნჯეა და ისევე სჭირდება დაცვა, როგორც ისტორიას. სწორედ ისტორიული მიზეზებით არის განპირობებული ტოპონიმების დარქმევა.

გეოგრაფიულ სახელწოდებებს, კულტურის ამ ძვირფას ძეგლებს დაცვა სჭირდება, რაც ჩვენი აუცილებელი მოვალეობაა.



ალექსანდრე და დიონისე ოქსონობრძეები

საქართველო მოქრისეთში დაფუძნდნი იხსოიან

ეს სტრქონები აგვისტოს ტრაგიკული დღეების ტკივილიანი გამოძახილია. თანამედროვე ქართული ეროვნული ტრაგედია, რომელიც საერთაშორისო ექსპრტთა შეფასებით რუს ოკუპანტთა მიერ საქართველოში წარმოებულ არაპროპორციულ სამარტქმედებებად მოინათლა, რეალურად გახლდათ რუსეთის ფედერაციის მიერ ოს და აფხაზ სუპარატისტთა სუვერენული თავისუფლების დაცვის საბაბით საქართველოს კეთილი ტერიტორიების მიტაცება-ოკუპირება, ძირძველი ქართული სოფლების, დაბა-ქალაქების, კულტურული ძეგლების, უნიკალური ტექპარკების, გემუბნის გაუკონარი სისასტიკით დაბომბვა-განადგურება, აფთქება, გადაწვა, გაძარცვა, ჩაძირვა, ათეულ ათასობით ქართული მოსახლეობის ივარქმნილი საცხოურებელი ადგილებიდან იძულებით განდევნა და საკუთარ სამშობლოში უქონელ დტოღვილებად გადაქცევა...

ყოველივე ამან თავისი სისასტიკითა და უსამართლობით შეძრა და საქართველოს დასაცავად ხმა აამაღლებინა თანამედროვე დემოკრატიულ მსოფლიოს. თუმცა პრაქტიკულად მიუღია დასავლეთის სამკაროს უმადღესი პოლიტიკური მეთაურებისა თუ ხელმძღვანელები კანონმდებელი გაურთიანება-ორგანიზაციების ვერანაირმა პროტესტმა, შეკონებამ, საერთაშორისო თერიდიულ ნორმებით აკლირებამ

ვერ შეხლო შეეცვალა საეალლო შედეგით უამრავი მსხვერპლი, ნგრევა, და უმთავრესი - საქართველოს ტრიტორიული მთლიანობის ხელყოფა, რუსეთის მიერ სუპარატისტული ოსეთის და აფხაზეთის დამოკიდებულ რესპუბლიკებად აღირება. თითქოს დრო შეტრი-აღდა ხვეწთის, - XXI საუკუნიდან იმ შორეულ წარსულში დაგვებრუნა, ათასგვარ თურქ-სელჯუკთა, მონღოლთა, სპარს-არაბთა შესოსეუებს რომ უმკლავდებოდა და ეწირებოდა ქართველი ერი. ოღონდ, თანამედროვე სამხედრო ატეურვილობისა და ტექნიკური შეიარაღების ძირბებში განუსომილად გაიზარდა დღევანდელ დამპყრობთა მიერ მოყენებული ზიანისა და ზარალის უსასტიკესი შედეგები...

თითქოს უუქველი იყო სამარტქმოვკაციაზე წამოხდების აღბათობა, მინც მოულოდნელი და თავზარდამტევი აღმოჩნდა ეს უდიდესი ეროვნული ტრაგედია, რომელსაც მიხანდასახულად, წლების, თვეების, დღეების მანძილზე თანდათან, წვეწვეთ გვიმზადებდნენ ძირძველი ქართული ტერიტორიების საქართველოდან წავლელის სურვილით რუსეთიდან მართული სუპარატისტები. საქართველოს გასახატეების შემდეგ, 1922 წელს, ტრადიციულ ქართულ სამხანბლოს ტერიტორიაზე ხელფენურად შექმნილი ე. წ. საზრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან უშუალოდ ომისწინა დღეებში რუსეთის ფედერაციის მზარდატერის იმედად გათავხედებული ოსი სუპარატისტები ქვემეხებიდან და ნადმტყორცნიებიდან გაუთავებლად ბომბადნენ ქართულ სოფლებს. სარდაფებს თავშეფარებელი მოსახლეობა შეუღა-დაცვას ითხოვდა. 7 ავვისტოდან კი "შეიღობისმყოფელი" რუსეთის არმია, განუსომილი რაოღენობის ცოცხალი ძალებითა და სამხედრო ტექნიკით, ბომბდამტევი თვითმფრინავებით უკვე რეალურად, სახეშუნიღბავად, ატერებდა ჩართო დამპყრობელ ომში. ასე, პროვკაციულად დაწებულმა უსამართლო და უთანასწორო ომმა ორიოდ დღეში მრავალი ქართული სოფელი ივარქმნა, სამხანბლოს ქართული მოსახლეობის ძირბადი მასა განანდგურა - გაწვეტა, ტყვეებად და მძეღებად აიყვანა, გამოღვენა საკუთარი, დამწვარ-გადაბეული ქარ-მიდამოდან...

აღბათ კამბალმწერლები მომავალში გვიანბომენ საუკუნის ბავშვბას შეწირული ქართული სოფლების, ათ მყედრთა ცხოურება-მოდეწვობის შესახებ. თითოეულს ხომ თავისი საინტერესო წარსული აქვს, თავისი ღირსეული პიროვნებები ჰყავს... მე კი დისევე მოგახსენებთ - ისტორიულად და ადგილმდებარეობით საქართველოს ერთ-ერთ უღამახესსა და უმნიშვნელოვანეს სოფელზე

სამხანბლოში, ცხინვლიდან სულ რაღაც 15-ოდე კილომეტრში, პატარა ღიახესსა და მუჯულის წვალგამყოფი ქვის დასავლეთ მთისწინეთში ტყეში ჩაკარული უღამახესი სოფელი დისევე ისტორიულად უცხო, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მიერ შეცხობას შეწირული სოფელი ყოფილა, რომელიც ჭირახულთა და სასულიერო პირებით ამარავებდა სვეტიცხოველს. ეს ფაქტი დასტურდება "მტკიცე და უცილებელი შემოწირულობის"

განახლებული სიგელით, რომელსაც ხელს აწერს "მეფე ირაკლი მეორის კათალიკოსი ანტონი" და რომელშიც ნათქვამია: "ნებითა დვითისათა ჩვენ მეფეთ მეფემ აფხაზეთისათა აღმოსავალ(-) დასავლადმე მკჳრობელ პატრონმა ხელმწიფემან დიდამ და ქმან-ქემან დიმიტრიანმ ესე მტკიცე და უცილებელი შემოწირულობისა სიგელით მოგახსენეთ თქვენ ცათა სწორსა სასოსა ჩვენსა ზვეტიცხოველსა და მას შინა აღმართებულსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა შემოგწირეთ სოფელი დისხვი. ... მრევლივ სამხედროთ შემოგწირიანს ყოველს კაცის უცილობლად და უღაპარკოდ და ხელსეუფელად მოგვირთმევი და კაცნი შემოგწირიანს კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი". (იხ: თსებ მეგრულიძე. "წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ღიახვის ხელნაშთი". საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "შობამე". 1963, №5, გვ. 213-214.)

დისხვის გარშემო, პატარა ტერიტორიაზე, ცხრა სასოციალეთა გაბნეული. მათ შორის ერთობის, სოფლის განაპირა, ივანე მახარებლის სახელობაზე მუხნარში აშენებული პატარა ეკლესიის ორგელიც "კეთილგვაროვანი ოქროპირიძეთა" სამუდამო განსაკუთრებული აკლდამებია. სოფლის ცენტრში კი X საუკუნის ისტორიული ძეგლი - "ქელიცხოველის" ბაზილიკური ეკლესიაა აღმართული, რომელიც დისხვის მეკიდრმა სამმა ძმა ოქროპირიძეებმა საკუთარი სახსრებით სულ ახლახან შეაკეთეს გარედან და შიდა რესტავრაციისათვის გაამზადეს. ივანე მახარებლის სასოფლოდან სოფლისაკენ თაქვე მიმავალ გზაზე ყინულეთით ცვი, უგამრძელიც წყაროს ვეებურთულა ჭავლი მოიღინება, "წამალაწყაროს" ვახანი უხსოვარი დროიდან. თამარ მეფეობრიდანდებოდა დისხვიში დავით მეფის მიერ აშენებული ეკლესიის მოსახლეობდლად, მუხარობით დადილის თავი წამოსტკეპია და ამ წყაროს წყლით უმად განკურნებულა. - თქმულებად ვეებიან დისხველები. იმასაც ამბობენ, რომ თამარ მეფის მიერ მოწონებულ და ჯვარდასმულ ადგილზე იქვე შორიახლოს აუშენებიათ კუბობითს დვითიძობის ეკლესიაც (XII ს.), რომელიც სულ რამდენიმე ათეული მეტრიდან გადმოჰყურებს ბორცვზე გაშენებულ სოფელ კუბობითიან დისხეს.

სწორედ ამიტომ არის ასე ჭარბად წარმოდგენილი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში ოქროპირიძეთა გვარის ცნობილი სასულიერო მოღვაწეები. დისხვიდან ყოფილა წარმოშობით ქართველ მღვდელმთავართა დიდი ნაწილი. მათ შორის იყვნენ: შიომღვიმის მონასტერში დაკრძალული დიდი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, თვით მოძღვარი ალექსანდრე ეპისკოპოსი (ერისკაცობაში ალექსი ოქროპირიძე, 1824-1907) - სხვადასხვა დროს აფხაზეთის არქიმანდრიტი და ეპისკოპოსი, გორის, გურის, ქართლ-კახეთის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, დიდი ქველმოქმედი, რომელმაც საკუთარი სახსრებით დაამტკიცა რამდენიმე საერო და საეკლესიო დიპლომურული ძეგლი, შეაგროვებინა და გამოაცემინა ქართული საგალობლები, შეაკეთა და განაახლა ქართული ხერობისძველური ძეგლები - შიომ-

ღვიმე, ზედახენი, ჯვარი, დავითგარეჯა; დიდი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე ლეონიდე (ერისკაცობაში ლონგინოს ოქროპირიძე, 1860-1921) - გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი (1903-1918) და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1918-1921); ვერავლად მოსწავლეობა კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საბაგლიშვილი, დედით ოქროპირიძე, 1855-1918), დიდი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (917-1918); გურისა და იმერეთის, შემდგომ ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი (ერისკაცობაში - მათი ოქროპირიძე, 1974-1922); კიდევ მრავალი სხვა ღირსეული რელიგიური მოღვაწე, ოქროპირიძეების სასულიერო შტოს უკანასკნელი წარმომადგენლები იყვნენ რევოლუციის შემდეგ საეკლესიო წოდებააყრით მღვდელმთავარი (ბელაღონინები): იროდიონ ოქროპირიძე (1859-1933) ცნობილი სახალხო კოლტბარის, ერთგული მუსიკალური ფოლკლორის გამომწინილი მოღვაწის აექსენტი მეგრულიძის სიმამრი, რომელსაც იგი არ შესწრებია, და საბჭოთა პერიოდში სოფლად დამკვიდრებული, დისხვის სკოლის რუსულ ენის მოსწავლეებულ - ალექსანდრე (საშა ოქროპირიძე 1879-1959) დისხვის ეკლესიაში დაკრძალული დეკანოზის - გაბრიელ ოქროპირის (დაბ. 1824) შვილიშვილი. სხვათა შორის, 90-იანი წლების ოსურ-ქართული დაპირისპირებების შემდგომ გადაწერა-განადგურებას პირველი სწორედ ამ უკანასკნელის სახელ-კარი ემსხვერპლა.

იროდიონ ოქროპირიძისა და მისი მრავალირიცხოვანი ოჯახის დეაწლ-ამაჯი არა მარტო სამამაბლოს, მთელი საქართველოს მასშტაბით არის აღსანიშნავი. სასულიერო ხემინარიის დამთავრების შემდეგ იროდიონი ჯერ დიდი არარატის შთის ძირში განლაგებულ სამხედრო ნაწილში მსახურობდა მღვდლად, - ივრში, რომელიც იმხანად ახლად დაკვეებული ქორდა რუსის ჯარს. შემდეგ ცხინვალში გადაუყვანიათ. იქ მალე ბელაღონინობა მიიღო, მერე დეკანოზი გახდა. მის გამგებლობაში შედიოდა მთელი ცხინვალის ხეობა. იგი ცხინვალში იყო პირველი მღვდელი. ქალაქის ცენტრში ეკლესია ააშენებინა და იმავე ეზოში დადგა ორსართულიანი სახლი, რომლის მეორე სართული მის მრავალრიცხოვან ოჯახს ეკავა, ქვედა სართულის ნაწილში კი სანიღბები იყოფილია. აი, რას გვიამბობს თავის ავტობიოგრაფიულ მოვონებებში "ზემი ცხოვრება" საუკუნის წინანდელი ცხინვალის მესახებ იროდიონის ქალიშვილი, შემდგომში ცნობილი მუსიკოსი, აექსენტი მეგრულიძის მეორეგურე ქალთა ანსამბლის წევრი, საქართველოში ერთიგულ ხალხურ საკრავთა საუკეთესო სპეციალისტი, დამსახურებული პედაგოგი ქეთევან ოქროპირიძე-მეგრულიძისა: "იმპაინდრეთი დაბა ცხინვალში წმინდა ქართულ დახალხუებას წარმოადგენდა. მისი მოსახლეობის მომეტებული ნაწილი ქართველები იყვნენ. იყო ერთი უბანი გაქართველებული სომხებისა და ე. წ. ქართველი ებრაელებისა. ჩემს მესხობრებაში იქ მხოლოდ 3-4 ოსი ცხოვრობდა, ისინიც ქართველ ქალებზე იყვნენ დაოჯახებულნი და ცხინვალში ფართობის მალახა და მანუფაქტურა ქქონდათ გახსნილი. მაშინ ცხინვალში აყვავებულ ბაღს ჰგავდა და ვა

მორჩეული ინტელიგენცია ჰყავდა. ჩვენს სტუ-
დენტობაზე ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ
სივრცით მკალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე,
დავით კახიანი, ნიკო ლომოური... (ცხიველა-
შივე იხრდებოდა, ისიც მღვდლის ოჯახში, აკა-
დემიკოსი მღვდლა ხიდაშელი. ცხიველაში მამის
სახეზე არ იყო და აქ ჩამოსულიყო ყველა გა-
მოიხილებული პიროვნება, კათალიკოსი იქნებოდა
იგი. გუბერნატორი თუ სკოლების ინსპექტორი,
ყოველთვის ჩვენთან ჩერდებოდნენ და იყო
გაუთავებელი სტუმრანობა ჩვენს სახლში. მე
ბუნებით ცვალები ბავშვი ვიყავი, მიყვარდა ცეკვა,
კარგი ხმა და მუსიკალური მონაცემები მქონდა
და საღამურზე დაკვრაში ვიყავი გააფრული.

მამას სახლში, დიდ თოხანში, სადაც სტუმრები-
სათვის იშლებოდა სუფრა, ფისპარმონია ვდგა-
ეს ერთდღერთი კლავიშებიანი ინსტრუმენტი
იყო შიგლი ცხიველაში. ჩვენს მახლობლად
ერთი სასტუმრობურგული სტუმრები ქალი
ცხოვრობდა. ფისპარმონიის კლავიშებზე
ხელის გასაყვარჯიშებლად ხშირად მიდიოდა
ხალმე ჩვენსა. მისმა შემყურებ, მეც დავიწყე
ფისპარმონიაზე დაკვრა. 5-6 წლის პატარა ვი-
ცი ვიყავი და კლავიშურას ძლივს ვწვდებოდი.
იყო ფეხებით პედლებზე ვდგებოდი, მკვლად
სმენით თავად ვაწვდობდი და ფეხებით პედ-
ლებზე დაჭერით აკომპანემენტს ვაყოლებოდი.
ჩვენს სახლში სტუმრები რომ მიყვარდნენ,
ყოველთვის მიხოვდნენ დამკვრა და მემღერა.
ვეთხელ, მახსოვს, თბილისიდან გუბერნატორი
გუბერატორი თავისი ახალით. მამამ დაძვინა, იმ-
დროს ერთი რუსული სიმღერა ვიცოდა. ასე
იწყებდა: «Молитесь, дети, дороге, / Желайте бору
король, / Помилуй нашего царя...» და ა. შ. დაკვრა
და სიმღერა რომ დავაძვარებდი, დიდი ოჯახები
გამიმართეს და ერთხმად ურჩიეს მამას: - ბავშ-
ვის კარგი მუსიკალური მონაცემები, შესანიშნა-
ვი სმენა და ხმა აქვს, კარგი მომავალი ელის
და ნე დაღუპავთ, მუსიკა შეასწავლეთ, თორემ
დაიწვრებათ». (სხვათა შორის, ქეთევანის ნათ-
ლია ყოფილა ვისკოპოსი პიროსი, მასაც ურჩე-
ვია იროდიონისთვის, - ქეთოს მიხედვ. მუსიკის
ნიჭი აქვსო. - ნ. მ.). „1917 წელს ცხიველაში
ძალიან ბევრი წითელარმიელი მოგროვდა, -
განაგრძობს ქნი ქეთევანი, - (მეტი წილი ოსე-
ბი იყვნენ) და მეფის წინააღმდეგ გამოსდო-
ნენ. ერთი ამბავი მქონიათ. გამომუხახით რუ-
სეთის იმპერიის ყაზახები, სულდრის გუბერაზე
ჩამოსახლდნენ შემო გაზაზე (ხეობაშია ცხიველა-
ში) ხარბახნები დაუყენებიათ და სულ უნდა
ამოხლებული თურმე ქალაქი. ცხიველის მოსახ-
ლეობას ყაზახებთან მოსაღარაკებლად დე-
დგებოდნენ აურთველით მამამეში (ძალიან კარგად
მეტყველებდა რუსულად). მას ტრიბუნად
იმდები ულაპარაკია, ისე დაურწმუნებია რუსები,
აქ არავითარი საშიშროება არ არისო, რომ ყა-
ზახებს ზოდიში მოუხდით და უკან გაბრუნე-
ბულან. მერე ეს წითელარმიელები თავადებს
დავრთვნენ. მანამდებები, ციციშვილები, ვინა-
ძებები, ფადაგენიშვილები, ფადენიშვილები,
სხვებიც, ყველა დაიჭირეს. ულკატორის მომს-
ვეთხებოდნენ (ვითომცად ღვინიანი), - „დაე-
ხერტიხთ თუ არაო“, - ვითომ ისიც პასუხობდა,
- „დახვრეთო“, - და ხერტიღნენ. მამის ბე-
რმა თავადიშვილმა გვარი გამოიცვალა“.

იროდიონმა თავის მონაგარ რვავე ქალ-
კის მიადგინა იმ დროისათვის საშური გა-

ნათლება და ყოველი მათგანი ოქროპირიდა
საკვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი
გახდა. მათგან მღვდელმთავრის უფროსი
ვაჟი ბესარიონ ოქროპირიძე (1886-1964), რო-
მელმაც შეივადრებია და ავსტრიაში მიიღო
უმაღლესი განათლება, ქ. ვენის უნივერსიტე-
ტის სამედიცინო ფაკულტეტის დამკვრები-
სა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის
უმაღლესი ხარისხის დიპლომის მოპოვების
შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და ეწეო-
და ნაყოფის მრღვაობის როგორც პრაქტიკ-
ოსი ექიმის, მეცნიერი და სამედიცინო კადრე-
ბის აღმზრდელი. მას უდიდესი დამსახურე-
ბა მიუძღვის საქართველოში მაღარისა და
სხვა ტროსიკულ დაეყვანებათა ღიკვიდაცია-
ში. ქართულ სამედიცინო და კულტურულ
სახოცაოებაში ბესარიონს დიდი ავტორი-
ტეტი სარგებლობდა. თანამედროვენი და
კიდევები მას „ნამდვილი სახალხო ექიმი“
მიიხსენიებდნენ. ეს სწორედ ის ბესარიონ
ოქროპირიძე გახლავთ, რომელსაც საქარ-
თველოდან გადახვეწილმა 16 წლის ერეკლე
ჯაბადარმა მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი ად-
რინდელი თხზულება - 1907 წელს ბრიუ-
სელში დაწერილი ქართული რომანსების
ციკლი „სიჭაბუკე“ ტენორისა და ფორტე-
პიანოსათვის. ციკლში შესულია რომანები:
„სული თბილი“ ნ. ბარათაშვილის ლექსზე,
„დოყით მოყვარ ჩემსა ლოყასა“ პანეს ილი-
ასულ თარგმანზე, აკაი მას, ვისაც ვამდე-
ვებ მსხვერპლსა“ და „სატრეო“ ილიას ლექ-
სებზე გამოცემულია ლოხანაში წარტრები:
„მეღვება ბესარიონ ოქროპირიძესა და მის
შემდეგ ივლიტას“. (ივლიტა კომპოზიტორის
მეორე ავსტრიელი ქალბატონის ოფლიანა ღი-
ვტენბურგერისათვის შემტყველი ქართული
სახელება.) ბესარიონის სამი შვილიან ერთი
- ირაკლი ოქროპირიძე (1914-1987) ცნობილი
ქართველი მოქანდაკე, თბილისის სამხატვრო
აკადემიის პროფესორი იყო, მისი შმა ოთარ-
ი (1912-1988) - საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის
სწავლელი მედიცინი.

იროდიონის მეორე ვაჟმა - გიორგი ოქ-
როპირიძემ 5(1888-1961), რომელიც პილო-მე-
დიკოსის სპეციალისტი გახლდათ, მთელი
საქართველოს მასშტაბით მონაწილეობდა
მრავალი საიროგაციო არხის მშენებლობაში.
მათ შორის იყო იმ დროისათვის უნიკალური
ტრიფონის საინჟინრო სარწყავი სისტემის
ერთ-ერთი ინციტორი და მშენებელი (1929),
მონაწილეობდა ქ. გორის სასმელე წყლის
მომარაგების სისტემის აგებაში „წმინდა წე-
ლის“ მიდამოებიდან, საკუთარი ინციტეციით
დააპროექტა და გაიყვანა შრომალური სოფ-
ლისევის დიდად მნიშვნელოვანი სარწყავი
არხი მე. პატარა ლიხვიდან (სოფ. ვინა-
თი, 1944/46), რომელიც დღესაც ფახდაუდებელ
სამსახურს უწევს მთელი ამ რეგიონის მო-
სახლეობას.

ათეული წლების მანძილზე ქ. გორის მთა-
ვარ ფტისიატრად მუშაობდა იროდიონის ქა-
ლიშვილი თამარი (1898-1974). ვაჟი ანდრო
(1892-1955) ეკონომისტის იყო, ხოლო მათი უფ-
როსი და ხინა (1890-1963) - დამოუკიდებე-
ლი საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარის მთადილის დაქვანადრე

ლომთათიძის (1882-1924) მეუღლე, გამონჩენილი ქართველი არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი ლომთათიძის (1914-1971) აღმზრდელი დედა იყო...

აი, ასეთი გახლდათ ოჯახი, რომელმაც შექმინა ისევე, როგორც მამაკაცი, მამაკაცი და თუმცა თითოეული მათგანი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას ძირითადად დედაქალაქში უწვავდა, კაცში არ გაუწვევიათ დისკუსიას. აქ მათთან ერთად ხშირად იყრიდა თავს ოქროპირიძეების საგვარეულოსთან დანაოესავებული თუ დამეგობრებული მრავალი ქართველი მოღვაწე, მათ შორის იყო ქეთევანის მეუღლე, გამონჩენილი დოქტორი, ქართული ხალხური სიმღერის ოსტატი, მრავალმხრივი მოღვაწე აკუსენტი მეგრელიძე (1877-1953), რომელიც ჯერ კიდევ 1937 წელს მოღვაწეობდა იქამდე სტალინის რადიოებულ ქალაქ ცხინვალში. აქ მის მიერ ჩამოყალიბებულია გუნდმა პირველი ადგილი

მოიპოვა სამხრეთ ოსეთის ხელოვნების დეკადახე.

დღეს დისევი აღგვილია პირისაგან მიწისა, ოსმა სეპარატისტებმა ეს უწმინდესი სოფელი ჯერ გაძარცვეს და მერე მოლიანად გადაწვეს.

მაინც იმედით ცოცხლობენ უბედურებას თავდაღწეული, ღრთოვანი დისეველები. იმედი ხომ ბოლოს კვდება. სწამთ, რომ არ უწერია საქართველოს გადაშენება. კვლავ გაბრწყინდება ხვენი ქვეყანა და კვლავ დაიბრუნებენ თავიანთ უწმინდესსა და უღამაჯეს სოფელსაც.

მადალმა დმერთმა გისმინოთ, დისეველებო.




ოქროპირიძეების ოჯახური ფოტოსურათი. 1918. გორი.

მეორე რიგის ცენტრში: ოჯახის მამა — მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე, დედა — სოფიო გურნიშვილი-ბოჭორაძისა და დედა — ნინო ბოჭორაძე-ოქროპირიძისა.

შვილები და მათი ოჯახები:

ცენტრიდან მარცხნივ: ბესარიონი მისი მეუღლე იულიანა ლიუტენბერგერი, მათ ფერხთით შვილები — ირაკლი და ოთარი ცენტრიდან მარჯვნივ: ზინა, მისი მეუღლე ალექსანდრე ლომთათიძე და მათი შვილი გიორგი მესამე რიგში: გიორგი თამარი ორი ჯგუფი პირველი რიგის შუაში, მარცხნიდან: ელენე, მისი მეუღლე მიხეილ აბულაძე, მათი შვილი გაიოზი ანდრო მისი მეუღლე ნინო ნულუკიძე, მათი შვილი თინა ცენტრში: ქეთევანი — მამასთან; ეკატერინე — დედასთან.



მოდის, თვალი მივადევნოთ კულტურის ამ დეფორმაციის ორგანიკას, აშკარად დავინახავთ, თუ როგორ დედება, ანდა წყალდება ეს კულტურა, როგორ ცარიელდება და როგორ იესება...

და მაშინ, ეს დეფორმირებული (დეკონსტრუირებული) კულტურა, დამიჯვრეთ და, დედის რძესავით შეგვერგება.

ესეც — მანიფესტის სტილია, თუნდაც ირონიზებული მანიფესტისა, რომელიც ძალიანაც უხდება ჟურნალს.

მეტიც, მთელი „არტიფაქტი“ აღიქმება, როგორც თავისებური მანიფესტი!

საერთოდ, ჟურნალი — და ეს მისი ერთი გადაფორცვლითაც აშკარაა — გამოირჩევა გემოვნებით, კულტურით, მასალის შინაარსისა და მონოდების ფორმის პროფესიული გრძნობით.

ესაა ელიტარული ჟურნალი, რომელმაც უნდა ასაზრდოოს და განავითაროს გემოვნება.

გლამურულ ჟურნალებს, ცხადია, თავისი „მუსტარი“ უყავთ. მაგრამ, საჭირო იყო გამოცემა, გათვლილი არა მხოლოდ კულტურულ, არამედ კულტუროლოგიურად „დაგეშილ“ მკითხველზეც და განვრთნილი თვალის მქონე პუბლიკაზე, ვისთვისაც სახვითი (ვიზუალური) ხელოვნება მარტო ხედვის კი არა, მსოფლხედვის სფეროა, პუბლიკაზე, რომელიც მგრძნობიარედ რეაგირებს ჩვენს ამღვრულ ესთეტიკურ სინამდვილეში მიმდინარე პროცესებზე, და ელემენტარულად, იმ ადამიანებზე, ვისაც მხატვრობა კამიტალად წარმოუდგენია და ინვესტიციასაც დებს მასში, უბრალოდ რომ ვთქვათ, იძენს ხელოვნების ნიშნულს.

ესაა ჟურნალი (და არა აღმანახი), რომელშიც უსისტემოდ კი არაა „თავმოყრილი“ ტექსტები და ილუსტრაციები, არამედ ნინასწარ, კარგად მოფიქრებული „დრამატურგიითა“ გათვლილი მასალათა მონაცვლეობა, მათი აქტუალურობა, ანალიტიკური თუ ინფორმაციული ტევადობა.

„არტიფაქტი“ პირველივე (უფრო ზუსტად, ნულლევან) ნომერს იწყებს რუბრიკით „პრემიერა“, სადაც ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კინწურაშვილი (რომელიც დავით ანდრიაძესთან ერთად, ჩვენი ჟურნალის — „ლიტერატურა და ხელოვნება“ — ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ავტორიცაა), გვანუდის ახალ ინფორმაციას დიდი ქართველი მხატვრის — დავით კაკაბაძის ციკლის „პრეტანის“ შესახებ და ვზადაგზა, სადა, ამასთან პროფესიული ერთი მოგვითხრობს თუ „როგორ ვარდა აღიქმება მოდერნულ ხელოვნება“.

ახის „ახიფაქტი“ — ახის ქართული ახი!

ჟურნალ „არტიფაქტის“ გამოსვლა თავისთავადაა სერიოზული კულტურული ფაქტი — ქართულმა სახელოვნებო სამყარომ მიიღო პირველი არტჟურნალი, რომელმაც უნდა იტვირთოს სახვითი ხელოვნების (და არა მხოლოდ სახვითი ხელოვნების) სფეროში ღრმა, საფუძვლიანი დაკვალიანების ფუნქცია, მეტიც: მისია.

„არტიფაქტი იმ დროს გამოდის, როცა პერფორმატიულმა ქცევებმა თავისი სანპიგიენური როლი შეასრულეს — მათი უკიდურესი არტიკულაცია უკვე მოხდა.

ამასობაში, მით უფრო მეტი ფასი ედება მხატვრის ხელს და ამ ხელის უფლებას.

შესაბამისად, მეტიც ფასი ედება არტიფაქტსაც, როგორც ამ ხელის უფლებრივ ანაბეჭდს.

ეს არაა მანიფესტი — ესაა ფაქტი. და თუმცა, ჟურნალის რედაქტორი დავით ანდრიაძე წერს, ეს არაა მანიფესტო, მისი სვეტი მანიფესტივით იკითხება. ესაა სერიოზული, ზედმინენვით ანონილი სიტყვა, საიდანაც კიდევ ერთი ციტატის მოყვანა შეიძლება:

„ფაქტია (და არტიფაქტიც), რომ ჩვენი კულტურა, გვინდა — არ გვინდა, დეფორმაციის სტადიაშია... ამ დეფორმაციას ვერც ხელოვნება ასცდება.“

ში რეალური ობიექტი (წყალი, სახლი, ქვა, ლანდშაფტი) მხატვრულ სახედ. აქვე აღსანიშნავია საილუსტრაციო მასალის ექსკლუზიურობა და მისი დიზაინერული მოწოდების კულტურაც.

სიტყვა ჩამოვარდა და, „არტიფაქტის“ დიზაინი (სანდრო ჩხაიძე და სარეკლამო კომპანია „პასპორტი“, უდავოდ გამოირჩევა ჩვენი ილუსტრირებული გამოცემების სივრცეში, ამ მხრივ, ევროპული სტანდარტებითაა მოძებნილი თანაფარდობა აკადემიურობასა და ექსტრაგადანტულობას შორის.

აშკარაა, რომ დიზაინერს (რედაქტორთან ერთად) ნაფიქრი და გააზრებული აქვს ტექსტისა და ვიზუალური მასალის მიმართების პრინციპები და ის ნოვაციებიც, რაც თანამედროვე საფურნალო გამოცემების უახლესმა ტექნოლოგიებმა მოიტანეს. სხვათა შორის, ეს „ფილოსოფია“ იკითხება როლანდ ბარტის „Camera lucida“ ქართული თარგმანის სარედაქციო ნინათქაშიც (აქაც რედაქტორის სტილი იკითხება).

ამ ნინათქაში თერთი ყავისფერზე (რაც ძალიან უხდება ფოტოგრაფიისადმი მიძღვნილ გვერდებს) ვკითხულობთ: „ძველ ნიგნებში სურათებით ხდებოდა ტექსტის ილუსტრირება, თანამედროვე ფურნალოში კი ტექსტი „პარაზიტირებს“ ფოტოგრაფიულ გამოსახულებაზე. ასე ჩაენაცვლებიან ვერბალური და ვიზუალური რიგები“.

ვერ ვიტყვი, რომ „არტიფაქტში“ ზედმეტად ჭარბობს საილუსტრაციო მასალა, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამ ტიპის გამოცემა ელემენტარულად, თვალს უნდა ახარებდეს და უნდა იგრძნობოდეს, რომ ესაა ფურნალი, სწორედაც ვიზუალური კულტურის და მისი პრობლემების შესახებ.

საერთოდ, ამ ტიპისა და ხარისხის ფურნალის გამოცემა, თავისთავად, უკვე ფუფუნებაა და უთუოდ უნდა აღინიშნოს ის ინვესტიცია, რომელიც „არტიფაქტის“ გამოცემაში ჩადო ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რაც მისასაღებელიცაა და სამაგალითიც.

ცნობისათვის: ფურნალი რიგაში დაიბეჭდა და ამაშიც ჩანს გამომცემელთა ფართო და გულუბვი ფესტი, სხვა თუ არაფერი, უცხოეთში დაბეჭდვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ახლა ისევ „არტიფაქტში“ ჩაიხედეთ და გადავხედოთ ფურნალის სექტორს. აქ ნახავთ და ნაიკითხავთ (ანდა პირით): „პოლიტიკის ესთეტიკის რუბრიკით“ ფრანგი ავტორის ემანუელ ლეკოს სტატია: „დოსიე: ხელოვნება და დიქტატურა...“, სადაც შემთხვევით

არაა აქცენტირებული, რომ „დესპოტიზმის ნინალმდგე დემოკრატია ერთადერთ ნებადართულ დიქტატურას ახორციელებს — კარგი გემოვნებისას“ და გონიერ მკითხველს აძლევს საბაბს, დაფიქრდეს, თუ ჩვენ დემოკრატის რომელ სტატიაში ვიმყოფებით.

„პოლიტიკის ესთეტიკის“ გაგრძელება რუბრიკა „კომპრომისი“, სადაც დავით ანდრიაძე ჩვეული ესეისტურ-ანალიტიკური ფორმით ხატავს დიდი ოსტატის ვასილ შუხაივის პორტრეტს ზოგრაფიული ფონით, თავად სათაური „პიერო ნეოკლასიცისმისა“ უკვე დამინტრიგებელია და თავისთავად, მთელი ტექსტია, რომლის პოსტმოდერნისტული კვანძიც ფინალში იხსნება.

შეიძლება ითქვას, რომ „არტიფაქტი“ სუნთქავს პოსტმოდერნისტული პრობლემატიკით, რომელიც მოდურ ხარკად კი არ აღიქმება, არამედ გამომცემელთა (პირველ რიგში კი, მთავარი რედაქტორის, როგორც პოსტმოდერნიზმის ავტორიტეტული სპეციალისტის და თავდაც მწოდებლის, პოსტმოდერნისტის) პრინციპულ ორიენტირად.

პოსტმოდერნულ ჭრილშია აღქმული და ნაკითხული ფილოსოფიის ზაზა ფირალიშვილის მიერ იერონიმუს ბოსხის „მოხეტიალე“, რაც მთავარია, ამავე ნომერში შეიძლება ნაიკითხოთ იპაბ ჰასანის კლასიკური გამოკვლევა „პოსტმოდერნიზმის კონცეპციისაკენ“, სადაც ავტორის მთელი ინტელექტუალური ბრწყინვალეობითაა წარმოჩენილი მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ურთიერთმიმართების დიაპაზონი.

საზოგადოდ, მისასაღებელია ფურნალის პოზიცია, თავისი გვერდები დაუთმოს არა მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეებს, არამედ კულტუროლოგებს, ფილოსოფოსებს, სოციოლოგებს...

ფურნალი ადგილს უთმობს მხატვართა, კერძოდ, ქართველ მხატვართა ტექსტებსაც. ამ მხრივ, რუბრიკით „რაკურსი“ გატაცებით იკითხება შესანიშნავი ქართველი მხატვრის (და პროზაიკოსის) ელგუჯა ბერძენიშვილის ესეისტურ-პროზაული ოპუსი „მხატვრის ფანტაზია“, სადაც ავტორი პარალელურად გვიზიარებს თავის განზრახ მისტიფიკირებულ განსჯებს პოლ სეზანისა და სალვადორ დალის მხატვრობაზე და ჯოხს, გასაგებია, სეზანისკენ გადახრის.

„სინანულის ლეგენდაცია“ კი ლევან ლაღიძის — ქართველ მხატვართა შედარებით ახალი თაობის ამ ერთი ყველაზე სერიოზული წარმომადგენელთაგანის მონოლოგია, რომელიც ჩანს, მომავალშიც გაგრძელდება და უთოდ გამოდგება იმის ნიმუშად, რომ ნამდვილად ღირებული არტიფაქტების ავტორი,

„არტიფაქტის“ ძალზე საინტერესო ტექსტის ავტორიცაა.

„იქნებ, შარშონის ფიუტი ძიება დღეს პროტესტის ფორმა, პროტესტისა იმ გარემოს მიმართ, რომელიც დროითაც და სივრცითაც გეუგებრად დაშორდა ადამიანს, როგორც სინანულის მატარებელ არსებას“ — ასეთია ლევან ლალიძისეული ტექსტის რეზიუმეც, და მისი შემოქმედების, თუ შეიძლება ითქვას, ინტელექტუალური პრეამბულაც.

რაც შეეხება XX-საუკუნის უდიდესი მხატვრის, აბსტრაქციონიზმის ფუძემდებლის ვასილ კანდინსკის ტრაქტატს — „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“ — ქართულ ენაზე მისი გამოჩენა, ბუნებრივია, თავისთავადაა სერიოზული ფაქტი.

საერთოდ, როგორც მივანიშნეთ, „არტიფაქტი“ ორიენტირებულია გარკვეული ღირებულებების დამკვიდრებაზე. ყველა მასალაში ჩანს ჟურნალის ორიენტაცია, მისი კრედიტ, და ისევე და ისევე, გემოვნება. ამის დასტურად, თუნდაც გუჯი ამაშუკელისადმი მიძღვნილი გვერდები იკმარებდა, სადაც ულამაზესი საილუსტრაციო მასალის ფონზე იკითხება ჯანრი კაშიას სტატია: „გუჯი: XX-საუკუნის მითოპოეტური რენესანსი“.

რესპოდენტის ცოცხალი ინტონაციაა შენარჩუნებული დიმიტრი ერისთავთან, როგორც კინოს მხატვართან ინტერვიუში, რომელსაც სოფო თოდუა ნარმართავს და მკითხველს არა მარტო საინტერესოდ აკითხებს, არამედ ათვალერებინებს კიდევ ჟურნალის ფოტოგრაფის ირინა აბუხანდაძის გადაღებულ რეპორტაჟს მაესტროს სახელოსნოდან.

ჟურნალს ცალკე რუბრიკა აქვს — „სახელოსნოში“, და ნიშანდობლივია, რომ ნულევან ნომერშივე ე.წ. „ცნობად სახეს“ კი არა, არამედ არაპოპულარულ, მაგრამ ნამდვილ

მხატვარს — უშანგი ხუმარაშვილს უთმობს გვერდებს, თანაც მხატვარს, რომელსაც ფაქტობრივად სახელოსნო არა აქვს.

„არტიფაქტი“ არც ფიროსმანის იგონებებს, ოღონდ, ილიკო ზაუტაშვილის სტატიით გენიალური პრიმიტივის „უცნობ ტილოებზე გვეხატებოდა. ამასთან, ჟურნალი სულაც არ კისრულობს ბოლო დროს „აღმოჩენილ ფიროსმანების“ ლეგიტიმაციას.

იაპონური ტანკასავით იკითხება ზუსტი და შეუმცდარი შტრიხებით დანერვილი მემორიალური პორტრეტი თენგიზ მირზაშვილისა, ქვეტექსტებით საესე ტექსტი, სადაც სევდიანი ირონიაც იგრძნობა და ირონიული სევდაც პოპულარული მხატვრისადმი, რომელიც ხატავდა და უშურველადაც არიგებდა სიმპათიურ ნახატ-სუვენირებს.

ამერიკელი ჯექსონ პოლაკი კი 140000 000 (ასორმოც მილიონ) დოლარად გაიყიდა — ამ და სხვა ამგვარ ინფორმაციებს თავისი ელიტარული სააუქციონო თავგადასავლებით გაეცნობით რუბრიკაში „ძვირ-ფასები“. ხოლო, მათ ვისაც ფული არ ყოფნის, ჟურნალი ამოსახვევ რეპროდუქციას სთავაზობს.

მოკლედ, სჯობს საკუთარი თვალთ ნახოთ და ნაიკითხოთ „არტიფაქტი“, რომლის შემდგომ ნომერსაც ჩვენც საიმოვნებით და მოუთმენლად დაველოდებით. ჟურნალი, რომლის პრეზენტაციაც (ესეც საგულისხმოა) მშვენიერ ფაქტად დარჩება იმ უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი პუბლიკის მენისერებაში, ამ ზაფხულს, „ალექსანდრეს ბაღში“ რომ შეიკრიბა და საჩუქრადაც მიიღო ეს ძვირფასი (როგორც პირდაპირი, ისე გადატანილი მნიშვნელობით) გამოცემა.

ამისთვისაც მადლობა!
ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციისაგან.

INTRODUCTION

INTRODUCTION

საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან პირობებს წარმოადგენს მათი მემკვიდრეობის დაცვა და შენახვა. ეს არის არა მხოლოდ ისტორიის, არამედ კულტურის მემკვიდრეობა, რომელიც უნდა დავალოთ მომავალი თაობებისთვის.

საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან პირობებს წარმოადგენს მათი მემკვიდრეობის დაცვა და შენახვა. ეს არის არა მხოლოდ ისტორიის, არამედ კულტურის მემკვიდრეობა, რომელიც უნდა დავალოთ მომავალი თაობებისთვის.

INTRODUCTION

INTRODUCTION

საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან პირობებს წარმოადგენს მათი მემკვიდრეობის დაცვა და შენახვა. ეს არის არა მხოლოდ ისტორიის, არამედ კულტურის მემკვიდრეობა, რომელიც უნდა დავალოთ მომავალი თაობებისთვის.

საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან პირობებს წარმოადგენს მათი მემკვიდრეობის დაცვა და შენახვა. ეს არის არა მხოლოდ ისტორიის, არამედ კულტურის მემკვიდრეობა, რომელიც უნდა დავალოთ მომავალი თაობებისთვის.



ლანოს ხსენიე

ჩახთაი და ხაზხანიის
ხალხთა სასახაჲო
ხელოვნების სახითო
ძიხაბი

კავკასიის მკვიდრთა მრავალფეროვნება მის რელიეფურ განფენაში ისევე აისახება, როგორც მათსავე ყოფაში. ქართველები ერთობილ ცხოვრობენ დაბლობში - შავ-ზღვისპირეთსა და მთებში, ხოლო მთის კავკასიელები - ადიღელები, ჩერქეზები, ბალყარელები, ოსები, ყაბარდოელები, ყალმუხები, ჩეჩენ-ინგუშები, ლეკები - მთაში. კავსიელებს ერთიანი ეთნოკულტურული სივრცე და ერთნაირი გეოგრაფიული პირობები აქვთ, საერთოა მათი ისტორიული წარსულიც, მათ ხომ რწმენა-წარმოდგენათა ერთიანი სისტემა და ეთნოგრაფიული ძირები დღემდე შემორჩათ...

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბერძნული პრომეთეს მითის ვარიაციებით თუ ორიგინალური თქმულებებით თავს იწო-

ნებენ ქართველები, აფხაზები, ოს-აღანები, დაღესტნელები - თითოეულ მათგანს ამის თაობაზე თავისებური გაასრება და ხედავს აქვს. ინტერესმოკლებული არც ის ფაქტია, რომ ქართველებს რამდენადმე სრულიად განსხვავებული თქმულება შემორჩათ პრომეთეს პროტოტიპ მითიურ ამირანზე, მითებისა და თქმულება-ლეგენდების გმირების ტიპობრივი ანალოგები, სამყაროს აღქმის არქაული სატი მრავლად მოეპოვება მსოფლიოს არაერთ ხალხს, ტიპობრივადაც და შინაარსობრივადაც მსგავსია მათი მითიური, ზღაპრული და ლეგენდური გმირები. თითოეული მათგანის იდეური საფუძველი და ფაბულაც ერთნაირი და ერთიანია: ბოროტებას სიკეთე სძლევეს, სიყვარულის ძალა უძლევიან... მრავალმა საერთო თვისებამ განაპირობა კავკასიელ ხალხთა გარეგნული თუ შინაგანი მსგავსება-ერთობაც. ეს საერთო ძირები მკვეთრად აისახა ეთნოკულტურულ სფეროში, ხალხურ ცეკვებში, მუსიკასა და ხახიათის მენტალურებაში.

კავკასიელი ხალხები, კავკასიელები, არა მარტო ცეკვებითა და მუსიკალობითაა ცნობილი, არამედ ოდითგანვე, მთელს აზიასა და ევროპაში, ხალხური რეწვის სხვადასხვა დარგითაც განთქმულნი იყვნენ. ძველ კოლხებს არქაული სამყარო იცნობდა ზღვაოსნობის კულტურით, საიუველირო-საოქრომჭედლო ნაწარმით, მხატვრობით, ბრინჯაოს ნაკეთობებით, ემალისა და მოზაიკის დამუშავებით. სხვა კავკასიელი ტომებიც კვალში ვღვანენ მათ თავიანთი ხელოვნებითა და ყოფითი კულტურის საგნების წარმოქმნით. აღანთა ტომიც, ძველად, ისევე ცნობილი ყოფილა ბრინჯაოს ნაკეთობებით, როგორც ძირძველი ქართველური ტომები.

აღანებსა და ქართველებს შორის სა-



ერთო კულტურული მსგავსება არაერთ სფეროში ვლინდება და იკვეთება. მიუხედავად აღნიშნული ისტორიულად არაკავკასიური წარმოშობისა, მათი საომარი იარაღი და საჭურველი ახლაც აოცებს სპეციალისტებს როგორც ფორმის, ისე გამოყენებისა და ტექნოლოგიური დამუშავების ერთიანობის თვალსაზრისით. როცა მემკვიდრეობის საერთო ასპექტებს ვისილავთ, შეუძლებელია გვერდი აუვაროთ კოლხური და ყობანური ხელოვნების ნიმუშებს, სადაც კულტურათა ურთიერთგავლენებზე თვალმიდევნება კარგად ხერხდება ბრინჯაოს ნაკეთობათა მაგალითზე. კერძოდ, კოლხებსა და ძველ აღიანებს ყობანურ ეპოქაში მსგავსი ბრინჯაოს ნაკეთობები ქონდათ, ნაჯახ-ცულულებზე ამოკვეთილი გრაფიურები, მათი ტექნოლოგიური დამზადება და მეტალის დეტალების სახე-ფორმები ძალიან პეკანან ურთიერთს. ასეთივე მსგავსებით გამოირჩევა ბალთები და შესაკრავები, ისინი იკონოგრაფიული თვალსაზრისითაც ენათესავენ იან, ადვილად ხერხდება მათი საერთო ნიშნების გამოვლენა. მით უფრო, როცა კოლხური ნაკეთობები ყოველთვის განთქმული იყო შერულების ტექნიკით, ორნამენტებით, ნაწებებითა და სიმბოლიკით (ოთხკუთხედი მიწის სიმბოლოს წარმოადგენდა, კონუსი - შთას, სამკუთხედი - პითაგორელთა სიბრძნესა და სივრცეს...). ბრინჯაოს აუტრული

ნაკეთობები საქართველოში თილისმის დანიშნულებით იხმარებოდა, ბრინჯაოს ქამრებთან და ნაჯახ-ცულულებთან ერთად იგი ქმნიდა ერთიან კომპონენტს ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალებში.

მართალია, ზოგ კავკასიურ ტომში პროფისონალური ხელოვნების მსახურება და მიდგომა არ არსებობდა, მაგრამ მათ სამაგიეროდ თვითმყოფადი მრავალსაუკუნოვანი ეთნოპლასტიკის პრაქტიკა ქმნიდათ, ამიტომაც მიაღწიეს სათანადო აკადემიურ დონეს. დაღესტნელები (ლეკები) დღემდის ოქროსა და ვერცხლის სამკაულების დამზადების შესანიშნავი ოსტატები არიან, ისინი ასევე გამოირჩევიან კერამიკისა და ქვაზე კვეთილობის ოსტატობითაც. მათი ნაკეთობების მიხედვით დაღესტნური "მშენიერი პოეზის" ვაგებაც შეიძლება და ავარიელთა (ხუნძების) ვერცხლის მელიოდის მოხმენაც (რასულ გამზათოვი); თაბასარანელები ხალიჩების ოსტატები არიან, კუბანელები იარაღის დამზადებით არიან ცნობილი, ამ ხელოვნებას კი ისინი სათუთად ინახავდნენ და თავიანთი ინდივიდუალობის გამოვლენას იმთავითვე საკუთარი თვითმყოფადობის უტყუარ ნიშნად თვლიდნენ.

ზოგადკავკასიური კულტურისა და ხელოვნების ერთიანობა ერთი შეხედვითაც მკაფიო და თვალსაჩინოა. ყველა კავკასიური ტომის ცეკვაში საერთო ნიშნები იკვეთება: პირველყოფილი კეთილშობილება, რაინდული თავდაპყრა, თავდადება, ვაჟაკობა, ქალისადმი დამოკიდებულება; ქალთა ქცევისა და ცეკვაში ნიშანდობლივია რაფინირებული მიმოხრა, ხელების მოძრაობის პლასტიკა და "გედისებური" გრაცია. მიუხედავად საერთო ნიშნებისა, ყველა ცეკვაში ნიშნულია ცალკეული კავკასიელი ხალხის ინდივიდუალობა - დამოუკიდებელი სახე-ხატი და ხასიათის თავისებურება. ჩვენი აზრით, ამის ნიშნულია ქართული ეთნოქორეოგრაფია, ძირძველი იბერიული ეთნობალეტი, რომელიც განუყრელი და შემადგენელი ნაწილია ზოგადკავკასიური, ზოგადერთი ხასიათის კავკასიური ხალხური შემოქმედებისა - იგი ზოგადკავკასიური სცეკვალ მრავალგვარობის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

საქართველოს მთიანეთში დღესაც შემონახულია წარმართულ რწმენა-წარმოდგენათა კვალი (სისხლის აღება...), რაც მთელი კავკასიისათვის იყო დამახასიათებელი. მთამ ეს ადათები გვიანობამდე შეინარჩუნა, რადგან გეოგრაფიულად იზოლირებულ და განცალკევებულ კუთხეებში ყოველთვის



ილექტობდა და ინახებოდა ტრადიციულად შესისხსორცებული ჩვევები და შეხედულე ბები. ზოგ ქართველ მეცნიერს მიანიძა, რომ ქართველურ ტომთა ფესვები ხეთურ-სუბარულია (მცირე აზია, ქალდეა, შუამდინარეთი), მაგრამ იმავდროულად აქტუალურია "ერთიანი კავკასიური" ხატის (ხალხის) არსებობის იდეაც, რომლის მიხედვით არსებობდა წინარეკავკასიური მოდგმა, რომელიც მოგვიანებით დაიქსაქსა.

სახელოვნებო საზოგადოებისათვის, შინთუ გარეთ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია დიდი ხელოვანის ალექსი ალექსიძის მოღვაწეობა XX ს-ის პირველ ნახევარში. იგი კარგად იცნობდა კავკასიურ ცეკვებს, სწავლობდა მათ სიღრმისეულად, ეძებდა საერთო ნიშნებსა და ზოგადკავკასიურ პლასტიკურ ხეულებს. სწორედ ამის გამო თავის სტუდიაში შეგირდებს არა მარტო ქართულ ცეკვებს ასწავლიდა, არამედ კავკასიულ მთიელთა ცეკვებსაც და საერთო სახელდებასაც უძებნიდა - "აზიური", "აღმოსავლური" ტერმინებით ნათლავდა ("ის-ღამეი", "შამილი"...).

ხელოვნებაში დიდი ხნიდან მიღებულია და აპრობირებული ძველი სახე-სიმბოლოების, ხალხური წაღიდან გამომხობილი

გმირების, ანტიკური და ალორძინების მხარის ისტორიების თავისებური ინტერპრეტირება და ეთნოსახელოვნებო ფანტაზიის არეში გატარება. ეს "მარადიული" სახეები და სიმბოლოები მრავალფეროვან ორიგინალურ შემოქმედებაში ცოცხლდებიან და სხვადასხვა სტილსაც ირგებენ. მათ ჩვენ ვამჩნევთ ყველგან, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, ყველა დროსა და ეპოქაში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მხატვრულ შემოქმედებაში (ლიტერატურა, პოეზია, მხატვრობა, მუსიკა) და ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში აირეკლება სრულიად მონათესავე თემები და იდეები. ანტიკური ხანიდან პრობლემატურია სესხების, მიბაძვის, ციტირების საკითხი. მხატვრული მიმეზისი ჯერ კიდევ პლატონის ხანიდან არის საკამათო და სადისკუსიო. მრავალმა ხელოვანმა საფუძვლად გამოიყენა ძველი ბერძნული ტრაგედიები (შექსპირი, შილერი, პუშკინი...) და ახალი ჯღერადობა მიანიჭა. ციტაცია-ციტირებას მუსიკაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პ. ჩაიკოვსკიმ ქართული "იავნანას" მოტივი აღმოსავლური ელფერის მისანიშნებლად წარმატებით გამოიყენა ბალეტ "შელკუნჩიკის" ("შაქნატუნას") მეორე აქტში. მან თავის არანუ-



რებაში "იანვანას" ძირითადი სტილისტური ტონალობა შეუნარჩუნა. ბორის ასაფიცივი ასევე წარმატებით იყენებდა XVIII საუკუნის ფრანგი კომპოზიტორების მუსიკალურ კომპოზიციებს, როგორც მასალას...

კულტურათა შორის ურთიერთგაგეგმვის ან ხესხების შემთხვევები ძალიან გავრცელებულია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ისტორიის კვლევისას. მკვლევრებს ხომ ყოველი დეტალი, ნებისმიერი ნიუანსი აინტერესობს, მუსიკასა და ცეკვებში ისევე მკაფიოდ იკვთება ურთიერთგაგეგმვა და ნახესობა, როგორც მწერლობასა და აზროვნებაში.

ჩვენი დაკვირვებით, ანგარიშგასაწვევი მონაცემები არსებობს იმისა, რომ ქართული და კავკასიელი ხალხების ნათესაობა და კულტურული ერთგვარობა დადასტურდეს. პროფესორი შალვა ასლანიშვილი საინტერესო მსჯელობისა და დაკვირვების შედეგად უტყუვრად და არაირაზროვნად მიანიშნებდა ქართულ-იბერიული, ჩენჩურ-იანვანური და ლეკურ-დაღესტნური სასიმილო კულტურის იდენტობა-მსგავსებაზე. საკუთრივ ჩენჩური და ქართული სასიმილო ხელოვნების თაობაზე იგი წერდა: ამ ორი მუსიკალური კულტურის ნათესაობა და მსგავსება მხოლოდ ეფერადობაზე არ არის დამყარებული. ამ ორი სახის კულტურული და შემოქმედებითი მსგავსება ვფუძნება ენობრივ და ისტორიულ მონაცემებს, მათ ინტენსიურ ურთიერთობას ქონციანობის გავრცელების ნიადაგზე..." პროფ. შ. ასლანიშვილი სვანური და ჩენჩური მუსიკალური კულტურის თაობაზეც ამახვილებდა მკაფიო ყურადღებას. ჩვენი იმასაც დაეძინო და დაეუშაბტებო, რომ ქართული, კერძოდ, სვანური ცეკვა-სიმღერები საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს ადიღურთანაც...

სვანური "ცერულის" მსგავსად ფეხის წვერებზე სრულდება ჩენჩური, დაღესტნური, ინგუშური, ოსური და ადიღურ-ჩერქეზული ცეკვები. საქართველოსა და კავკასიის მიწის ტერიტორიაზე გავრცელებულია ორსართულიანი და სამსართულიანი ფერხულები. ამ მხრივაც რეგონი კულტურულ ნათესაობას და საგულისხმო მსგავსებას ამჟღავნებს. ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ ორსართულიანი და სამსართულიანი საფერხულო ცეკვები ინდოელებს, ბერძნებს, ბულგარელებს და ჩრდილოეთის სხვა ხალხებსაც აქვთ. სრულიად ბუნებრივად იბადება კითხვა: ყოველივე ეს ნათესაობად ჩათვალათ თუ ოდენ დუბლირებად ან ოდენ ნახესობად?

თვალსაჩინოებისათვის თუ აფხაზურ ცერებზე შესრულებულ ცეკვას შევადარებთ სვანურ "ცერულს", ან ამავე სახეობის ლეკურ-დაღესტნურ ცეკვას, მრავალ ღირსსაცნობ დეტალს შევნიშნავთ. ამ ტიპის ცეკვების პირველი და მთავარი მსგავსება შევიზრებითობის პრინციპია - როცა მოწაწილნი ერთმანეთის პირისპირ დგანან და ამ რთულ ილეთებს ფეხის თითებზე ასრულებენ. განსხვავება მხოლოდ მხატვრულ გაფორმებასა და ვიზუალურ კერძობობით მხარეშია (საცეკვაო კოსტიუმის - ჩოხის გაფორმება, თავსარქმლის მორთულობა, სარტყლის ორნამენტების ნაირგვარობა, ფეხსამოსი და სხვ.).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნახესობის ერთ-ერთ მთავარ საბუთად ირანული წარმომავლობის ხანჯალიც გამოდგება, რომელიც კავკასიაში XVIII ს-დან მკვიდრდება. ხანჯალი, როგორც იარაღი (ასევე სიტყვიერადაც, როგორც უცხოური სიტყვა და სლექსიკონო ერთეული) სპარსელების ბატონობის შედეგად გავრცელებული ყოფილი დეტალია საქართველოსა და მიწის კავკასიაში. დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ამ ეპოქის ჩვევებსა და დამყარებელთა გავლენების შესახებ დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა: "შეიცვალა ქართული ხე-ჩვეულებანი, ისინი თანდათანობით განიდევნა სპარსული ადათებითა და წესებითო".

ნახესობათა და გავლენათა შესახებ მრავალი კუთხით შეიძლება დაპარაკი და მსჯელობა, მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოდ მიგვანია ერთი თვალსაზრისის დამოწმება - სანდრო ახმეტელის შეხედულების წარმოდგენა "ბერიკაობაზე". დიდი თეატრალი თვლიდა, რომ ყვენობა ანუ ბერიკაობა წინარეპრისტორიული ძირების შემცველი არქაული მოვლენა იყო, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს ყველა ისტორიული მუშობელი ქვეყნის - სპარსეთის, საბერძნეთის, თურქეთის გავლენა განიცადა და მანაც შეინარჩუნა მკვეთრად ნაციონალური სახე (იხ. ჟურნ. "ხელოვნება", თბ., 1977, გვ. 165).

ქართული და კავკასიური ცეკვების ხაერთო და განმასხვავებულ დეტალებზე დაკვირვებისას ვაწვდებით არა მარტო ცალკეულ დეტალებს, არამედ მთავარ ფაქტორს, რომელიც ამ ხალხთა ცეკვისა და ზოგადი კულტურის განვითარების სხვადასხვა დონეს განეკუთვნება. გამორჩეულად უნდა ითქვას, რომ ქართულ ქორეოგრაფიაში ადვილი შესაძენვეია ცეკვის კულტურის ხა-

რისსობრივი მრავალფეროვნება საცკეკოო დიალექტის დონეზეც კი - სხვადასხვა გეოგრაფიული ეთნოგრაფიული გვიშენებს საცკეკოო ფორმების საერთო ნიშნებს, მათ შინაგან ნიუანსობრივ ერთობას, ცეკვის ხასიათსა და იმავდროულად ერთ და მრავალბუნებოვნებას.

ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, არ შეიძლება ნაჩქარევი დასკვნის გამოტანა სხვადასხვა ხალხის ცეკვების ხასიათსა და მათი წარმომავლობის შესახებ. მაგალითად, დაღესტნელ ლეკებს დღემდე აქვთ განსაკუთრებულად მრავალფეროვანი და მდიდარი ენობრივ-გრამატიკული და საცეკვაო სამყარო. სხვა კავკასიელებიც გამოირჩევიან სრულიად განსხვავებული ენა-მეტყველებით, ენობრივი სახესხვაობით, ფონეტიკური და ფონემატური ნიარგვარობით, ბგერათა ედვრადობითა და ბგერითი სიმბოლიკით, ხოლო თითოეული მათგანის ეთნოკორეოგრაფიის ენა, საღაპარაო ენისთანავე განსხვავებით, მიუღეს რეგიონში ურთიერთშორის, ურთიერთთან, გასაოცარ სიახლოვეს ამაღუნებს.

სხვადასხვა ეპოქაში ქართველების გაუღენა მიუღ კავკასიაზე მნიშვნელოვანი და არაერთგვაროვანი იყო. ეს გაუღენა "ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ნიშნად" (შ. ასლანიშვილი) განსაკუთრებით თვალშისაცემი გახლდათ და გარდა რელიგიურიცა, კულტურის მრავალ სფეროსაც მოიცავდა. ყოველივე ეს კი მათ ქორეოგრაფიაზეც უცილობელ ზეგავლენას ახდენდა. ამ თვალსაზრისის საფუძველზე ჩვენ შევკვილია თვალის მივადევნოთ "ქართულ-ქრისტიანული" გაუღენის წარმოქმნის, განვრცობისა და განტოტება-განვითარების მიუღ გზას, რომელიც ძირითადად საცეკვაო მოძრაობებსა და იღუთებში ეღინდება. როცა თუნდაც მთიან დაღესტანში ქრისტიანულ რელიგიას მიღებდნენ, საფიქრებელია, ლეკები იმავდროულად მიუღ რიტუალურ და საწესწესებულებო ხისტემასაც ეზიარებოდნენ, ისინი თიავისებდნენ და თივისებდნენ საცეკვაო იღუთებსაც და მათთვის არც ისე უცხო მოძრაობებსაც, რადგან მხოლოდ საეკლესიო წირვა-ლოცვა მთიელთათვის არ იქნებოდა მისაღები, ისინი მიუღ კულტურულ არეალსაც შეისხლხორცებდნენ, ხდებოდნენ ქრისტიანული და ქართული კულტურის ნაწილი. შესაძლოა, რელიგიის მსახურნი, საეკლესიო მოღვაწეები თიავად არ მონაწილეობდნენ რიტუალურ ცეკვებსა და სანახაობებში, მაგრამ მათ (ქართველებსა და სხვა კავკასიელთ) ერთობასა და ურთი-

ერთობას მინამდვიც, ქრისტიანობამდელ და ქრისტიანულ ხანაშიც აშკარად ექნებოდათ მასობრივი ხასიათი, საურთიერთობო-საკონტაქტო ყოფით-ადათობრივი სიახლოვე - მთის კავკასიელი ხალხები უთუოდ ჩართული იქნებოდნენ მიუღს ამ ვიზუალურ კულტურულ გაფორმებაში.

არც იმის გამოირცხვა შეიძლება, რომ კახეთისა და თუშეთის სიახლოვე და დიდი სახალხო და საეკლესიო-რელიგიური დღესასწაულები, წარმართული ეღემენტებით შესავსებული, კავკასიელ ეთნოსთა მეზობლური თუ ნათესაური, ხშირი და მჭიდრო ურთიერთობა, საერთო ჭირი თუ ღხინი, ქვეშეცნეულად დიდ გაუღენას მოახდენდა მათ ყოველდღიურ ყოფაზე, რიტუალისათვის თანამდვიც სასიმღერო-საცეკვაო საერთო ხასის აღქმა-ათვისებაში. ქრისტიანული რელიგიის დოგმატური ხასიათი მინაც იხლეოდა იმის საშუალებას, რომ ხალხს არ დაეწვეოდა საკუთარი ძირძველი ცეკვები და საცეკვაო იღუთები, რომლებიც ქრისტიანობის გავრცელებამდე, დიდი ხნით ადრე, ათასწლეულებს მიღმა, იხეწებოდა და საბოლოო სახეს იღებდა. ასე რომ სრულიად ბუნებრივად გამოიყურება ჩვენეული დაკვირვება, რომ არქაულ კავკასიაში ქორეოგრაფიის ცალკეულ დეტალებს, მოძრაობებსა და იღურ წყობას საერთო გასაქანი ექნებოდათ ჭრულ და ინდივიდუალურად გამოირჩეულ იბერიულ-კავკასიურ ეთნოკულტურულ სიერცეში. - თანახიარობისა და კულტურული ყოფის ურთიერთგაუღენის პროცესი ხანგრძლივი და მეტ-ნაკლებად უწყვეტი უნდა ყოფილიყო კავკასიის ყველა რეგიონში.

გარდა დაღესტან-ლეკეთისა, საქართველოს ჩრდილოეთით მოსაზღვრე სხვა რეგიონებშიც (ჩენეთი, ინგუშეთი, ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი) ინტენსიური იყო ქართული ზეგავლენა. მოგუიანებით ირანმა იარაღის ძალით, დიდი ბრძოლების წყალობით შეძლო იქ მამდიანიობის დამკვიდრება, მაგრამ ქრისტიანობის კვალის სრული გაქრობა შეუძლებელი აღმოჩნდა - ამის შემწვევა ამ მთიან რეგიონში დღესაც შესაძლებელია. ხშირია ქართული "ასომთავრულითა" და "ნუსხახეცურით" შემკული წარწერებიანი ქვების პოვნის შემთხვევები. თით დაღესტანში ნაპოვნია XIV ს. ეკლესიის ნაშთები, ხუნძეთში დათუნას ეკლესია (X-XI სს), ინგუშეთში XII საუკუნის ეკლესია - თხაბერდი, ასეთივე არქაულობის თანამდროვე სურათია ჩენეთისა და ბალყარეთშიც. ქვებზე გამოსახული ბარელიეფები - ჯვრები

და ფრესკები ბიზანტიურ-ქართული იერი-
საა. ისინი საკმაო მასალას იძლევიან ზო-
გადი დასკვნის გამოსატანად. ყოველივე
ზემოთქმული კი მთელს ჩრდილო კავკასი-
აში ქართული სახელმწიფოს ოდინდელი
პოლიტიკური სიძლიერისა და გავლენის
თვალსაჩინო კვალზე მიგვითითებს.

ჩვენ ზემოთ ყურადღება არაერთხელ გა-
ვამახვილეთ სახალხო დღესასწაულებზე,
სადაც განურჩევლად რელიგიური შეხედუ-
ლებებისა, მთიელი ხალხები ურთიერთობ-
დნენ ქართველ მესაზღვრე მცხოვრებლებ-
თან, რასაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხ-
დენა შეეძლო მათ მეზობლურ-მეგობრულ-
მეკობრულ (ძმადნაფიცობა, სისხლის აღება,
მარჯვენის მოჭრა...) ქცევასა და მსოფლხედ-
ვაზე. ამ ვერსიიდან გამომდინარე, თამამად
შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ ჩრდილო კავკა-
სიელ ხალხთა საცეკვაო იღუმეტებში ადვი-
ლად შეიძლება არეკლილიყო ქართული
ეროვნული ცეკვის საიდეო მოძრაობები.
ასეთი გავლენები ცნობილია მსოფლიო ხე-
ლოვნების ისტორიაში, ეს გავლენები ხომ
ხშირად ხელსაც უწყობენ ახალი სიცოცხ-
ლის შთაბერვასა და ხანგრძლივობას. ამ
მხრივ აღსანიშნავია მავრიტანული კულ-
ტურის დადებითი გავლენა ესპანეთსა და
პორტუგალიაზე. ეს ზეგავლენები, როგორც
სპეციალისტები აღნიშნავენ, არანაირად არ
აქნინებს არც ერთ მხარეს.

გარდა მცირე ერებსე დიდი, მრავალ-

რიცხოვანი და ძლიერი ერების გავლენებისა,
ასევე შეინიშნება შედარებით მცირერიცხო-
ვანი ერის შესაძლო და უტყუარი გავლენე-
ბი ძლიერი და დიდი ერების კულტურაზეც.
ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ქართუ-
ლი ხუროთმოძღვრული ძეგლების არსებო-
ბა ევროპის არაერთ ქვეყანაში და XI ს-ში
ქართველი მხატვრების ყოფა და მონაწი-
ლობა რუსულ-სლავური ტაძრის შემოკობაში
(მაგ. კიევში პეტროსის ღვთაძე).

ცნობილი ფაქტია, რომ ძველი ბერძნები
თავდაპირველად გეგმატული ოსტატებისგან
სწავლობდნენ, მოგვიანებით, როგორც ცნო-
ბილია, უკუმოვლენა, უკუპროცესი მოხდა.

ურთიერთსახეება, გავლენა და ათვისე-
ბა თანაცხოვრების, ხელოვნების განუყოფე-
ლი თანმხლები პროცესია. ადამიანური და
სახელმწიფოებრივი სიახლოვე უმაღ აისა-
ხება კულტურებსა და შემოქმედებით მა-
ნერაზე. ცეკვებში ეს უფრო ინტენსიურად
შეიძლება იყოს გამოხატული, რადგან ურ-
თიერთობა სულიერ ასპექტში და რეგიონ-
ულ დონეზე კიდევ უფრო აახლოებს და
თანამონაწილედ ხდის ხალხურ შემოქმედე-
ბით სულს.

მსოფლიო ხალხთა ცეკვებს მრავალი
ხაერთო მოტივი გააჩნია: ყოფითი, შრომი-
თი, საომარი, სატრფიალო... ეს არის ყოვე-
ლი ერისთვის საერთო და საზოგადო, მხო-
ლოდ დეტალები და შესრულების მანერა
არის მრავალფეროვანი და ინდივიდუალუ-



რი. ამა თუ იმ ქვეყნის საცეკვაო ხელოვნების შესწავლისას ძნელდება იმის დადგენა, ხანგრძლივი ურთიერთობების რა ეტაპზე რომელმა შეითვისა მეორისგან ესა თუ ის ილეთი. მკვლევრებს შეუძლიათ განსაზღვრონ თავისთავადობა, რაც ეთნოფსიქოლოგიას ეფუძნება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გამოთქვან სათანადო ვარაუდები და მოსაზრებები.

ამ მხრივ ძალიან საინტერესო მავალითის მოხმობა შეგვიძლია საცეკვაო ხელოვნებთან. იტალიელმა კინორეჟისორმა ფაბიო ტანცარელამ ცნობა მოგვაწოდა იტალიურ ცეკვა "ტარანტელას" შესახებ. ეს ცეკვა იტალიასა და მსოფლიოში XVIII საუკუნიდან ვახდა ცნობილი. იტალიელებმა კარგად იცოდნენ, რომ "ტარანტელას" საფუძვლად უძველესი იტალიური ცეკვა "ტამურიატა" დაედო, რომელიც ნეპოლშია შემონახული და რომელსაც არანაკლებ 2500 წლის ისტორია აქვს. თავის მხრივ ეს "ტამურიატა" ძველი ბერძნული ცეკვიდან მომდინარეობს. ასე რომ, "ტარანტელას" აქვს დიდი ხნის ისტორია და წარმომავლობის მრავალმხრივი ისტორიული ძირები.

ჩვენ არაერთხის ვრწმუნდებით კავკასიის მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი რეგიონის ჩვეულების, ადათებისა და მორალური შეხედულებების ერთიანობაში. ამასთანავე კავკასიის ბუნებამ, მისმა მრავალგვარმა რელიეფმა არეკვლა პიოვა ადგილობრივთა ემოციებზე, ამ ემოციების გამოხატვის მანერაზე და ამაყ ხასიათზე, გამძლეობასა და სიმყარეზე. მთელ კავკასიას ახასიათებს მკაცრი და ამაყი, შინაგანი თუ გარეგნული ხიბლი, რაც ერთგვაროვანი, ერთარსი ბუნებისა და ადამიანთშორისი თანაზიარობის, თანაარსებობის მიმანიწმებელია.

"ქართულის" ქორეოგრაფიის მოძრაობების ბაზაზე განვითარებული რატული სახუმარო "ოდრო-ოდრო" და "ჟუჟუნა", თუმცა "ჟუჟუნა" სამხმოვანი სიმღერისა და მოცეკვავეთა ორი გუნდის თანხლებით სრულდება. იგი შეიძლება "ფერხულის" ვარიანტად მივიჩნიოთ და არა "ფერხისას" სახეობად.

მთიანი სვანეთი საცეკვაო მრავალგვარობას დღემდე ინარჩუნებს: "შინაგორგლი", "რამიდა", "ჯანგილი" სრულდება "ეორირაშასა" და "ირინოლას" სიმღერათა ფონზე.

საქართველოს კუთხეებში დღემდე შემორჩენილი ცეკვები ამავე რაიონების თავისთავადობის გათვალისწინებით სრულდება, სხვაგვარად რომ თქვათ, ყველა კუთხეს შესრულების საკუთარი სტილი და მანერა გააჩნია. აქ ჩვენ გხვდება მასობრივი და წვეილთა ცეკვები, რომლებიც შაირობისა და შეჯიბრის თანხლებით სრულდება, უმეტესად სამხმოვანი, მრავალრიცხოვანი გუნდით, ტაშითა და სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების დახმარებით იცეკვება. საყურადღებოა ისიც, რომ სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოში მუსიკალური ინსტრუმენტებიც სხვადასხვაა: დოლი, ჭიბონი, გარმონი, ფანდური, ჭუნირი, დაირა და ა. შ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, მამადიან მამაკაცებს ეკრძალებოდათ ყველას დასახაზად ქალებთან ერთად ეცეკვათ, თითქოს ამიტომაც მათ არ გააჩნიათ ქალისა და მამაკაცის წვეილური ცეკვები. ჩვენთვის ეს აზრი ჭეშმარიტი და უპიკველი არ არის, მისი გაზიარება გაგვიჭირდება, რადგან საგანგებო და ღრმა შესწავლის შემდგომ აქ



დაიძებნა დუეტური ცეკვები, ისინი ჩვენს ყურადღებას იპყრობენ არა მარტო სახელწოდებებით, არამედ აღნაგობა-აღწერითაც. შეიძლება შემოგვედავიონ, რომ ეს ახალგაზრდათა ცეკვების და თანამედროვე ტენდენციების გაგლების ანარქული და შედეგია, მაგრამ ეს ასე არაა: საქმე ისაა, რომ რომ წიგნებში უძველესი ფაქტებია აღწერილი, ჯერ კიდევ წარმოუბრუნებელი მომინარე, როგორც წინარემაჰმადიანური, ისე წინარექრისტიანული ხანისათვის ნიშანდობლივი. მაგალითად, ადიღელებს პქონდათ "ქართულის" მსგავსი რომანტიკული წყვილური ცეკვა "ხაგატლიატი", რომელიც ნართების ეპოქის დროინდელია. ოსებსაც აქვთ "სიმდი" და "ცოპაი", სომხებს - "ლორკე", აზერბაიჯანელებს - "იალი", ყაბარდოელებს - "უეი", "კაფა", "ისლამეი"...

"ქართული" სრულყოფილად დრამატული ცეკვაა და ყველა დუეტი, რომელზეც აქ ვისაუბრეთ, მასთან მხოლოდ ვიხილურადაა იდენტური. ცხადია, სასიყვარულო თემატიკა ყველა ხალხისა და ერისათვის ნიშნული და დამახასიათებელია. თითოეული მათგანი მასში თავის სულისკვეთებას აქსოვს, ყოველთვის გამოიკვეთილია სიყვარულის უტკნობი ძალი და სურვილი. დაისახის კითხვა: რა რესურსებს იყენებენ აღმინანები სასიყვარულო ძალის გადმოსაცემად და ამ თემატიკისათვის საკუთრივ როგორი ხასიათის ილეთებია დამახასიათებელი?

პასუხი შეიძლება ვეძიოთ კვლავ ნაციონალურ ტემპერამენტსა და ხასიათში, ყოველივე ეს ერთი და იმავე თემატიკის სრულიად განსხვავებული შესრულების შესაძლებლობას ქმნის თითოეულ ხალხსა და ფინიკურ ჯგუფში: ადიღელობრივი კოლორიტი, გეოგრაფიული გარემო, ყოფითი რეალები და ტემპერამენტი განსხვავებულ პლასტიკას აუღუნს ჩეჩენსა, ოსსა თუ კახელში. როგორც ვერბალურ ფოლკლორში მარადიული თემები ტრანსფორმირდება, ისე კავკასიის ხალხებშიც ქორეოგრაფიული მოძრაობების და ილეთების ნაირგვარობა, შესრულების მანერა იკვეთება.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, კავკასიაში დღემდე შემოვრჩა ერთი უნიკალური საცეკვაო-ქორეოგრაფიული ტერმინი "ლეკური" (ლეზგინა). ესე ესება როგორც შერეული ქალ-ვაჟის ცეკვას, ისე ქალის სოლო ცეკვებს. ქართული მკვლევრები უმეტესად იმ მოსაზრებას უტყვენ მხარს, რომ "ლეკური" "ლეზგინას" გადმოქართულებული ვარიანტული ტერმინია. როგორც გაირკვა, "ლეკურს" ჯერ კიდევ საქართველოში XVIII საუკუნეში ცეკვავდნენ. არსებობდა ქალების "ლეკური", რომლის სინარჩუნება და აღწერდნენ ქართული და რუსი პოეტები. ჩვენი ვარაუდით, ეს ცეკვა უნდა იყოს ქართულ-სპარსული მოძრაობების გაერთიანების შედეგად მიღებული. ამის საფუძველს იხიც იძლევა, რომ სხვა კავკასიულ ხალხებსაც (ნარსებს, ჩეჩენებს, ჩერქეზებს, დაღესტნელებს, ხუნძებს...) შემორჩათ ქალთა სოლო ცეკვები. ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ გამოიკვეთა და წარმოინდა საერთო და ვიზუალურად აღსატყუილი საერთო ნიშნები: 1. გრაციოზული და ნარნარი მოძრაობა ხელებისა და თითებისა (რომელიც დაირისა და ფანდურის თანხლებით სრულდება). 2. მთის კავკასიული ქალების ტემპერამენტის შესრულებისგან ქართველი ქალი სოლო "ლეკური" განსხვავდა (უაღესად გამოიკვეთილი დიდებული თავდაჭერილობით, ერგცერების ილეთთა ნერთით...).

ამ მხრივ ღირსაცნობია მამაკაცთა სომარი ცეკვებიც, რომლებიც ასევე მთელ რეგიონშია გავრცელებული და მრავალი ნიუანსით მოგვანან ერთმანეთს და იმაფეროულად განსხვავდებიან კიდევ ურთიერთისაგან. თითქმის ყველა ხალხს აქვს ხანჯლებით ცეკვა, რომელიც იარაღის რთული მანიპულაციებით გამოირჩევა (მისი მიწაში ჩარტობის (ჩასობის) განსხვავებული მანერით - როცა ერთი მოცეკვავე ცეკვას იწყებს და სხვები ხანჯლებს ასობრებ იატაკზე მთელი ცეკვის განმავლობაში).

ყველა ცეკვისთვის თითქმის იდენტურია ფეხების მოძრაობა, ქართული იქნება, ოსური, ადიღურ-ჩერქეზული თუ დაღესტნური. თითოეულს აქვს ექსპრესიული ხტონები, ენერჯული მოძრაობები, მუსიკლზე ტრიალი და სხვ. დიდი მსგავსებაა ასევე ცეკვის ილურ ხასიათში, როცა მოცეკვავეების მთელი ჯგუფი საომარ შემართებას წარმოკვიდვებს სტილიზებული ნამდვილი საბრძოლო იერით.

აქ ყველგანაა ნაირგვარი ილეთი ცერებზე თუ ნახვარცერებზე (ერგცერებზე). ამ ცეკვათა ექსპრესიულობა და ენერჯიულობა, მუსიკლზე დგომის აუცილებლობა და სხვა დეტალი ნათლად გვიჩვენებს თავგანწირვასა და გმირობას. მაგალითად, ადიღელების მასობრივ ცეკვა "უხ-ხური"-ში ("წირული ცეკვა"), რომელიც შორეულ წარსულს ასახავს, მოინანს ბუნების ძალებისადმი გამოხატული პატივისცემა, მტერზე გამარჯვება... იგი სრულდება ქორწილებში ან ოჯახობრივ

დღესასწაულების დროს. ეს ცეკვა იმიტაცია ხანტერესო, რომ რაღაც მონაკვეთში ჩვენს "ხორუმს" მოგაგვს, მასში წარმმართეულია მოქმედებები, რომელთაც "ხატიაქო" ჰქვია. იგი ამითაც ჩვენს "თავმოსამეს" შეიძლება შევადაროთ. ქორეონახაზი ამ ჩრდილოკავკასიურ ცეკვისა დიაგონალური, წრიული და სწორხაზოვანიცაა. მასში ოსური "სიმღის" ელემენტებიც შეინიშნება და თავისი პარმონიულობით და სიმეტრიულობით "ხორუმსაც" მოგვაგონებს.

ქართული "ფარიკაობა", როგორც ვიცით, შეჯიბრების სულისკვეთებითაა გამსჭვალული, იგი ფართია და ხანჯლით სრულდება. მსგავსი ცეკვები კავკასიელ ხალხებში ბევრგან გვხვდება. თვით ქართულ რეალობაშიც განსხვავებული ინტერპრეტაციითაც, როგორც მასიური, ისე წყვილური შესრულებით. მხარბეგ ტუგანოვმა თავის "ოსურ ხალხურ ცეკვებში" აღნიშნა, რომ ოსურ "სანდრაქსა" და "ისლამეში" არის ნასესხობებისა და გავლენების კვალი. მაგრამ ეს ნასესხობა არ მომხდარა ბრმა და გაუაზრებლად, ერთი ხალხი მეორისგან ითავისებს იმას, რას მის ხასიათს შეუფერება, ან ისე იღებს რაღაც იღვოს, რომ საკუთარი გამომსახველობითი იერი მიანიჭოს და იმდენად იფერებს, რომ საბოლოოდ ძალიან ძნელდება ცეკვისა თუ იღვითის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა-აღდგენა და

შემწინევა-გამორჩევა. ასე რომ, ლილი გვარამაძის მიერ ნახევარი საუკუნის წინათ გამოთქმული დებულება "ყველაფერი სპეციალური ძიების საქმეაო" — დღესაც აქტუალურ თეზად რჩება. მკვლევარს უნდა ესმოდეს ნაციონალური ხასიათის თავისებურება, შინაგანი პროცესების რთულ სისტემაში გარკვევაც და ყოფითი დეტალების სიღრმისეული კავშირების, ნაირგვარი ნიუანსების წარმოჩენაც.

კავკასიელთათვის საერთოა არა მხოლოდ საცეკვაო იღვთები, ქორეოგრაფიული დეტალები და გამორჩეული მანერულობა, არამედ სამოსელიც. მთელი რვეიონი ატარებს ცხვრის მატყლისგან დამზადებულ მოსაცმელს (ქართული "ნაბადი"), ცხვრის ტყავისგან შეკერილ თავსარქმელს ("ფაფახი"), ჩოხას, ტყავის ჩექმებს, ქამარ-ხანჯალს, ხმალს... შთაბეჭდავია კავკასიელთა ასეთი მორთულობა, ისინი თვალის ერთი შეველებით ჰგვანან ურთიერთს (თუმცა თუშეთის მკვიდრის, "გიორგობიდან გიორგობამდე" წიგნის ავტორის, ენათმეცნიერისა და მწერლის გიორგი ცოცანიძის მრავალათეულწლიანი, ბაღბაღისდროინდელი დაკვირვებით, მისთვის, როგორც თუშისთვის, ადვილად შესაძლებელია გამოცნობა და გამორჩევა, თუნდაც ას კაცს შორის, ზურგშექცევით მავალი თუშისა, სიარულის მიხედვით). ჩვენი აზრით, ეს მანერა და მანერული ინ-



დივიდუალიზმი გამოარჩევს თუშს ხევსურისაგან, ფშაველს - სვანისაგან, მოხევეს - ხევსურისაგან, გურულს - კახელისაგან, იმერელს - ქართლელისაგან და მისთ... სწორედ ამიტომაც რუსებმა საერთო გარტანტული შთაბეჭდილების გამო მამაკაცის ტანსაცმელს ზოგადად "ნერქეჩკა" შეარქვეს, ჩემქებს - "ასიაცკები", ყველა კავკასიურ ცეკვას კი "ლუზინკა". ცხადია, უცხო თავაღს უცხო ყოფით გარემოში მეტის დანახვა არ შეეძლო...

"ლუზინკა", "ლუკური" ჩვენთვის ამჟამად "ქართული" სახელწოდებითაა ცნობილი. თვით ქართულ რეალობაში ამ სახელწოდებით ცეკვას მრავალი ვარიაცია გააჩნია და მამაკაცისა და ქალის დუეტის მრავალგვარ შესრულებასაც გეთავაზობს.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახურ "ცეკოში" იდეურ-ოიგეობრივია და გამეორებულია ცეკვა "ქართულის" მოძრაობები. ამის მსგავსად და სანაცვლოდ დასავლეთ საქართველოში "წართმევიანა" გაგრცვლებული, რომელიც ზოგან ხალხისგან "შეცილებს" სახელწოდებითაა სახელდებული. ესენი უფრო სანახაობრივი ცეკვებია და გაერთობით ხასიათი აქვთ. დასავლეთ საქართველოსეულ "წართმევიანაში" ან "შეცილებასში" პარტნიორთა ხშირი ცვლა აუცილებელია. შეჯიბრი და ეჭაწვილური თინი თვალნათღვია - ძალიან გამოიკეთილი და აშკარა.

სამეგრელოს რეგიონისთვის ნიშანდობლივია "ჩაგუნა" და "აირა", რომლებშიც, "წართმევიანა" მსგავსად პარტნიორები ერთმანეთზე შეჯიბრის წესით ენაცვლებიან. აჭარაში რომანტიკული ცეკვაა "განდაგანა", რომელიც სრულდება უძველესი სიმღერის "თარნანინოს" თანხლებით. აფხაზეთში რომანტიკულ საწყვილო ცეკვას "აურააშია" და "შარათინი" ეწოდებათ, ესენი საქორწინო "აირბარკას" შემდეგ სრულდება (მეგრულ "აირბას" ისინი ძალიან მოგვიანან) აფხაზეთი სიმღერის "ჩარბას" ფონზე.

ცეკვა "ქართული" ქართველი ერის მრავალადაწვლელიან წიაღში ძველთაგანვე გააზრებული და გააზრიახებული დრამატურგიაა, ისიც რომანტიკული... სიყვარულის ძალაზე დაფუძნებული. საოცარი, მაგრამ, როგორც იტყვიან, "უაქტი უაქტიად რჩება"-სწორედ ყველა ზემოდასახელებულ ცეკვაში იღვანდება და იკვეთება ხალხის, ეთნოსის, ეთნიკურ-რეგიონული ნიშნები. სწორედაც ეს ეროვნულ, ეთნოკურ-რეგიონული მახასიათებლები ასხვავებს, აახლოებს და ანათესავებს ამ ცეკვებს ურთიერთთან...

ახლა ძნელია დაეა, კამათი და განსჯა და საბოლოოდ ძიება-დადგენა, დასკვნა-

"ვერდიქტის" გამოტანა იმისა, რომ ცერული თუ ცერებზე ცეკვა ისტორიულად საკუთრივ ჩვენია, ქართველური - მხოლოდ სვანური ან მხოლოდ ხანური-ქართული, ან მთის კავკასიური - ოსური თუ ლეკურ-დაღესტნური, ინგუშურ-ჩეჩნური თუ ვაინახური, მაგრამ ყველა შემთხვევაში, რა კუთხითაც არ უნდა მივუღებთ ამ საკითხსა და პრობლემას, ქართულ სიერცულ-კულტურულ არეაღს, სინქრონიულად თუ დიაქრონიულად, ყურაფრით ვერ გამოვიციტავთ...

ყველასათვის ცნობილია შაღვა ამირანაშვილისეული მოსაზრება, რომ კავკასიაში იმთავითვე ქართული ტომების, ქართული კულტურის დომინირება იყო და ეს პროცესი უფრო ხანგრძლივ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ბერძნული კოლონიების შექმნა ჩვენსავე რეგიონში. ივ. ჯავახიშვილი ნათლად მიანიშნებს ზოგადკავკასიურ ლინგვისტურ და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთობის შესახებ, არნოდ ჩიქობავაც სერიოზულ ნიადაგს ხედავს იბერიულ-კავკასიურ და ქართველურ ენათა ნათესაობის კუთხით, ხოლო გიორგი მელიქიშვილის დასკვნით, რომ ამიერკავკასია და ჩრდილოეთკავკასია ერთიან ორგანიზმს წარმოადგენდა იმთავითვე, მრავლისმთქმელია.

იღუა ზოგადკავკასიური ტომების ერთიანი წარსულისა არქეოლოგიური მასალითაცაა გამაქარებული. ე. კრუნიოვი ამტკიცებდა, რომ შესაძენეია კულტურული ერთიანობა და შესაძლებელია პრაქენის (წინარე ენის) აღდგენაც. ე. ბოკარევი შესაძლებლად თვლიდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ამ წინარე ენის რეკონსტრუქციასაც კი. ანთროპოლოგიური მონაცემებით, არქეოლოგიური გათხრებით, ეთნიკური ერთობის თავმოყრა ერთიანი სამყაროს ხატზე, ხალხთა ძალიან მჭიდრო წარსულზე მიგვანიშნებს. არც ის უნდა გავვიკვირდეს, რომ ქორეოგრაფიული მონაცემებიც ამყარებს კავკასიოლოგთა ზემოთქმულ ვარაუდებსა და მოსაზრებებს, მტკიცებულებებს, საერთოკავკასიური გენეზისი არის ის ბაზა, რაზეც მსგავსება-განსხვავებებია დამყარებული.

ჩვენი მიზანი იყო შეგვეჯერებინა ისტორიული, არქეოლოგიური, ენათმეცნიერული, ეთნოლოგიური მონაცემები და პოსტულატები და მოეხევა აგვეო ქორეოგრაფიული სინამდვილე. ერთი რამ ცხადი და უშუალოა, მთელი კავკასია არის ერთიანი ორგანიზმი, ერთიანი ისტორიული და არქაული მოცემულობა, რომელიც ინახავს ერთიან განუყოფელ კულტურულ რეალობას, ერთიანი ძირითა და მრავალი განსტობით, რომელიც ქმნის ყოვლისმომცველ და ყოვლისგანმსაზღვრულ ცნებას - კავკასიელებს.



რამს
ხსანოქიშვილი

ოჩი ბათონის ახტი
მანახის მხიანი
თავბანახანი

რამდენიმე დღის მანძილზე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი პრემიერას მართავდა. რეჟისორმა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი თავაძემ ბათუმელ მაყურებელს მსოფლიო კლასიკოსის და

კომედიოგრაფის კარლო გოლდონის ცნობილი კომედია „ორი ბატონის მსახურის“ ახლებური,ორიგინალური და თანამედროვე ინტერპრეტაცია შესთავაზა. ბოლო პერიოდის ბათუმის თეატრში გოლდონი ერთადერთი უცხოელი კლასიკოსია, რომელიც განხორციელდა ამ სცენაზე. მაყურებელს და მკითხველს კარგად მოუხსენება ვარდუბის რეჟოლუციის შემდგომი ბათუმის თეატრის მდგომარეობის შესახებ, როცა დასი ფაქტიურად გაჩერებული იყო. სწორედ ამის გამო კლასიკის დადგმა იმ ეტაპზე, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა. გიორგი თავაძემ სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე მოხელისთანავე სცენა დაუთმო თანამედროვე ქართულ დრამატურგიას, რათა დასი ფსიქოლოგიურად და შემოქმედებითადაც მომზადებულიყო კლასიკასთან შესახვედრად.



პრემიერამ, მაყურებელთა აპლოდისმენტებში და ოვაციებში აწვენა, რომ ბათუმის თეატრის დასმა რეჟისორის ხელმძღვანელობით შეძლო რთული მხატვრული ამოცანების გადაჭრა. პირველ ყოვლისა, ეს გამოიხატება სპექტაკლის რთული სტილისტიკის, დასისთვის მანამდე უცნობი ენების სირთულეში. ბათუმის თეატრის ახალი სპექტაკლი ახალი წინგადადგმული ნაბიჯია, არა მხოლოდ რეჟისორის გიორგი თავაძის შემოქმედებაში, არამედ ბათუმის თეატრისთვისაც. მართალია, პირველად მაყურებელს გაუჭირდა ახალი ტიპის სპექტაკლის შინაწილედ იქცა. სპექტაკლი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი არ გავს ბოლო პერიოდის ბათუმის თეატრის არც ერთ სპექტაკლს არც ენობრივად და არც სტილისტიკის თვალსაზრისით. ამ სპექტაკლში ერთგვარ მხატვრულ ხერხად იქცა ის, რაზეც რეჟისორი მანამდე ეწინააღმდეგებოდა და თავისი სპექტაკლებიდან დევნიდა. პირველ ყოვლისა, ვგულისხმობ ილუსტრაციულობას, რომელიც სპექტაკლში „ორი ბატონის მსახური“ მსახიობების ხასიათების და ენების სრულყოფის უმნიშვნელოვანესი და ყველაზე რთულად განსახორციელებელი მხატვრული ხერხია. სპექტაკლი გაჯერებულია საცირკო ელემენტებით, რომელიც ხანახოვას მერ ელფერს სძენს. გოლდონისეული ხასიათების კომედია ბათუმელთა ინტერპრეტაციით ვფიქრობ, დიდხანს იარსებებს თეატრის რე-

პერტუარში, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს არა მხოლოდ სპექტაკლის მხატვრული დონე და მრავალფერადოვნება, არამედ ისტორიული ფაქტორიც. ბათუმში თეატრის არსებობის 130 წლის მანძილზე გოლდონის ორი ბატონის მსახური წელს მეოთხედ დაიდგა, ეს ნიშნავს იმას, რომ მაყურებელს მოთხოვნილება ჰქონდა ამ სიუჟეტზე, თანაც სპექტაკლი რამდენიმე წლის მანძილზე თამაშდებოდა.

ბათუმის თეატრის სცენას გრიგოლ რობაქიძის „ღამარას“ პრემიერის შემდეგ (1994 წელი) არ ახსოვს ისეთი მონუმენტური დეკორაცია, როგორც „ორი ბატონის მსახურის“ ხილვისას იშლება ფარდის გახსნისთანავე. რუსთაველის თეატრის მხატვარმა და არა ერთი პრემიის ლაურეატმა თემურ ნინუამ ვენეციის ხედი და კოლორიტი ფართო მასშტაბში წარმოგვიდგინა, როგორც დიდი ლანდშაფტი სათამაშო არუნისა. სცენის შუაგული მიზანმიმართულად ცარიელია, აქ ვენეციის მოედანია ნაგულისხმევი, სადაც მიმდინარეობს მოქმედება. რეჟისორი და მხატვარი უკიდურეს პირობითობას მიმართავენ, რომელიც მაყურებელში ზუსტად ისე აღიქმება, როგორც ეს ავტორებმა ჩაიფიქრეს. ვენეციის მოედანი ხანაც პანტალონეს სახლია და ხანაც ვკლესია. სპექტაკლის დეკორაცია მოდერნისტულ სტილშია გადაწყვეტილი და იგი არ წარმოადგენს უკვე მრავალჯერ ნანახ, მსგავსი სტილის სპექტაკლების მხატვრული გაფორმების გაღვინის შედეგს. სცენის სიღრმეში გაშლილია უზარმაზარი პანო, ვენეციის მოედნის ხედი, მტრედებითა



საქართველოს
ხელოვნების
მემორიალი

და უღამაზესი არქიტექტურული ძეგლებით, რომელიც დეკორაციის საერთო გადაწყვეტის ორგანული ნაწილია.

სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა აჭარის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თენგიზ შამილაძემ, რომლის მიერ შერჩეული მუსიკალური თემები სპექტაკლის საერთო ხასიათის შემქმნელია. სპექტაკლში ბევრი ისეთი სპეცეფექტებია გამოყენებული, რომელიც ქართულ თეატრს მანამდე არ ახსოვს, თუნდაც საორკესტრო ორმოდან გონდოლას (ვენეციური ნავის) ამოჭრა სხვადასხვა პერსონაჟების თანხლებით, თუნდაც დელტაპლანით სცენის სიღრმიდან ბეატრისე რასპონის (თეონა შამილაძის) დაშვება და იგივე დელტაპლანით ტრუფალდინოს (ტიტე კომახიძე) აწვევა დიდ სიმაღლეზე, რომელიც მთლიანად გადაუფრენს მაყურებელთა დარბაზს. ამ კონსტრუქციებისა და შექანიზმების შექმნაში უდიდესი წვლილი შეიტანეს თეატრის ინჟინერ-კონსტრუქტორმა იური ხაბაზმა და სადადგმო ნაწილის გამგემ მამუკა თურმანიძემ. მაგრამ ნამდვილ სასწაულებს სცენაზე მსახიობები ახდენენ, რომელთა შორის

უპირველესია ტიტე კომახიძის ტრუფალდინო. ამ სპექტაკლში სულ სხვა ამპლუაში წარსდგნენ მაყურებლის წინაშე უკვე კარგად ცნობილი და დაშტამპების პირას მისული მსახიობები ბიძინა მიქაუტაძე (პანტალონე), ზურა ქავთარაძე (ლომბარდი) და ზაალ გოგუაძე (ბრიგელა). ბიძინა მიქაუტაძემ შექმნა სრულიად განსხვავებული მხატვრული სახე, ტიპაჟი, რომელიც მოსალოდნელი სიურპრიზი იყო მაყურებლისათვის. სახასიათო მსახიობი ზურაბ ქავთარაძე იმდენად სახეცვლილი წარსდგა მაყურებლის წინაშე, რომ იგი ბევრმა თეატრის მოყვარულმაც ვერ იცნო, რაოდენ სასიხარულოა, რომ ზაალ გოგუაძემ შეძლო არა მხოლოდ ფოზიკურად შეეცვალა მანამდე შესრულებული ამპლუები, არამედ მსახიობმა შინაგანად მოახერხა სრული მეტამორფოზის განცდა. მისი ბრიგელა ტიპური გაიძეურა ბიზნესმენია, რომელიც ფულის შოვნის ყველა ხერხის გამოყენებაზე თანახმაა. საინტერსო, კოლორიტული ხასითები შექმნეს ახალგაზრდა მსახიობებმა: მამუკა მანჯგაძემ (ფლორინდო) და ოთარ ქათამაძემ (სილვიო), მათ ზუსტად ჩააღვდეს სპექტაკ-



ლის სტილისტიკას და ჯანრს, ისინი კარგად გრძნობენ სპექტაკლის რიტმს და ამიტომაც არის, რომ მაყურებელი სულგანაბული, ან ემოციურად დამუხტული თვალს ადევნებს მათ სცენებს. წარმატებული აღმოჩნდა ახალგაზრდა მსახიობისთვის მეკი კობაღაძისთვის კლარიონეს როლის შესრულება. მსახიობი მომხიბვლელ ფიზიკურ მონაცემბთან ერთად ავლენს გათამამებული, აქტიური, ამპარტავენობამდე დასული ახალგაზრდა ქალის ხასიათის დეტალებს. თუმცა მისი სტილიზებული საუბარი ზოგჯერ, ხელს უშლის მსახიობს ტექსტის გასაგებად წარმოთქმაში. სტილიზებული საუბრის მანერით და ინტონაციებით გამოირჩევა თეონა შამილაძის ბეატრიქე რასპონი, თუმცა მსახიობს აქვს ბევრი ისეთი მომენტი, სადაც იგი აღწევს სრულ გარდასახვას და მხატვრულ სიმართლეს. ანცი და მოუსვენარი ქალის სახეს ქმნის ეკა ჩაველიშვილი (კლარიონე). სწორედ მისა და ტრუფაღდინოს არშიყოზაზე აგებული სპექტაკლი, რომელიც გულწრფელ სიყვარულში გადაიზრდება. მსახიობი ახერხებს მრავალფეროვნად დახატოს მისი გმირი სხვადასხვა სიტუაციაში. სპექტაკლის ცენტრში ტრუფაღდინო ბატოკიო - ტიტუ კომახიძე დგას. მსახიობი კარგად ახსოვს მაყურებელს მეფისტოფელის როლში, კიდევ უფრო ფერადოვანია მის მიერ შექმნილი ახალი როლი. მისი მონოლოგები, ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან გათამამებულია და გაჯერებულია სხარტი, მოქნილი და ხალასი იუმორით. მაყურებლის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს მის მიერ შესრულებული თითქმის ყველა სცენა, დაწყებული საექსპოზი-

ციო მონოლოგით, დამთავრებული სწავიანალო სიტყვებით. მსახიობი ავლენს არა მხოლოდ დიდ არსტისტულ ნიჭს, არამედ ფიზიკურ მოშაადებას, დახვეწილ პლასტიკურობას, ცირკის მსახიობის ელემენტების ცოდნასა და მუსიკალობას. იგი შესანიშნავად მღერის კიდევც. საინტერესო სახასიათო როლი შექმნა გიორგი ფირცხალაშვილმა. მის მიერ შესრულებული პადრე გაიძვერა, ეშმაკი და ახლობელი ოჯახისთვის უნდო სასულიერო პირია, იგი კარის დიაკონია, რომელიც იმას აკეთებს, რასაც უბრძანებენ, გარდა ამისა, იგი ერთ მომენტში ბუღალტრადაც გადაიქცევა. სპექტაკლში დიდი დატვირთვა არა აქვთ მსახიობებს დავით წერეთელს, დავით ჯაყელს, ლაშა კონცელოძეს, გიორგი მეგრელიძეს, ლევან თედორაძეს, გოჩა ხეინიას, მაგრამ მათი კრებითი პერსონაჟები ამას სოფრდება მაყურებელს. ახალგაზრდა მსახიობები ეპიზოდური როლების შესრულების მიუხედავად, ახერხებენ პერსონაჟების ხასიათების გადმოცემას. მათ დიდი პლასტიკური დატვირთვაც აქვთ სპექტაკლში, ისინი მოძრაობენ სფეციფიკურად, თეატრალურად, უცნაურადაც კი, რომელიც ხასიათების შექმნას უწყობს ხელს. ამ სპექტაკლში ქორეოგრაფიას დიდი დატვირთვა აქვს, რომელიც ვკუთვნის თეატრის აღიარებულ ქორეოგრაფს - კოტე ფურცელაძეს. ამ კუთხით მისი წვლილი სპექტაკლის წარმატებაში დიდია.

საპრემიერო სპექტაკლის გოლდონის „ორი ბატონის მსახურის“ ნახვის საშუალება ჩვენს თანაქალაქელებს და ქალაქის სტუმრებს კიდევ არა ერთხელ ვქნებათ.



თენგიზ მირზაშვილი

ქეთევან
წინჭურისძვილი

ჩოქასას აღმოხდა
„ აჰჰ!...“

ხელოვნება იწყება იქ, სადაც დიდი გრძნობა აღფრთოვანების შემახილს ბადებს. არა აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება – „აჰჰ!“ თუ რაიმე სხვა. მხატვარი თუ შექმნის იგივე გრძნობა დაბადოს მისი ნამუშევრის მაკურებელში, ეს იმას ნიშნავს, რომ მან იმ გრძნობის შესატყვისი ფორმის მოსაძებნად სათანადო ოსტატობა შეიძინა და თავისი მისიაც შეასრულა. სამწუხაროდ, არასოდეს ვუფიქვარ თუ შეთქმ, მაგრამ თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრების მიხედვით ვიცი, თუ როგორი სუნთქვის შემკვერელია იქაური სიერცე და მისი სურათების ყურებისას, თუ



არ მითქვამს, მიგრძენია – „აჰჰ!“ ამ სურათებით, მისი (!) ქალაქის უამრავ ოჯახში რომ არის მიმოფანტული, თენგიზ მირზაშვილმა შეასრულა თავისი მისია. თუმცა, ცხადია, არა მარტო ამ სურათებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1960-იანი წლები საბჭოთა კავშირში ხრუსჩოვის ლიბერალიზაციის და „დათბილის“ პერიოდი იყო. ხელოვნების ნიმუშების არქექტიპებია, რომლებშიც თვალნათლივ აისახა იმდროინდელი ახალგაზრდა თაობის სულიერი მდგომარეობა. ცენზურის შერბილება და დასავლეთისკენ ოდნავ შეღებულმა კარმა ორმხრივი მისწრაფება აღძრა – რადგან უფლება მიეცათ უფრო ბუნებრივი ყოფილიყვნენ, მშობლიურ ძირებს მიუბრუნდნენ; რადგან კარს მიღმა გახედვის უფლება მიეცათ, შემოჭრილ ინფორმაციას დაეწაფნენ. ერთი შინაარსს, – თემას ბადებდა, მეორე – ფორმას აყალიბებდა. ერთი სიცრუისგან ათავისუფლებდა, მეორე პროვინციალიზმისგან იცავდა.





ქართული ხელოვნების უდიდესი ნიმუშები ბუნების წიაღშია მიმოფანტული და არა მუხეუმების დარბაზებში. ამიტომ მათთან და ბუნების მშვენიერებასთან ზიარება ერთდროულად ხდება. თუ ბედმა გარგუნა და საქართველოში ისეთ ოჯახში ხარ დაბადებული, სადაც ხელოვნების სამსახური მშობლის პროფესიაა, მაშინ არ ავცდებია ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ამ ორი დიდი ფენომენის (ბუნება და ხელოვნება) ერთიანობაში აღქმა და შეყვარება. ქალბატონი სოფიო მირზაშვილი - თენგიზ მირზაშვილის დედა ქართული ფრესკის შემადიანე იყო. ფრესკა - ქართული ხელოვნების უდიდესი საგანძურია. სოფიო მირზაშვილი ფრესკებს რესტავრაციას უტარებდა და მათ ასლებს ასრულებდა.

თენგიზ მირზაშვილი ამ დიდ საგანძურს ბავშვობიდან ეზიარა. იმ წლებში, ყველზე სათუთი და შეურყენელი თემების ძიებამ ახალგაზრდები ნიკო ფიროსმანთან მიიყვანა და სტალინის ეპოქაში მივიწყებული მხატვარი „ახლიდან დაიბადა.“ ტოტალუ-

რი ტყუილისგან გათავისუფლების სურვილი, მაგრამ ნახევრად მიცემული თავისუფლება (ისევე, როგორც ნახევრად მიცემული უფლება), „ნადღი“ თემების მძიებლებს მითების და აღევორიების სამყაროში მიუძღვებოდა. ეს სამყარო მშობლიურ თემებს ეფუძნებოდა. ხერხები კი, რომლებიც დასავლეთიდან აღწევდა, სიმართლის მძიებელთ და დამფუძნებელთ ამ თემების გათანამედროვეობაში და გააღვლორიულობაში ესმარებოდა. სინამდვილეც კი მითოლოგიზაციას განიცდიდა.

ხელოვნების ენა უფრო ადამიანურიც გახდა (ადამიანთან მიახლოებული) და უფრო სახელოვნებოც (ხელოვნების გრამატიკის შესატყვისი). ეს მოხდა ყველა ხვეროში. ცრუ რეალიზმის დაგ-



მობის პერიოდში სიმართლე და გულწრფელობა ყველაზე მეტად დაფასდა. დასაფასებელი ის არის, რომ თენგიზ მირზაშვილს სიმართლისთვის არც შემდგომ უღალატია, მიგნებული არ გაუცვითავეს და გრძნობისგან არ დაუცვლია.

მირზაშვილის სახელოვნებო ენა უკიდურესად სადაა და ლაკონური, და ამასთან შინაგანი სიღრმის მატარებელი. ის, რაც მას სააშკარაოზე გამოაქვს, მის მიღმა მრავალ შრეს ინახავს. ამიტომ არის, რომ მის მიერ გაფორმებული ფილმები („ყვდრება“ და „შერკილები“) და სპექტაკლები (რ. გაბრიადის თეატრი-





სა და „ამლეტი“ ა. ტარკოვსკისთან ერთად) პლასტებით მდიდარია, მხატვრულ ფორმაში ასახული ამბებით და ისტორიებით (ხურჯინივით) დატვირთული.

მირზაშვილის პეიზაჟებში გამოსახული ადამიანების გარინდებაში, თუნდაც ისინი ორიოდვე მონასმით იყვნენ მინიშნებულნი, დროისა და სივრცის უკიდევანობა და მარადიულობა შეიგრძნობა. ისინი დგანან ისევე, როგორც კოშკები და სახლები იმავე სურათებში. ადამიანების, შინაური ცხოველების და შენობების ჯგუფები ერთმანეთისგან განცალკევებულია, მათ შორის თითქმის გამჭვირვალე სივრცეა, და ისინი ამავე სივრცით მიწასთან, მთებთან და ვუდეებთან ერთ კოსმოსში ერთიანდებიან.

აქ ისეთი სიმარტივე და სიმსუბუქეა, რომ ერთი მტკუნანი მოქმედება, ხელის გაკერა დაარღვევს პარმონიას. ალბათ, მუსიკალური პარმონიაა დამყარებული



და იმიტომ. ხედმეტი მოქმედება დაუშვებელია. ეს არის ურთულესი სიმარტივე. მირზაშვილი ფერადოვანი აქცენტის დასმის დიდოსტატია. ეს აქცენტები ისევე რჩება მყურებლის თვალსა და გონებაში, როგორც სივრცის საოცარი შეგრძნება. და კიდევ, წელიწადის დროის.

მონასმის სიფაქიზე და გამჭვირვალეობა თენგიზ მირზაშვილმა ალბათ ქართული ფრესკიდან „ისწავლა.“ და ამ სიფაქიხესთან და გამჭვირვალეობასთან შერწყმული მონუმენტურობაც იქედან შეითვისა. ასევე, ქართული ფრესკისთვის დამახასიათებელი ადამიანურობაც (თუ ინტიმურობა – არ ვიცი, რა ვუწოდო). ეს ის ეროვნული მახასიათებლებია, რომლებიც ფიროსმანთან არის გაცხადებული და რომელთაც განსაკუთრებით სჭირდება გაფრთხილება, რადგან იკარგება ან



კიდევაც დავკარგეთ. ამას საფუძვლად უდევს რადიკალიზმი არისტოკრატიზმი, ხალხის წილიდან რომ ამოიზრდება და მხოლოდ ოსტატობის ფარგლებში არსებობს. ზღვარს თუ გადახვალ, ხელოსნობაში გადაიზრდება და კვდება. სწორედ ამ ზღვარის მიკვლევა და შენარჩუნება საჭიროებს მაღალ ოსტატობას. თენგიზ მირზაშვილი ამ არისტოკრატიზმს დაატარებდა. ასეთი არისტოკრატიზმი თავმდაბლობასაც გულისხმობს, და საკუთარი სამყაროს გაფრთხილების და სიმართლის დაცვის მიზნით გარიყულობასაც.



ამიტომაც იშვიათად თანამშრომლობდა, თეატრისა და კინოს მხატვრობას ვგულისხმობ, და თუ თანამშრომლობდა, მხოლოდ სულიერ მეგობრებთან (თ. აბულაძე, რ. გაბრიაძე, ა. ტარკოვსკი, ე. შენგულაია). მეგობრობდა მათთან, ვინც იგივე ფასეულობებს დაატარებდა და დაატარებს. ამას ყველა ხედავდა. მის ნამუშევრებსაც ყველა იძინდა ან ნატრობდა, რომ შეეძინა. დღესაც ასე გრძელდება.

გარდა იმისა, რომ თენგიზ შირვაშილის მხატვრობა ნოვატორული იყო ლოკალურად მისი ქვეყნისთვის, ის ხელოვნების განვითარების საერთო ტენდენციასაც პასუხობდა, რადგან ზოგადად სამყაროსთვის 1960-იანი წლები მინიმალისტის ხანა იყო. როდესაც რეალურად აღქმა ობიექტზე დამყარებული, მინიმალისტური ნაწარ-



მოები აბსტრაქციისკენ იხრება, რადგან ობიექტი ყველაზე არსებითის ამოკითხვისკენ და ასახვისკენ არის მიმართული. თენგიზ შირვაშილიც ამგვარი აზროვნების მხატვარი იყო. ამიტომაც მის შესახებ წერის დაწყება ძნელია, მერე კი მისი ესკიზების თუ კინოკადრების მსგავსი ნამუშევრებივით მსუბუქად იწერება. მაგრამ გამოსაკვლევი და სათქმელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.



ფოტო გადაღებულია გოგი მესხიშვილის მიერ.





შალვა ნუცუბიძე და ალექსანდრე ჩუბინიძე
გასული საუკუნის 60-იანი წლები

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვენიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42; ტელ: 37-61-53,
„ელვასერვისი“ იოსებძის 49 ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02 და
„საქპრესა“ ტელ: 51-60-04;
3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შექენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერი:
გიორგი ქადაგიშვილი

ოპერატორი:

თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4

ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



თუნგიშ მინჩაშვილი (ჩუშჩიკა)

